

ISSN 0182-598 X


საქართველოს
საბავშვო ჟურნალი

ბავშვთათვის



10

1986





ენათოქი

საქართველოს
ლიტერატურა

ქოველთვიური ლიტერატურულ-მხატვრული და
საზოგადოებრივ-პოლიტიკური ჟურნალი

ფელიწადი 62-0

№ 10

ოქტომბერი, 1986 წ.

საქართველოს საბჭოთა მწერლების კავშირის ორგანო

შინაარსი

პროზა, პოეზია

მერმან ლიპანიძე — ლექსები	3
მურაჟ დონანაშვილი — ზღაპარი ზედიზესა და იმის მასალაზე ანუ ჩვიდი.	8
მამუკა წიკლაური — ლექსები	37
ლალი თოთაძე — ლექსები	41
რევაზ ჯაფარიძე — ოთხი დღე ნიკრის ძველანაში. ნარკვევი. დასასრული	45
ტაგუ მუხარონილი — ლექსები	101
შაჰრო სამაღაშვილი — ალავიძეში. ლექსი	104
თამაზ ჯაქაძე — ლექსები	105

100 ზ. კ. ორჯონიძე 100

ვივი მარუაშვილი — ლენინის უახლოესი თანამებრძოლი	108
---	-----

კრიტიკა, პუბლიცისტიკა

აბაი მინდიაშვილი — მერი თუ მსხვირალი?	120
მურაჟ მათიაშვილი — გიგნულ ბაბუიში	137

პუბლიკაცია

ნოდარ გრიგორაშვილი — პაოლო იაშვილის ფერილები იოსებ გრიგორაშვილისადმი	146
---	-----

(მ. შერეე გვერდი)



შინაარსი (გაგრძელება)

მეცნიერება

გრიგოლ გიორგაძე — არმაზის ბილინგვა: „შარანავაზი“ თუ „შარანავაზიანი“? 151

ხელოვნება

კამილ სან-სანო — „ნებელუნებობის ბავილი“ და ბაიროთიული წარმოდგენები
თარგმნი შინაინა შიქელაძემ 160

წიგნების მიმოხილვა

მირონ ხარბიანი — გზა სინათლისა 174

69

შთავარი რედაქტორი არჩილ სულაკაური

სარედაქციო კოლეგია:

ბრ. აბაშიძე, ი. აბაშიძე, რ. ამაშუაძე, მ. ბერძენიშვილი, ალ. გო-
შიაშვილი, ბ. დონაშვილი, კ. კალაძე, მ. ლასური, მ. ლეზანიძე,
ე. მაღრაძე, ლ. მრეაშვილი, ბ. ნატროშვილი, რ. პატარძე, ჯ. ნა-
რკვიანი, ნ. წულუბისკირი, ი. ბილაძე, ბ. ხარანაული (პ/მგ. მდივანი)
რ. ჯაფარიძე, ბ. ჯიბლაძე.



მურმან ლავანიძე

ახალი ღიბნიდან

თავისებურად ლავაზია ხალხი ყოველი

ესეც ვნუკოვო!
მოსკოვისკენ მანქანით მივქრით
მუხლზე ხელბარგით
და რუსეთზე
ამგვარი ფიქრით:

მტრობენ, რატომღაც,
ამ ქვეყანას, უინი სჭირთ მისი,
ბევრი რამ არის
მოწონების
აქ თუმცა ღირსი!

ვთქვათ, მაგალითად,
რას უწუნებ ამ ტაქსისტს ჩაუქს?!
ამ არყის ტყეზე
გულმოსულიც
ვერ იტყვი აუგს!

მშვენიერია
ეს რუსეთი ზორბლით და ჰვავით,
ოჭროს პურებით,
ზომიერი
ბუნებით, ჰავით!

ეგ კი არა და,
(აქ თქვენს დასტურს
ამ მხრივ მოველი

თავისებურად
ლავაზია
ხალხიც ყოველი!

განსაკუთრებით,
მე თუ მკითხავ, ეს ითქმის ქალზე,
კი, კი ბატონო!
თუნდით დადის
თუ კოკით წყალზე!

აბა, თუ არა!
ნახე — უფლის დალოცა ძალმა —
ა, აგერ, —
ტყეში შეუხვია
რავარმა ქალმა!

.

მუხლზე ხელბარგით,
ლილელოში ყაყაჩოს კოკრით,
სასტუმროს ვეძებთ,
სატახტოში მივქრით და მოვქრით,
ვარ კმაყოფილი
ამინდით და
ყმაწვილი შოფრით!

საქ. სსრ. კ. მარჯის
სას,
ბ.

რანიმაცია



გამჭრეს! შემეკრეს!
 რაღაც ჩარჩათ გულ-მეკრდის ღრუში,
 მიმაგორებენ
 გრძელ ტალანში, გვიან, ურიკით...
 „ქასტილიანი“
 იღრინება ვიღაცა პრუსი:
 „ვინა გდიაო,
 რომ ხელახლა ჭრიან ურიგოდ!“

მჩხელიტეს ექთნებმა,
 წაყვანილი ღრმად ვარ კაიფში,
 ვგრძნობ — ველარაფერს,
 შესაძლოა უკვე გამფატრეს...
 მეზრდება ფრთები,
 უფსკრულეებში სადღაც დავეშვი,
 დასტაქრებისას
 ველარ ვხედავ
 ჭათჭათა სკაფანდრებს.

ოთხი კედელი —
 იდენტური, ოთხივე შუშის!
 ჩანს, ცოცხალი ვარ,
 ძაფს, გაწყვეტილს, როგორღაც ვებამ:

პავს ეს პალატა
 აკვარიუმს, — შენს მურმანს უჭირს,
 აკვარიუმის
 ფსკერზე ვწვევარ და სულსა ვღაფავ.

„რენიმიაცია!“ —
 სიტყვა ესე პალატის, კრულის,
 სახელწოდება თუ არისო,
 შეცდომით თვლიან, —
 სინამდვილეში
 მობრუნებას კვლავ ზორცთან სულის,
 მაშასადამე,
 გაცოცხლებას კაცისას ჰქვია...

„მზეო,
 ამოდი, ამოდი
 ნუ
 ეფარები გორას!
 სიცივეს
 კაცი მოუკლავს,
 საწყალი
 აგერ გორავს!“

• • •

ამტვერებული
 თურქით, მონღოლით ტრამალი...
 კი, შეჭირვებით
 მამა-პაპანი მზარავენ,
 მაგრამ არცერთი, —
 არც მეფეთ-მეფე თამარი,
 არც დიდი დავით, —
 არც მეცოდება არაინ!

თუ დაგვიკოდნენ,
 ჩვენც ლაშქარს ვაშას ვკიოდით,
 თუ დაგვკრავდნენ და,
 ჩვენც კაი-კაის დაგვკრავდით:
 არ მეცოდებით,
 დემეტრეც და ლაშა გიორგიც,
 არც პაპისპაპა
 თქვენი არცერთი ბაგრატი!

მაგრამ ანაზღად
 სული შემეძერის ბაღსავით,
 ოყლაყისაგან
 ქუჩაში გაღახულივით
 დავიბოღმები —
 გული შემეკერის ჭვასავით,
 გამახსენდება
 მამად-ხან ალიყურივით...

ყურში იწივლებს
 კრწანისი განაჩენივით,
 ასიოდ მხედრით
 თბილისით უკუქცეული,
 გამახსენდება
 საწყალი მამაჩემივით
 ერეკლე —
 სულკურთხეული...



მე ვინა მკითხავეს
 განსჯას ლომკაცის მარცხისას,
 ხმლის ჩაგებას და
 ქარქაშში ჩაბინავენბას, —
 ჰგავეს საქმე მისი
 საქმეს ბეჩაიე კაცისას:
 პალტო-კალოშის
 ზამთარში დაგირავენბას...

ცხოვრება მისი —
 წისქვილებრ ომის გრიალი!
 წყლულები მისი —
 დიალაც ხალხის წყლულები!
 ომები მისი —
 მგლებშუა ლომის ტრიალი!
 ნაბიჯი მისი —
 ნაბიჯი განწირულების!

ამტვერებული
 სპარსით და თურქეთ ტრამპლი!
 კი, შეჭირვებით
 მამა-პაპანი შზარავენ,
 მაგრამ არცერთი, —
 არც დავითი და თამარი,
 არც ბაგრატი-დიდი, —
 არ მეცოდება არავინ!

ყურში მიწივის
 კრწანისი ვანაჩენივით,
 ასიოდ მხედრით
 თბილისით უაუპცეული,
 გამახსენდება
 ხმალს მტრისას გადარჩენილი,
 შემეცოდება
 საწყალი მამაჩემივით
 ერეკლე —
 სულკურთხეული.

რამდენი შეუძლია პატარა ჭიანჭველას

რამდენი შეუძლია პატარა ჭიანჭველას,
 გნებავთ — თხუნელას,
 მთხრელს მიწისქვეშ კატაკომბების?!
 რამდენი შეუძლია პატარა ჭიანჭველას—
 დაძვრა, გათრევა-გამოთრევა
 რამხელა ტვირთის?!
 გამრთელილია:
 თავისთავზე არ ვიცი ცხრაჯერ,
 თუ, არ ვიცი, თხუნთმეტჯერ მეტის —
 რამდენჯერ თქმულა
 ყოველივე ამის შესახებ!
 იმას კი არვინ იტყვის,
 იმას კი არვინ იტყვის,
 არც როდის უთქვამთ,
 თუ რა ძალუძს, რა შესძლებია,
 რა შეუძლია — კაცს, საბრალოს,
 კაცს, აღამიანს,
 დაკოყრებულს, დაბეჩაიებულს,
 რომელსაც — ურო,
 რომელსაც — თოხი,
 რომელსაც — ცელი,
 გნებავს —
 თოფი უჭირავს ხელში!!!

პატარა კაცი
 მისდგომია თვალუწვდენ მინდორს
 (თუ ვთიბავთ მინდორს,
 ასეთ მინდორს — სათიბი ჰქვია),
 პატარა კაცი
 ჩაჰფრენია ვეება მინდორს,
 თიბავს,
 მკლავს იქნევს,
 ყვავილიან
 ჭრელ შეღმართს
 ჰკიბავს...
 ათი წელია,
 ყოველ ზაფხულს ამ სურათს ვხედავ
 (ერმილე ჰქვია ბერიკაცს ჩვენსას),
 ჩემი ფანჯრიდან
 მოწონებით გავყურებ მთიბელს
 კაცს ოთხმოცისას,
 მზე ფრთაგაშლით დაპლუის თავზე,
 ვერ ვხედავ სახეს,
 საჩრდილობელ იმერულ ქუდქვეშ.
 ვგულისხმობ
 თვალებს მოხუცისას —

პატიოსან,
 მოწყენილ
 თვალებს;
 თიბავს,
 მკლავს იქნევს,
 ყვავილოვან
 ჭრელ შეღმართს
 ჰკიბავს,
 დროდადრო შედგება,
 ხელის ზურგით შუბლს შეიმშრალებს,
 ბალახებში სველ დოქს დასწვდება,
 დაღვეს,
 ცელსაც დააღვეინებს,
 გაიძრობს საღესს,
 ლესავს,
 ცელს აფხავებს...
 თიბავს,
 მკლავს იქნევს,
 ყვავილოვან
 ჭრელ შეღმართს ჰკიბავს —
 პატარა კაცი
 ჩაჰფრენია
 თვალუწვდენ მინდორს.

იქ ერთი ხეა
 და იმ ხისქვეშ ერმილეს სძინავს...
 მოუტანია დედაკაცს სამხარი,
 უსამხრია და
 სძინავს ბერიაკს.
 ზის ნათიბში
 შავოსანი დიაცი ყინჩად,
 გაჰყურებს ტყეებს,
 ახედავს მზეს, —
 ეს მზე არის მისი საათი, —
 თავსაფრიანი დედაკაცი
 ქმრის ძილს სდარაჯობს,
 ხელში უჭირავს ძეწნის ტოტი,
 უგერიებს მარჩენალს ბუზებს...
 ხოლო მოხუცი ხედავს სიზმარს:
 ჩამოუღია
 წინა ორი საკბეჩი კბილი
 გერმანულ ტყვიას,
 ასცდენია მალეებს კისრისას,
 პატიოსნად
 გასულა გარეთ...
 წევს გულაღმა პურის ყანაში,
 წევს ერმილე, გაკვირვებული,
 ვერ ასწრებს სისხლის ამოფურთხებას,

ნაწილს აფურთხებს,
 ყრონტში ჩასდის ბეჩავს, ნაწილი...
 ხედავს მოხუცი ნაცნობს, ღრმად
 მერამდენედ ხედავს საზარელს!
 წუხს, წრიალებს,
 შფოთავს სიზმარში:
 თავზე ადგას ორი ქართველი, —
 ავტომატიან
 ფრიცს რალაცას ეხვეწებიან...
 კი, ტყვე, რომელიც
 საკუთარი ფეხით ვერ ივლის,
 კანონია —
 ადგილზე მოკვდეს!
 რით, რით აიხსნას გამონაკლისი?!
 მიღერებული ავტომატი
 გერმანელმა მაღლა ასწია,
 მოაცილა
 ერმილეს კეფას...
 ახსნა არა აქვს გამონაკლისს!
 „ფრიცის“ თანხმობით
 ქართველები
 გაჩქარებით საკაცეს კრავენ.
 როგორც ცხერის ფარას,
 აჭურებენ „ჰანსები“ ტყვეებს:
 რუსებს, ქართველებს,
 სომხებს, თათრებს, —
 მსუბუქად დაჭრილებს...
 აქა-იქ ისმის
 ავტომატის მრავალწერტილი
 მძიმედ დაჭრილთა
 დასაწყნარებლად...
 — შეუხვიეთო ერთმანეთს ჭრილობები!
 — მოეწყვეთ ოთხრიგად!.. —
 კი, ტყვე, რომელიც
 საკუთარი ფეხით ვერ ივლის,
 კანონია —
 ადგილზე მოკვდეს!
 ასწიეს მაღლა საკაცე და შეუდგეს ბეჭი,
 ორმა ქართველმა
 უნდა ზიდოს მძიმედ დაჭრილი
 თვისტომი თვისი,
 უნდა სიკვდილს გადაარჩინოს!
 მზე აღუღებს
 ყირიმის მიწას,
 ვენახები — გადათქერილი!
 კინწმოწყვეტილი მზესუმზირები!
 ორმა დაჭრილმა
 უნდა ზიდოს მესამე დაჭრილი,
 აქვე, გზისპირად,



თხრილში სიკვდილს გადაარჩინოს!
ვის შეუძლია ნაღდი გითხრას —
ქერჩიდან საით?
ქერჩი გახლავთ ადგილი დაქრის!
ქერჩი! — სამარხი.
სასაფლაო ქართული ძვლების!
სასაქლაო — საქართველოსი!
როგორც ცხერის ფარას.
მიირეკავს ტყვეს გერმანელი...
„შნელ!“ — ჰყვირის ბადრაგი,
ფეხს უჩქარეთო, მაშასადამე.
აინტერესებს გერმანელ ოფიცერს
როდემდე შეძლებს ორი ქართველი
საკაცის თრევას.
„რას შერებდი, ერმილე,
რავა ხარ, კაცი?! —
გზადაგზა ჰკითხავს
ქიორელი რეხვიაშვილი.
„აჰა, შენ იცი!
გაუძელი! — მაღმაღე ეტყვის
საკაცით წელში ვახნეჟილი
სუსტი ყმაწვილი
(ბორჯომელი... გვარი არ ახსოვს...)“
„შნელ!“ —
ჰყვირის ბადრაგი,
ჯერ საყველბურო გერმანული
არ იცის ერმილემ,
მერე ისწავლის,
იქ, ბანაკში,
ტყვეთათვის სამყოფს...
„შნელ!“ — ჩქარობს ბადრაგი.
მზე დაძლუის ყირიმის მიწას,
ჩამორჩა ვილაც,
მიბანცალდა კოპიტის ჩრდილში,
დაეფინა ტომარასავით...
ავტომატის მრავალწერტილით
გამოაკლდა
სისხლიან მართონს...
ორას კილომეტრს
რა გაივლის, ჩემო ერმილე,
ორას კილომეტრს
ფეოდოსიამდე!..
კი! ტყვე, რომელიც
საკუთარი ფეხით ვერ ივლის,
კანონია —
ადგილზე მოკვდეს!

ეროვნული
გენერაციული
პატარა კაცი
მისდგომია თვალუწვდებ მინდორს,
პატარა კაცი
ჩაჰფრენია თვალუწვდენ მინდორს,
გაუღვიძნია
ჩემს ერმილეს, ერმილე ბერელიძეს,
დაულწევია
თავი ძნელი,
გრძელი სიზმრისთვის,
თიბავს ნასამხრევს,
თიბავს,
მკლავს იქნევს,
ყვავილიან
გორაკებს ჰკიბავს...
ზემოაპული მზე დაძლუის
ტყვეყოფილს თავზე...
დადის, დალოდავს, როგორც ამბობს,
დაფაჩუნობს თთხმოცის კაცი,
რა გააჩერებს სიკვდილამდე!
მაგ ბალახებში
უნდა მოკვდეს, რომელსაც თიბავს...
რამდენი შეუძლია პატარა ჭიანჭველას,
გნებავთ, თხუნელას,
მთხრელს მიწისქვეშ
თავისი ქალაქების?!
რამდენი შეუძლია პაწია ჭიანჭველას
დაძვრა,
გათრევა-გამოთრევა
რამხელა ტვირთის?!
ათასჯერ თქმულა
ყოველივე ამის შესახებ!
იმას კი არავინ იტყვის,
იმას კი არავინ იტყვის,
არც როდის უთქვამთ:
თუ რა ძალუძს, რა შეუძლია,
რა შესძლებია კაცს უბრალოს,
კაცს,
დაკოყრებულს,
დაბეჩაებულს,
რომელსაც — ურო,
რომელსაც — თოზი,
რომელსაც — ცელი,
გნებავს — თოფი,
ღიახ — თოფი,
ბეჩავს
თოფი უჭირავს ხელში!

გურამ დოჩანაშვილი

ზღაპარი შედეგისა და იმის მასალაზე, ა ნ უ ჩ ვ ე ნ ი

(ყმაწვილთათვის მოსათბრობი)

ჰეუვა უხმარ არს ბრიყვთათვის, ჰევა
ცოდნით მოიხმარების.

დავით გურამიშვილი

1.

იყო და არა იყო რა, ღვთის უკეთესი რა იქნებოდა, იყო ერთი ჰევა. თავისთვის იღო და იღო. აუვლიდნენ, ჩაუვლიდნენ, ვერცა ხედავდნენ, მაშ. იმასაც, შეუმჩნეველობისა დიდი დარდი არა ჰქონდა, მე ვარ და ჩემი ნაბადიო, ფიქრობდა. ნაბდად კი ერთი სქელი, დამრეცი, რეგვენიებრი შუბლი ჰქონდა, თავისი კეფითა იღო ძველი და დაფლეთილი ჰილოფისეფ იმ თავის ტლანქ ციხე-სიმაგრეშია, აბა იმას ბროლის თლილ კოშკებს ვინ დაუბატავდა. უკაბედად თუ მიადგებოდნენ ჰევას ხან აქედანა, ხან იქიდანა, აბაა, გულის კარს ვის გაუღებდა, გულიცა ჰქონდა, დიდგულა იყო; თვალებიდან თუ გამოიხედებოდა, ისიც ძალიან ძვირად, თავის ნებაზედ ცქერა უყვარდა ჰევასა, რასა ხედავდა და რას ვერა, ეგ სხვა ამბავია. სულ ეგონა რომ, მარტოცა იყო, არადა, თავისთანებში, ყოველ ნაბიჯზე იღო. მოკლედ, ერთმანეთს სულ არა სცნობდნენ, რადგან ერთიმეორის მხოლოდ შუბლებსა ხე-

დავდნენ ჰევები, თავთავიანთთვის იყვნენ, ზოგი ასეთი, ზოგიც ისეთი.

დროზე-დ იძახიან, ვერაფერი შეაჩერებსო, ალბათ მართალია. იდინა, იდინა ამ დრომა და, ამასა კიდევ, გამოკეტილს, მარტო ჰევობა რას ეყოფოდა, აიღო და, მოსწყინდა. ისე მოსწყინდა, სუ დარდის ჰია ბრავს. გაიხედა ცოტათი გარეთა, თვალით მიიარ-მოიარა რალაცები და რულაცები, გახედა არესა, მარესა, ყურიც მიუგდო ვიღაცებსა, და აკი ზოგნი არ იძახიან? — ესა და ესა, შედევირაიო... აიმ შედევირებსა, არც წესი ჰქონიათ იმ ჰევის დასკენითა და, არც რიგი, ხან რო შედევირად ჰევისა კაცია, მერე შედევირად ბუზიკა ისმის, ხან რო შედევირად ვარდქალები დაუბატნიათ, სხვები ყალამით გიშრის ტბაში იქექებინან, იმათგან ზოგნი ჩუმად არიან, ზოგნი კი ხმაშალა იძახიან გულდაგულ ლექსებსა. იდინა კიდევ დრომა, იდინა და, ის ჰიამ მინამ სულ არ დახრავდა, გაიფიქრა ჰევამ, მოდი, მეც ვიდენ და ეგებ შედევირის რამე მასალა მეც ვიშოვოო, უმასალოთო, როგორ შავქმნიო, ქალამანი რომ ქა-

ლამანია, მასალა იმასაც უნდაო და, ამ სიტყვას, შედეგისა, როგორის წიწით ამბობენო. დროც ვერ წაშლისო, დროო, მოდი ერთი და, ეგებ იმის მასალას რასმე მეც გადავაწყდე, მოდი ერთი და, მეც ვიღინო და ვიღინოო. გამოძვრა გარეთ იმ თავისი შებლ-სი-მაგრიდანა, მზემ თვალი მოსჭრა, ვე-ლარაფერსა ხედავს, ისე კი გრძობს რომ, დაპატარავდა, ერთი ბეწოა, ცი-ცქნა, სინედლე მაინც შერჩენია, აცე-ცებს და აცეცებს რაღაც საცეცებსა, ერთი ნაჭუჭივ ადგას სახლად, სახლ-კარი აბა რომელს არ გვინდა, გადაი-ქცა, მოკლედ, ლოკოკინადა. მიღის და მიღის, ადგილზევეა. რისი მასალა, რა მასალა, თვალეში ველარ იხედება, რა დაინახოს, თუ მზე არის და, სულ თვალ-საცეცებსა სჭრის, თუ არ არის და, ბნელა. ვარაუდითლა, მაინც მიღის და, ადგილზევეა ისევ ისევე. აბა, სა-დამდის უნდა ეარნა, ერთხელაც იყო, დააბიჯა ვილაცამ ფეხი. ნატერის ძალა კი მაინცა შერჩა, ერთი ისეთი ჯავშანი მომცაო, ერთი ისეთიო, რომა... იმდენი ინატრა, იმდენი, მოკლედ, გადაიქცა კვდა.

პატარა სული ამოითქვა, ლოკოკი-ნასთან შედარებით, ფეხმალიც კია, მა-ინც ძლივასლა დაბაჯბაჯებს, უჭირს. კიდევ კარგი რომ, თვალთა სინათლე მაინც შერჩენია, მაგრამ რად გინდა, რა მასალას ეგ უნდა წააწყდეს, სულ ყო-ველ ჩქამზე სულ რაღაცები ელანდება, ჯავშანში წამიწამ თავს იმაღავს, ზე-მთთ ახედვისა ეშინია, ეგრე ზო უფ-რო უნდა გამოკვოს თავი, დაბლითუ-რა გზაზე კი არაფერი გამოეპარება, ნელინელ მავალია. მაგრამ დაბლითუ-რა გზაზე რა უნდა ნახო, ჰა, დიდი-დი-დი, კენჭი? იჭმენებოდეს მაინცა.

მასალის დარდი აღარ ჰქონდა, ბა-ლან-ბულახში თუ შექერებოდა, ის იყო შევება.

აბა, დიდხანს რა დიმილებმა? წა-დგნენ იმასაც შემალულ თავზე, აიღეს ხელში, გადასცემენ ერთმანეთსა, სუ ხელიხელ საგოგმანები გახდა, ერთიმუ-ლით წაიღეს საღდაც, რა ეერიამუ-

ლებოდა, ძველი სახლივით გატროუნ-ლიყო, შეიყვანეს რაღაც ცუდთუღმურ-ყობილობაშია, სითბოცქმანქმანქმე-ლაფერი, ჯერ ვერაფერსა ხედავს, ჯავ-შნებშია მკუჩხს, არის ერთი თივილი, ერთი ხივილი, არ ასვენებენ, აიღებენ, დაიღებენ, გადაატრიალებენ, ვაჰო, გად-მოატრიალებენ, ვაჰო, გადააბრუნებენ ისევე ამობურცულ ზურგზედა, დააბზრი-ალებენ, თავს რეტი ესხმის, სულ აღარ იცის, საითქვანა აქვს თავი, ვილასკენა აქვს კუდი. ისევე, ღამე დაილოცოს ჭკვიანთენა — რა შეეშენენ და არხე-ნიდ მიწე-მოწენენ, ერთი ფრთხილობა იფრთხილა და, გამოკყო მერე თავი, ხედავს რა კეთილმოწყობილობაშია, შემწვარ-მობრავლები უდევს, მაგრამ იმდენი გონი კი ეყო, ერთი ბაჯ, ორი ბაჯ, სამი ბაჯ და, სულ ბაჯბაჯით გა-მოიპარა. მიღის თათაყრფით ეს ბეჩა-ვი ჭკვა უცხო გზაზედა, ძლიერ ბნელა და, გაგებაში ვერ არი, ერთი იმითლა იშვიდებს თავსა, რა თავისუფალია. რა-აო, რააო? თავის-უფალიო? თავი-სუფლებობანა კი არა, ბეჩავს, ბეჩა-ვობაც აღარ აკმარეს, ბედშავი გახდა — დაეშვა ერთი წყველისივე არწივი, დააცხრა არწივისებრ, ჩასქიდა ნალეს-ნალესი ჭანგები, აიტაცა მაღლა და მა-ღლა, თურმე უნდა რომ, ციდან გად-მოავდოს და ქვებზე დაღეწოს, ჯავშან-შემომსხვრეული, გემოზედ მიირთვას მერე იმისიდილოზე აიტაცა, იმაზედ მა-ღლა ატაცება სულერთი იყო. აბლა ჩვენთან, მიწაზედ, აღარ იკითხავთ რა ხდებოდა? გამოსულა ამ დილაადრიან სწავლული ვინმე თავის კობტად შეკ-რეჰილ ბაღშია, დაუსხამს ირგვლივ მონდომებული შეგირდები, თავად ზე-ზე დგას, შუაგულშია, ჭკვას ირიგება, ასეო, ისეო, უფრო ასეო, არამცდაა-რამც უფრო ისეო, აუწონავს ჭკვას ირი-გება დიდის რიხითა, ენით ისე მზეობს რომ, სუ ხელეგბა შლის, დიდ ამბავშია. მაგრამ იმ არწივისაც რა არა ჰქონია გამოზომილი ჭკვა? ღამის მარინ-ვარ-სკვლავამდე რომ აიტაცა, შეუშვა მე-რე ჭანგები ამ ჩვენს ბედის მაძიებელსა და, ქვებისა ნაცვლად, ეს ჩვენი ხვითო,

სუ სივილ-შხივილით წამოსული, ზედ იმ ფოლოსოფ არ დაეცა თავზედა? იმას ნულა იკითხავთ და, ამასაც აკი შართლა არ დაემსხვრა ის თავისი ნაქები საფარ-ჯავშანი? თანაც, ასხლტა და, შევარდა მერე თივის წოწოლა ზეინშია. იტრიალა, იტრიალა იმ ბეცმა არწივ-მაც შეშფოთებული შეგირდების თავზე და, ხედავს, მიწაზე დიდი ამბავია, მირბი-მორბის ხალხი, იტრიალა კიდე, ჩაიქნია მერე ფრთა, სხვაგან გაფრინდა, ჯავშნებიან ჰქვას რა გამოლევსო, გაიფიქრა.

ეხლაა, ცოტათი დავისვენოთ.

2.

ჰოდა, გატრუნულა ეს ჩვენი საბრალო ჰქვა თივის ზეინში, შედევი და იმისი მასალა ვიღასლა ახსოვს, დარდიან დღეშია. ჯავშნებშუა ხო კარგა იყო და, ახლა, უჯავშნოდ, უსაფარვლოდა? — ეჰ... გავიდეს, სად წავიდეს, იმის შესანსვლ-შეხრამუნებას რა უნდა, ცარიელადა ჰქვაა. გატრუნულა და, არც იცის, დღეა, ღამეა, წვიმს? ადრე ეგენი სუ იცოდა, ადრე ამეებს მაინც არჩევდა და, ძრიალ მოუნდა ადრეობა, იხვეწება, იხვეწება როო, მაგრა: მოდი ერთი და, ვინცა ბრძანდები, მაქციე რაა, ისევ შუბლ-კეფის შორისი, მოდი რა, ჩემსა წილ მხრებზე მეც შატარეო, ჩამდე რა, ისევ, ადამიანში, ჩამდე რაა, რა იქნება პა, ერთი ეს შემისრულე და, შენი ჰიირიმე, შენი სახელის კი ჰიირიმეო. ისე იხვეწება რო, ისე გრძლად იხვეწიანება რომ, მოკლედ, სუ გაბმულ ღალადისშია. აბაა, არაფერი. მერე ერთი კი შეუცადა, მიაყურადა, ჩქამი არ ისმის, ვეღარც ღალადებს და, ძლივი ლულულულით გაუფიქრა, აბა, რომელი არ შევმცდარვართო, მაპატივეო. აბაა, ისევ არაფერი, ტყუილ-უბრალოდ კი არ ვიძახით, არა, არ არიო. ჩაქინდრა ბედშავი თავი, მოიკუნტა, სდუმს, ვეღარცა წვალობს, აღსასრულს უცდის და შიგნი-შიგან ფინთად აზმორებს, ნელინელ ხმება. და სულ რომ გადაიწვიტა ბედი, აკი მაშინ არ ჩამოესმა?

— რა იყო, რა გინდაო. აკი ძველებოდა? — ისე შეფრთხილდა ზეინის კინკრისოზე შემომქდარი ბედურა სუ გულისხმეთქვით სხვაგან გადაფრინდა, გაკვირვებულობაში მოვიდა, ამან კი, ჩვენმა, აი იმ ხმასა, რაოდა, შენი ჰიირიმე; შენ გენაცვალე, ასე და ისეო, შამქმენ რა, ისევ, წუთისოფლის სტუმარ-ადამიანადაო, რააო. ისევ გაიტრუნა, და პასუხი ჯერ ვერ კი ესმის, მაგრამ ხვდება რომ, გრძნობს, რო დასცქერიან, ათვალერებენ, მოლოდინშია, ვედრებითა ჰყუჩს. იმან კი ალბათ იფიქრა, იფიქრა და, ორშაბათ დღესლა უთხრა, კეთილი, კარგიო, ოღონდ გრძელი გზა უნდა გამოიაროო. ისე გაეხარდა რო, მახლას, კარგიო, წამოუძახა. შეუწყრენენ, შესწყრენენ, გაგამახლასებო, შენს ენაზედ ილაპარაკეო. იკბინა ჰქვამაც თავის ზედმეტ ენაზე, შეცბა, მოიკუნტა, გატრუნულობაშია. რაღაცა ბრძნული ჩამოესმა, თაფლად ეღვრება, მაგრამ რად გინდა, იელისაა — ისეთი გრძელი გზა უნდა გამოგატარო, შენ და შენისთანა ჰქვეშმა რო გამოიგონეთო, არ გინდოდათ არა, პირდაპირ ადამიანობა, ახლა მიდი და, შენივე ნებით იწვალეო... თხლაში — გადააქციე, მოკლედ, ცალ-უჯრედინანდა.

...აი, რაღაცა კი არის, რაღაცას ვითომ კი წარმოადგენს, მაგრამ თავისი ნამცეცობით ვერა ხვდება თუ, ვინაა, რაა, სადღაცას კი არის და, არკი იცის, სადაა, რაში, აღარც ფიქრის თავი აქვს, აღარც განძრევის არაქათი, ძლივსლა იმშუშნება, მაგრამ იდინა, იდინა დრომა და, შეაწუხა ეს ჩვენი ცალფა უმოქმედობამ, უმოძრაობამ, ირგვლივ კი დიდი ამბებია, რა აღარა ხდება ამ დალოცვილს ჰქვეყანაზედ, ერთგან რო ხმელი ყინული რბილდება და ლხვება, სხვა არე-მარეში ისეთი სუსხი ჩამონაყრისფრდება, სუ ალესილ-დალესილ ჰანგებიანი, ეს დედამიწა კიდე, ჩვენი, ბებერი, მაშინ თქვენსეფე ყმაწვილი იყო და, თანაც დიდი დაუდგრომელი — მთები ბოლავდნენ, მზე იკბინებოდა რო, როგორც

როცა ცეცხლის ჭინჭარი, სუყველაფერი ცვალებადობდა, ჰაერი კიდევ, ხან ლუჩო იყო, ხანაც შავი, სხვაგან მწვანე და ალაგ — წითელი, ხანდისხანობით — თეთრი იყო და ანდა სულაც ვეღარა ჩანდა, ცას ვარსკვლავები გამოესხა? — იმსიდიდონი, როგორც რომ მუშტი, ზღვას კი ხან გულის ძილით ეძინა ხოლმე, ხანაც ღმუროდა და თავის ჭურჭელში ვერ ეტეოდა, მოუნდა ამასაც, ცალფად ბეჩავ ჩვენს წინაპარსა, ამოძრავება, ამოქმედება, გაიწყლება, გამოიწყლება, მიიკეცება, მოიკეცება, აბა, ისევ ისაა, უმაქნისი და ციციანი, უჩინარი, ეული, კენტი, მაგრამ რაღაცა ჯადო-ძალა ამასაც ამოძრავებს, ბეჩავი, ბეჩავურად იღვწის, მაგრამ ტყუილად აბა რას ჩაუვლია, დაჯილდოვდა ცოტათი ესეც, გადაიქცა წყვილუჯრედიანადა, ახლა ორჯერ მეტი გასაქანი აქვს, წააწყდა რაღაც-რუცებსა, თავის მსგავსებსა, მამებრებსა, შეითავისა, ხედავს რომ, უკვე ჰამება თუ რაღაცას ეძახიან, ისა, დიდ-დიდი ტანჯვა გამოიარა, ისეთი მიხვეულ-მოხვეული გზები, რომ უკაბედად ისევ უკანვე ბრუნდებოდა, ისევ ძველ ადგილას აღმოჩნდებოდა რაღაცის ნაჩლიქარში, თავის გუბეში, ისევ ის საცოდავი, ძველებური; ბუნების ძალნიც სუ დაშლაოდნენ, აბოლებული მთები სუ ცეცხლსა და ვაებას იტყორცნიებოდნენ, ქარი უბერავდა ისეთი რომ, გაუკვალავში მთელი ქვეყანაც თან, გზად მიჰქონდა, ეს დედამიწაც, ყმაწვილისებრი, დულაგებელი, აბორგებული, შიგან-შიგნიდან ტორტმანებდა, და სალი კლდეები იზხარებოდნენ, ავი გრუხუნით იშლებოდნენ, ტყე ზრიალებდა, ქვიშა იწვოდა, თოვლი თოვდა რო, რისი ფიფქი და რის ფანტელი — ცის კიდობნებზე ავი იძახიან, უძირაო, ალბათ მართალია, დიდთოვლობისას, საღლაც მაღლა, ძალიან ცაში, თეთრზე თეთრი ტყე ჭკნებოდა და სულ ზორბა ფურცლებად ჩამოდიოდა, წვიმა წვიმდა რო, მიწაში ჩავიტიანდა, თანაც გრგვინავდა, ელავდა, ქუხდა, და მაინც, მაგრამ, ესა, ჩვენი, მომავალი

ლი ორთები, დღენიდაცა გაქრობისა და ადგვის შიშში, წვალზე-წვალზე მანინა, ივროვირსა, რაღაცისა, საო და სიდ აღარ დალოდავდა, და მინამ ადამიანად გახდებოდა, რაც იმას ვადახდა? — მტერ-კეთილისას, ადამიანისას, მოკლელ, მაგრამ იმასთან ერთად ჩვენ რად ვიწვალთ, ჩვენ ხო უკვე დაბადებული ადამიანები ვართთა, ზოგი ასეთი, ზოგნიც ისეთნი და, არა სჯობიან, ცოტათი დავისვენოთ?

ცოტათი დავისვენოთ.

3

მაგრამ იმას რო დაესვენა არ ივარგებდა, რო დაშოშმინებულოყო, ჩვენამდე ვეღარ მოაღწევდა. მოკლელ, ჯერ ვითომ ადამიანი, მაგრამ გაგებაში კარგად ვერ არი. მხრებზე თავი კი ადგას, მაგრამ კარგა ვერ შესდი-გამოსდის ჰაზრი. იმისი თავი და თავი და ჰაზრი საჭმელია, შედეგრი და იმისი მასალა ვილასდა ახსოვს, ტყეში ნაყოფებს დაეძებს, მდინარეში თევზსა, ფესვებსა ღრღნიან, იჩიჩნებიან, ხადირფრინველს ქვეებს უშენენ, მოკლელ, დაარბეინებს კუჭი. მაგრამ დიდი სიფრთხილე კი ჰმართებს, ამას თუ საჭმელი უნდა, სხვებს შესაჭმელად ესა ჰსურთ — დააბოტებენ რაღაცა დიდნი, დიდრონნი, ერთი ვაი-უშველეზელი, ხახებს უმიხნებენ, გარბი-გამორბიან ესენი, ჩვენები, კიდევ კარგი რომ, მღვიმეები აქვთ, თავისი ჩამონაფურითა, რაიმე თუ დედევენებათ, კლდის ხახე-ბში შევარდებიან, შეიყუყუებიან იქა, კანკალეზენ და შიათ, ცოტათი თუ დაიამებენ კუჭს, ერთიმეორე მოუნდებათ, თანაც მსგავსი და თან განსხვავებული, ჭუძუს დაეძებენ, ჩხავიან ბავშვები, აბა თავისით როგორ დაკაც-დაქალდებოდნენ, ალბათ მისჯილი გრძნობით უყვარდათ, ზრდიდნენ. დროზე-დ რომ იძახიან, მიედინება და ყველაფერი მიიქვსო, ცოტათი ტყუილია, რაღაცებიც — მოაქვს, ისწავლეს ამათაც ცეცხლის დანთება, ნადირ-ფრინველის შეწყვა, მეტის გემოთი ჭამენ, აღარ ეგლისებათ

პირში ტახის ბალანი, ფრინველს პუტავენ და ისე სწავავენ, ამზადებენ ქვის დანებმა და საღებავის მამოლებსა, შენიღბულ ორმოებსა, იგონებენ და იგონებენ ნადირისათვის ვაებებსა და თავიანთთვის — შვებებსა, ისეთი წვეტ-წვეტიანი რამეების გამოყვანა ისწავლეს, როგორც რომ სიკვდილი, ახლა საშემელი მეტი აქვთ და თავად კი შესაქმელნი ნაკლებად არიან, იმ თავიანთი ყოჩაღ-ქვეითა, სუ ურთიანად გადააშენეს ის დიდნი, დიდრონი, ერთი ვითუ შევლებელნი, დღით წამოწოლის დროსაც კი შოულობენ და, აკი არ გაჰკრა მაშინ, პირველად, პაწუა შედეგრმა? მიაღდა მღვიმის კედელსა, ნახშირით ჰხატაჲს. ხარი არი თუ რა არი, უნდა რომ მუდამ ჰყვანდეს. ბეჟგოა თუ რა არი, ხანდახან ისე ნამდვილსა ჰგავს, ლამის კიკინებს, დედაკაცი თუ მოუკვდება და დაღვრემილობაშია, იმასა ძერწამს და იმას ჰხატაჲს, ვითომ აცოცხლებს, აკი იმ ძერწვამ არ ასწავლა თიხა? იმისი ფასი, თიხისა, აბა სხვა რა არი, გინდა, გრილია, თუგინდ — სითბოსაც შეგინახავს, რაც გინდა ჩააბარე და, მუდამ შენია. ამისობაში ხელკეტი და ქვა აღარა აწყობთ, გამოუგონიათ შუბი, მშვილდ-ისარი, იმათი შიშით ცაში ფრინველს ვერ გაუჭაჰნიან და მიწაზე კიდევ — ცხოველსა, სთესავენ, იმკიან, მოიშინაურეს ფრთოსანნი და ოთხფეხნი, ართმევენ ცხვარძროხას რძესა, ტყავსა, ზორცსა, ფუტკრებს — თაფლსა, ცხენს — სიჩქარესა, ფრინველებს — კვერცხსა, ბუმბულზედ სწევიან, მოედინება დრო, ვითომ ემატება ნაოქები ჰქვასა, მაგრამ რათ გინდა, რომ მოიწყვეს კარგი ცხოვრება, უფრო არ დაერივნენ ერთმანეთსა? ჰქვაზედ ცოტათი აფრაკად არიან — განცხრომაში ხო იყვენ და, მეტის განცხრომისათვის, ჩხუბს არა სტეხენ? აქეთ რომ ერთნი არიან, იქით — მეორენი, ზოგს მეტი აქვს და ზოგსა ნაკლები, რატომ იმას ისა და მე ისა არაო, ერთმანეთისა შურთ, რაკი პატარა ჰქვა დაიგულეს თავში, თავისი თავი ყველას სხვისა თავზე მეტი

ჰგონია, აკი ბრინჯაოც უკვე იცინა, იქნევენ ხმლებსა, სხვას თუ დამცხებენ, სიჩარულით აღარ არიან, სუ ბედნიერების ყიყინას სტეხენ, თავად თუ მოხვდებთ, სტკივათ და არა ჰსიამოვნებთ, მაშ, იგონებენ ჯავშან-აჭრებსა, მუხარადებსა, სამკლავებს, საბარკულებსა, თავიანთი ჯოგი მოუწველავი რჩებათ, სხვისას კი ბლომად მოდენიან, ოთხფად სწველიან და ცხრაპირ ტყავს აძრობენ, დაძლიერებულა ეს ჩვენი ძველი ჰქვა, ოღონდ ტანზედა, ჰქვის პირობაზე კი მეტად თხელია, განძლიერებულა ტანზედა და, მიაღგება ვისიმე კარსა, აბრიალებს თვალსა, ჩამოჰკლავს საშკაულს სხვისა ქალსა, გამოივლის მოლსა, ჩამოჰკიდებს ცოლსა, მხლებლები ისეთს მორჩილებაში ჰყავს რომ, როგორც ჰქიაში წყალი, ამ ჩვენს ერთ-ერთ ჰქვას ვინ გაუბედავს რამესა, დღისით მზეს, ღამით მთვარესა, დიდრონ გულზეა, ამაყადა ჰქშენს და, გაიხედა და, აკი ტყვე არ არი? ვიღაცის მონა?

ცის კიდობნებისა არ იყოს, განცხრომაზედაც იძახიან, უძიროაო, აკი იმის პატრონს, გამარჯვებებით გაპირქვავებულს, გადიდგულებულს, სულ მეტმეტები არ მოჰსურვებია? წამოწოლილა ტახტრევიანზე, დასტრიალებენ, შემწვარი გინდა, მოხრაკული, მარილი, რამე, ამისა კიდე შიან, ეწვის და ეწვის კუჭი, ფეხზე ძლივასა დგას, ნერწყვებსა ყლაბავს, ამას რომ გუბის წყალი ენატრება, ის შარბათსა სომს, იმა პატრონის გულის მოგებას რომ ფერად-ფერადი ქალები სუ ცეკვითა და სიმღერით ცდილობენ, ამის გონჯიც კი ზედ არ უყურებს, არადა, ეს უფრო შესახედი და მოსულია, მაგრამ რათ გინდა. შეუჩეჩებიათ ფარშევანგის ფრთა, იმას უნიავენს, იმას აგრილებს, თავად კი სცხელა, ისე ძლიერ მაღიმალ უნდა უქნიოს, ჩამოწყვეტაზე აქვს მკლავი, მაგრამ ფარშევანგის ფრთას ვიღამ დააჭერა, ებღღარძუნება რაღაც თლილ ლოდებს, კარგად გამომწვარი აგურს აწყობ-ალაგებს ერთმანეთზედა, ორი მდინარის შუა, მზის გულზეა და

წურწურით დასდის ოფლი, ისე გამზ-
დარა, აღაძინი კი არა და, აღაძინის
ჩირია, და ვერაფერი შეღავათია, იმა-
სავით ძრიალ სხვებიც რომ დაღონე-
ბულან, ძველი პატრონიც ამის გვერ-
დითა წვალობს, გადმოუგდით ფაფუკი
ტახტრევანიდან, თივა ენატრება წამო-
საწოლადაც, შესაბმელადაცა, ახედ-და-
ხედეს ერთმანეთსა, ესეა, ჩვენი, უფ-
რო გულზეა, მონობას უფრო შეჩვეუ-
ლი, და ამან, ჩვენმა, აიღო და ჩააფარა
თავში. აის ქალები სხვებს უმღერენ და
სხვისთვის ცეკვავენ, იგრენენ წელსა,
ნემსში ძვრებიან, ვილატებს ამაზე მეტი
ქვეა დაუგროვებით ქოჩორა თუ მო-
ტვლეპილ თავშია, თიხის ნედლ ფირფი-
ტებზე რალაც ქადო-ნიშნები გამოჰყავთ,
დიდის ამბით უჩვენებენ ერთმანეთსა,
ამჟყად ჰმარცვლიან და ისე კითხულო-
ბენ, კომენტარ აკეთებენ, მუზაზედ
არიან. აი, ხო საცოდავი და გაუგება-
რია ეს ჩვენი ესა, ჯაჭვზე გამობმული,
ვერაფრის უზურში ვერ არი, და მა-
ინც, მაგრამ, გუმანით ხვდება რო, დიდ
ქალაქშია, დასაფასებელში, შვიდ
ბრძენს ჩაუყრია იმ ქალაქისთვის სა-
ფუძველი, ის ველურები, წყალს ჯოგ-
თან ერთად რომ ეწაფებოდნენ, მოუ-
თოკნიათ და ამუშავებენ, აწვალებენ,
იყენებენ რალა, ლარივით სწორი ზღუ-
დეები ამოუყვანიათ, ზედ მოუხატნიათ
ლომკაცები და არწივქალები, სიმდიდ-
რე აქვთ რო, მეტი არ იქნება, მაგრამ
სიმდიდრის კიდობნებსაც აბა რა ჩას-
წვდება, გაიხედა და, თბლამ, სულ სხვა
მიდამოში არ არი? იქაც მონაა, იქაც
უბირი, მაგრამ ზოგზოგებს იმოღენა
ოქრო და ვერცხლი დაუგროვებით, სუ
ოქროს ტახტრევანზედ ჯდებიან, ყვით-
ლად უცივდებათ ერთი ალაგი, განა
თივა არა სჯობიან? მაგრამ თივისა რა
იციან, ანდა იმისი სურნელისა, სუ ძვი-
რფას-ძვირფასი ნელსაცხებლებით ჰყა-
რან, შემოუხვევიათ დიბა-ატლასი, ფე-
ხით სიარულს არა კადრულობენ, ამი-
სევე მონები მოჩუქურთმებული სიკა-
ცეებით სუ ციმციმ დაატარებენ, ეტ-
ლებიცა აქვთ ისეთი რო, სუ გრიალ-
გრიალი გააქვთ, აბა ისეთურის პატ-

რონს თითს დააკარებ კი არა, შეხედ-
ვისაც კი ეშინიათ, მზის შველებს: გა-
ართო, იბახიან, მზის შველებს: მზისა-
ნო, ერთხმად გაიძახიან ესენიცა, ხო-
და, აბა, მიდი აბა და თუ ბიჭი ხარ,
თვალი გაუსწორე მიწაზე ჩამობრძანე-
ბულ მზისმიერებსა, იმათ კი, ცოტ-
ცოტებს, ისეთი ოქროები ჩამოუყიდ-
ნიათ, უფრო მეტად რო გაანათონ და,
იჭიბებიან ნამდვილი მზის გულზედა.
იმათი გულის საამებლად კი მიმსხდარ-
მომსხდარან იმათ ქალაქში გრძნეულ-
თითება ხელოსნები, მზე-განმგებლის-
თვის შედევრების შექმნას ცდილობენ,
მეტის მონდომებით, იჩიქვავენ თით-
სა, იღრეკ-იღუნავენ ჭედსა, ილაშებენ
თვალსა, მონდომებულობაში არიან,
დააქვრდა ერთ უცხო სამაჯურს ესე-
ცა, ჩვენი, ცოტათი შეუტოკდა ბურან-
ში მიძინებული ქვეა, ლამის იყო და,
გაახსენდა და მოუნდა იმასაც რალაც-
რალაცები, პაწუა მუზამ იდაყვი გაპ-
კრა, რალაც გადმოურად აფორიქდა, უჩ-
ვეულოდა, მაგრამ ვინ დააცადა, გა-
დაუტყლაშუნეს კბენია მათარხი, ჩას-
კიდეს ქეჩოში ხელი, უბიძგეს, შიდი-
შიდი შენი საქმე ნახეო, იმის საქმე კი
დუბჭირებთან ერთად ლოდების თრე-
ვაა, წვალება, ვაება, ტანჯვა, აშენებენ
და აშენებენ მზე-მბრძანებლისთვის სი-
კვდილის შემდეგაც განსაცხრომელსა,
ისეთ ზორბა და ქვეურსა რამესა, დაბ-
ლა, მიწაზე რომ ძლიერად და ფართოდ
გაბჯენილა, ზემოთკენ, ცაში, წვეტად
აჩრილა, ძლივას აუწევდენ მზერას. ჩა-
მორიგებულან დიდ-დიდნი ქადაგნი,
ჯერ ცას და იმის ჭილდო-ვარსკვლავთ
აქყურებენ, უჭვრიტინებენ ნამდვილ
მზეს, ჰახახასა, მესხეადასხვიე ღრუ-
ბლებს, ეულ მთვარესა, მერე ამით და-
სცქერიან მსუსხავის თვალითა, წინას-
წარმეტყველებენ ცვალებად ბედსა,
აძრწოლებენ და ახარებენ დაბლითუ-
რებსა, პირშიმთქმელები არიან. მერე
თავიანთ მდინარეს, ფართოს, ვეებას,
ნოყიერს, შლამის უხვად ჩამომტან პა-
პის მოწიწებით კი მიადგებიან, მაგრამ
პირში აქებენ იმასაც, მაცოცხლებელს,
ნაპირზე კრძალვით გამოსულან. ეგ კა-

რგი ჰქონდათ, ბუნების ძალთა პატივისცემა, მაგრამ გავიხედოთ და ხალხისთვისაც კი ზრუნავენ, აზრებსა ჰქმნიან, თავიანთ ნამოღვაწის ისლისებარ მცენარეზე ასურათხატებენ, სწერენ, ხალხზეც ზრუნავენ, მაშ — იგონებენ და იგონებენ სულ-სუ ვარდისფერ კანონებსა, მაგრამ რათ გინდა, მაგრამ იმდენი მოხელეები ჰყავთ, მინამ ის კანონი ხალხამდე მივა, იმოდენას ხელში გამოივლის, ლამის შეავდება. ამას კი, ჩვენსას, ვინ მოასვენებს, წამოიყვანეს ისევ აქეთა, ეგრე არ უნდა პირამიდებ შენებათ, ისეთი გოდოლის წამოჭიმვა დაუპირებიათ, ისეთისა, რომ იმის შემდეგობით ღმერთსაც რომ შესწვდნენ, არიან დიდ-დიდ ამბებშია, მასალის მომარაგებაშია, ტაბელ-უწყისის შედგენაშია, ხარჯთაღრიცხვაშია, გოდოლსაწვეროების გადახდაშია, ანგარიშგებებში, თანამოხსენებებშია, მაგრამ რამდენიც გინდა იწვალე, მიდი, რაგინდ დიდრონი ამბები ასტეხო, ღმერთამდე, აბა რომელი ავმაღლებულვართ, ცოცხლებიდან მაინცა, ერთი იმანაც გადმოიხედა, რას ფუსფუსებენ, რას მიედმოედებიანო, და ესენი რომ შენებ-შენებით სუ სიამაყის ყიფიანს სტეხენ, აილო იმან და, ეგრე არ უნდაო და, განა თავს მეხი დაატეხათ, ან გინა აღრინდელი წარღვნა, ან განა საძოვრები გადაახმო ერთგულ შხის ხელითა, ან გინა ქარბორბალათი მიხვეტ-მოხვეტა ყველაფერი, არა, უბრალოდ, ენები აურ-დაურია. მინამდე ხო ერთნაირად ჰტიკტიკებდნენ, არა?, ესლა ჯერ გაოგნებულობაში არიან, ანგარიშგებებ რომ სულაც თავი გაავანებოთ, ერთმანეთს ველარც კი ესალმებიან, ერთი რომ ჰუდუდიდუ-ს გაიძახის, მეორე ბარევიძეს-ს აგებებს, მესამე რომ ჭ-ს ვერ ამბობს, მეოთხეს ჰიჭიკო ჰქვიათ, ვერა ესით რა, ბრიყვებივით შესცქერიან ერთმანეთსა. ერთიმეორე სუყველას გიცი ჰგონია და, ლამის არი, თავადაც დაგიყდნენ, ჰნერვიულობენ, აღარც თქვენი გოდოლი გვინდა და არც არაფერიო, ვიღუპებით და არიქა, ჰარიქაო, ერთი კი დაჰკრეს ფეხი და, დაშინებუ-

ლები, ვინ საითა და ვინ საითა, ისე დაიქაქსნენ, სულ კეფაზე ვიღუპენ ქუსლსა.

ნუ შევისვენებთ, რაა? — შესვენებამდის, ცოტაც მაკალეთ, რაკი აქამდე გისმენ-გითმენიათ, არ დაგვარგოთ და შესვენებამდის ძლიერ მოკლედ გამბობთ ყველაფერსა — მოკლედ, სანამ თავის ალაგას აღმოჩნდებოდა, რაკ იმან იწვალა, მტერს არ უსუსურვებ, მოკეთისათვის მინდა, ბევრმა არც ვიცით წვლების ყადრი, თუკი გავუძლებთ, უიჰო, მართლა, მოკლედ — ახალ-ახალ ცივილიზაციებ დაეძებდა და პოულობდა კიდევ, მაგრამ, უშეცარი, სხვების ქალაქებს იღებდა ათასნაირის ხრიკით და ხერხითა, ხის ცხენშიაც კი მჭდარა, გატრუნული, მრავალნიჩბება ხომალდით დაცურავდა მოდიდო ზღვებზედ, და ჭრელი ცოდვებიც თუმცა ბლომად ჩამოჰყიდნოდა მაღალ კისერზედ, მაგრამ მარმარილოს შედეგრებშუა დაიარებოდა, კიდევ მოუნდა რალაც თავისის შექმნა, აქავეა ჰქვა და, ერთი პირობა ჰქვისმთელადაც დადგა, მაგრამ ვინ მოასვენებდა, ვინ ტიალი და ოხერი, ის გადაკიდებულნი ჩალმოსნები მაშინაც, იქაც კი ებრძოდნენ, ურჯულოები რომ ყოფილიყვენ, კიდევ რა უშავდა, ავრჯულიანნი, მაინც რარიგ ბნელები იყვენ, რა ღვთის წყევლა, და ესეც ებრძოდა, თავისუფლების მოყვარული, უშიშარი, კუნთებდასმული გმირი, ბრძოლაში გმირი მერეც კი იყო, მარადიულ ქალაქში მოხვედრილი, მაგრამ იქ, იმოდენა ფუფუნების შემყურეს, წყვეტილ-წყვეტილი მშვიდობიანობისას მეტი მზაკვრობაც შეერიო, უფრო ქვებუდანი გახდა, თავისი ჰკუით ამაღლება მოჰსურდა ყმაწვილს და, იქ რომ ერთი მოატყუა, იქ მეორეს ფეხი დაუდო, იქ მესამეს ხაშხაში ჩაუყარა, იქ მეშვიდეს გული მოიგო, იქ მეთექვსმეტეს მთხვიდ-მეტე მიუსია, იქ მერამდენიმედაცეს საჩუქარი მიართვა, საჩუქარი არაა, ჯანდაბა და ღოზანა, უფრო ნამდვილი სიტყვით — ქრთამი, და, გავიხედოთ და, სენატში არ გამოგვიმულა? იძახის

და იძახის წონიან სიტყვებსა, ჰკვამი დასაჯდომ აზრებსა, ხან ვის მხარეზეა, ხან კიდევ ვისზედა, გააჩნია თუ, საი-დამ უბერავს ქარი, მოკლე შეხედვით, ყველაფერი აქვს, ქალი იმას არ აკლია და ჭიგრის ყაურმა, შეუძენია ცოდნა-განათლებაცა, სიტყვები აბჭრად ახვე-ვია, მახვილდაც და სანდღებდაცა, არც ტანთ აკლია და არც ფეხზედა, მა-ტერიალისტიცაა, ჰიდელისტიცა, განც-ხრომაშია, რალა, ერთსიტყვით, ბნელ ღამეშია, მაგრამ ყვიღი-ყვიღით ჩა-მოკვივდნენ მაღალ მთებიდან აღზნე-ბული ველურები, შენს სწავლა-განათ-ლებას რას დაგიდევენ, დააცხრნენ იმათ ქონებას, დაეწაფნენ იმათ ქალებ-სა, იმათას ჰამენ, იმათას სვამენ, ძლივას აბრუნებენ თანხმობებიან ენა-სა, გაეცალა იჭაურობას ესა, ჩვენი და, მიიარ-მოიარა სხვა ქვეყნებიც, ხან შა-ვი იყო, ხანაც ყვითელი და თეთრი, მერე კი შედგა, შეჩერდა, გაყუჩდა, ფიქრობს.

ებლაა, ცოტათი დავისვენოთ.

4.

აი, ბევრი რამ ხომ ადვილია, მაგრამ ნატვრისთანა ადვილი არაფერიც არ არი. იმედის მოაქვს, წარმოდგენაცა, ნუგეშიცაა, და უფასოცა. აემას, ჩვენ-სას, შემდგარს, შეჩერებულს, გაყუჩე-ბულს, რალა დარჩენია, სდგასა და ჭერ ფიქრობს. რავინდ გზები არ გამოეარნა, უთვალავი გზამაინცა რჩება, უფრო კი ოთხი — ერთი პირდაპირ, მეორე უკან, მესამე და მეოთხე კი მარჯვნივ-მარცხ-ნივია. მაგრამ აკი სუ წინ-წინ არა ეცდი-ლობთ? დაადო ამანაც თავი, იარა, ია-რა, გაცვითა რკინის ქალაშნები, აწ-ვიმს და ათოვს, ხან ისე სცხელა, კანი ებზარება, ხან ისე სცივა, სუ გონება უჩამიჩღება, ჰშია, სწყურიან, დაოსე-ბულა, ნატვრის თავი კი მაინცა აქვს, აღაპრო ერთხელაც მზერა, იხვეწება თუ, მოდი რა, ერთი გადმომხედე, კარგი ქვეყანა მიმასწავლე, ერთ ისეთ კარგ ქვეყანაში დამსვი რა, რომ საჭმელიც მქონდეს, სასმელიცა, რომ არ მომწყი-

ნდეს, ზაფხულიც მინდა, ზამთარიცა, ოლონდ რომ მაან არცა მტყუნდეს, არც გავითოშოო, სახლქვენი მსხვერ-ქვა შემომარტყი გალანად, თიხა დამ-ხურე თავზეო, ფიცრის იატაკზე შატა-რე, უი ჰო, ტყე ახლო მქონდეს, რომ ზაფხულობით ჩრდილიან-გრდილიანში მოვისვენო, ზამთრობით კი ბუხარში ცეცხლი მიგუზგუზებდესო, ხარ-კამე-ჩები დამიდიოდნენ, ნახირი და არგე და ფრინველთა დასტა ულევად მყავ-დეს, რქესა და იმაზე უკეთესს ვსამ-დეო, ჰკვავის პურსა და იმაზე უკეთესს ვკამდეო, მთაც კი მინდა და ბარიცაო, შენი ჰირიმე, შენი სახელის კი ჰირი-მე, რა, ღმერთოო. მერედა, ვგეთი ქვე-ყნის შვილობა რომ ძნელი იქნებო, ჩამოესმა. აიხელა და, მაგრამ ღამეა, ვერაფერს ხედავს. მაინც ასძახა, ძნე-ლი აბა რად იქნებო. რადო და, შენი ხეავისა და ბარაქის შორიხლოდან შე-მყურენი, დაგესვიან, დაგხვევიან, შენც, შენი მიწით, იმისი ჰატრონი, ცო-ტაოდენი კულაბზიკაც იქნები და, მო-გერევიან, დაგხვევიანო. დამეხვიონო, ხმაღს თუ მომცემო. ხმაღს როგო არ მოგცემ, მაგრამ ბევრნი იქნებიანო. იყ-ვენ რა. დიდი ამბავიო. აიი, უკვე თა-ვი ქულში გაქვსო, იცოდე, გაჭირვები-სას შენსავით მუყაითი არავინ იქნება და უგაჭირვებოდ კი შენისთანა მცონა-რა არსად მიეცემა შენებრ განცხრო-მასაო, მთავარია რომ, გაჭირვებისას არ გამცონარდეო. ესა კიდე, ყურს ვე-ლარც უგდებს, თავისას გაიძახის, წა-რმოდგენებშია, რად არ შექნება თავი ქულშიაო, რაც მე სახანავი, სათესი, სა-თბობი, ფრინველი, ცხოველი, ხმალი, რამეო... ერთბაშად შეცბა, გაიტრუნა, აღარავინ ეხმიანება, არაფერიც სჩანს, ეს სად შევტოპეო, მოუნდა უცხო სა-უბრის გაგრძელება, გისმენ, გისმენო. აბაა, ჩამიცი არ ისმის. ეს ჭერ გულს არ იტეხს, რაკი ერთი დამხედა, ესე ბნელში როგორ დამაგდებსო, გისმენ, ბატონო, გისმენ, გისმენო, აბაა, ისეც და ისეც არაფერი. იმდენი იძახა, ღამის თავზე დაათენდა, სუ ცოტათი დაიბ-

ზარა ცა და, მაინც დაიძრა, მაინც ია-
რა, ეგებ, ეგება, ეგების შემხვედესო.

ღმერთს კი ვერა და, გამთენიისას,
ღვთისმშობელს შეხვდა. ანათებს, ანა-
თებს. დილის რიერაჟში გამოსულა,
სპეტაკია რო, როგორც რო თვითონ.
შეგვიცბა, ჩვენი, ხმას ველარ იღებს.
ეუბნებიან წყნარის ხმითა, შეილო, რა-
აო. მიშველე, დედი, ერთი ისეთი ქვე-
ყანა მომე, რო სუ... გააწყვეტინეს ამო
ხმითა, ჩემი წილხვედრი ქვეყანა გინ-
დაო? როგო არ მინდაო, ლამის შეჰყ-
ვირა, სად, ან საითყენ წავიდვო. მანდ-
ვე დგებარო, უთხარეს.

და, დააყილა კიდევ მამალმა.

საქართველომდე რახან მოგვდით,
ეხლა ხშირ-ხშირად დაგასვენებთ.

5.

ყვილი ეგრე არ უნდაო, გამოდინდა
და გამოდინდა სახლებიდან ხალხი. ჯერ
კარგა ვერ ჩანან, მაგრამ როგორც რო
ყველგან, აქაც ზოგი ჯვილია, ზოგიც
ხნიერი და საშუალო. იფშენეტენ ნამ-
ძინარევე თვალებსა, პირზე წყალს ის-
ხამენ, ფრუტუნებენ, ჯერაც ბინდ-ბუ-
ნდია, როგორც რო მიწიდან, ისე ნელი-
ნელ იჩეკებიან და მკაფიოდებნიან კო-
ხტა სახლები, უბრალო ხელით მოჩუ-
ქურთმებული აივნებითა, ძროხებს
ედენებიან, ჰაამო, ჰაამო, მიბაჯბაჯე-
ბენ მწყობრი ბატები, მიმდგარა ერთი
თვალდახუჭული კამეჩი და, ღობეს
ძლიერ ეხახუნება. რაღაცა ერთი ტყრუ-
შული ღობეა, მაგრამ როგორღაც მშო-
ბლიური, და ძან გულდაგულ შესწყრა
კამეჩსა, ჰაი მე კი შენი შობელი პატ-
რონი კი ჰაიასე და ისეო, აკი გინებაც
არა სცოდნია? — გადაუქირა იფნი
სახრეი, ხელთ საიდანა ჰქონდა, ნეტა.
დალილია რო, ქუთუთოების დამაგ-
რება უქირს. რაც არი არიო, შევიდა
იმლობიან ეზოში, მაგრამ რასა ხედავს,
ნავაზი წამომხტარა იმსიდიდო რო,
უცებ მოზვერი გეგონება. გამოქანდა
ამისკენა და, ამას რო გულმა ოფოფი
უყო, არ მიელაქუცა რომელიღაც ფე-
ხზედა? ჰაი მე კი შენო, იმასაცა, ამანა,

მაიზილა მეორე ფეხი, გაიძურწა ის
ძალიც ძალისიეფ, ამანქა, ქვეყნა, ღვე-
რაც არი არიო და, შეგვიდა, მიწისქვეშა
შევიდა სახლში და, ისე იქცევა, ვი-
თომც დიდი შინაურია — წაიძრო
მთლად დაცვეთილი, ტყავად ქცეული
რკინის ქალამნები, კუთხეში მიჰყარა.
თვალეხი თუმცა კი ებლანტება, მაგ-
რამ ხედავს რო, აქეთ დედააკი წევს,
იქით კიდე ბაღლები, რვანი თუ ცხრა-
ნი არიან. დაახილა თვალეხი ქალმა,
ერთი კი შეხედა, გადაბრუნდა მერე
ფიცრის კედლისკენ, მოიწყინა რო,
როგორც ატმის ხემ ზამთარში, ნიკაბი
მკერდზე დაიბჯინა, გულდათუთქულმა
საღლაც თავისი უბისკენ იკითხა, კიდე
იმასთან იყაო? ამა რას ამბობ, ქალოო,
შეშასა ვქრიდი, ტყეში დამიღამდა, ხე-
ზედ მეძინაო. ვიცო, ვიცო მე შენი ხეო,
ტახტის ხეზედაო, არაო? ამა, რას ამ-
ბობ, რას ამბობო, ისე იმეორებს ესა,
ვითომც დიდ-დიდ სიტყვებს მიაგნო,
თანაც ტანთ იხდის, ფოთლებიან ხეზედ
მეძინა, ამა მგლებ ხო არ დავეგლეი-
ჯინებოდიო. ჰაი, ეგ სოფლის ჩამქრა-
ლი ნახშირ-მამხალა ეგაო, ქალმა. ვინ
მამხალაო, რა მამხალაო, ამა რას ამ-
ბობო. ვინა და, ის შენი ყვაე-ტურფა
ფეფელოო. ამა რას ამბობ, გენაცვა-
ლეო, თბილა მოუწვა გვერდზედა, მაგ-
რამ რილასი მაქნისია, ფერფერი სუ
ძილისკენ მისდის. გადმოაფოფხდა ის
თავისი ქალი, ჩაიცვა ძველმანები, და
მინამ გავიდოდა, მაშ ამა შეშა სად
არიო. იმანაც, ლულულდითა, თავისი
ქკუთ ვითომც იხუმრა, ხელი გაიშვი-
რა და, მაშ ამა სუ შეშა არ არი იმო-
დენა ტყეო? და, ესა, ჩვენი, ქოქოლას
ვილამ დააქერა, ხუმრობა ეგრე არ უნ-
დაო, ქალმა და, ერთი ისეთი ჩააფარა,
სუ ციმციმი ნაპერწკლები გააყრეინა,
ამანა კიდე, მოქანტულმა, მუთაქაზე
ხელის ზურგი დადო, ხელისგულზე კი-
დე—ლოყადა ჯერ რო ჩვილივით მი-
იძინა, მერე და მერე, ეშხში შესულმა,
ისეთი ლალი ძილი გამოაცხო, სუ სი-
ხარულით ჰქმენდა და ჰქმენდა, მაგრამ
აკი იხარულმაც ხო იცის დაღლა? —
შეებოთ მიუჯრდა და ისეთ კულის

ძილს მიეცა, ისეთსა რომა, ლამის აღბრა სუნთქავდა და, გაღვიძებამდე, ერთ-ორჯერ კინაღამ გაიპარა.

არც ჩვენ გვაწყენს რო, ცოტათი მოვისვენოთ, ოღონდაც ნურსად გავიპარებთ.

6.

როგორც იყო და რო გავღვიძა, ხედავს, მზის ჩასვლას ბევრი აღარაფერი აკლია. უქმად რომ იწვა, ამისი ცოტათი კი რცხვენთან, მაგრამ ბურანთან თავ-ტანში ჯერ მაინც აზმორებს და, ესეც იზმორება. გაუჭირდება თუ რა, ქართველია. განცხრომაშია, რაღა. მაგრამ უცებ ეგრევე წამოხტა, ისეთი შერცხვა. თან ტანთ იცვამს და, თანაც სარკმელში იხედება, ნეტა მაინც სადა ვარ, ნეტავი სადაური ვაარო. ახლა, ქართველია, ენასაცა ჰფლობს და სუყველაფერი. ოღონდ ჯერ კარგა არ იცის ესა და, ერთი სული აქვს, გარეთ გავიდეს და მზის სინათლეზე მიიხედოს, მოიხედოს. მაგრამ ჯერ შიან. ჩაიხედა ჯამში, პურის წვენი დგას იქა, კიდევ კარგი რო, კონწოლი მაინც დაუტოვებიათო, შესვა, ეამა. გამოვიდა გარეთ, მიეფერა ძალსა, წავიდა, წავიდა და სოფლის განაპირას ერთ ბუჩქში შეიმალა, იქიდან იქცობდა.

კვამლადენილი სოფელია, მშვიდადა ბოლავს. ხეები ამოსულა ისეთი რო, ნაყოფიანი. სახლებია ისეთი მადლიანი რო, ზორბლით ნაკვები გეგონება. ღელე ჩამოდის რო, გულისას ჩუხჩუხებს, წისქვილი ხშიანებს რო, უთქმელის ენით ლამის ზღაპარსა ჰყვება, მღელო მოჩანს რო, რამდენიც გინდა ზედ სიყვარულით იკოტრიალე. სოფელია რო, სიცოცხლესავითა და, გასაფრთხილებელს, ალაგ-ალაგ აკი გუშაგებოვით დასდგომიან წოწოლა ძნები. აღზევის მხრიდან ჩოკინა მოდის, ძალიან მლაშედ დატვირთულია. ალაგ ქათმები იქმებთან, ალაგ — ცხენი სძოვს, ჰიხენი ისმის. წყაროსკენ მიდის მხარკოკიანი გოგო-თებრონე, ზურგზე ნაწნავი აყრია, სიმსხო მოყმის

მკლავისა, წარბებქვემოთ თვალები აქვს, საწერელი კალმისა¹ სწვეწვეწით ლოყები აქვს, საკბეჩენი² ვაშლისა³ მკოსან დედას ფრთხილად ჩაუვლის, სამფეხა სკამზე დამჯდარა ქალი, თავისაზედ სდუმს.

სოფელია რო? — მზის გულზე კარგა გაფენილა, სოფელია რო, გული რეჩხს გიზამს, სოფელია რო, აპ, ნეტავი ხატვა მამცაო, ინატრებ. ხატვა რად გინდა, ოხერ-ტიელო, ისედაც თვალწინ არა გაქვსო? არა, ეგების შეიცვალოსო; სოფელს რა შესცვლის, მარტო მტერი და დუშმანიო. დუშმანს რა უნდა ამ დალოცვილში, იმისი ადგილი დილეგშიაო. ჰოოო, ჰოო, ეგრე იძახე და, იმასაც ბლომად ნახავო. ეგ როდისაო. მემრეო. ჩქარა მემრეო? იჯექი, იჯექ, იყუჩე, იყურეო.

იყურება კი არა, წყვილ თვალად ქცეულა, არადა, დაღამებას ბევრი აღარაფერი უკლია, პაერი მღოვრდება, ლურჯად ბუედება, შემოდიან და შემოდიან სოფლად გარე-გარე დაღლილი, მხნენი, მხარზე ზოგს ბარი გაუღია, ზოგსაც ცელი და ნიჩაბი, ჰიშკრებს შეპბლავიან ძროხები, აკი თებრონეც არა ბრუნდება? ოღონდაც კოკა მხარზე აღარ აზის, ეტყობა სადაც გასტეხია, აბა რა იმისი საქმეა თუ რა, კოკების ზიდვა, წესით სუ მზეზე უნდა იდგეს და ჩრდილიანიდან უნდა უყურო, ლოყებ შუა ტუჩები აქვს, საკოცნელი თაფლისა, ტუჩებ შიგნით კბილები აქვს, ბროლისა და ნათლისა, მაგრამ იმათ შიგნით ენა აქვს რო, ჯილთ გულის დარდისა, ისეთებს გეტყვის რო, გულში შავად კორიანტელი, ისე აღვილად ბინდდება, კოხტად, მაგრამ ბუნებისათვის ესა, ამის გულში კი ნაღველი არი. სწველიან ცხერებსა, ძროხებსა, თხებსა, ტყიდან სუ მგლები იმზირებიან, სოფლის კაცები ტაბლასთან მიმჯდარან, და სამი თითით ჯერ პირჯვარს იწერენ, მერე ისევ იმ სამი თითით ჯამიდან საჭმელს იღებენ და კუთვნილი ლუკმით ილუკმებიან, თაკარა მზეზე ოფლად დაღვრილი და გამოშრალინი, ახალი დღისთვის ივსებთან და

იტვირთებიან. ისეც გადაღლილი, ტაბლის პირას დამძიმებულან, მაგრამ ჭერ მაინც არ ეძინებათ და, ყასიდად წვიანან, და ავი ესეც არ წამოწოლილა, ჩვენი? ყველაზე ჩვილ ბაღს ითამაშებს გულზედა, უყვარს, უყვარს რო, ლამის შეყლაპოს, გალაღებულა, ძალიან კი ვალერსება, მაგრამ რას ატყენს, თითები ისე განაზუბია, როგორც ფაფუკი. მაღლულად კმაყოფილია ცოლი, ემ თავის ქმარ რო შვილები უყვარს, ოღონდ იმისებოც რო არიან, აღარა ბხსოვს ესა, მარტო თავისები ჰგონიან, დედურადა, მაგრამ ბაღს უკვე თვლები ებლიტება, მივა და გამოართმევს ნაბოლარას, აიღებს და დადებს ცხერის ტყავებზედა, ხელებს ჭერ გაყოლებს პატარა გზაზე ესა, ჩვენი და, მერე ხელისგულებზე გაკვირვებით დაინგდ-დაიკვირება, ნეტა საიდან ამოდენა კოფრიო. მიყუჩებულა, წევსა და ჰერში იკვირება, რას დანახავს, ერთი სუსტი კვარიდა წრიატებს, თავის თავსა სწევას, ისიცა ჰქრება. დაბლა დამირულ სხვა სახლებშიაც, ირგვლივ, ამასავით დამძიმებულნი, უგულოდ წვიანან უემურს ტახტზედა, სარკმლებიდან კი ლამე ჩამოჰყურებთ, ისეთი ბნელი, ისეთი დარდლაფენი, მყარი, რო იმისი გაბზარვა მოგინდება, ისე ძალიან მოგინდება, მეტი რომ აღარ შეიძლება და მერე კი ისე უფრო, მინამ სუყველას დიდი გულები არ ამოუჯდებათ და პირველი დიპლომატი ამოყვინთავს გარეთ, შესაბრძოლებელ ლაშებნელში და, ისე გამეტებით დასცხებს და დასცხებს იმ თავის ნაქებ დოლსა, გეგონებათ თუ, აიმ კუნაპეტს ცეშითა ტუქსავს, გამოდის და გამოდის გარეთ გლგბიკაცობა, ხალხი, მოაქვთ მაშხალები, ჩირადნები, ტყისპირა მოლისკენ მიდიან, გრეხვით აწეწილ კოკონს ანთებენ შუაგულში, იჭაურობა სუსტად მელავნება, თანაც იმათი დიდი ჩრდილები ისე როკავენ და ფეტქდებიან, სუ ხიდან ხეზე და მაღლა ხტიან, ესენი კი ერთ წრედ შეკრულან, კოკონს ირგვლივ სუ ფერხულს უვლიან, კაი ახლო-შინაურით

ჩამდგარა იმათში ესეცა, ჩვენი, ხალხსა და ჯამათში გარეუფოენ-მზრებწელზე კოხტად მოურგბმს-მსკრტნმითვის პერანგი, შვიდგან შეკრული ლილითა, თანაც ძალიან ითვალთვალება, და უფრო და უფრო რო ჩასცხო და ჩასცხო თავის დოლს დიპლომატიომა, ჯგუფებად ჩამოდგენენ, უფრო ჩაუქნი დარჩენენ თვალწინა და, იმათ ცეკვა და თამაში სცოდნით რო? არა, მშო, არა, ამთსავით ვერსად ცეკვავენ სხვაგან, ისე სცეკვავენ და ჰთამაშობენ, სუ ფეხის ფრჩხილებზედ დგებიან, ფეხებზედ თამაშს ვილა გაჭერებს, ტყუპტყუპ მუხლებზე ბზრიალებენ რო, რომელია მაქო და რომელი ციბრუტი, სულ ვერ გაარჩევა ცეცხლ იყრინებიან, ესა — ვაჟები, ქალები კი ლამის არი ისე დანაზდნენ, ისე ინარჩანებენ ტანსა, ისე ტურფად არხევენ მკლავებსა, ლამის მაქებში გადასტყდნენ, მერე კი ორნი, ყველაზედ რჩეულნი, სხარტის გოგმანით ეცეკვებიან ერთმანეთსა ცანგალა და გოგონა, რანი ყოფილან, ეს რეები სცოდნით, კაცოუჯ, და, ესა, ჩვენი, სულს ძლივსლა ითქვამს, თურმე ესეცა არ თამაშობდა? და, კიდევ უფრო გასაკვირველი — ახლა სიმღერებს აღარ იტყვი? დაუღიათ პირები და ამოსდით და ამოსდით შიგან-შიგნიდან ერთ, ორ, სამ და კიდევ მეტმეტ ხმინი სიმღერები, ისე მღერიან, ტანში დაგბურძღლავს, მოუნდებათდა, შორიულ მთებს აზანზარებენ, ლილე, ლილეო, ისურვებენ და, მოლს ფიანდაზად ეფინებიან, წინწყარო გადაშოვიარე, წინ შემხვდა ქალი ლამაზიო, ოო, ეეო, მოიწადინებენ და, ამ შუა ზაფხულში ისეთ ჰარბ ზამთარს მოგართმევენ სამხმიან მათლაფითა, ისე მღერიან — ზამთარია, ზამთარიაო, არ დაუჯერებ? — ისე დაუჯერებ რომ, კოხტად, ინებებენ და, სანადიროდაც კი წაგოყვანენ, სამლულიანის თოფითა, ისე გჯერა რო, ესეცა, ჩვენი, შვიდ გურჯანელში მეხუთე კაცად ჩამდგარა, აიხირებენ ვინმესა და, იქ უნდა ნაბო იმათი ენის სიმღერით ფხანა — ქუდი გვერდზე დაგიხურავს, ამპარტავანსა

ჰგაგებნარო, მოკლედ, ისე დაგვიბნეის აესა, ჩვენი, გაკვირვებისაგან სუ პირი დაუღია, მაგრამ ტყუილ-უბრალოდ კი არა — თურმე ესეცა მღერის, მოგუ-დულ ბანს ამბობს, და ახლა მთავარს, ამით არიგებულ-ჩარიგებულ სიტყვებს აღარ იკითხავთ? ენის კიდობნებზედ რომ იმაზიან, უძირთაო, ალბათ 'მართალია — ლაპარაკი იციან რო, რისი ჯავშანი და რისი მახვილი, რალას არ იტყვის იმათი ენა. მაღლა მთას მოდგა უცხო ჟრინველიო, აქედანა და შენამდე, ვარდი მასხია ყელამდეო, ცალხელით დოლაბი მიაქვს, ცალხელით ნიავექრო-ბდაო, იქა ზის ქალი ლამაზი, თავის თმისაგან ბნელიაო, ქალას ჩიტი შამკე-დარჩეოო, დიდ ქვებში ვერ ეტეოდა, პატარაში კარგად იყოო, ნეტავი, გო-გო, მე და შენ ერთმანეთს დაგვატო-ლაო, პირიდან ცეცხლსა მებად ჰყრი, კლდეს აღნობ ბასრი კლდისასაო, ლეჭ-სო, ამოგთქომ, ოხერო, თორე ეგებმა გვკდებოდეო, არ მაიშალა მაიკომ შავი თვალების ბრიალიო, ჰეჰ, ბეჩავ გრ-ბიამეილოო, და ასე. ბაღს თუ ეფე-რებთან, მეტის სიყვარულით სუ ძალ-ლო, ძალლო, შე შფერებელძაღლოო, ეუბნებთან, პირთ მარგალიტი ულაგი-ით, თაფლად გადმოსდით, ისე მოჰყვე-ბიან ფერად ამბავს იმ თავისი აჯურ-კრამიტა სიტყვებითა, აი შენ თვალწინ იმათ სიტყვებით სუ სახლი შენდება და მერე როგორი, თვალთ არა ჩანს მაგ-რამ, დიდი ამბავი, საქმე საქმეზედ, ჭვიტყირიო.

მიმდგარან ახლაც კოცონთან და ისე გემრიელად მასლაათობენ, ერთი სუ-ლი აქვს, დაცქვეტილ ყურებად იქცეს, მაგრამ ერთი ქალი წამიწამ თვალს უშერება. თვალს უშერება თუ, გა-ნზე გამოდით. ვინა ბრძანდება და. ციბრუტანთ ფეფელო. აესა, ჩვენი, პატარათი ჰქვა, ჯერ ვი-თომ ვერაფერსაც იმხნევს, ისე კი ერთი სული აქვს განზე თარეშისა, ჩვენსაზე სულ არა სკრის, მეზობლის ქალს ხელს ნუ ახლებ, ისიც შინაუ-რიო. მეზობლობაც იცის ამისმა სო-ფელმა. პატროსნად ერთგულებად და

სუყველაფერი, ერთი ესა მყავთ ვერა-ნი. და კიდე ელაპო. ელაპო ვახტანგის ქალია და ქვეშევეშა. მიდგება, მოდგება და ქალებს უქანიდამ ყურებში სუ მზა-კვრობებს ჩასჩურჩულებს. აიი, ეხლაც, ამოსდგომია თავდახრილ ქალსა და, ყოველთვის თაფლი კი არ გადმოსდით მარგალიტიან პირიდანა, ახლა ეს ელ-პო ქალს კუპარს აწვევებს, ქალაუ, შენ რო ქმარი გყავ, მე ხისას ვავთლი ის-თასო, ეუბნება. ჰყოყმანებს ქალი, მართლაც ვერა ჰყავს ისეთი კაცი, ფი-ცხელი რომ იყოს, დუნებედ დუნეა, ელაპოზედ კი ჩუმი ხმა დადის, ცეცხ-ლზე ცეცხლიო, ცეცხლი კი აბა ვილას არ ეწადილება, თანაც, ლამეში, კოცო-ნი თვალწინ ღონივრად აბტუნავებია, ზურგიდან კი ისეთ-ისეთებს ჩასჩურ-ჩულებენ, ყოყმანებს, ქალი, ელაპო კი-დე ცხელის სიტყვებით ლამის ტყა-ვიდან ძვრება, ამას კი, ჩვენსას, ელ-პოს შემყურეს, ეამყება, რო თავი ქედში აქვს, და ერთხელაც რომ უყო თვალი ციბრუტანთ ქალმა, გან-გან გა-ჩოჩდა. მიიპარებთან წახრილი, გულ-აძგერებულნი, ხელი ხელს ჩაუქიდნი-ათ, მთელს ქვეყანაზედ ორნი არიან, მაგრამ ვითომდაც ფასკუნჯს ემალებიან, ამ შუა ლამეზედ მაღლა-შისიკე რო არ აიტაცოს და სააშკარაზე არ გა-მოჰფინოს აი ესენი, ჩუმჩუმელურად ცელქნი, ერთიმეორის ქურდები, კარ-გა შავბნელი ლამე კი ჩამომდგარა, მაგრამ მაინც ბუჩქებშუა უნდათ რომ ტუცონ გახურებული თავები, ფეფე-ლო უჯვე ბალახზეა, ყელმოღერებით განზადებულა, ამან კი ერთიც ვაიხედა თავის სოფლისკენ, თავისი წყნარი სახ-ლისკენა და, რას ხედავს! სინათლე ბეუტავს...

ისე შეკრთა რო, გულმა მამალი ხო-ხობი უყო, ემანდ ფათერაკი არა იყოს რაო, ეგრევე შინისკენ გაეშურა, აბა ფეფელოს რა გაცილება უნდოდა, მთე-ლი სოფლის ძაღლები კარგადა სცნო-ბდნენ, ერთი-სული აქვს, ძაღვ ვაივოს თავის თავს თუ რა ამბავია, ვაითუ ისევე გვესტუმრნენ ბატონები და ვაი-თუ ისევე რომელიმე ბაღლი წაიყვანო-

ნო, უნდა, რომ ნაბიჯს აუჩქაროს, მაგრამ ფეხები უკანა რჩება, ისერიგ ღელავს, ბრაზობს კიდევ, აბა რა მემღერებოდა, რა მათამაშებდაო. როგორც იქნა და, მიდგა ჭოხთან და, შესვლას ჯერ ვერა ბედავს, ყური მიადო, ეჩვენება თუ რა არი, ამ შიშნაქამზე სწორედ ის არ შემოესმა? — თუმც ყველაფერზე ტყბილი, ყველაზე მშობლიური, მაგრამ ამ გვიანი ღამით საშიში, რომელიღაც შვილს აძინებს დედა, ნეტა ბატონებს ხომ არ შეუშფოთებიანო, აბა რამ გააღვიძათ ამ ბნელი ღამითაო, ღამის მუხლებში ჩაიკეცოს, ვაითუ იმ ავარვარებულ გოგო-ბიჭივით ახლაც რომელიმე წაიყვანონო, მაგრამ მაინც ისეთი ძირტყბილი ღიღინია, იმედია, იმედია რა, ყველა დედისასა ჰგავს, ფრთხილად შევიდა შინა, მაინც დაირჩა ჭრაქის შუქი, შოხველო?, წამით გამოხედა ცოლმა, მშვიდი თვალები დაანახა, გულზე მალამო მოჰფინა და ისევ ჩააქვარდა გრძნეულ ხელებში შეყუთულ სასოებას, აის ნაბოლარა აკენიდან ამოუსვამს, უფსკერო გულზე ცოცხალ ბროლად მიუხუტებია, ღამის არი თავზე დაადნეს და, იავ ნანა, ვარდო ნანა, იავ ნანინაო, დედურს აგრძელებს, ისევ მიხედა გატრუნულ ქმარსა, ნუ გეშინიანო, ერთი კი გაუღიმა და მერე მაინც სუო, პირზე თითი ისე მიიღო, ნიკაპიდან ცხვირამდის ჯვარი დააჩნდა, მაგრამ ამ ჩვენსას რაღა გაფრთხილება მპართებს, ისედაც გატრუნული ისმენს და სდგასა, ისევ ჩამღერის იმისი ცოლი იმათ პატარას დაბალი ხმითა, შიგ უწყეთ ბატონიშვილი, იავ ნანინაო, უსხიათ ოქროს ქოჩორი, ვარდო ნანინაო, ატლასის საბანი ხურავს, იავ ნანინაო, მეტის სიამით ეკუმშება და ეკუმშება ამასა, ჩვენსას, ჩიტვიით გული, შვიდგანვე დაეციოთ კარავი, იავ ნანინაო, მღერის, მღერის და თანაც ისევ აკვანში აწვენს მილულულ სასოებას, იავ გუნდის მარანშიაა, იიავ ნანინაა, ო, არტაბებს უქერს, არწევს, ტოტები აქვს ნაარგინისა, ვაარდო ნანინაა, ო, ზედ ბუღბუღული შემომომჯდარა,

იიავ, ნანინაა, ო, არწევს, მიეხუტებულა ბალღი, ცხრაპირ ძეგული, ცხრაპირ ამობურცვია ტუჩები, ლოყები აძფუნებია, ძილ-ტყბილაა რა, ამო სიზმრებში თუ დაბაჯბაჯებს, ესა კი, ჩვენი, ისევ ისე დგას. გამოხედაა, ცოლმა. ემანდ არაფერი შემატყოსო, ჩვენმა, ჩააქრო ჭრაქი და, იმ სიბნელეში, ჩუჩხულით იკითხა, რა იყო, რად გაიღვიძა, რამ შეაწყუხაო. აბა რა ვიცო, ცოტა ხნის უკან გაეღვიძა და ისეთი ზარი მორთო, კინალამ სხვებიც დამიღვიძაო. ხომ არა ჰხურსო. არა, გრილია, შემოვევლე, ნეტავი რა მოელანდაო. კიდევ კარგი რა სიბნელეა, იცის ამანა, ჩვენმა, ვინც დააშავა, ჰაი ფეფელო, ჰაი ის შენი ცალი თვალიო, ფიქრობს. ბნელა და ბნელა, მივიდა მერე გუმანით იმ თავის ცოლთანა და, მხარზე საგრძნობლად დაადო ხელი, თან კი ნაზადა, უდევს ხელი და გრძნობს, როგორა ლხევება იმისი ქალი. მერე თითები ისე ფაქიზად ამოძრავა, ისე ნელინელ ეფერება რა, მიწამდე მსგავსი არაფერი, საამოდ უკვირს გატრუნულ ქალსა, მერე გვერდით მიუქდა აესა, ჩვენი, ნელის ალერსით მიიზიდა და, ფერებში თავად რა გაღვივდა, ქალიც გააღვივდა და ტბტზე რა გადაწინაურდნენ, პატარა ხანში ისე უმწარ-უტყბილა იმ თავის ქალსა, სუ გენაცვაები ცხარედ აჩუჩხულებინა და უფრო მერე კი, დაღალულებმა, ზურგები აქცევს ერთმანეთსა და ისე არხეინად მიიძინ-მოიძინეს, ვითომც არაფერი.

7.

აბა ძილი ეგრე არ უნდაო, დასცხო და დასცხო ლურჯმა მამალმა, ბნელში ამფრად ჩანს. აბა ყვილილი აგრე არ უნდაო, აპყვენენ და აპყვენენ სხვებიცა, იგრე ეჭიბრებიან ერთმანეთსა, ღამის ჩაიბზარონ ყელი. ისთე ნამეტურ ყვირიან რომა, ისეცა და ასთეცა, ზოგი ჯერ ნედლი ყვირილია, ზოგიც — ქვადა და რკინად ქვეული მამალი. აესა, ჩვენი, ჯერ თავს იტყუებს, ვითომდაც

ძინამს, მაგრამ რიერატი თვალეში რომ ჩაუდგა, ისე წამოხტა, მოწონებულად. ეპყო მუშტები სახელოვანია, კობტად ჩაჭდა თავის კონკია შარავლშია, ტუცა ფეხები ქალამნებში, გამოვიდა გარეთ.

რიერატი რო, ბზინავს.

მზე ჭერ შორსაა, მაგრამ დაძრულა, იმისი სულისბერვა ისმის, მზესუმზირები სუ იქითვე იყურებიან, ნელინელ იხვეტება სოფლიდან ბინდი, და გლეხიკაცები ჩამოსადგომ დღესა და იმის სინათლეს რო ფხიზლად დაუხვდნენ, გამოსულან ეზოებში, ცივი კოკისთვის შეუშვერიათ ჩაორმოებული ხელისგულეები და ისხამენ და ისხამენ წიწკნია წყალს პირისახეზე, კისერზედ, გულისპირზედა, საღად ფრუტუნებენ. გამართულა წელში ესეცა, პირდაბანილი, ჩვენი, სოფელს გაჰყურებს, აფუსფუსებულა მთელი იმისი მეზობლობა, ხალხი, მთელი ბუნება ნელ ყალზედ დგება, აი ქათმები რო ქათმებია, მთელი ლამე აკი მიმქრალ-მობუზულეები იყვნენ, ახლა დიდ გულზედ არიან, ხო სუ იქებებიან და იქებებიან, ქექვაში არიან, რალა, მაინც დროდადრო ისე შემართავენ თავსა და ისე იხედებიან, გინდაც ხონთქარი. ლესენ და ლესენ ნამგლებსა, ნამგალო, ჩემო რკინაო, დაპლიინებენ ალაპლაპებულსა, შშობლიურს, ბზინვარესა, გამოსულან უკვე ორლობებში, და ლუკმაპურის მოსახვეჭად ყანებისაკენ ეშურებიან, გამოსულან და გამოსულან ქობხანებიდან დიპლიპიტო და ელპო, ცანგალა, ხალხი, და მინამ გულამდე თავთავში შეაბიჯებენ, სოფლის ყუჩ, პატარა საყდარში შეივლიან აუცილებლად, სამ დიდ გლეხურ თითს დამზერით შეიდუღებენ და იწერენ ნუგეშინისცემის პირჯვარსა. აი, ხო მომტრო საყდარაჲ, მაინც ისეთის დალოცვილის ხელითა მოხატულ-მოპირკეთებულნი, ჰსიამოვნებთ არა, მეტი — შვების ბუნდია.

ჩამდგარან პირველ მარჩენალში, ყინა არი რო, როგორიც ჯილდო. მიწის ოქროა, ოქროსფრად ბრჭყვინავს. იქნევს და იქნევს ესა, ჩვენი, მოუღლელ

მკლავსა, ბაჯილოს იმკის, ცოტათი იქით ცანგალა იღვწის, ცოტათი დიპლიპიტო კობტად ტრიალენს, ცოტათი უკან ელპო ირჭება, ვაბნეულეები, ერთნი არიან, მისდევენ კვალდაკვალ თავიანთი ქალები, ბალღები, ულოებს გრეხენ, თავთავს არ ტოვებენ მიწაზედა, ორიოდ მარცვალი თუ გაებნევათ და, ალალი იყოს, პაწუა ჩიტები იქვე არ არიან? — ყველასიო ე მიწა, ყველასა ჰყვებავს, ერთი იადონზე იძახიან, უსაჭმლოდ არიო, ეგებ მართალია.

მზესა აბა სხვა რა ძალი გააჩერებს, ამოდის და ამოდის, დასდგომიათ ზედ კინკრიხოებზე, ცხელა, ცხელა რო, მდნარი ხეატია, მდოვრე ჰაერი მძიმედ ლივლივებს, ჰაერსაც ცხელა, სულისთქმა უჭირთ, მაინც იქნევენ და იქნევენ დაცვარულ მკლავებსა, შუბლზე სუ ხვითქის წყურწყური გადასდით, მიწაცა და იმისი ჯილდოც კარგა ძნელია. მწარედ რო მოშუადღევდება, ჯალაბს შინსიკე აგზავნიან, ცოდონი არიანო, კაცებილა რჩებიან, გადაიღლებიან მერე ისენიცა, გადაისხამენ თავზე წყალსა, პატარა ხნით მისხდებიან წოწოლა ძნის ჩრდილში, დაღალულები ილუკებიან, სველებია რო, გინდაც ღრუბელი, ცაზე კი ერთი ფთილაც არა ჩანს, ვერცხლისფრად ცხელა. მზეს აჰყურებენ ამრეზილად, ისიც თვალს დიდხანს ვის გაასწორებიანებს, დახრიან ქორჩებიან თავებსა, ელპო დაუდგრომელი ჰყავს ღმერთსა, და იმ ბერიაცს მოუთმენლად გასძახებს, ძიაა, ძიოვე, ერთი სალი ნიავე როდისლა წამოუბერავსო. წამოიწევს ის ბერიაცი, ძლივას აითრევს წელსა, მოტეხილა კია, მაგრამ ძველებურად ბუნების კარგა მცნობია, ლასლასით მივა ნალაფარში ჩაწოლილ ღორთან, დააქვრდება ბებრული თვალეებით გაჩხიკინებულ წრიულა კუღზედა, ალლოიანია, არაფერი შეეშლება და, მცნობიც არი და, პირშიმთქმელიცა — კიდევას უფრო დასცხებაო. ჩამოიღრუბლებიან ესენი, ნამგლიანები, ჩვენი, ის ელპო კიდე, თეთრ კბილებშია გამოსცრის, აბა, და-

ემწვარებართო, რაღას არ იტყვის იმისი ენა. იმ დღეებით ძნის ჩრდილში ისე ჰყრიან რო, ვეგონება არაქათი მთლად გამოსცლიათო, მაგრამ პატარა ხანში ისე იქნევენ გრძელსა თუ მოკლე მკლავებსა, ნიავე ჩნდება.

რაც გინდა იყოს, შრომის ხალხია.

ბოლომდე რო ჩაიდგრებიან დედამიწაში, სალამოსპირიც მოდგება კარსა, სოფლისკე გადალილები მიეშურებიან, ერთი სული აქვთ, ჩრდილიანში გაწვენენ, მაგრამ მთელი სხეულით ისე სწყურიათ, გადაუხვევენ ბილიციდან, საით მიდიან და, ჰალაში ერთი მდინარეა, მდინარეში კი ორი მორევი, ერთი ამათებრ კაცებისა, მეორე კიდე ქალებისა, რამ ამოჰყარა იმოდენა ბუჩქი, ქალებისაკენ თვალს ვერ გაუძვრუნენ, იმათ ტიტველებს უყვართ ბანავე, დიდად ხშიანებენ, აის ფეფელოც ისე კისკისებს, გინდაც უბიწო. ცხოვრება არი თუ რა არი, რა ქნას ფეფელომ, ცხოვრებაში ყველაფერი იზიდავს, ყველა ხევაშიაღს უნდა რო ჩასწვდეს, მონდომებულია. ესენი კიდე, ჩუმნი, ოფლით კონკიებშეკერილნი, ტანსაცმლიანა შედიან წყალში, გრილდებიან რო, — პიტნა. ელბო ოხერი ჰყავ ღმერთსა, ერთი კარგა რო განიბანება, წაუჭული მიიპარება ბუჩქნარში, დიდ ხეზე ქურდულად აღის, მსხვილ ტოტზე გაცოც, გაცოც, გაცოცდება და, თვალებისათვის იღვწის — ზემოდან დასცქერის თეთრ-თეთრ გამოფენასა, ქალებითვალიერებს.

ესენი კიდე, აქეთურა ტანსაცმლიანნი, შვების ნექტარში ღვანან და ღვანან, იყლინთებიან, ნეტარებისგან ზეზურ თვლემენ, მაგრამ წივილ-კივილი ესმით ისეთი, ნაპირზე ფიცხლად ამოხტებიან, ფოლადა ხმაღს ჩასჰიდებენ რკინის თითებსა, მაგრამ თურმე რა: აკი ზედ ელბოს ტოტებქვეშ არ წამოწოლილა რომელიღაც ქალი, სველი ელბოსგან წვეთები დასცემია, გაზმორებულა, ძლივას არ მოწვიმაო და, მადლიერებით რო აუხედნია ზემოთენა, აკი ეს თვალმბდაყვებილი ელბო არ შერჩენია ნანატრი ღრუბლის სანაცუ-

ლოდა? — მოკლედ, ხელებდაარბულნი იტუნტებიან და ძლივს წაიქნენ ელბო კიდე, თვალმბდაყვების ტოტზე სძინაშს, სუ მიფარებით და სხაპასუხებით იცვამენ ქალები ჩითებსა, მერდინებსა, ჩაცმულები კი, დიდ გულზე არიან, მაგარ-მაგარ ქვებს უშენენ ელბოსა, იმასაც, ვითომ ელვიძება, თვალებს იფშვნეტს, რა იყო, რამ დაგაწიოკათ, ქალებოთ. მაშ აბა ტოტზე რა გინდა, შე დასამიწებელო, შენაო, ერთმა. როგორ თუ რა მინდა, ნიძლავზედ მეძინაო. ისემც ისე გაშავებულყავ, მტკვარს ვერ გაერეცხოო, მაინც რაზე დანაძლევდიო, მეორემა, ქალებია და, ცნობისწადილიანები არიან. შენ სუყველასა ჯობნებიხარო, შენს კოცნაზედაო, კიდეც რო ოხუნჯობს ეს წასწრებული, ჰა? აი, მეხი კი დაგაყარეო, მესამემა. ქვემოდანაო, გაიხარა ელბომა, ბარაქალა შენა, ქალო, შენც სუყველასა ჯობნებიხარო, მიაჩუმა ისიცა. აბა თუ გეძინა და, მაინც რა იცი, რომელი რომელს ჯობნებივართო, აუტხეს ისევ დანარჩენებმა, შეუქებრებმა ბასრი კივილი. თქვე კი ქალებო, როგორ თუ რა ვიცი, მე დილიდანვე კი მეძინა ამ ტოტზე, მაგრამ თქვენ აბა ძალით რად აედურტულდით, განა არ ვიცი თქვენი ოინები, რათ გამაღვიძეთ და ძალით რად დამანახეთ თქვენი, ვენაცვალე, ტანიო. ჰაიი, ისევ უშენენ და უშენენ ამ ცულლუტს ქვებსა, ის კიდე, ზემოდან ვითომც ამხნეებს ქალებსა: ნეტაი რამ გაგაწიწმათო, დიდი ამბავი თუ დაგინახეთ, მერე რა მოხდა, რამ ავაკივლათ, განა რამე შეგეცვალათო. ერთ-ორს ცოტათი ეღიმება, გაბზარულები არიან, აიი, შენი ენა იყოს შენსავე მუცელში, კუჭი მაინც გიხმებო და, მეოთხემა. ვაჰ, შენა ხარ ესა, ფეფელოო? კი ვერ დაგინახე, შენც სუყველასა ჯობნებიხარო. აიი, ჩამიწ-დამიწდიო, ისევ ერთხმად ასძახიან, ერთიღა არი უთქმელადა, მაგრამ იმის გულში რო ამბავია?, საკირეა და ეგ არი — იმას გული შეპვარდნია ელბოზედა, ხევიანად სდუმს. გაიკრიფებიან ქალები, ელბო ერთ-ორ ჩამორჩე-

ნილს კიდევ მიიძახებს, არა, შენ მართ-
ლა სუყველასა ჰკობნებიხარო, ჩამო-
დის მერე ხიდან, გეგმებით დატივი-
რულა, ამოსულან იმისი სოფლის კა-
ცები ნაპირზე, ტანსაცმლიანა შრებიან,
კარგ გუნებაზე დამდგარან, ჩაჯდება
ელპო სამთაშუა, ცანგალა და დიპლი-
პიტო ლხენით არიან, ამას კი, ჩვენ-
სას, უცხო კოდალა უკირკიტებს, რა-
ღაც შედეგრი და იმისი რაღაც მასალა
ბუნდოვნად ახსენდება, დაბნეულობის
კიდობნებში წასულა და, ისეთ გუნე-
ბა-განწყობაზეა, რუხი მგელი შვამს,
და უცებ განა რას იძახის: ჩვენა, ქარ-
თველებს, ნეტა რა და რა გვაქვს კარ-
გიო. ეგრევე მხნედ არ უპასუხეს? —
შვიდი რამაო, დიპლიპიტოა. აბა რა და
რაო, ცანგალა არი. მორიგეობით ჩა-
მოყვებით, ამას ეს ამბობს, ჩვენი, გა-
ფაციცებულია. რაო და, პირველიო,
კარგი მღერაო, დიპლიპიტოა. კი, ეგა
გვაქვს, დამეორეო? მეორეო, ცანგალა-
მა, რა და — ფიცხლად თამაში და კო-
ხტა ცეკვაო. აგრეა, აგრეაო, და აბა მე-
სამეო? ენა გვაქვს კარგიო, ელპო იძახის
ამასა, ქვეყნად რა გინდა, ჩვენ რო შა-
რილიანად ვერ გამოვთქვათო, რაგინ-
დარა ლექსს აღარ იტყვის ჩვენი სო-
ველი ენაო. სწორიააო, ამანა, ჩვენმა,
ამისი რიგიც დამდგარა და, ერთი შე-
დეგრის ერთი მასალა ამასაც უღვივ-
დება, უელამდება თვალი, მეოთხე ისა
გვაქვს რო, აბა ჩვენი საყდარ-ტაძრები
ნახე, თავისით ხო არ აშენდებოდა,
სხვისი ხელით ხო არ მოიხატებოდაო.
კიო, კიკიო, სწორიააო, დიპლიპიტომა,
მაგრამ შეიდამდე ჩამოთვლა თანდათან
უჭირთ. არა და, დიპლიპიტოს ჯერია
და, პატარა ხანს დუმს, მერე ფრთხი-
ლად იძახის, მე მგონია რო, კარგა ოხ-
რებიც თუმცა კი ვართ, მაგრამ გუ-
ლისგულში მიინც კეთილები და უხე-
ნიც ვართო. რაგი, აბაო, შეფიქრიანე-
ბულან, ერიდებათ თავიანთი თავის ქე-
ბა, მერე ხმადაბლა ამბობენ, აგრეა,
აგრეაო. და აბა, ცანგალ, მეექვსეო?
იმას კი უკვე მოუფიქრნია, გულადები
და მებრძოლნი ვართო, საშობლო
გვიყვარს, ქულზე კაცი ვართო, აბა და

ვინმე მოვიდეს ჩვენზედო, სუყველას
ვეტირებთო, ისე გაიძახის, ამჟამად
ლები უელავს, ზეზედ წამომხტარა,
სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება. კა-
რგი, დაჯეკიო, და აბა, მეშვიდეო? ელ-
პოს ჯერია, არადა უჭირს, თვალებს ატრი-
ალებს, წვალობს, თანაც ქოქოლადაყ-
რილ კეფას იქეჟავს, ძლივას წამოლერ-
ლავს, ალბათ, შრომაო. არ ეპიტნავათ,
აბა შრომა რა სახსენებელიაო, დიპლი-
პიტომა, დიდ გულზე არი თავისი სა-
თქმელი რაზან მოუღვეია, ჯერ ეს ეგ
ერთი, აბა შენ რომელი გამორჩეული
შრომელი ხარ და, მეორეც, რო არ
ვიშრომთ, სხვა რა გზა დაგვრჩენია,
პურს ვინ გვაქმევსო. ახლა ცანგალა-
მაც დაამატა, შრომა არა, ისაო, ეგ რა
ჩასათვლელიაო, ბარე ისიცა თქვი, შე-
შის დაობა გვემარჯვებო. ელპოს
უჭირს რო, კალმახი რო ხურჩინში ჩას-
ვა, სინებელეშიცაა, სცხელაც. აბა მე
რაგიო, ეგება ისა, რო იძახიან, კარგი
ტანადი და კარგი თვალადნი არიანო.
აბა ეგ რა თქვი, ეგ ხო თავისითა გვაა-
ქო. შეწუხებულია ელპო, დაღონებუ-
ლა, დაღონებულია რო, გინდაც დემე-
ბრის ვაზი, ჩაქინდრავს თავსა, დაიხე-
დავს, და აკი რას იძახის, ოხერი? — რა
და მეშვიდე ესა გვაქვს კარგიო. რა ესაო,
ჯერ ვერა ხვდებიან. ესაო, ესაო, თავ-
დახრილი იძახის ელპო და ხელსაც იშ-
ველიებს. აიი, შენ კი ზედ მაგაზე კი
დაგათხლიშე ქვა და მეხიო, ქალივით
იძახის ეს ვაჟკაცი დიპლიპიტო, მაგა-
მდე როგორ დახვედიო. როგორაო და,
გათამამებულია ელპო, გორგალის წვე-
რი უკვე ხელთა აქვს, თავი და თავი თ
ეს არი, ტემპერამენტი რო არა გვეონ-
დეს, ვერც ვიპლერებდით, ვერც ვიცი-
კვებდით, ვეღარც ლექსს ავაწყობდით
და ომშიც გულადნი ვერ ვიქნებოდი-
თო. რა რო არა გვექონდესო, ცანგალას
უკვირს. ტემპერამენტი. ტემპერამენ-
ტო, ისეთი რიხით გაიძახის ამ უცხო სი-
ტყვას ეს ჩვენი ელპო, გინდაც იყალ-
თოს აკადემიის გრილი დარბაზები სუ
სწავლა-ცოდნით მივილი-მოვილი
ქქონდეს. აი, შენ კი რა გითხარი, შენ
კი რა გითხარო, ადე, წამოდი, წამო,

წავიდეთ, სუ დაღამებულაო. სოფლისა-
კენ მიდიან მაგრამ, ამისა, ჩვენსას,
გულის რაღაცა ძარღვი უტოკავს,
სხვებმა ორ-ორი კარგი რამა თქვეს,
ამანა კიდე — მხოლოდღა ცალი. რამე
მერვეც ძლიერ უნდა რომ გამოიგო-
ნოს, მაგრამ სადაა, ბილიჯე კი არა
ჰყრია, ვინ მოგართმევს ვერცხლის
ლანგრითა, თანაც ელბოს სიტყვებზედ
ეპვი ეპარება, თუკი აგრეა, მაშ აბა ქა-
ლებ რალა აცეკვებთ და ამღერებთო,
და ცანგალას უცებ ჩაქინდრული თავით
ეჭახება. მაგრამ ის ვერცა გრძნობს,
შეჩერებულან ელბოც, დიპლომატოცა,
იქითვე გაიხედება ჩვენიც. საბრალო
დედაბრისას მიმდგარან, იმის მოუშკალ,
ჩაწოლამდე მისულ ყანას გაყუჩებულ-
ნი შესცქერიან, საბრალო დედაბერი
კი ბნელში ჭოხიდან გამოსულა, ერთ-
ხანს ოჯახმრავალი, ახლა უშვილძიროდ
დარჩომილი, მოკუნტული, ძრიალ მღუ-
მარედ ჩაშაეებულა და, ერთი ეგ არი,
მთვარის ნათელი იმასაცა და იმის ყა-
ნასაც აბუჯტებულ სევდად გადასდის.
რა თავში იხლის საბრალო დედაბერი
ქვაესა თუ ხორბალს, მაგრამ იმის ყა-
ნაში რო აღარავინ ტრიალებს, აი ესა
ღრღნის. ჩამოუყრიათ ამათაც მხრები,
მობუზულან რო, ლამის დედაბრის ყა-
ნასავით მიწას უწიონ, ერთილა უკვირთ,
სინდის-ნამუსის მოსამართლე და, ბნე-
ლში ასე უმძრახად მდგარი? მთელი
ის ღამე, აღარც ცეკვა ახსოვთ და
აღარც თამაში, უგემურად ვაბშობენ,
დასიებული გულით წვებიან, ღამე არი
რო, დაბზარული ნამუსივით აწევთ შე-
ჭირვებულ თავზედა, კრიჭაშეკრულებს,
ცუდადა სძინავთ, მალიმალ ინაცვლე-
ბენ გვერდს, ეს ტიალი და ოხერი ნე-
ტავი აღარ გათენდებო? მამლის ყი-
ვილი ენატრებათ მაგრამ სად არი,
ბნელა, ბნელა რო, თვალები უკაწკა-
წებთ, მაგრამ ღამე რისი ღამეა, რო არ
დაბუჯდეს და არ შერიყრადღეს და არ
გათენდეს ძლიერ ნელინელ, ქვეყნის
ზომიერ, თანდათანობითა და, ხო არც
მოუღამარაკვებიათ არა? ხო არც არა-
ფერი უთქვამთ სათქმელი არა? ხო
არც გაუთქვამთ რო მეხუთე ავი ისა

გვააქ კარგი, კეთილები და უხვნი ვაა-
რთო, მაგრამაც აი, უმწვემთელე გუამო-
ფნილან დალოცვილ დილოთ, გამოსუ-
ლან და...

8.

გამოსულან და აი იმ ყანას შესევინან,
საბრალო დედაბრისა, მკლავები ისე
გასდიდებიათ, მოუნდებათ და მოიქნე-
ვენ, გინდაც გრიგალი, მაგრამ პურის
ყანას სიფრთხილე არი თუ მოწინააღმდეგე
არი თუ რა არი, ისიცა ჰმართებს, მკე-
რდამდე თავთავში ჩამდგარან და ისე
იღვწიან, მოწონებულნი, აი ეგ არი იმა-
თი თავი და თავი გლუხაკური საქმე,
ხენა და თესვა და მკა. თან, თუ დილის
ირიბი მზეა და ცვარ-ნამს მშრალი
ენით შორიდან ლოკავს, თან, თუ მო-
წვეულ ყანას თვალგასახარად აბრჭყვი-
ალებს მანათობელი, თან, თუ შენი მი-
წის მკვიდრი ხარ და იმის ზურგზე
კუთვნილად დგახარ და, თუ ეს მიწა
თავად ღეთისმშობლით ბოძებული სა-
ქართველოა ჩვენი, თანაც, თუ კეთილ
საქმეს ჩადიხარ და თვალნათლივ ხე-
დავ, მთელი სოფელიც რო დამდგარა
ამ კეთილად მოსამკალ გზაზედა, და თუ
მარილიან გულს სუ ჭრელ სიტყვებად
ამოფრქვევის ლაღი წყურვილიც შეუ-
ჩნდება, აფორიაქებულნი, თავს დაადებ
და ადიხარ იქვე, მომცრო გორაკზე,
მბზინავ ყანასა და იმის მიწყვი მუ-
შაკთ შემადლებულიდან დასცქერი და,
შეერტოლებული გულ-ჯიგარი გრძნე-
ულ სიტყვებად გადმოგედვრება, თვალ-
დახუჭული, მეტს რასმეს ჰხედავ, რა
იღუმელი გორაკია ნეტავი ესე, ადრე
არ ჩანდა, რაღაც სიმყარე კი მაინცა
აქვს, რადგან დიპლომატო შემდგარა
ზედა, აბა სიმყარე რო არა ჰქონდეს,
დიპლომატოს ისე როგორღა დამიგ-
რებდა, ის კი, კუთვნილი მიწით ამო-
ლებული, თავის მიწაში უჩინარფესებ
გადგმული, სიტყვის ნაყოფით ათრთო-
ლებული, იძახის, მაგრამ რას იძახის
— საბრალო დედაბრისასა, თავნი ყა-
ნასა მკინაო, ვაჰ, ესენი არიან თავნი?
— ცანგალა, ელბო, ჩვენი და სხვები



კიდე, ხალხი? — ჰეჰ, დიპლომატოვ, თავიცი ხაარო და, სუ სიყვარულით შეუძახებენ, კარგა იციან გადატანილი სიტყვა და იმისი ფასი, ის კი განაგრძობს, რაღაც შედეგის რაღაც მასალით ძალიან მწარედ დატვირთულია, დაცლა უნდა და, რომელიღაც უჩინარი მარსკვლავისაგან თავაპყრობილი, ემ თავის ხალხსაც ისე ძალიან ადიდებს რო? — ლომნი უგრებენ ულოსა, და ვეფხენი შეუყვრიანო, აეს შენა ხარ ვეფხვი, ცანგალო? ის კი, ცანგალა, სიტყვის მადლით ატაცებული, ისე შრომობს რო, ისე ირჯება, აქაც კი, აქაც სუ ფეხის ფრჩხილებზე სდგება, ბიჭი არი რო, რისი ციბრუტი, დიპლომატო კი, ყანა გინდაც მომკილი ჰქონდეს, იძახის, მაგრამ რას იძახის — დევნი ურემსა აბიან, ირემნი ძანასა ჰყრიანო, რეებს ამბობს, ვე, შევლნი კევრებში შებმულან, კალოს გარს დარბენიანო, ზედ ანგელოსნი უსხედან, წვრილ ხმაზედ დასძახიანო, რაღაც ფაქიზი, სათნო სიმღერა მართლაცდა ისმის, თავზე ეღვრებათ, თვალდახუჭულია დიპლომატო, თავაპყრობილი, დადუმებულა და კარგად იცის, ეს სიტყვის საქმე შევბად რომ დაძრულა, ისიც იცის რო, იმ მომწიფებულ სიჩუმეში სხვებიც თავს რომ ვერ შეიკავებენ და, აბა რა დიდი მიხვედრა უნდა, პირველი ვინ აიტაცებს იმის ნართაულ სიტყვასა — ფეფელო არი, ანცი — ქინკები მარდად უტევენ, ყანასა გაჟფოციანო, აკი თავად არ უჭირავს ფოცი? ამ ჩვენის ქალი კი, გულზე ჩვილმიხეტებული, ცოტათი ვანზე კი გამდგარა, მაგრამ ჯერ თავის კაცს შეხედავს, მერე ფეფელოსა და, ორივეს ნიშნს უგებს, ამბობს: ტახნი მისწევენ კალოსა, მელეები კუდით ჰგვიანო, გადაუჭირა თუ ვერა სიტყვა, ამ დაუდგრომელ ფეფელოსაც გულის კოვზი ისე აეჭავება, სუ თვალეები უელავს, მაგრამ ქათმების კრიახი ამ გაბმულ შრომაში ბზარად აბა ვის უნდა და, ელპო სასწრაფოდ მიმოავლებს თვალსა, ერთ გაყანაქულ და ერთსაც გაყადობალ ქალს რიგრიგობით შეათვალიე-

რებს და, ამბობს — წეროწერო წეროწერო — ბენ, და ბატნი დაჰკაზმინანო, ქმრები კი, ერთი დიდი და ზორბა, მეორე კიდე — თვალბსაშიშა, ელპოსკენ ფინთად იყურებიან და ის კიდე, ელპო, აბა რილასი ოხერია, თუ გაჯავრებულნიც ვერ გააციანა — ჯერ ზორბას ახედავს, ამბობს: დათვებს ჰკიდიით ტომრები, ორმოში პურსა ჰყრიანო, მერე თვალბსაშიშას მოულამუნებს მზერასა: მგლები წისქვილში გაგზავნეს, პურს მალე დაუფქვიანო, იცინის ხალხი, მადლი ამრომებთ და თანაც იცინიან, კარგია ესა, რაღა, ის ორნიც ლამის ხბორებად გადაქცეულან, უწყინარები გამხდარან ისე, და ის წეროსევე ქალი კი დედაკაცთა საყრებულოს მოავლებს თვალსა, საკბილოს ირჩევს, სიტყვით ცელქია ისიცა — შაშვი ფქვილს მტკიცაეს, გნოლი ჰხელს, კაჭკაჭნი ამოჰქნიანო, გულით უნდა რო, სხვებზედაც გააგრძელოს, მაგრამ ვინ აცლის, რასმე შედეგის შეკოწიწებაში მარჯვედ ენა-ქარტალაა ყველა, და ცანგალას ფეხშიმე ცოლი, ჰრელი თავსაფარი რო შემოუხვევია ჰორფლის გასანელებლად, დამორცხვებულა კია, მაგრამ მაინც აიტაცებს: ვარიები ამზადებენ, იხენი სუფრასა შლიანო, ერთი პატარა გოგო ჰყავთ სოფელში, ხმა აქვს ისეთი რო, როგორიც ბროლი და ნათლი, იმაზედ არ იძახიან? — ზეცას ტოროლა გაგზავნეს, სტუმრები მოჰკრიბიანო, და დედაკაცებს შედეგისაგან თავი ძან რო არ გაუვიდეთ, ეს ელპო, ვერანი, ჯერ იმ ქალისკენ გააპარებს თვალს, აი იქ, საბანაოზე, ძრიელ ხმა-მალა რო უგზავნიდა ქვემოდან ზემოთ ქოქოლასა, მერე მზერას არიდებს და ვითომც დიპლომატოსკენ იძახის: შენს მადლსა, ჩხიკვი ნუ გვინდა, სუფრასა აგვიშლიანო, მერე კი თებრონეს გაუსწორებს თვალს: სილამაზითა ხონობი შუაში ჩაისვიანო, ერთი ბიჭი ჰყავთ კიდე სოფელში, გონას შვილია, ხმააქ ისეთი, ადამიანისას ვერა ჰგამს, არა, რაღაც სხვა არი იმისი ხმა, სუ მირონისა და ნათლისა, სუ მადლის არტახებით ამოგიჭერს დანამულ სულსა და,

აბა იმისი დავიწყება როგორ იქნება — ბუღბუღი გალობისათვის სუ თავსა დაისვენო, ვიღაცა ერთი ჯველი კი უკვე დადლილა, ჩრდილში მიწოლილა მაგრამ აბა ვინ გამოეპარებათ და, ის დაწეკილ-მოსვენებული თუმც კი ჯეილია, მწუხარის სახით იძახის ელპო — საბრალო ბერი ქედანი ბოლოსი მოიგდიანო, და დიპლომატო ბოლოსას ამბობს, ყველაფერსა აქვს თავისი რიგი — ერთად სმენ, სჯამენ, ლინობენ, პარალეს დასძახიანო, და, გაამოთ ბიჭებო, ლექსი გაამოთო რო უნდა გაიგონოს, ძალიან იცდის, მაგრამ ხალხი სდუმს და ეს დიპლომატო გაკვირვებული დაახელს თვალსა და, ეპ, რასა ხედავს, იმ მთაზე შემდგარი კომისიკენ იყურებიან სუყველანი, კომეი კი ბოლავს...

9.

დამძიმებულან, აბჯარში ჩამსხდარან, მხარზე მშვილდ-ისრები ჰკიდიათ, შუადღეა რო, როგორც წყალობა, მზეა, სიმწვანე, ბალახი გინდა, ფოთოლი გინდა, ნაყოფი გინდა, სუყველაფერი სალად ხასხასებს, მაგრამ რათ გინდა, ამათ აკი ხმალ-ხანჯლიანი ქამარი შემოურტყამთ; გზად ლელე მოდის ისეთი რო, წამოწეკი და მიუგდე ყური, მაგრამაც ამათ ლალად მედინი ლეღისათვის აბა სად სცხელათ, წვერწამახული შუბი უპყრიათ ცალი ხელით, მეორეთი კი სადავე ჩაუბღუჯათ, ამხედრებულან. კრელ თავსაფარში გამოხვეული უბრალო საგზალი უნაგირზე ისე კონწიალობს, ვითომც არაფერი, ამათ კი, სულიერებმა, კარგა იციან, ვისკენაც მიდიან, რა სვავ-აფთრებთან ექნებათ საქმე. რა არი მაინც, რადარაგვარი ჯიშის მოდგმაა, მტერი ნიადაგ იმდენი ჰყავთ რო, გამოულევი, თანაც როგორი, უემურები და დაბოღმილები, გაუციანარი, ჩაობებული ძმარივით სულვერგაუსინჯავი და მჭახე, სხვისი ადგილ-მამულისაკენ ისე გულდაგულ მოედინებიან რო, გინდაც წართმეულის აღდგენას ცდილობდნენ, უზომო ლაშ-

ქრად იციან შეყრა, არამი ლეღისაკმრავლებულნი, იმდენი მწუხარობა დათვალოს ზღვაში ქვიშა, და თითოული ისეთია რო, სუ მიწას ჩასცქერს პირკუბრი, სახე აქვთ რკინის ფერიო, სულდამდაბლებულნი, ახოვნებითაც რომ ვერ უქნიათ იმ თავიანთ შემოქმედსა? — ტანად მცირეა, დაბალი, გაწყდომაზე აქვთ წელიო, მაგრამ კოფაკებივით დაგროვებით რისხვადქცეული სიანჩხლე, ისე დასცქერიან შენს მიწას, როგორც წართმეულს, და გზად ისე და ისე აფთრდებიან, გინდაც მართლები იყვენ, ჩხუბში ავნია რჯულძალნი, იარალს უძვეთ ხელიო, თუ შეებმები, ერიდე, ტყვია იციან ცხელიო, რამ გააცოფათ ეს სულძაღლები, რამ დაამწარათ, ისეთდაგვარად დაგეშილან რო, იარალს ენით გალოკვენ, გახდება უფრო მჭრელიო, და საშვილიშვილო მტრად მიაჩნიათ ესენი, ჩვენნი, და თავიანთ ნაშიერებსაც იმთავითვე ამათზე, ჩვენებზე, გეშავენ, ბაღლი რო დაებადებათ, უნდა შაუკრან წელიო, თომიან წყალში გაღბანენ, ჯანი ექნება მრთელიო, და ყველაფერი იმისათვის რო, უყვარდეთ სხვისი ქონება, ჩხუბში—ხმალი და ცხენიო, ღონე და ჯანი იმისთვის უნდათ, აი ესენი, ეს ჩვენები რო ამოხოცონ და დაარბიონ, მაგრამ, ამათაც, ჩვენებს, ძალუმში სიტყვა — ქულზე კაცი ჰქვიათ და თუ მუზარადი დაუხურავთ, მაინც ქულზე კაცი არიან და, თან, იციან რო, მართლა მართლები არიან და, რაა მართალთან გინდაც სამი იმდენი ცამდის მტყუანი, თანაც, ფიქრობენ, იცოცხლე კარქი იქნებოდა მთელი ქვეყანა რო საქართველო იყოს, მაგრამ მოლონიერებისაც ზომ ვერ დაგვცალდა არავისათვის სამშობლოს წართმევით და, ჩვენც ნურავინ შეგვეცილებაო და, ისეთ დამხედურ ბრძოლასა სტეხენ, ისეთსა, ვინ იფიქრებს რომ სხვა დროს ისეთი წყნარი ტაძრების შენება და იმათი ისე მოხატვა შეუძლიათ, ან — სუ იავნანათი გაზრდილები რო არიან, ომი არი რო, ცარიელიდა რისხვა, აესა, ჩვენი, სუ ტუჩთაკენეტი იბრძვის, იქნევს და

იქნევს მკრელ, მბზინავ ხმალსა, გვერდით ცანგალა ისე ტრიალებს, მეხის კლაკვნა და ლამის ცეცხლია, ერთგულა შუბი მოუმარჯვინა დიპლიბიტოს, რალაგინდნაირ აბჯროსანს არ შეუნჯარევს იმ ბალღამიანი გულის ფიცარსა, ელპოსაც, საზრიანს, დიდი წვლილი შემოაქვს, მტრისთვის ზურგიდან ჩუმ-ჩუმელურად შემოუვლია, დიდრონა ლოდს ამოფარებია და იმ წყეულებს სუ ბეჭისთავზე ასობს და ასობს ცხელ-ცხელ ისარსა, იქვე იბრძვიან ამათებურნი, სხვა ჩვენებიცა, წყალობები და თვედორეები, ღვთისო, ხარება, არსენები და მიტუაები, ფლოქვებიდან სუ ნაპერწყლებმფრქვევა ცხენებით შორი-შორიდან ჩამოჭრილან ხოგაის მინდი და თორღვა, მაღალი მთების კუშტმა პირმშომ, ლაღმა მარტიამ, გაფრინდა-ულმა, ზხა ჩამტვრია ლამითა, და ახლა ამით მხარდამხარ იბრძვის, აეზნია-ნებს სხვებს, ლიხით გადმოფრენილა ყოჩალი ვაჟი ბაჟუა, დიდად მარგია, ეს რა ხალხია, კაცოო, აი, ბრძოლაც კი თავთავის ქვეაზედ არა სცოდნიათ? ის გადარეული ხირჩლა ბაბურაული თუ სუ ყვილი-ყვირით აქცევს იქაურობას, აეს დინჯები — სოლომან ბუტულაშვილი და ივანე კოტორაანთი, მითომ ნელინელ ირჯებიან, მაგრამ მომხვედურთა ორღობეებს სტოვებენ თავთავიანთ დარბაისელს გზაზედა, ქართველებია, რა ქნან, იბრძვიან.

და, ბინდმა რომ არ გაჰყაროს მებრძოლნი მტერნი, აეს ჩვენები სუბოლო ძალსაც მოიკრებენ და ისე დასცხებენ, რისი საღამო და რაის მწუხრი, დღეს სუ კუპრისფრად უბნელებენ, სუ კუდით ქვას ასროლინებენ, სუ ბეჭებს აპანლურებიანებენ ქუსლებითა, რადგანაც თავიანთ ვერან მიდამოში დარჩენია სულ ბოლო ძალა მტერსა, გარბის, მისდევენ, გაურბიან, ედევნებიან და, მოციქულობენ ისრები, შუბნი აქნევენ ენასა, და ხიდების ძებნის თავი აბა სადა აქვთ ახლა თავისი მწირი მიწის მონატრულებს, მდინარეში ჩაცვივლებიან და, ვისაც გვერდიგვერდ ძმა მოუკლეს, შვილი, მამა თუ მოკეთე,

მეზობელი, ხმალდახმალ გადაწყვიტნიან და აბა მდინარემ რა დააშავა მტრის სილრმეებიდან სპეტაკად ნაყურს, გზადაგზა რუ და ღელეებშემოერთებულს, აბა რად უნდა იმათი წითლად მოშავო სისხლი, მაგრამ ანკარა ფერი ეცვლება.

მერე კი მართლა მწუხრის ბინდია. ილაგჯამოცილინი, პირქვე წვანან და, შეგრილებულზე, გადარჩენილი მიწის სუნი უფრო ელწევათ. არ ეკადრებთ ჩვენგან მაგრამ, მართლაცდა გდიან, მიმოფანტულად დაყრილან, დადუმებულან, ვიდასა აქვს საგზალის არაქათი, პირს ვერ გაუხსნით დანა. რო გაიმარჯვეს, სრულად ვერ გრძნობენ, ისეთი დაღლილები არიან. ცოტას კი ჩათვლემს ესა, ჩვენი, მაგრამ ძილამდე ველარ ჩადის, სისხლის ლორწოც სცემს და ცუდ ბურანშია, რალაც შმუშუნებში ჩაფლულა და უცებ ვილაცის ტორსა გრძნობს მხარზე, დაბალის ხმით ეკითხებიან — აი ესა და ესა, ანაგურელი ბიჭი ხომ არ გინახავსო. არა, არაო, ნაღვლიანად მიუგებს ჩვენი, თვალს გააყოლებს დამწუხრებულს, და უცნაურ რასმეს ხედავს — ვილაცეები, უფრო ძამები, მოღუნულები დაიარებიან შთვარის შუჭზედა, მოჩვენებებსა ჰგვანან, მერე უფრო მოიხრებიან, ჩაიჩოქებენ, მოკუნტულები, ძლივა არჩევენ მტერ-მოყვარესა; გაგიგონიათ? — თუმცე შვილს, მაგრამ მოკლულს, მაინც გულდაგულ დაეძებენ, გალასლასდებიან მერე, ერთიმეორეს სუ ჩურჩულით ეკითხებიან, ჩემი ხარება ხო არ შეგხვედრია, ჩემი ფიდოსთვის ხო არ მოგიკრავს თვალი, ჩემი წყალობა ხომ არ გინახავთო. არა, არაო, ისმის. და ერთიც კარგა ხნეირი გლები, მუქად მოთხერილი, ძილად მივარდნილ ჯეილებს ფრთხილად აღვიძებს და თრთის და ეკითხება: ძმისავ, ჰა, ძმისავ, ჩემი ცანგალა ხო არ გინახავთო. ვაიმე ბიჭო, ცანგალას მამა და ეგ არი! აესა, ჩვენი, ელდისაგან ისე მარდად წამოხტება, მიწაზე რჩება დაღლილობა და ოფლი, ერთად მიიწევენ იმ დარდით დამყურე მთვარის შუქში, და დაბოცილებს ჩაჩერებიან — ეს ხო არ არი ცანგალა და აი

ეს ხო არაო. და განა მარტონი არიან, არაა, ბევრნი — ბეჩაეები, სუ შემცივნებულ ხმაზედ კითხულობს ვილაც, ხო არ იცით, ჩემს თვედორეს სადა სძინამსო, ჩემი შავლეგო მდინარეში ხო არ სუფთავდებოდაო, და შორიდანაც ბუნდოვნად აღწევს, ბიჭო გოგია, ხმა გამე ბიჭო, ვერა ხედავ რო, როგორ დაგეძებო, შენ კი აბა სად დაეხეტები, ხმა გამე ბიჭო, გოგიააო. გათენებამდის ფათურობენ დახოცილებში, კვარი უჭირავს ზოგსა, მთვარის შუქი და კვარის წრიატი სუ ერთმანეთში ირევა. ამას კი, ჩვენსას, თვალები ისე ებლიტება, ერთხელაც არი და, ვილაცას რო გადმოაბრუნებს, იქვე ჩაემზობა და ბალიშადა აქვს იმისი გაციებული ბეჭი.

ჩაენმის მერე, შენ, ბიჭო, შენ ბიჭო, ბიჭოო, ჯერ ჰგონია თუ, კიდევ ვინმეზე ეკითხებიან, დაახელს თვალსა, მაგრამ მოშორებით დამდგარა ვილაც, დასჩერებია თავის სოფლელსა და, ამბობს — შენ, ბიჭო, შენ ბიჭო ანაგურელოო. შეშფოთებული წამოჯდება, უკვე დღეა და ისეთს რასმე დაინახავს იმისი უბედური თვალი, ძლივას აითრევს წელსა — სუ უპოვიათ თავიანთი მკვდარი, ერთად შეუქურებიან, და, მზეც არ ანათებს? მაგრამ აბა რაღა სითბო უშველით, ან ამეებს და ანდა იმათა, და ცანგალა-ბიჭიც თუმც მზის გულზე დაუსვენებიათ, ქართულა ცხვირი წაპყინვია, აბა სადღაა იმისი ლალი მოუსვენრობა, ცარიელადა დუმლია.

ამასა, ჩვენსას, ისეთ რეჩხს უყოფს დაღლილი გული, ისეთი ჭინჭრის გორგალი გაეხეინება ყელში, მიბრუნდება და, ცრემლებს შვებადა ყლაპავს. ერთი ცანგალას ჩია მამალა გაქვაეებული, თორემ ამათ სოფლელნი ცრემლით ილობენ დაგვალულ სულსა, ცხარე დღეშია დიპლიბიტო, ტირის ელაოცა, მაგრამ ტირილი იქ უნდა ნახო...

10.

მაგრამ ტირილი იქ უნდა ნახოთ, ცანგალა-ნაკლულ სოფელშია, ერთი პაწია გორაკიდან რო დაინახავენ უმხედროს ლურჯას, შორიდანვე იხშუე-

ლებს ხალხი, ცანგალას ქალს კი, ჯერ რა ქალია, გოგო, ყოფილი ცანგალას დანახავზე სალი გული შეტულობდა და ქალები იმას მიეხვევიან. წყალს დაასხამენ შექორფლილ სახეზე, კაკალქვეშ, ჩრდილში მოასულიერებენ და, ქმრისკე გაოგნებული იცქირება ისა, აბა სად ცანგალა და აბა სად იმისი აგრე ყოფნაო, და რო თავ-პირში უნდა წაიშინოს ხელი, ერთი საზრიანი დედაკაცი ასე ეუბნება: შენი ძლიერ ტირილი არ შეიძლება, ეცადე ნელინელ იტირო, ქმარი რო მტერმა მოგიკლა, განა შენც უნდა მოუკლა შენ ქმარს შვილიო. თანაც, ხო ხედავ, ბიჭის მუცელი გააქო. გაიტრუნება ისა.

ცანგალა კი სუ ციმციმ შემოაქვთ, ცაცხვის გაუსხიპავ ტოტებზე დაუსვენებიათ და ამ ნედლსაკაცეზე მწვანე ფოთლები ისე შარიშურობენ, გინდაც ბლომად ნაცეკვი ცანგალას ხშირი სუნთქვა ხედებოდეთ, მაგრამ სადღაა იმისი სუნთქვა. მთელი სოფელი იმას დამყურებს, ბინდწაფენილ და ამაყოდ შორ სახეზე ისე გულდაგულ დასკეირიან, თითქოს უნდათ რო, აუმოძრაონ, მაგრამ ვის მზერას დაიტყობს ბიჭი, ძალიან, მეტად, თავის თავშია. რაღაცა უნდათ რო ილონონ სოფლის კაცებმა და ვერა ხედებიან, ქალის თვალი კი მაინც სხვა არი, და აკი ერთი არ დაინახავს? — უიმე, ცალი ქალამანი დამკარგვიო. დაბედავენ და, მართლაც, მერე ისე შეიძვრებიან, თითქოს დიდარამ უნდა გამოასწორონო, არიქა, არიქათ, ჩქარა მიიტათ ახალთახალი ქალამნებო, და ჯერ რო მოთხვრილ პაპიკებს გამოუცვლიან, ახალ ქალამნებს ძალიან ფრთხილად მოარგებენ ფეხების ნაჯად წვერებზედა, ცანგალას პატარა დაი კი იმ ძველ ქალამანს სუ გულში იხუტებს.

წყაროს წყლით ჰბანენ ცანგალასა, ოლონდ ჯერ მზეზე შეუთბობენ, არ ეგრილოსო, კოხტად უვარცხნიან სველ, დამყოლ ქოჩორს, ამას კი, ჩვენსას, სული ეგრიება, მაგრამ სხვასავით ფეხმოუცვლელად დგას, სამშობლოსავით გაუერთიანებია სიკვდილს ზოგ-

ნიც უმძრახი მეზობლები, ყველაფერსა აქვს თავისი კარგი.

და ერთიც ზორბა ბერეკაცი დაიბეჭებულ, გაქვავებულ კაცს მხარზე დაადებს დიდრონ ხელს და, ანუგეშებს: აბა, აქ რაა, აქ ერთი მოკლე წუთისოფელია და, ვინც აქ დიდხანს დაერჩებით, ჩაჩანაკებად ჩავალთ სამუდამოში, იქაო, შენი ცანგალა კი იქაც სუცქვითი, სუ ლალი და მარდი იქნებაო. არაფერს ამბობს მოკლულის მამა, სდუმს. იმის გულში რა ჩაიხედება.

ცანგალას ცალი ქალამანი კი მდინარის პირას კენტადა ძეგს.

იღება ასე, დიდხანს იღება, რადგანაც წყალი ვერასწვდება, დააწვიმს, დაისეტყვება, დაათოვს, შემოადნება მერე თოვლი, მდინარეც ისე ადიდდება რომ, წამოუსვამს ცალ ტალღას და აატივტივებს, გზად წაიყოლებს. მიაქვს და მიაქვს მდინარესა ის ბეჩავი ცალი ქალამანი, სოფლები ხედებათ, ზოგს შუადღისით ჩაუვლიან, ზოგსაც — უმთვარო ღამითა, დაბლითვე მიდის ცანგალას კენტი ქალამანი, მერე იკლებს მდინარე, მალღითურა მზით იხაება, უწყლობით ღამის სულსა დაფავს, ეს ქალამანიც ძლივძლიობით მილოლიალებს, მერე ქვეშეა გაეჭედება, უმძრახად არი, ახლა იქ აწვიმს, ახლა იქ ათოვს, მერე კი ისევ ადიდდება მესხვადასხვიე მდინარე, შეუჩნდება, შეუჩნდება ქალამანს, არ მოეშვება და ისევ ციმციმ აატივტივებს, ისევ წაიყოლებს დაბლითვე და იქამდისინ ატარებს, მინამ ძალიან მლაშე წყალში არ შეაცურებს და იქ კი ჩამირავს, ძალიან უცხოვად გაუჩრებულა ქვიშიან ფსკერზე ერთ დროს ჭრელ ყვავილებში ნათამაშევი ქალამანი და, მარილი ძლიერ ნელინელ ლოღის, ალბობს, ცეკვთამაში და გულდაგული მხიარულება აიქა, ზევით, სულ არ უკვირდა ქალამანსა, მიჩვევას იყო, ახლა კი, დიდდიდი, ბლანტმა თევზმა თუ ჩაუცუროს.

სუ უცაბედად წარმოუდგენია ამასა, ჩვენსას, აეს მასალა არი თუ მასალის მსგავსი რაღაცა არი და გული ეკუმშება, ცანგალას კენტი ქალამანი რო

ცალი და კენტი ქალამანი, კი დადრობს და, თავად ქვედაქვედა პატრონი? — მკვდარია, წვესა. აბა რითილა შესძლებს ჩვენი, გული ოდნავ მაინც რო მოიოხოს და, აკი თვითონვე არ მიჰყავთ გადაღლილ ფეხებს? — აუყვება, აუყვება სოფელს, წყნარ ორობებებს აივლის, სუცოტას გაივავებს და, სოფლის განაპირას ერთი ჩამქვანარი მიწური როა, იმას მიაშურებს, აქაა სოფლის თავიე და ბოლოც, გააჩნია თუ, საიღამ მოდიხარ. იქ კი ქალი დგას შაოსანი, ბლომად შვილები ომში დაპხოცია, და ახლა ერთი ესლა დარჩენია ნუგეშად, ასეა კი, ჩვენი, ისე დარცხვენით უახლოვდება, თუგინდ სხვისი ბალი იყოს, ჭერ ახედავს და, მოხველ, შვილოო, იმ ერთადერთი, იავნანური ხმით რო ჰკითხავს ისა, დახრის ეს ჩვენი უნებური ცოდვით სავსე თავესა, მიწას დააბჯენს მზერას, მიწისკე ითხოვს, დედი, პური მაჭამეო. ახლავე, შვილოო, დინჯად მიუგებენ, მაგრამ ეს მხოლოდ ყურისთვინ — დინჯად, თორე სუ გული უფრთხიალებს, ისე ძალიან უფრთხიალებს რო, აიმავე ღამით სახეზე კიდევ მეტად დაქვენება, შვილებისგანა აქვს ნაოჭებიც და დიდრონდიდრონი თალხისფერი ლაქები ხელზე. პურის საკმელად დაბალ ტაბლასთან დასვამს შვილსა, პურიკმევა — ეს უბრალოდ ჰქვია, თორე, შოთებთან ერთად მარილიც გამოაქვს, მწნილიცა, გუდის ყველი და პრასი, ბოლოკი, ლობიოცა და, ერთიც პატარა ხელადა ღვინო. ვაშლის ქვეშა ზის აესა, ჩვენი, დაფიქრებული ილუქება, დედა კი სუ თვალებითა სკამს, ოლონდ ისე უჩუმრად, რო არ შეაწუხოს; დგას. გაუშეშდება ერთხელაც ამას პირისკე წაღებული, მარილში ჩაწობილი დახვეულპრასიანი ხელი, ერთბაშად იმისი აუარება რამ ახსენდება, და ისე ჩაესმის, როგორც რო ლოცვა — დედას ვუყვარათ შვილები... შემერთალი, მაშინვე გახედავს, მაგრამ გულთამხილავია ისა, მანამდე მოარიდებს თვალს, ვითომც ჭილოფზე გაფენილი ხორბლისა და იმას დასეული ჩიტების დარდი

აქვს, აქში, აქში... ამას, ჩვენსას, ყელში პური ებჯინება, ისე ჭიუტად და ისე ცხადად ჩაესმის: დედას ვუყვარვართ, დედას ვუყვარვართ შვილებიო, და, ყელში ლუკმაგაჩხერილი, ეპკობს: დედა თუ გვიყვარს შვილებსაო?... აესა, ჩვენი, თუ კენჭია, სუ მაღლი-მაღალ, პიტალო კლდედ ქვეულაჲ, იყოც ეს დაღუული, ნატანჯი ქალი, შვილი სად უნდა წაუვიდეს რო, ანკარა ლოცვა არ მიუწვდინოს, ჩვენი თვითონვე კი გააჩინა, მაგრამ თავადაც ამ ჩვენიო უღვას ჭაჭრით დაღრღნილი სული, ამითი ცოცხლობს, ამის პურიკამითვინა აქვს შერჩენილი ჭაფით დაღრღეული და ჭაფითვე დაკეშილი სხეული? აესა კიდევ, ზამთრობით მაინც, თვე ისე გავა, არც დახედავს და არც მოიკითხავს, არც ახსოვს იმისი ძალიან ჩუში, დედური ლეწლი, რაღას არ ასწრებს აიმ დროში, ხეების მოჭრას, შეშის დაბობას, თივის მოზიდვას, ცოლ-შვილს, ბუზიკას, ფეფელოსა, ელბოს, ძმებიუებს, კიდაობას და ლახტის თამაშს, ოღონდ ეგ არი, დედის ამაგი აღარ ახსოვს და, უცებ თავის თავს გამტერებული ჩაეკითხება, დედა თუ გვიყვარს შვილებსაო. ისეთი სევდის კაეშანი მოაწვება რო, ლამის იქავე ჩაიკეცოს და, მხარეკულმა იტყვის, წავალ, გავივლი, გამოვივლი და ისევ მოვალო. ჩურჩულით ესმის, ავი ვითხარი, წადი, მიიარ-მოიარე და ისევ მოდიო. კიდევ კარგი რო, კოროში მაინც ეფარება, და სუ არავინ რომ არ დაინახოს, გადახნულ მიწაზე პირქვე წვება და, ორ დიდ ბელტშუა თავჩარგული, სუ დანანებით იმეორებს: დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვიყვარს შვილებსაო... მერედა, რათა, რათაო, გამწარებული ეკითხება საკუთარ გონსა, და პასუხის მოსაძებნად თავს რო წამოსწევს, დაიხედავს და, რასა ხედავს, დასჩერებია დედას, მიწას, მიწაა ზორბა, ნოყიერი, მუქად ხასხასებს, აი ეგ არი თუ რაც არი, მარცვალს ჩაუგდებ და, ოც იმოტოლა თავთავს ისე ამოგაშველებს, როგორც რო ვითომც არადერი, ერთ განხიკინებულ ნერგს მიბაბრებ,

და, პატარა ხანში ისეთი ხეა, სუ ბროწეული და ლეღვი სცვივებდა მხენებში, და რომ ისა გშობს, და კენც კი აღარ გახსოვს და მაინც ისაა სუბოლოს შენი წყნარად შემკედლებელი, აიქამდე კი, ვრცელი გადია, დაუხვედრებლივ მიგიშვებსა და დაგატარებს თავის უხე გულზე, ერთი ეგ არი, ცოტათი უნდა მიეხმარო წვიმა თუ ძაან მოენატრება, და აი ის წყალი უნდა მიაშველო, ისევ იმისი იღუმალი სიღრმეებიდან ამომდინარე და იმის გულმკერდზე გადავლილი, და აი ეს შეებაც ისევ შენთვის, ადამიანისათვის, უნდა, მაგრამ უფრო ერთიმეორის სისხლითა გაქვთ მორწყული და, აიმ ჭანდაბა და ოხრობა ხმალსა და ენას რომ უღერებთ ერთმანეთს, რა, სხვისი გინდა?, შენი არ გყოფნის?, და, ვითომც ქართველი ამა საქმეში გინდაც დიდი დამნაშავე იყოს, ცანგალას ახლად გაჭრილ სამარგისთან დგას და, შიგ ჩამხედვარეს, მასალა არი თუ რა არი, ის აბუტბუტებს — დედას ვუყვარვართ შვილები, დედა არ გვიყვარს შვილებსა, დამიტომ წუთისოფელი სულ მუდამ გვაცოდვილებსა, ამოყრილ მიწას დაჩერებია, არც მოუცვლია ომში ახლახან ნამყოფი ფეხი, ბიჭი-ცანგალა კი ჭერ სამ ფიცარში სხვის ნებაზედ წევს, განსაკუთრებით ძვირფასია, და იმისი უბელო ცხენიც, დამწუხრებული დიპლომატოს ხმაშალალი თქმით, ისიც ძალიან ძვირფასია — ცანგალავ, გიორგას შვილო, შენი ცხენი ხვიოდაო, ლაგამსა და უნაგირსა მარგალიტი სცვიოდაო, და ამ სიტყვებზე ცოტათი მოუშკობინდებათ დაჭიჭნილი გული, და, მეოთხე ფიცარიც რო უნდა დაჰხურონ, ვეღარ შეიკავენს კენტ თავს იმისი საბრალე ცოლი, გავეშებული დასძახებს: შენი კოკორი უღვაში მიწამან შაინახოსაო?! ბიჭით ფეხშიმე, გადაემზობა, მაგრამ ძალიძალ გააშორებენ, მობრუნდებიან, დაიხრებიან, ესეცა, ჩვენი, მკვიდრი დედისას ერთ პეშეს მიაყრის, ხმა ამოდის რო — კუბოზე მიწის გრუხუნია, ეჰ, სად ხმარობენ ფართე ნიჩაბსა, სოფელს მდუღარე ცრემლი ჩამოსდის,

მთელი სოფელი ზარითა და ვიშით იხებებს ჩამოფხაჭნილ გულს, მაგრამ ის ზორბა, ხნიერი გლეხი ახლად ამოზრდილ გორაკს დაადებს დიდ, ფართო, სუშთლად დაკოჭრილ ხელისგულს და, ზოგიერთთათვის დიდად გაუგებარს რასმე, ამბობს:

— ცანგალა საყდარს შევიდა, ყურძენი შეიტანაო.

11.

ყურძენი, ვაზი... ყურძენია და ვაზი ამათი თავი და თავი.

ვაზი უყვართ რო, სად და სად აღარ ეჩვენებათ, ხან რო შამა და მარჩენალია, ხანაც ქალწულად ეცხადებათ, და უფრო ხშირად კი ვაზო, შვილივით ნაზარდოო, ეფერებიან. ღვინო ისე არ შეისმევა, არ დააყოლონ, ვაზს გაუშარჯოს, ბრუნდებირიანსაო.

უყვართ.

და რალაც კიდე უფრო მეტი — ოლონდ ვენახში დააძინე, არც მატყლი უნდათ ქვეშაგებად და არც ბუმბული, თივა ურჩევნიათ, მუშტზე დადებენ გაუპარსავ ლოყას და, ბნელშიც კი ფრთხილად შესცქერებიან. ხლართები აქვს რო, რომელს საითკენ გაუწვია, სულ ვერ გაიგებ, სუ დაყვავებით უნდა შეხება და, ამას თითები უნაზდება? — რისი აბრეშუმი და კერტი.

სუყველგან ვაზი ელანდებათ, იმათ საყდრებსაც ქვის მტევნები გამოუსხამთ, ისეთი რა უნდა იყოს რო, ავად თუ კარგად, ვაზს არ შეუდარონ — ჩამოდგება, ვოქვათ, ვინმე ბაქია, ასტებს და ასტებს უქვეო ტრაბახსა, გააფრენს, გამოაფრენს და რო წავა, გაყოლებენ აესენი დაღვრემილ თვალსა, არა, იმისი ოფოფები კი არ ეღარდებოთ, ნეტა ჩემს ვენახს მაგისეფე ესხასო, ჰფიჭობენ.

როგო უვლიაან... მოწონებული. ვაზს რო რაც უნდა, ცხვარს არა აქვს იმდენი ბეწვი, სუშუდამ უნდა დასტრილედე, ზო აღერსით ზრდი, როგორ არწყულდებ. მაგრამ წყალზე არანაკლებ

სკირდება ოფლი. იმაზე ალალია.

აი, ქალწული მაშინაა, მტევნის რო დაუმშვენდება, მაგრამ შვილივით ნაზარდია, ხელს ვერ შეახებ და, უბვი რთვლობისას ვანზე გამდგარი, ქალებს და ბალებს მიუშვებ და, იმათ აკრფინებ. აღარც კი იცი, მტევნის მოწყვეტა ვინაიან თუ გწყინს. მაგრამ მერე კი, ტანჯვითა და აღერსით ნაზარდს, კარგად გახეხილ-დაბანილი, მაგრამ დიდი გლეხური ფეხისგულებით უნდა შედგე, ასეა წესი. ქალური ჩვევით, დაგამხსოვრებს, როცა იქნება, ისიც ფეხს დაგიდებს და შეგაბარბაცებს, რაგინდ მოჰიდავე იყო, ერთხელაც იქნება და ბეჭებზე დაგეგმს ძაან ნამეტანს თუ შეუჩნდება, ქალი არი და, ფეხით გაქელვას არ გაპატიებს, თუმც, რალა ქალი, ქვევრებში დგა და, ჰაბუკია რო, დულს. ჭეილია და ცის კილობნების წვდომა უნდა, მიდი აბა და, დაპტრე თავი, ქვევრს გაგინეთქავს, მაგრამ მერე, რო დაშოშმინდება, თხელი შუშით ამოიღებთ და მზეზე რო გახედავთ, სუ სიხარულის ძვრას გიზამთ გული, მაგრამ დინჯები ხაართა, არა უშავრა მასალააო, დინჯადვე იტყვიო.

ზამთრობით, როგო გატრუნულა... რა ზდება, კაცო, თოვლიც კი ადევს. მაგრამ იმისი ნაყოფის წვენი მშობელ მიწაში ცოცხლად გიდგას და შენი ძმაცაა და მეგობარიც — ლხინი არი და, შენთანაა, თუ ჰირია და, ისევე შენთან არი. მაგრამ სიფრთხილით ძმობა ჰპართებს, ძალიან თუ გაუშინაურდები, იმან აფრაკი ხერხები იცის? — კისერსაც მოგტებს. ცოტ-ცოტაობით შეგობრობა უნდა.

უყვართ.

და, როგორია, მტერი თუ ძაან შემოგესევა და ძლიერ ბევრია, მთაზე აღულაბებულ სიმაგრეში სოფელთან ერთად უნდა შეიყურო და, თუ ვერ აგოლებს, ზემოდან დასცქერ, როგორ გიწვევენ უბრალო სახლ-კარს და ეგ კიდე მაინც არაფერი, ქვევრებს გიბილწავენ, იმ შენს ვენახებს გადაქელავენ

და, ბევრჯერ მომხდარა, აუჩეხიათუ-
შენს გულში მაშინ რაცა ხდება...

თუ ავიღო და... ვიცით.

მაგრამ მაინც ვაზის კაცი ხაარ და,
მაინც ისევე ზრდი, ისევე ახარებ, სუ-
რიგებშუა მიდი-მოდინხარ, წელში მო-
ხრილი დაიარები, და განა მარტო მო-
ვლას აკმარებ, მეტისმეტობით, ხანდა-
ხან სულიც შეგიბერია.

როგო ვადის დროო...

დრო როგო ვადის...

აი, წელან რო ჯელიიყო აესა, ჩვე-
ნი, მერე ვაქვაცია, მერე, გავიხედოთ
და, შელახული ქოჩორი ეჭირხლება.
მაგრამ ელზო რისი ბიჭია, დროს რას
დაიმჩნევს, ჯერჯერობით დანებებისა
არაფერი ეტყობა, აი, ზამთარი რო ზა-
მთარია, მაშინაც კი გამოაცოცხლებს
ხოლომე თვლელში ჩათბუნებულ სო-
ფელს — ვილაცის ძალუმი ღრიალი
გაისმის, დაიჭით, დაიჭითო... გაიხედა-
ვენ და, რასა ხედავენ, გაუქვალავ თო-
ვლში მიფართხუნებს ეს ჩვენი ელზო
პერანგისა და იმისი ამხანაგის ამბრა,
ცალ ლოყაზე ფერუმარილი გადმოს-
დებია, უკან კი რომელიმე კაბოსანის
ხელკეტინი ძმა თუ გარე-ბიძაშვილი
მისდევს და „დაიჭით, დაიჭით“-ს ისა
ღრიალებს, ეს ელზო კიდე, რო იცის
რო სოფელი შესკურის, ისიც არა
ჰყვირის? — „დაიჭით, დაიჭით“-ო, მი-
თომც ეს ორნი ვილაც მესამეს გაუქ-
ვალავ თოვლში მისდევენ.

დაუჭერებენ, როგორ არა, მიართმე-
ვენ, კი.

რა იქნებოდა ამათი ცხოვრება, შე-
ღვათები რომ არა ჰქონდეთ, რა იქნე-
ბოდა და — ცარიელადა მუშაობა,
ბრძოლა, დავვა, ტანჯვა და წვა. მაგრამ
ზოგმა რო კოხტა ცეკვა-თამაში იცის,
სხვებს ისეთი სიმღერა ამოსდით პი-
რიდამ, შენც დააღე პირი და ისე უსმი-
ნე, ზოგი რო ისეთ საყდარს აშენებს,
იქიდან რო აღარ გამოისვლება, სხვა
ისეთ ლექსს ამოთქომს რო, რაგინდ
სქელკანიანი იყო, ტანში დაგბურძ-
ლავს, იქით კი ვილაცის კარგად დათხ-
ვრილი ხელი მოუშარჯებია და, თი-
თებით ჰხატამს ისეთებსა, ბრმას და

მუნჯს დააყვირებს, მოკლედ, ხალხია
რო, რალაც სიტყვაა... უფროსნი
არიან, პო.

ახალგაზრდობის კიდობნებზე იბახიან,
ნელინელ, მაგრამ იცლებო, ალბათ
მართალია, აბა სადღაა იმისი ძველი
ჯანი, ყანიდან ისეთი წელმოწყვეტილი
ბრუნდება, აღარც ბუზიკა ეწადილება
და აღარც სოფელგარეთ ცეკვა-თამაში.
ერთი სული აქვს, შინ მიბრუნდეს და,
ცოტა ივანშმოს, მერე კი დამზრალი
ფეხები დაიბანოს და, დაწვეს, დაიძი-
ნოსა, ბოლო დროს მაინც, ზშირად
სცივა, ძველებურად ველარ უბრუნავს
სისხლი. ერთხელაც — აბა ეს უნდო-
და? — გავიხედოთ და, მოდის ბილი-
კზე ყოფილი ჯეფელო, ერთს კი შეავ-
ლებს თვალს ფერ შორიდან ესა, ჩვენი,
და ჩაემულსაც კი ატყობს, როგო დამ-
ქნარა, აბა სადღაა იმისი ნედლი სა-
ფერებლები, არადა, ისე თამამად უა-
ხლოვდება ისა, ვითომდაც ძველი ფე-
ფელოა, რისი ფეფელო, უფრო თავის
დიდელასა ჰგავს, გამარჯობაო, გაგიმა-
რჯოსო, დგანან. თვლებში მაინც ცუ-
ლლუტია, ვითომც გაკვირვებით ეკით-
ხება, უიმე, ეს რა დაგმართნია, ბიჭო,
როგო მოხრილხარ, მოკუზულხარ, ეგ
მხრები როგორ ჩამოგყრია, რა იქნა
შენი ნათლის კბილები, ანდა ის შენი
სარეველასეფე უხვი ქოჩორი რალა
იქნაო? ერთს კი ახედ-დახედავს ესა,
ჩვენი, და პირზე მოადგება, შენ რალა
დაგმართნია, ქალო, გაკრეფილ ვენახს
რო დამსგავსებოხარო, მაგრამ კაცია
და, თავის დაჭერა ჰმართებს, სდუმს.
ისა კიდე, ცბიერად რატრატებს, სხვა,
ოჯახში როგორა მყევხართ, ის შენი
პირშიმთქმელი ცოლი როგორ ბრძან-
დება, როგორა მყავსო. არა უშავ-რა,
თქვენის ლოცვა-კურთხევითაო, ცბიე-
რადვე მიუგებს ესა, მაგრამ მერე აღარ
იციან რა თქვან, ყოფილ ფეფელოს
თვლებში ცეცხლი უნავლდება, დაღვ-
რემილები დგანან, სხვა დროა. კარქა
იყავო, განზე ამბობს ფეფელო, კარგა
იყავო, განზე ამბობს ესეცა, ჩვენი,
გვერდს ფრთხილად აუელიან ერთმა-

ნეთს, თავ-თავისკე მიდიან.

ვპ.

მაგრამ იმ საღამოთი მაინც ვერ იძინებს, შორეულ ბუზიკას თვალდახუჭული უსმენს, უსმენს და, წამოდგება. იმ თავისი ცოლის რუხ თავშალს მოისხამს ბეჭებზე, დაცივისის დარდი სულ არა აქვს, ოღონდ არ შესცივდეს. წავა, წავა და, სოფელგარეთ თავის ჭვილობას მიადგება — ისე უკრავენ და ისე მღერიან, სუ ცაბა სწვდება ტაში, ერთი კი, მაინც, ისე თამაშობს, სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება, მეორე კიდევ ლექსებს იძახის ისეთსა რო, თუ გაგაგონა, საიქიოდან მოგაბრუნებს. აიი, ეგ ორნიო, ვილაცას ეკითხება, ვისი და ვისი შვილიშვილები, ვინა და ვინ არიანო. ეგაო, ლექსებს რო იძახის, ცანგალანთ ბიჭი არი და, ისა კიდევ, კარგა რო თამაშობს, დიპლიბიტუანთიაო. დაფიქრდება ესა, ჩვენი, რამე ხო არ მეშლება, აკი პირიქით არ უნდა იყოსო? ამბობს, ამისი პაპა, ბიჭი-ცანგალა, კარგა თამაშობდა და ჩვენი დიპლიბიტო კი განა ჭრელ ლექსებ არ იძახდაო? ეუბნებიან, აბა მე რაფი და, აგრეაო. არა, პირიქით უნდა იყოსო, ამბობს. ეუბნებიან, ჰოდა, სწორედაც პირიქით არიო.

ვპ.

ამისა, ჩვენსას, თავის შვილიშვილთაგან ერთის დარდი უფრო აქვს. იქამდე კარგა დალაგებული ყმაწვილი იყო და, უცებ ისე გადასხვაფერდა, მთელი ახლობლები სწუნხან — სუ უმიზეზოდ გარბი-გამორბის მინდორ-ტყეშია, შორიდან ცეტი გეგონება, ახლო თუ მიხვალ და თუ შეგიჩერდა და თვალებში ჩახედავ, ლაშის გიფია და ეგ არი. თურმე ნუ იტყვიო და, რისი გიფი და რისი ცეტი — ისე-უბრალოდ, შეყვარებულთა. გადაჯვარედინებულ ხმლებსა და მწვანე რტოებქვეშ რო გაატარებენ იმას და იმისი გულის ტკარცა-ლა რჩეულსა, ყმაწვილია რო, სუ პირმცინარი. ამაყიც არი — უკვე ქუღზე კაცი ყოველმხრივ ჰქვია. ორი თვის თავზე ბრძოლაში ჰკლავენ.

ომში ყმაწვილის მოკვლა უფრო ცო-

და, ლხინიც ნაკლები გაუფრთხილებია, ვერცა, ვერ წუთისოფელი უნდა იქნება და, მოწადინებულ გულიანებს, ისიც კი სანახევროდ ვერ უგემნიათ, დასდგომიან თავთ-სანთლებდანთებულთ, გულ-მოკლულები, ეკითხებიან: ეგ შენი მჯილა თვალევი ველარას დაინახავსო? ახლა სხვას დაჰყურებენ, ცრემლმორეულები: ეგ შენი ბროლის კბილები ველარცვის გაუცინებსო? ერთ ჰქვას ამა-საც მიაწვდიან, ჩვენსას, აჯანკალებული ხელით გამოსცლის, დასჩერებია ახლად მოკლულსა და, ეშლება თუ თავისას ამბობს, ვილა გაიგებს: ეფე, ცანგალა, რა ბიჭი იყაო?..

სხედან ესა და ელპო მომჩვარულები, სხედან, ელპო უფრო დაუღლია ცხოვრებას, ზამთრობით ბუხარს ეფიცებიან, გაზაფხულობით — მზესა, წინასწარ სცივათ. ძველ ამბებს ველარ იხსენებენ, და წუთისოფლით გადაქანულ გონებაში ხანდახან თუ შეეჭყიტებათ წრიატა შუქი: შენა, კაცოო, — ძმბიჭის სახელი აღარ ახსოვს ჩვენსას, ოღონდ იცის რომ, ისაა, — გაბსოვს, კაცოო, ჭვილობაში გოგოებ რო დაედევდითო? ელპოსაც შუქი შეჭედენთია, უხალისდება დაგვალვული სახე, — როგო არ მახსოვს, მახსოვს, მახსოვსო, — და უცებ შეფიქრიანდება, — მაგრამ რითვინ დაედევდით, ეგ აღარ მახსოვსო. არც ამას ახსოვს და, ტყუილ-უბრალოდ ნეტაი რით ვაწუხებდითო, უკვირდა, სხედან, ერთი გამოჩრჩეული შვილიშვილი თუ ბადიში ჰყავს, ფიღო, ბალღი არი რო, ცეცხლი, და სუ ფიღოს დუნე ძებნაშია, ოღონდ ამ მაინც ჩვენსას მარტო იმისი მამის, გოგიას სახელი ახსოვს და, რამდენი ბალღიც ჩაურბენს, სუყველას მიძახებებს, ბიჭო, ვისი ხარ მალხაზიო. მარტოკალა ზის თავის ჰიშკართან, და მზე რაგინდ მალღა იდგეს, ამისთვის მაინც ბინდისფერია სოფელი, უფრო და უფრო ბინდდება, მოჭუტავს, მოჭუტავს ეს ჩვენიც თვალსა, სუ ბინდბუნდშია რამდენიც გინდა იფხიზლოს და, რაღად იფხიზლოს, წავა წავა წავა და, ერთხელაც არი ძალიან მიიძინებს.

კიდევ კარგი რომ, თავით მიინც აქა სცივა, სანთელი უნთია ერთი. ძლივასლა აღარ მოისვენა? მაგრამ, რა ხდება, გაიხედოთ და, ისევ ბაღლია, თავისი ფედო, ერთი სული აქვს ყორზე აძვრეს, ტყისაკენ დასხლტეს, ორღობეები მოირბინოს, სოფლის დელეში იჭყუმალაოს, ლახტის თამაშს უტვიროს, ჩიტის ბუდეები იპოვოს, მაგრამ აკვამლებულა ის საშიში მთა, ჩითი კაბაზე, დედის მუხლთან ჩაუჭიდია პაწია ხელი, დედამისს კი ამაზე უფრო პატარეები ორი ბაღლი აუტაცნია და მაღლა მიდიან, გაიხედოთ და, ყმაწვილი ფედოა, მინამდე რომ დალაგებული ეგონათ ყველას, ახლა კი სუ მინდორტყედ დარბის, ჭეშენს, შორიდან რომ შეხედო, ცეტი გეგონება, თუ შეგოჩე რდა და თვალეში ახლოდან ჩახედავ, ლამის გიყია და, ძლიერ დაღლილი სულს ძლივსა ითქვამს, დაეგდება და, პატარა ხანში ისეთი სცხელა, მთელ ქას დაისხამს ავარკარებულ თავზე, მაგრამ სადაა აბა წყალი, არადა, სწყურია, სწყურია რომ, მარტო შეყვარებულობისას რომ იცის, ბატის ბუმბულიც საიღამლაც გასჩრია თმაბურდულ თავში, და შეყვარებულობისავე ბრალია თუ რა, ისეთი განათებული ბურანი ჩამოადგება, აღარც კი იცის იმის ბეჩავ თავს წისქვილის რა ქვა ტრიალუმს — რაც უნდა მოხდეს, ის ელანდება თუ, წარსულს იხსენებს, რა ღვთის რისხვაა — რაც უნდა მოხდეს აის წარმოუდგენია აალებულ თავში თუ, რაც უკვე მოხდა, რეებს აღარ შვრება აეს ოხერი სიყვარული, ერთი მარტო ის იცის რომ, პირაღმა გდია და ძლიერ სწყურია, სუ ემშრალება ხახა, აჰ, ერთი ახლა კი ცივ-ცივი კამპოტიო,

12.

მაგრამ წამოდგომა და მაივიართან მისვლა. ეზარება. მიბლანტებულა, იუგოსლავიურ ტახტზე წამოწოლილა, უნგრულ საღვეს სუ ტყუილად ღუქს. ვინ დაიჭერებს, მაინც ჩვენია. ადექ, ადექო. დანმაიადე რა ნკიდევ ცონტა ნხა-

ნო, დაამტენარა. გამოიღე ეგ კესეულე-ლე პირიდანაო. მაინც უნდა მოიხედე ეუვარკაა და ნმინდა დანელეზე და მინდ არაო. გამოიღე-მეთქიო. აღარ აძინებენ, აჰა, კარგო, საფერფლეზე გუშანიო დაღო. ახლა, ადექიო. მოიცადე რა ლოთიანად კიდევ ცოტა ხანიო, გაიზმორა. არა, ადექიო. ეხლაა, გაბრაზდა, რა გინდა, რას გამიჩმახე საქმე, ერთი ხოში ხო შეგისრულე, თანაც ვინა ხარ რომ ჩემზე დირექტივებს იძლევიო. ვარო. საიდანა ხარ, რომელ სისტემაში მუშაობო. გრძნობს რომ ღიბილით ეუბნებიან, მზისაშიო. მზიურშიო? არა, უბრალოდ, ასტრონომიკ ვარო. მაშინ შემეშვი, მე კიდევ გასტრ... უფრო ჩაეძინა; მოკლედ, ჰაი გიდი.

მაგრამ ზღაპარში კი არა, უარესშია, სუ ძილ-ღვიძილის სიზმრებში არი. ის მაინც აღარ გახსოვს, ერთხელ მკაფიოდ რაც ვითხარო? რა მითხარო. რა და, გაკირვებისას არ გამეცონარდე-მეთქი. თვალედახუჭულს, გულიანად გაელიმა, ჯიბესავით დაებერა ლოყები, ჯერ ეს ეგ ერთი, რამ გამიჭირა და, მეორეც, ათასი ექსპერტ-კონტროლიო-რი, რამ გამამცონარაო, ფეხები უფრო გაკიმა. ბოლომდე მაინც ვერაა გუნებაზე, იცის, დასცქერიან. ერთ დროს უკეთესი ბიჭი იყავიო. შეფიქრიანდა, მაინც როდისაო, ლამის დაახილოს ცალი თვალი. როდის და, აი, შედეგრი და იმისი მასალა როცა გენატრებოდაო. ფპიო, შედეგრი არა ტოროლაო, რა-ლადროს შედეგრია, ქვეყანა გაკეთდაო. კედლისკენ არხენინად გადაბრუნდა, მაგრამ აღსდექ, აღსდეგ შე ოხერო და შე ტიელოო, დაუღრიალეს.

ისე წამოხტა, მოწონებული. თურმე ჩაცმულია, ვენურ სარკეში მოჩანს, ისე აცვია, სულო და გულო, — თეთრი პიჯაკი და იმისი ამხანაგი, ნარინჯისფერი ფეხსაცმელები, რამე, გაკირვებაშია, როგო არა, კი, გაკირვებაში კი არა და, დატენილობით, სუ კარადები უჭრიალებს. მაინც ჩვენია. ახლა დაჯექო.

ზის. ტელევიზორს უყურებს, კარგაკარგი სუ თეთრი გოგუები სუ პაერო-

ბიკულ ტანცებს ჰთამაშობენ იქა. ჯერ ჰკონია თუ, ეს ყველაფერი მომეჩვენაო, ჩასიათზედაც — მოდის, არა, ეგ გამორთე და რადიო ჩართეო. რადიოში რას დაეინახავო. მიდი, ჩართეო. მივიდა, ჩართო, მეე, რეეგვენმა პატარძალმაო, ესმის. რალაცა მოხვდა იმის შემბინებულ გულს. რალა რალაცა — მშობლიურია. მერე, ჩალუნა თავი. ვინდა, რო გითხრა შენ ვინა ხარო, ოლონდაც მხოლოდ ცუდ-ცუდებს აღგინიშნავო. მიდი, გისმენო, თვალბიცი დახარა. მიდგა და მიდგა, ჩამოუთვალა, რაც და რაც არის, ოლონდ მარტოკინ ცუდებს გაუსვა წითელი ხაზი. მეტად სადღა ჩალუნოს თავი, არადა, უნდა, მაგრამ მოესმა, სულელს, სულელს, მაინც მიყვარხარო. რათაო, ახედა. რათაო და, მაინც ალერსით დასცქერიან, შენისთანებოც კი უფრო მიყვარან და, თანაც, შენი თოხისა წყრილი ზემოთვე ამომდიოდაო. ეგ როგორღაო, თოხი ხელში არა მჭერიო. ადრე, ადრეო. პოოო, პოო, მშრომელი ხალხი ვიყავითო, ცოტათიც ვაიჯგვიმა იმ თავის ნაქებ პიჯაშია. უცებ, რა ესმის, თქვენა, ქართველებს, აბა რა და რა გვაქვთ კარგო. რაო, რაო და, თამამად არი, რაო და ცეკვა-თამაშოო. ახლაცა გაქვთო? აბა!-ო. სადა, სცენაზეო? მაშ აბა ქუჩაში ხომ არ ვითამაშებთო. კარგი, მეორეო? მეორეო, რაო და, რააო და, ერთი რადიოს ჩავეწვეო, უი პო მართლა, კარგად მღერაო, და შეფრთხილებულს, ახსენდება, გუშინ არ იყო? — მდინარის პირას რომ ისხდნენ თოხნი, რაო და, პირველიო, კარგი მღერაო, დიპლიპიტომა, კი, ეგა გვაქო, და მეორეო? მეორეო, ცანგალა-ბიჭმა, რა და ფიცხლად თამაში და კოხტად ცეკვაო. აგრეა, აგრეაო, და აბა, ვიქმე, მესამეო? ენა გვაქ კარგო, ელზო იძახის ამასა, ქვეყნაო რა ვინდა, ჩვენ რო მარილიანად ვერ გამოვთქვით, რადის არ იტყვის ჩვენი სოველი ენაო. ხწორიაო, ამანა, ჩვენმა, ამისი რიგიც დამდგარა და, ერთი შედეგის ერთი მასალა ამასაც უღვივდება, უელამდება თვითი. მეოთხე ისა გვაქ რომ, აბა ჩვე-

ნი საყდარ-ტამბები ნახე, თავისით ჩო არ აშენდებოდა, სხვისი ზედაც ჩო მოიხატებოდაო, კიო, კრამტ-სწორანსა, დიპლიპიტომა, მაგრამ ჩამოთვლა თანდათან უჭირთ, არადა, დიპლიპიტოს ჯერია და, პატარა ხანს სდუმს, მერე ფრთხილად იძახის, შე მგონია რო, კარგა ობრებიც თუმცა კი ვართ, მაგრამ გულსგულში მაინც კეთილები და უზენიცი ვართო, რაეი, აბაო, შეფიქრებულან, ერიდებთ თავიანთი თავის ქება, მერე ხმადაბლა ამბობენ, აგრე, აგრეაო და აბა, ცანგალ, მეექვსეო, იმას კი უკვე მოუფიქრნია, გულადები და მებრძოლნი ვართო, სამშობლო გვიყვარს, გულადები და მებრძოლნი ვართო, აბ და ვინმე მოვიდეს ჩვენზედაო, სუ ყოფს ეუტირებთო, ისე გაიძახის ამასა, თვალბიცი უელავს, ზეზედ წამომხტარა, სუ ფეხის ფრჩხილებზედ სდგება. კარგი, დაჯეიო, და აბა, მეშვიდეო? ელზოს ჯერია, არადა, უჭირს, თვალბიცი ატრიალებს, წვალობს, თანაც ქოქოლადყრილ კეფას იქეჩავს, ძლივს წამოღერავს, ალბათ, შრომაო, არ ებიტნავთ, აბა შრომა რა სახსენებელიო, დიპლიპიტომა, დიდ გულზე არი თავისი სათქმელი რახან მოუღვეია, ჯერ ეს ეგ ერთი, აბა შენ რომელი გამოჩენული მშრომელი ხარ და, მეორეც, ბარე ისიცა თქვი, შეშის დაპობა გვემარჯვებო. ელზოს უჭირს რო, კალმახი რო ხურჯინში ჩასვა, სიბნელეშიცაა, სცხელაც. აბა მე რაეიო, ეგება ისა, რომ იძახიან კარგი ტანადნი და კარგი თვალადნი არიანო. აბა ეგ რა თქვი, ეგ ხო თავისითა გვაქო; შეწუხებულა ელზო, დაღონებულა, დაღონებულა რო, ვინდაც დეკემბრის ვაზი, ჩაქინდრავს თავსა, დაიხედავს და, ავი რას იძახის, ოხერი? — რა და მეშვიდე ესა გვაქ კარგო. რა ესაო, ჯერ ვერა ხედებიან, ესაო, ესაო, თავდაბრილი იძახის ელზო და ხელსაც იშველიებს. აიი, შენ კი ზედ მაგაზე კი დაგათბილ-შე ქვა და მეზიო, ქალივით იძახის ეს ვაეკაცი დიპლიპიტო, მაგამდე როგორ დახველო, როგორაო და, ვათამაშებულა ელზო, გორგალის წვერი უკვე ხე-

ლთა აქვს, თავი და თავი აი ეს არი, ტემპერამენტი რო არა გვექონდეს, ვერც ვიმღერებდით, ვერც ვიცეკვებდით, ველარც ლექსს ავაწყობდით და ომშიც გულადნი ვერ ვიქნებოდითო; რა რო არა გვექონდესო, ცანგალას უკვირს, ტემპერამენტი, ტემპერამენტიო, ისეთის რიხით გაიძახის ამ უცხო სიტყვას ეს ჩვენი ელპო, გინდაც იყალთოს აქადემიის გრილი დარბაზები სუ სწავლაცოდნით მივიღილ-მოვიღილი ჰქონდეს, აი, შენ კი რა გითხარი, შენ კი რა გითხარო, ადუ, წამოდი, წავიდეთ, სუ დალაშებულაო, მიდიან მაგრამ, ამასა, ჩვენსას, გულის რაღაცა ძარღვი უტოკავს, სხვებმა ორ-ორი კარგი რამა თქვეს, ამანა კიდე — მხოლოდლა ცალი, რამე მერვეც ძლიერ უნდა რომ მოიგონოს, მაგრამ სადაა, ქუჩაში კი არა ყრია, რომელი ოფიციალტი მიართმევს ვერცხლის ლანგრითა, თანაც ტემპერამენტზე ცოტათი ეჭვი ეპარება, თუკი აგრეა, მაშ ტელევიზორის თეთრონ ქალებს ისე გამეტებით რაღა აცეკვებდათო, და აბა, აბა, მერვეცაო, თან აქეზებენ, სულ აღარ უნდა რადიოს მღერა, აბამას, ჩვენსას, უფრო ენა ექვაება, რადგანაც ბევრი სიტყვის კაცია, ამას შედევი და იმისი მასალა უნდა, ისე უნდა რო, გულთავი ეწყვის, მაგრამ რაღა ქნას, რა იღონოს, რომელ ერთს მიადგეს, აიმ შედევრებს არც წესი ჰქონიათ და არც რიგი, ხან რო შედევრად ქვისა კაცია, მერე შედევრად ბუზიკა ისმის, ხან რო შედევრად

ვარდ-ქალები დაუხატნიათ, სხვები ყალბამით სუ გიშრის ტმაში იქნებოდნან, იმათგან ზოგნი ჩუმად არიან, ზოგნი კი ხმამალა იძახიან გულდაგულ ლექსებსა და, ამას კი უფრო ენა ექვაება, რადგანაც ბევრი სიტყვის კაცია და, ისევე ის ენა არ ათქმევინებს? — მერვე ისა გვააქ ქართველებს კარგი, ჩვენგან ყველაფერი მოსალოდნელია — მოულოდნელები ვართო. კიო, სწორიაო, დაყვებით ესმის და, მართლა, მართლაო? — სიხარულით სუ კალთებზე ებლაუქება, კიო, მართლაო, ჩამოესმის, აი ეგ ისე ძალიან მართალია, როგორც რო ზოგი ზღაპარი ვერა სხვა ენაზე ვერაფრით ვერ ითარგმნებაო, სუ დაყვავებით ჩაესმის და, თან, გახსენებია ძველიც, ახალიც, აჩუყებია ჩიტის გული და, რა ქნას, ჯერ დედას ამოეფაროს? — თანაც ბაღლია, და დედისაგან აღრე გაგონილ იმ თოთხმეტ სიტყვას ისე იძახის, ცრემლები სცვივა.

რა სიტყვებია?... აი, ხანდახან ზღაპარიც კი ამით მთავრდება. მაგრამ იცის რომ, სიღინჯე მართებს, რომ სხვანაირად არ გამოვა არაფერი და, დინჯად იხსენებს ახალსაც, ძველსაც, და მაინც, როგორ ფორიაქდება! — ისე უხდება ძველსაც, ახალსაც, ეს ნაღვლიანი —

ზღაპარ იყო, ზღაპარ იყო, ვალას ჩიტი
მამკედარიყო,

დიდ ქვაბში ვერ ეტეოდა, პატარაში
კარგა იყო,

მაშ.

მშვიდობით, არავყო

არავგი ბრძოლის სიმბოლოა.
ის კი ავეისტოს დანებებია —
წევს მოღლილი და მინავლებული
და აღარ გჯერა ის რკინის ხმები —
მთებს რომ ღუნავდა —
ამ დამშრალმა წყალმა ისროლა.
...დრო მოვა,
ხმაში გაერევა ისევ რკინის ხმა,
ჟამი დადგება — დაუშვებენ წვიმას ღრუბლები,
ჟამი დადგება ხათავეში ზეავების დნობის.
ახლა კი მე მგავს —
გრგვინვისა და დუღილის შემდეგ
სტაბილურ ფორმას, სტაბილურ რიტმს შერიგებულ
და მოკრძალებით მიმავალი საღ კლდეებს შორის.
მაგრამ ცოტა ხნით
და ვაი, რომ ცოტა ხნის შემდეგ
ველარ იყვები,
ჩვენ სხვადასხვა გზა დაგვიძახებს.
გემშვიდობები,
წალი მაგ შენს დროთა ბრუნვაში,
მშვიდობით, ჩემო უცვეთლო ძმავ, არავყო,
კლდეზე მიმსხვრეულ ტალღასავით გამოშვიგლოვე.

ბრმა ტყვიამ მოკლა

ბრმა ტყვიამ მოკლა.
კაწალხევის გადასავალთან,
ლუთხების ზემოთ ეგდო არყებთან.
სამოცი კაცი წაიყვანეს იმ გაზაფხულზე
გუდამაყრიდან.
სამოცი ბიჭი —

სიყვარული,
 იმედი, რწმენა.
 გზებზე ამაყად დაფრინავდნენ მათი ცხენები
 და მათ სახელებს ლაჩრის სუნი არ ასდიოდა.
 სამოცი კაცი წაიყვანეს იმ გაზაფხულზე —
 რეაის ოთხი წლის აჯანყების მონაწილენი
 (ამ აჯანყებამ, როგორც ნალმა, უცებ იგრავეინა
 და ნალმის მძაფრი გრიალივით უცებვე მიწყდა).
 აი, ამ კაცმა —

ახლა რომ წევს გადასავალთან,
 თავისი ხელით ჩამოწერა ის სამოცივე
 და სია მისცა აჯანყების გამომძიებლებს.
 იმ სამოციდან ერთიც კი არ დაბრუნებულა.
 უცხო მიწაში ჩაღმა მათი ჯავრის პერანგი,
 უცხო ქარებმა ჭაბბნიეს გულებს კვნესა,
 მთები კი იმათ დაბრუნებას დღესაც ელიან —
 ასეთ ჭრილობას გამთელება არ უწერია.

...„ბრმა ტყვიამ“ მოკლა...

„ბრმამ“ კი არა, ხეობამ მოკლა,
 ღრუბლებმა მოკლეს,
 საფლავებიდან ამოსულმა პაპებმა მოკლეს,
 პირიშუგმ მოკლა,
 ჩოხის წმინდა გიორგიმ მოკლა,
 საერთო თოფმა —
 გუდამაყრის ხეობამ მოკლა.

ბრმა ტყვიამ მოკლა,
 კაწალხევის გადასავალთან,
 ლუთხუბის ზემოთ ეგდო არყებთან.

გავევითა ნახატავის გამოყენა

გაფერადებული თოვლის ფიფქები.
 გაფერადებული ყინულის ლოლუები.
 გაფერადებული დღე.
 გაფერადებული ღამე.
 — ლურჯად შეღებეთ ეს მკაცრი მზერა!
 — მწვანედ შეღებეთ ამ კაცის გული!
 — წითლად შეღებეთ ამ ყორნის ფრთები!
 — ია ჩაფინეთ ამ მგლის თვალებში!
 იქნებ ყველაზე ძვირფასი რაც აქვთ
 აღამიანებს,
 ა, ეს ჩხიკვის ჭრელი ფრთებია.
 იქნებ ისაა ჩვენი თილისმა —
 ქვებს რომ გვესვრიან,



გულში ისარს რომ გვიმიზნებენ
 ის ფრთები გვშველის.
 — გააფერადეთ. გააფერადეთ...
 — გააფერადეთ, არ დანებდეთ, არ შეგეშინდეთ,
 — გააფერადეთ ეს სასტიკი ერთფეროვნება.

შვიდი-რვა წლისა ვიქნებოდი,
 იმ ასაკისა, როცა ბავშვებში
 გაცვლა-გამოცვლის ბუმი იწყება.
 ცელიან დანებს,
 რევოლვრის გილზებს,
 წიგნებს, თხილამურებს...
 მე ერთ შეზობელს ჩიხკვის ფრთაში ორდენი მივეცი.
 ის ორდენი პაპასი იყო —
 პირველ მსოფლიო ომიდან ჰქონდა
 ჩამოტანილი.

თავისუფლება

ფრინველის ფრთების,
 მყინვარების და ვარსკვლავების,
 დეკის ყვავილის სუნი ასდის თავისუფლებას.

მეტრო.

აქ მხოლოდ ისაა, რაც ზევიდან ქვევით ჩაიტანეს.
 თავისთვის მიმსხდარი მოფიქრალი მგზავრები —
 ღუღუნებენ წისქვილებივით,
 ზოგი ჭირის ფქვილს ფქვავს,
 ზოგი — ლხინისას.
 ზოგის ხეივანი სავსე არის,
 ზოგისა უკვე ჩამოვიდა.
 მე მიჭირს ფიქრის დარანში ყოფნა
 და როცა ზევით ამოვდივარ,
 ფეხი თვითონვე მოძებნის ხოლმე
 ასანთის კოლოფს ან დაკმუჭნულ ქაღალდის ნაგლეჯს,
 ეღლაბუცება — იმ ორმოდან ამოვედიო.

თვალი —

თვალი კი სასწაულით ახერხებს დასხლტეს
 მეტროს კარებზე მოლივლივე ხალხის გუბიდან
 და ცაში აღის —
 ხის წვეროვებთან,
 ქარით წაღებულ ყვითელ ფოთლებთან
 ქალაქის თავზე აფრენილი ფრინველის ფრთებთან.

ფრინველის ფრთების,
 მყინვარების და ვარსკვლავების,
 დეკის ყვავილის სუნი ასდის თავისუფლებას.

ცოდვია ცაში ფრინველის მოკვლა

ეროვნული
ბიბლიოთეკა

ცოდვია ცაში ფრინველის მოკვლა.
იფრინოს თავის სიყვარულთან, თავის ქარებთან.
ჭერ დააცადეთ,
ჩამოფრინდეს, ხის ტოტზე დაჯდეს.

* * *
ისე ახლოს იყავი,
როგორც წვიმის წვეთი მინის მეორე მხარეზე.
მე ვერ შევიძელ შენთან მოსვლა.
ვერ ჩავამსხვრიე მინა, რადგანაც
ვიცოდი, წვეთიც დაიმსხვრეოდა.
შენ კი ბრჭყვიალებდი,
შენ კი აღმასებს ისროდი
და შენს გაშლილ ფრთებს სხვას ატოლებდი.
მე კი იმიტომ შეგხვდი, რომ მეგრძნო,
როგორ მთიწევს დანა გულისკენ.
შენ ბრჭყვიალებდი —
გულისკენ დანებს ისროდი.

ცოდვია ცაში ფრინველის მოკვლა.

მე კი ეს მკითხა

გაზაფხულია.
მოფრინდა მერცხალი.
ჩამოიარა ჩვენი უბანი.
სულყველას რაღაც უთხრა და ჰკითხა.
მე კი ეს მკითხა:
— რატომ მოკლეს ჭაბანათ გიო,
დღეს გულსაკლავად შემომტირა მისმა სახლ-კარმა.
...მე ვერაფერი ვერ ვუპასუხე —
თქვენს გამო შემრცხვა, შამშეს შვილებო,
თქვენზე თქვენს —
ფული შეამჩნიეს, მაგათ მოკლესო.

• • •

ახლოს სიყვარულია, შორს კი ინდრეთია,
შორს კი არაბეთია, კიდევ მხარე ქაჯთა,
გაღებულა კარიბჭე, ყველა ზეცა ერთია,
გადიფრინა შურთხმა და გულანშაროს დაჯდა.

პოი, ჩვენო ასმათო, დაო, ღვთიურ ტანჯვის,
ერთგულების ფასად გულმა რა ისურვა:
სამფლობელო დიდი და დევების განძი,
თუ დავიწყებული ნაღველი და ურვა.

შორეული წინაპრის საოცარო სევდა,
შორს, არაბეთს იქით, შიფრინავ და მიჰქრი,
აღზევებულ შამულის სხვანაირი შზე და
სხვანაირი სიცოცხლე, სხვანაირი ფიქრი.

მოუძღვება ოქრო დიდვაჯართა ამქარს,
გაუმზელენ მეფეს ზრახვებს გულში ნადებს,
დიდი წინაპარი წიგნს უცხოს და ახალს,
როგორც ნანადირევს, ტახტის ახლოს დადებს.

ცაში შვიდი ფერია, კიდევ ერთი ღმერთია,
კლდეზე გრძნეულებით ფეთქავს მხარე ქაჯთა.
შორს კი ინდრეთია, კიდევ არაბეთია,
გადიფრინა შურთხმა და გულანშაროს დაჯდა.

ყველგან ვბრუნდები

როცა თბილის ტოტს შემოსული ნაყოფი ცვივა,
ჩემი სიმწიფის უამი დგება და მიწას ვწყდები,
მიწავ მშობელო, შენს დამზრალ ტანს, სველსა და მცივანს,
დავებრუნდები გაზაფხულზე საკუთარ ნებით.

ჩემი მოყვასი: ქვა და ბუჩქი, თოვლი და შხეფი
 მიმოფანტული კლდე-ღრეებში ძმები და დები.
 ჩვენ გვყავდა ერთი წინაპარი, კეთილი ელფი,
 და ერთმანეთის სიახლოვეს გუმანიოთ ვხვდებით.

ეროვნული
 გენდლირთიქვა

შიერეკება ვუთნისდედა შავ ხარებს ოჩანს
 დასავლეთისკენ, ბილიკი ჩანს ვიწრო და მრუდე,
 ირყევა მიწა და ჩემს წითელ ფრჩხილებზე შოჩანს,
 თქვენი ნაყოფი, ფოთოლცვენა და ჩიტის ბუდე.

თითქოს მე შქონდა უტურფესი, ლამაზი სახლი,
 თითქოს მე შქონდა შშვენიერი, ლამაზი ბედი,
 თითქოს გკოცნიდი ყვითელ ტოტებს მიწამდე დახრილს
 და სხვანიირი იყო ჩემი უცნობი დედა.

თითქოს მე მიცდიოთ, თითქოს მნატრობთ, თითქოს მომელით,
 თითქოს დავბრუნდი ჩვენს სახლში და იქ არვინ იყო.
 მე შეშინია, თითქოს ვიყოთ მამით ობლები,
 არვინ მოგიბტეთ, არვინ გიმტროთ და დაგიბრიყვოთ.

მე მახსოვს თქვენი სახეები, მკაცრი და ურჩი
 ჭიუტ მზერაში ისევ ნახავს სიყვარულს სამყოფს
 და ჩემი ღვიძლი ნათესავი ასკილის ბუჩქი
 შემოდგომაზე ჩემი სისხლით შელებავს ნაყოფს.

ასე მოვდივარ, ასე გეძებთ, განატრობთ და გეტრფით,
 თქვენთვის ვილაკამ მიკანონა თავის გაწირვა
 და, როგორც ჩვენი წინაპარი, კეთილი ელფი,
 ყველგან ვბრუნდები, ყველგან ვარ და ყველგან დავძრწვივარ.

• • •

იგივე დარჩა ყველაფერი: ნისლი აწყურთან,
 აყვავებული მთვარეები ვარდის ტოტებში,
 ბუმბერაზი ქვა თავწარგული მინდვრის წარსულში —
 მინდვრებისა და ყვავილების ძველი ტოტემი.

იგივე დარჩა ყვავილების ფერი და ჭიში,
 უუძველესი სახელებით, ია, სოსანი.
 და საქართველო ლურჯკაბიან ღიღილოს ძირში
 გადმოხვეწილი, დამალული იესოსავით.

იგივე დარჩა ყველაფერი, ცაცა და მიწაც,
 ჩვენ შევიცვალეთ, მოვიხურეთ მერმისის ფარჩა
 და საკუთარი თავის ზიზღმა გადაგვავიწყა.
 რაც გვეყვარდა და რაც ბოლომდე იგივე დარჩა.

იგივე დარჩა უცვლელი ქარების ნიში,
 მებრუნებელი ველ-მინდვრების წარმტაც ოსანიოთ
 და საქართველო ლურჯკანიან დიდილოს ძირში
 გადმოხვეწილი, დაშალული იესოსავით.

ეროვნული
 ბიბლიოთეკა

თქვენს ორ სახელში

სალამოს, როცა სახლის წინ ვსხდებით,
 ვხვდებით, რომ უკვე წავალთ ვერსაით,
 ასე სხდებიან მიწაზე სხვებიც,
 ასე უცქერენ ღრუბლებს ჩვენსავით.

ადამ და ევა, ცა მოჩანს ბაცი
 და ჩვენი თავი, თუმცა გვემტერა,
 სუყველა ქალი, სუყველა კაცი.
 თქვენს ორ სახელში კარგად ეტყევა.

ასი, ათასი და მილიონი,
 ბოლოს და ბოლოს ჩვენ ვრჩებით ორი,
 სამოთხის გარეთ, ძალზე იოლად
 მწიფდება მარწყვი, წითლდება მოლი.

სალამოს, როცა მიწაზე ვსხდებით,
 წინდის ყელივით დუმილს რომ ვარღვევთ,
 სინხლი იხსენებს ჩვენს წარსულს შვებით
 ჩუმად გვითრთოლებს დაჭიმულ ძარღვებს.

და მისი გვესმის ხმა და ძახილი,
 ვისაც ბავშვობა არად უღირდა,
 ადამ და ევა — ორი სახელი
 წამოღებული პირველ ღრუბლიდან.

ახლაც იმ ღრუბლებს ვუცქერით ცაში
 და იმათ ერთგულ დობილებს — ნისლებს
 და, როგორც გვიან, მშობლიურ სახლში,
 თქვენს ორ სახელში ვბრუნდებით ისევ.

მე როგორ დავთმომ

დღეს ორ კარებთან ავლილ-ჩავლილი
 გაბეზრებული ორგვარ ომითა,
 მე როგორ დავთმომ ეშმას ყვავილი,
 თუ შენ სანაცვლოდ ფრთებს არ მომიტან.

თუ ეს მიმართავს თორვე ბუნება,
 ნეტავი იცოცხლებ მხოლოდ ამითო,
 რომ მზემ ჭრილობით შემკული ყელი
 წარმართი ხავეთ ისევ გამოიბოსა

რომ მიწა სავსე წარსულის ღველფით
 აბალახებდეს სისბლისფერ ხარებს
 და აღტაცებით მიჰქროდეს მეფე
 ცისა და მიწის მეხუთე მხარეს.

რომ ღრუბლის ჩიტი ისევ მოფრინდეს,
 წარსულის ნისლში მე რომ მომწონდა
 და მოთმინება აღარ მყოფნიდეს
 ლურჯ ტაძართან და წარმართ კოცონთან.

რომ ავადმყოფმა ხველებ-ხველებით
 სიკვდილის წაშში არ ვაქცეა — შემინდე,
 მხრებზე გავიდო ჩემი ხელები
 და სიძულვილში ისე შევიდე.

და თუ კარებთან ისევ ჩავივლი
 გაბეზრებული ორგვარ ომითა,
 მე როგორ დავთმო ეშმას ყვავილი,
 თუ შენ სანაცვლოდ ფრთებს არ მომიტან.

ჯეჯილი ბანზე

ვმრიალებ, როგორც ჭეჭილი ბანზე
 და როცა ზეცას მოუვა თვლემა,
 მიხსენებს წვიმა მწირსა და ნამზევს,
 ძველი მტერივით, მარბევს და მთელავს.

ბავშვის გულიდან თუ კულულიდან
 ამოსული ვარ და მტერს ჰგონია,
 ვითომ ყანა ვარ მარტო ჩუმი და
 სხვა საფიქრალი არა მქონია.

მაგრამ ჩემს პატრონს ვახსოვარ რაკი
 და ცოცხალი ვარ, ომედი მეც მსურს,
 ჩემს ფესვზე მშვიდად ჰკიდია ჭრაქი,
 შემოსხდომია ქალაბი ფეშხუმს.

ჩემს ქვეშ სოფელი ცხოვრობს ნამდვილი
 და ემზადება რომ მტერს ანანოს,
 ვარ იღუმალი ვინმე პარტვილი,
 მტრისთვის კი მხოლოდ მწირი ყანა ვარ,

მე ვარ იმედი და ზეცა დამშხერს,
 სანამ ვმრიალებ და სული მიღვას,
 ვარ ამოსული ჭეჭილი ბანზე
 ბავშვის ცრემლიდან და კულულიდან.

ოთხი დღე ნაირის ქვეყანაში

შეიქმნა საშობლოს ხსნის ეროვნული კომიტეტი, რომელსაც სათავეში გამოცდილი სამხედრო მოღვაწე მეფის გენერალი ანდრანიკი ჩაუდგა. ანდრანიკის ხელში თავი მოიყარა ქვეყნის მთელმა ძალაუფლებამ. სარდალმა უმაღლესე მიიღო გადაწყვეტილი ზომები. რეგულარული არმიის ქვეგანაყოფთა უმრავლესობა, რომელთა ერთ ნაწილს უშუალოდ დედაქალაქის მისადგომების დაცვა უნდა დაკისრებოდა, ფრონტზე, სომხეთის ფარგლებში ომის გამოუცხადებლად შემოსული ასკერების სათვის გზის მოსაჭრელად გაიგზავნა.

მრავალი ბრძოლის ცეცხლში გამოვლილმა გენერალმა ანდრანიკმა, რომელიც მადლიერმა ერმა, შემდგომში სომხეთის სახალხო გმირის მაღალ კვარტლებზე აიყვანა, კარგად იცოდა და სხვებსაც ასე უნერგავდა, რომ თურქებთან სომხების ომი კაცობრიობის ისტორიაში აქამდე ცნობილ არც ერთ ომს არა ჰგავდა.

გენერალ ანდრანიკის მიერ გაგზავნილი მცირერიცხოვანი რეგულარული ჯარის ავიანგარდი, რომელსაც ზურგს სახალხო ლაშქარი უმაგრებდა, მტერს არაქსის ნაპირებთანვე შეხვდა და მას სამკვედრო-სასიციოცხლო ომი გაუმართა. ოსმალები ამას არ მოელოდნენ, საერთოდ არ ფიქრობდნენ,

თუ ეინმე წინააღმდეგობას გაუწევდათ და, ხანმოკლე შეტაკების შემდეგ, რომელშიაც საგრძნობი ზარალი მოუვიდათ, იძულებული გახდნენ უბრძოლველად დაკავებული და უკვე უწყალოდ აკლებული სოფლები დაეტოვებინათ და უკან დაეხიათ. მაგრამ ეს უკანდახევა დროებითი აღმოჩნდა. მათ ძალა მალე მოიკრიბეს, შეთხლებული ზოგები შეივსეს და ლარიბულად შეიარაღებულ სომეხ მოლაშქრეთა ავიანგარდს, რომელსაც არც ზარბაზნები გააჩნდა და არც თანამედროვე ომის წარმოების რომელიმე სხვა საშუალება, კვლავ შემოუტეეს. ის დღე და მთელი ღამე ორივე მეომარი მხარე გარდამავალი უპირატესობით იბრძოდა, უკვე დანგრეული, დამწვარი და მიწასთან გასწორებული სოფლები ხელიდან ხელში გადადიოდა.

სანამ დედა-სამშობლოსათვის თავგანწირული მამულიშვილები მტრის ურდოს არაქსის პირას ებრძოდნენ და საკუთარი სიცოცხლის ფასად ქვეყნის სიღრმეში შემოსასვლელ გზას უღობავდნენ, გენერალმა ანდრანიკმა მოასწრო, სარდარაბატის სერზე, რომელიც არარატის ველს ოთხივე კუთხივ თავზე დასცქერის და ყრუდ კეტავს ერევნისაკენ მიმავალ კომუნიკაციებს, ხანგრძლივი თავდაცვისათვის განკუთვნილი ზღუდე მოაწ-

ყო და გადაწყვეტი ბრძოლის მისაღებად მოეშადა.

თურქული შენაერთის საბრძოლო დროშები სიმბერეების წინ 23 მაისს გამოჩნდნენ და შაშხანის სასროლ მანძილზე დაიბანაკეს.

თუ სადმე უთანასწორო ბრძოლა გამართულა, ერთი მათგანი სარდარაპატის ბრძოლაც იყო. თურქეთის რეგულარული არმიის გამობრძმედლი ნაწილებს წინ გადაუდგა არა არმია, არამედ პირველ დამახებისტანავე სახელდახელოდ თავშეყრილი შეიარაღებული ხალხი, სომხეთის მშვიდობიანი მოსახლეობა, ხელში თოფის აღება და ვისიმე სისხლის დაღვრა თავში აზრადაც რომ არ მოსვლია, ერი და ბერი, მოხუცი და ახალგაზრდა, კაცი, ქალი თუ უწლოვანი ბავშვი, მაგრამ ეს ხალხი, ქვეყნის სისხლი-სისხლთაგანი და ხორცი-ხორცთაგანი, ისე იყო აღტკინებული მტრის სიძულვილით, ისე არად უღირდა სიცოცხლე, თუ მშობლიურ მიწა-წყალს მოსისხლე მტერი დაეპატრონებოდა, რომ ეს სიძულვილი და თავგანწირვა სამხედრო გაწვრთნილობისა და პირველხარისხოვანი შეიარაღების მაგივრობას ეწეოდა და მას მრისხანე ძალად აქცევდა.

უკანასკნელი და გადაწყვეტი ბრძოლა 26 მაისს, გამთენიის უამს განაღდა. თურქებმა თავიანთი რეზერვები შეკრიბეს, ორ მძლავრ მუშტად შეპყრეს და იმ მიზნით, რომ როგორმე ერევნისაკენ გაჭრილიყვნენ, რომელიც მათი დახვერვის ცნობების თანახმად, სრულად დაუცველი იყო, იერიში ფლანგებზე მიიტანეს. მტრის ეს ფანდი, რომელიც თვითმკვლელობას უღრიდა, გენერალ ანდრანიკს და მის შტაბს, ეტყობა, გათვალისწინებული და წინასწარ გამოთვლილი ჰქონდა და ფლანგურ დარტყმებს მან მტრის დაუსტებულ ცენტრზე იერიშის მიტანით უქანუხა. ხელჩართული ბრძოლა შეუადრემდე არ შეწყვეტილა.

იმ ადგილას, სარდარაპატის რეზერვზე, სადაც 1918 წლის 26 მაისს ურჩხულ კიდევ გადაწყდა სომხეთის ბედი, 1968 წელს, ოქტომბერიანის რაიონის მშრომელთა ძალებით სამახსოვრო მემორიალი გაშენდა. მემორიალი — რამდენიმე კილომეტრზე გადაჭიმული პარკი, რომლის შუაგულშიაც სისხლისფერ ტუფისაგან აგებული სამრეკლო აღმართულა, შორიდანვე იქცევის აქეთ მომავალი მგზავრის ყურადღებას.

ყოველი წლის 26 მაისს აქ სარდარაპატის ბრძოლაში გმირულად დაღუპულ სომეხ მამულოშვილთა მოსავონარი ზეიმი ძმართება და ზარების საგლოვიარო-საზეიმო გუგუნეც ურიცხვი კირისა და ვაების მომსწრე არაზრტის ველს ეფინება. სომხეთში იშვიათია ოჯახი, სარდარაპატის ომში ვინმე ახლობელი და გულით საყვარელი არ დაღუპვოდეს. ამიტომაც აქ ისე მოდიან, როგორც საგვარეულო ძვალშესალაგში, სადაც საამქვეყნიოდან ნაღრევად წასული სისხლი და ხორცი ეგულებათ.

ცამდე აზილული სისხლისფერი სამრეკლოს წინ ფართო მოედანია. აქედან ჩრდილო-აღმოსავლეთისაკენ მიმავალი დიდების ზეივანი თავისი ორი სტოტი, რომელსაც შუაგულში განიერი გაზონი გაუდის, კიდევ უფრო განიერი წითელი კედლით მთავრდება და იტეება. აქედან მხოლოდ წითელი ლაქა და კედლის გარე შემოწერილობა ჩანს, კედელზე ამოკვეთილი ბარელიეფების სანახავად კი ახლოს უნდა მიხვიდე. ზეივანს თავიდან ბოლომდე ფრთებდაკეცილი არწივებს ბრინჯაოს გამოსახულებები გასდევს. ფრთებდაკეცილი არწივი სამშობლოსათვის უანგროდ ვარჯილი ვალმოხდილი ვაყცაცო, სამარეში რომ განისვენებს. მას, ეს ბრინჯაოს არწივები, სამუდამოდ რომ დაღუმებულან და მძლავრი ფრთები დაუკეციათ, ცოცხალთა თვალწინ დედა-სომხეთისათვის თავგანწირულთა



უკვდავ მსოფნას ანსახიერებენ. ბევრი მათგანი წევს აქ, სამშო საფლავებში, არიან ისეთებიც, ვინც სიცოცხლის დღენი სამშობლოდან შორს დალია და დალილი ძვლები უთვისტომო მოხუცისა უცხო მიწაში ჩაყარა.

ორიოდე წლის წინათ საფრანგეთში ემოგზაურობდი. პარიზის ბერ-ლაშეზის სასაფლაოზე რაღაც აუხსნელი გუმანის კარნახით ერთი უბრალო ძეგლის წინ გავჩერდი. ძეგლს წარწერა ჰქონდა ჩემთვის გაუგებარ რომელიღაც ენაზე და წარწერის წინ, ბრტყელ ქვაზე, სხვადასხვა დროს მოტანილი ყვავილები ეწყო, ზოგი ჭერ კიდევ ცოცხალი და ზოგიც მთლად დამჭკნარა. არც საფლავი და არც თვით ძეგლი ახალს არაფერი არ ჰგავდა. ერთი-ცა და მეორეც უღმობელ ჟამთასვლას საქმოდ შეერუჟა და სანახევროდ გაეშავებინა. მამ, ვინ ჰყავდა ჳირისუფალი? ვინ მოიცალა საფლავეზე ყვავილებს მოსატანად? სათვალე მოვირგე და წარწერას მეტი ჩაიციებით დავაკვირდი. სომხური ჰგავდა. არა, ნამდვილად სომხური იყო! თარჯიმანი მოვიხმარე და სასაფლაოს აღმინისტრაციიდან საქმის მცოდნე ბერიკაცი გამოვიხმე, რომელიც აგრეთვე სომეხი, 1915 წლის გენოციდის დროს თურქეთიდან გადმობხვეწილი ლტოლვილი აღმოჩნდა.

— თქვენ გინდათ შეიტყოთ, ვინ მარხია ამ ძეგლის ქვეშ? — მკითხა მან ფრანგულად და შემდეგ თარჯიმან გოგოს შეხედა, რომელიც მის ნათქვამს რუსულად მითარგმნიდა. — მერე რას გეტყვით ლიტონი სახელი, კიდევაც რომ გითხრათ? გაცივით და წახვალთ! აქ ბევრი ცნობისმოყვარე დადის, უთვალავი. მათი საქმე ერთია — შეხედონ და გაიარონ.

მოსუცი ზომაზე მეტად გაღიზიანებული ჩანდა. ეტყობოდა, იმ კაცის საფლავეთან ვიდრე, ვისი სახელის უბრალოდ, ვისიმე ტურისტული ცნობისმოყვარეობის დასაკმაყოფილებლად წარმოთქმა მკრებელობად მიაჩნდა და

ამას მთელი არსებით ეწინააღმდეგებოდა.

— გაგიგონიათ სომხებში? —
— როგორ არა, სომხეთი ვის არ გაუგონია, მთვარიდან კი არ ჩამოვფრენილვართ, ამას ვარდა, მე ქართველი ვარ.

— ქართველი? ვრაც? — ის უცებ ქართულზე გადავიდა და, ჩემდა გასაოცრად, მკაცრი, პირქუში სახე, ამავე დროს დაუსაბამო ნაღველს რომ ამქლავებდა, ერთბაშად დაურბილდა. — თავიდან გეტყვა. კინაღამ ვაგლანძღე. ამით, ევროპელებს, სიცილიდაც არ ყოფნით ჩვენი გაპირვება. მე გორელი ვარ, არუთინიანცი. გორში ნათესავებიც მყვანდა, გარეშე ბიძაშვილები. მგონი აღარ უნდა იყონ. ქართული კარგად ვიცოდი, ოჯახში ქართულად ელაპარაკობდით, ახლა დამლაპარაკებელი აღარავინ მყავს და თანდათან მახიწყვდება. პატარა ვიყავი, მამამ ერზე რუშში წამიყვანა. იქ ფართლელის სავაჭრო ჰქონდა. ელგეაში მოვყევით. მამა ამ ხელებით დაემარხე. ძღვეს გადაურჩი. მომდევდნენ. ესპანეთის ტანკერზე ავასწარი. მერე აქა ვარ... ეჰ!

— გვეტყვი, ძია? — ფრანგულად შეახსენა თავი თარჯიმანმა, რადგანაც მეტიმეტ ბევრ დროს ვხარჯავდით და გაუთავებელი ლოდინით გულგადაღებული ჭგუფის წევრები საყვედურებით აგვავესებდნენ.

— რა უნდა? — ქალს ხმა აღარ გასცა, ისევ მე მკითხა ქართულად მოხუცმა, შარვლს ჯიბიდან გაურკვეველი ფერის დაჭმუჭნული ცხვირსახოცი ამოიღო, თითქოსდა უბებში ჩამდნარი აწყლიანებული თვალეები მოისრისა.

მე უკვე გამიჭრა ყოველგვარი ხალისი, რაიმე მეკითხა, მაგრამ მაინც ვკითხე:

— ვინ მარხია ამ ლოდის ქვეშ?
— გენერალი ანდრანიკი! გაგიგონიათ? არ გაგიგონიათ, ვატყობთ თვალეებზე. იცით, ვინ იყო?

მაგრამ აქამდე მოთმინებით აღკურვილმა თარჯიმანმა აღარ დაგვაცალა. ტურისტული ავტობუსიდან, რომელიც

უკვე ნახევარ საათს გველოდა სასაფლაოს ჰიშკართან, მხარზე ფოტოაპარატგადაკიდებულმა ახალგაზრდებმა, დნებროძერეიმსკელმა ინჟინრებმა მოგვაცივებეს, რომლებიც მთელი გზა გადაჭარბებულ ყურადღებას იჩენდნენ ყველს თარჯიმნის მიმართ და მამაკაცების ორაზროვან ყურადღებას ჩვეული თარჯიმანიც ორივეს თანაბრად უნაწილებდა იმედსაც და უიმედობასაც.

— იი, ზომ ხედავთ, ამათთვის სულ ერთია!.. — თქვა გულდამწვარმა მოხუცებულმა. ხეირიანად გამომშვიდობება და სანუგეშო სიტყვების თქმაც ვეღარ მოვასწარი. ანდა რა უნდა მე-თქვა? მე რის შეცვლა შემეძლო? ფოტობუსში აბარებების წინ, საიდანაც საფლავი და ძეგლი კარგად ჩანდა, აქეთ გამოვიხედე. მოხუცი ყვავილემს არჩევდა, დამტკნარებებს ცალ ხელში აგროვებდა გადასაყრელად, სხვებს კი გაფანტულად აწყობდა ლოდზე. გული დამწყდა, რომ მოლოდინი მეც, ქართველმაც, ვერ გავუმართლე და გენერალ ანდრანიკის ვინაობის ირგვლივ ჩემი მხრივ ვერაფერი ვუთხარი. თურმე ვის სამარეს უვლიდა, ვინ იწვა ამ ლოდის ქვეშ! მაპატიე, შენი მშობელი ხალხივით ათას ჭირსა და ვაეზბაში გამოვლილო ამაყო ბერეკაცო, რომ ჩემი გაუთვითცნობიერებლობით უნებლიე ტყვილი მოგაყენე, ვერ მიზნებდი, რომ უცხოებაში გადასული მხედრის საფლავი შენი წმიდა სამშობლოა, შენი სომხეთია, თავზე რომ დაჰკანკალებ, ყოველდღე რომ იხსენიებ შენს ლოცვებში და სისოებით მიუბლს იყრი!..

15

სარდარაპატი, რომლის დაცვის და შემდეგ თურქი ასკერების იქიდან გამოდევნას ორივე მხრივ ათასობით ადამიანის სიცოცხლე შეეწირა, იმ დროს ერთი პაწაწინა, ულიმდამო სოფელი და სარკინიგზო სადგური იყო. სოფელი ასამდე კომლს ძლივს ითვ-

ლიდა. ხალხი ნახევრად მიწურებში, საოჯახო პირუტყვთან ერთად ცხოვრობდა და დღიურ იჯრას წივის ცეცხლზე იკეთებდა. ერევნიდან მოშავალი რკინიგზის ხაზი აქედან აღექვსანდროპოლისაკენ, ახლანდელ ლენინბაქანისაკენ და შემდეგ თბილისისაკენ მიემართებოდა.

სოფლის შემდგომ განვითარებასა და რესპუბლიკური მნიშვნელობის ქალაქად გადაქცევაში მისმა გეოგრაფიულმა მდებარეობამაც თავისებური როლი ითამაშა. პაწაწინა სარდარაპატის ნაფუძვარზე აღმოცენებული ოქტომბერიანის მოსახლეობამ დღეს უკვე საგრძნობლად იმატა.

სომხეთის მკვიდრი მოსახლეობის ყოველწლიური, არა შექანიკური, არამედ ბუნებრივი ნამატი არაფრით ჩამოუვარდება, ხშირად კიდევაც აჭარბებს მუსულმანური მოსახლეობით დასახლებულ რაიონებს აზერბაიჯანსა და საქართველოში, რომლებიც ეს ერთი ხანია თითქმის დემოგრაფიული აფეთქების ზღურბლზე მრავლდებიან. არა მგონია, ყოველივე ეს სომხეთში სტიქიურად ხდებოდეს და საქმეს შეტეხებული სომეხი ახალგაზრდების პატრიოტული სულსკვეთება და რესპუბლიკაში შექმნილი სათანადო სოციალური პირობები არ წარამართავდეს.

ჩა სანატრელი სულისკვეთება! „ღმერთო, ღმერთო, ეგ ხმა ტბილი გამაგონე ჩემს მამულში!“ ამდენ ხოცვა-ჟლეტასა და ტყვეთა სყიდვაში ჩვენც, ქართველობაც, ხომ სწორედ ამან შემოგვინახა. მოსახლეობის ბუნებრივი აღწარმოება რომ არ ყოფილიყო, ქართველი კაცი რომ ორსა და სამ შვილს დასჭერებოდა, ანდა სულაც ერთს, როგორც ახლა მიღებული, დღეს ჩვენი მსენებაც აღარსად იქნებოდა. მაგრამ დღევანდელი ლბინი განა იმას ნიშნავს, რომ ხვალიც უთუოდ ლბინი იქნება შენს ჰერქვეშ? საქმეს წაახდენს რეგენი, ფთოერაკს დააბრალებსა — უთქვამს ჩვენს მამა-პაპას. როდი კმარა ბრძნული ანდაზის ზეპირად დამწავლა. ის იმისთვის არსე-

ბობს, რომ შიგ ჩაქსოვილი სიბრძნე
კაცმა თავის სასარგებლოდ ამოიკითხოს
და ცხოვრებაში გამოიყენოს.

აღვილი, სადაც ამეამად ქალაქი და
რაიონული ცენტრი ოქტომბერიანია,
ლიტსესანიშნავად იმითაც უნდა მი-
ვიჩნით, რომ აქედან სულ ახლოა
ძველი აირარატის სამეფოს სატახტო
ქალაქის, ისტორიული სომხეთის ერთ-
ერთი დედაქალაქის არმავირის ნანგ-
რეგები.

აირარატის სამეფო, რომელსაც სო-
მხეთის მეფეთა პირველი დინასტიის
— ერვანდიდების წარმოშობდგენლები
შართავდნენ, სხვანაირად, სხვა ისტო-
რიულ საბუთებში, სპარსეთის სამე-
ფოს მე-18 სატრაპიად იწოდებოდა,
მეფეებს კი, სპარსეთში მიღებული
ტიტულატურის შესაბამისად, სატრა-
პებს უწოდებდნენ.

ნანგრევები რომ მოინახულო, საჭი-
როა, ოქტომბერიანის სამხრეთით მდებ-
არე სოფელ აივანაკის გზას დაადგე,
თვით სოფელი გაიარო და არმავირის
ზეგნად წოდებულ არცთუ ისე მაღალ
ბეჭზე ახვიდე.

არქეოლოგებს არმავირის ზეგანი
გაუთბრიათ და ქალაქის დასრუებისა და
ზეობის დროისათვის დამახასიათებ-
ლი საერო და სასულიერო ნაგებობათა
ნანგრევების გვერდით ელინისტური,
გართან მისგავსებული ტაძრის ნან-
გრევებიც უპოვნიათ. ეს კი იმას მოწი-
მობს, რომ, მას შემდეგ, რაც ალექსან-
დრე მაკედონელის „მსოფლიო იმპე-
რია“ დაიშალა და ნამუსრევს სელევ-
კიდები დაეუფლნენ, ქვეყანა ელინურ
კულტურას დასწაფებია და თავისი
ძველი სარწმუნოება — ცეცხლთაყვან-
ისმცემლობა ელინური კერპთაყვანის-
მცემლობით შეუცვლია.

ერვანდიდების დინასტიის პირველმა
მეფემ ერვანდმა, ვისი სახელი შემდეგ
სატახტო ქალაქსაც ეწოდა, ალექსან-
დრე მაკედონელის ქვეშევრდომობა
სცნო და თავი მის ვასალად გამოაცხა-

და, მაგრამ სულ მალე, როცა მაკედონ-
ძალად შეკოწიწებული „მსოფლიო იმპე-
რია“ შემადგენელ ნაწილებად დაი-
შალა, აირარატის სამეფომ სახელმწი-
ფო დამოუკიდებლობის დროშა აღმა-
რთა და იგი მანამ არ დაუშვია, სანამ
მაკედონელთან ომში ნაბეგვე სპარსეთი
არ მოძლიერდა და კვლავ გავლენის
სფეროების ვაფართოებას არ შეუდგა.

ვარაუდობენ რომ, ერვანდიდების
განმგებლობის ხანას განეკუთვნება
ისეთი დიდი ქალაქების დასრუება, რო-
გორიც ერვანდაშატი და შემდეგ ეჩმი-
აძინად მონათლული ვაგარშაპატია. პი-
რველი მთგანი—ერვანდაშატი აირარა-
ტის ახალ სატახტო ქალაქად გამოცხა-
ლდა. ამის მიზეზი ის იყო, რომ არაქ-
სის ნაპირას გაშენებული არმავირი
არსებობის პირველი დღეებიდანვე სა-
სმელი და საქალაქო შეურნეობისათ-
ვის საჭირო წყლის ნაკლებობას განი-
ცდიდა. შემდეგ და შემდეგ მდგომარ-
ეობა კიდევ უფრო გაუარესდა. არა-
ქსმა თავისი მარჯვენა ნაპირი დაბრა-
მა, ჩამორეცხა, დაანგრია, წყალს გაა-
ტანა და სამხრეთისაკენ გადაინაცვლე-
ბა იწყო, ქალაქს თანდათან დაშორდა.
ამ გარდაუვალი ბუნებრივი პროცესის
შეჩერება ტექნიკურ საშუალებათა იმ-
დროინდელ დონეზე შეუძლებელი იყო
და, რაკი საქმე ასე გაჭირდა, მეფე
ერვანდის ნება-სურვილითა და ბრძა-
ნებით სამეფო რეზიდენცია ახალ, უფ-
რო მოხერხებულ ალაგას გადაიტანეს.
რეზიდენციის ირგვლივ მალე ხალხ-
მრავალი ქალაქი გაჩნდა და სახელად
ერვანდაშატი ეწოდა. გამოხდა ხანი და
ჩვენი წელთაღრიცხვის მეორე საუკუ-
ნეში მეფე არტაშეს პირველმა ერვან-
დაშატი თავისი სამეფო ღირსებისათვის
შეუფერებელ ქალაქად მიიჩნია და კი-
დევ ერთი სატახტო ქალაქი არტაშატი
ცვლავ არაქსის პირას ააშენა.

ხელისუფლებისა და საზოგადოების მიღწეული წარუმატებელი მიტოვებული არ-მაციური, აირარატიის ძველი სატახტო, უეცრად არ გავრანებულა. ის ერთხანს კიდევ ასრულებდა შნიშვნელოვან როლს ქვეყნის საშინაო და საგარეო საქმეებში, მაგრამ უწყლობისაგან გასავათებული ქალაქის საბოლოო დაკნინება უკვე გარდაუვალი იყო და აირარატიის სამეფოს ამ ოდეს-ღაც ბრწყინვალე დედაქალაქმა მეხუთე საუკუნეში მართლაც შეწყვიტა არსებობა.

სომხეთის ისტორიის მამა მოვსეს ხორენაცი ჩვენამდე დაუზიანებლივ მოღწეულ „სომხეთის ისტორიაში“, რომლის ჩინებული ქართული თარგმანი ვრცელი გამოკვლევითა და შენიშვნებითურთ ამას წინათ თბილისში გამოიცა, მანამდე კი მსოფლიოს მრავალ კულტურულ ენაზე გადათარგმნა, არაერთხელ ახსენებს არმავირს, როგორც არმენიის დედაქალაქს.

16

სამბრობა მოტანებული იყო, ჩვენი მანქანა რომ ამტარაკში დაბრუნდა და მდინარე კასახის პირას, ძველისძველ ქვეთიერის წისქვილთან, მწვანე მდელოზე, ჩვენზე ადრე მოსული ვარდგეს პეტროსიანის შავი „ვოლგის“ გვერდით გაჩერდა. ვარდგესი მარტო არ იყო. შოფრის ვარდა მას კიდევ სამი კაცი ახლდა: სკოლის ამხანაგი მწერალი არტაშეს ქალანთარიანი, მხატვარი სლავიკ პარონიანი და კიდევ ერთი კაცი, გზატკეცილების მინისტრის მოადგილე, ვისი სახელიც როგორღაც მეხსიერებიდან ამომვარდა. ეტყობოდა, მასპინძლები თითქმის შთელი საათის მოსული იყვნენ, ლოდინი კიდევაც მოსწყენოდათ, თუმცა აქაური ბუნების სილამაზის ცქერას და მშუილით მომავალი ბრალივით ანკარა მდინარის

სიახლოვით დატკობას არაფერს ჯობდა, და სწორედ ამ წუთში [არაფერი] გამოვჩენილიყავით, შესწავლის დასრულებისასაც აპირებდნენ.

ვარდგეს პეტროსიანს მეგობრები შემთხვევით ნიშნის მიხედვით როდი შეუტრება. დიმილიანი, გულმართალი არტაშეს ქალანთარიანი ბევრ ქართულ მწერალთან ძმურად დაახლოებული და საქართველოსთან, კერძოდ, თბილისთან ნათესაური ძაფებით დაკავშირებული პიროვნება იყო. მხატვარს, სლავიკ პარონიანს, ქერა, ცისფერთვალეა, სპორტული აღნაგობის შალა-შალა კაცს, რომელსაც ამდენ ტანმორჩილ ხალხში თითქმის თავისი სიმადლის გამო რცხვენოდა და აღარ იცოდა, ორთაყვირივით გრძელი ხელები და კვერთხით ბრტყელი მხარბეჭი სად დაეშალა, საგარეო სახლი ჰქონდა სადღაც არაგაცის მთებში, სადაც ვახშად უნდა შეეჩერებულყავით. გზათა მინისტრის მოადგილე მისი ახლო ნათესავი იყო და თავს მხატვრის ოჯახის საჭირო სურსათ-სანოვანთანთარიანთან ერთად.

ჯერ ვახშად დასხდომა არ გვეჩქარებოდა და რადგანაც არც მასპინძლები იჩენდნენ სულსწრაფობას, ისევ მანქანებს მივაშურეთ, საღამომდე დარჩენილი ძვირფასი დრო უქმად რომ არ დაგვეკარგა. მე ამჯერად ვარდგეს პეტროსიანის მანქანაში აღმოვჩნდი, ბალღვით დარცხვენილ არტაშეს ქალანთარიანთან ერთად.

— როგორ მიდის საქმე, რაფის იუბილე კიდევ ხომ არ გადავდეთ? — ხუმრობით გვითხვ ვარდგესს, როცა ამოვივაცეთ და ძველებური ფილაქნით მოკირწყლული ვიწრო ქუჩით კვლავ მის მშობლიურ ამტარაკში შევედით.

— აჰ, არა, — სიცილით მიპასუხა მან, წინ გადმოიხარა და შოფრის რაღაც უთხრა სომხურად, უთუოდ მარშრუტი დაახუსტა. — ზეგ შვიდ საათზე ოპერისა და ბალეტის თეატრში ვიკრიბებით.

— სტუმარი ბევრი ჩამოვიდა?

— ჩამოდიან ნელ-ნელა. უმეტესობას ხეალ ველოთ.

— ასე რომ, ჩემსავით აღრიანად კარზე სხვა არავინ მოგდგომიათ. პირდაპირ სასაცილო ამბავი დამემართა. მერე საშინელ ცაიტნოტში მიანიც არ ვიყო, დანა და ყელი ერთად არ მქონდეს. სამუშაო არც ამილაგებია, გაშლილი დავტოვე, ზევ დაებრუნდები და ასევე გავაგრძელებ-მეთქი, წუთებს ვითვლიდი. სწორად უთქვამთ, მოჩქარეს მოუგვიანდესო.

— სამაგიეროდ, ცოტაოდნად მიანიც ნახეთ სომხეთი. მადლობა რაფის, რომ ჩამოსვლა გავაბედინათ. მთავარი პირველი დამერა იყო, როგორც პირველი სირჩის დაღევა. აწი ჩამოსვლა გავიადვილდებოთ და კიდევაც გავშინაურდებით!

— წარმოიდგინეთ, სწორედ ეგ არ მინდა, ვარდგეს. უცხოობის გრძნობას რომ ვკარგავ, ჩემს თვალში საგანს მიმზიდველობა აკლდება. ორი დღეა, რაც მე სომხეთში ვარ და წყალში ჩაგდებული ღრუბელივით ხარბად ვისრუტავ ყველაფერს. თქვენებრ შეჩვეული რომ ვიყო, ალბათ, ამის ნახევარსაც ვერ გავიგებდი და ვერ ვიგრძნობდი.

— გეთანხმებით. გაუცხოებაში არის რაღაც თავისებური სილამაზე და იღუმალი მიმზიდველობა. მე ძალიან ბევრი მიმოგზაურია, კოლუმბს ტოლს არ ვუდებ, მთელი დედამიწის ზურგი, შეიძლება ითქვას, ფეხდაფეხ შემოვიარე და ეგ გრძნობა ჩემთვის ნაცნობია. კაცს ისევე ერთი სალოცავი სამშობლო გაქვს, როგორც ერთი ოჯახი, ერთი დედ-მამა, ერთი მშობლიური სახლი, სადაც შეგიძლია და მორალური უფლებაც გააჩნია თავი მასპინძლად იგრძნოს.

— ზუსტად მიმიხვდით, ვარდგეს! მეც სწორედ ეგ მინდოდა მეთქვა. თუ სტუმრის გრძნობას საზოგადოდ დავკარგავ, მე ასე შეგრა, მაშინ მასპინძლადაც არასოდეს არ გამოდგები!

— არა და რამდენ ვინმეს ვიცნობთ, ვინც ყველგან მასპინძელია, ყველგან შინაურია, ნამდვილ მასპინძლად კი თა-

ვი არსად და არასოდეს უგზავნიან, რადგან მასპინძელი რომ იყო, მასპინძელი ნი საყუთარი სახლის ჭერი უნდა გეტუროს!

— ეს სად ვაგზერდით?

— აი, შივსულვართ კიდევაც. ჩამოვიდეთ!..

— რა პატარა საყდარია, ღმერთო!

— ეს კარმრავოტი გაბლავს, ჩვენი საეკლესიო ზუროთმოდერების პატარა მარგალიტი. თუმცა რას ვამბობ, მარგალიტი ყოველთვის პატარაა. სახელწოდება „წითელ საყდრად“ ითარგმნება. კარის ეკლესიაა, მეშვიდე საუკუნის ძეგლი.

ეს მართლაც ერთი ციციკა, უძველესი ღარისებური კრამიტით გადახურული მინიატურული ეკლესია კლდეზე დგას, კლდოვან მადლობზე, რომელიც აქა-იქ დაბზარული ციხის მკვიდრი გალავნით არის შემოზღუდული. საყდრის ირგვლივ ბევრი ხავსმოდებული საფლავის ქვა და ხაჩკარია. უზადო ხელოვნებით ნაქარგი, თითქმის სრულიად დაუზიანებელი შემორჩენილი ხაჩკარები ძველთაძველია.

შემდეგ და შემდეგ კარმრავორის კლდოვანი გალავანი, ეტყობა, სოფლის სასაფლაოდ გადაიქცა და აშტარაკელი აზნაურნი და მდაბიონი აქ მანამ მარხავდნენ თავიანთ მიცვალებულებს, სანამ აქაურობა მთლად არ გაიჭვედა და საფლავებს შორის ნემსის ჩასაგდები ადგილიც აღარ დარჩა.

საყდარი ერთბაშად აღიმართება შენ წინ, მაღალი მოცეკვავე ასულივით ტანკენარი. არა და, რომ დაუცვირდები, ისე პაწაწინაა, ვერც კი წარმოიდგენ, თუ შიგ ოდესმე ვინმე შედიოდა და წირვა-ლოცვა იმართებოდა. ტუფის ქვის მოყვითალო კედლები დალაქავებულა, დამკილულა, ნასკრეტები გასჩენია, გამოფიტულა. ამდენ ქარ-წვივისა და სითბო-სიცივის მონაცვლეობას ვულკანის კრატერიდან ამოფრქვეული ქვაც ვერ უძლებს და დროთა განმავლობაში თავისებურ დეფორმაციას განიცდის. ორნამენტებით მოხატულ ქვის ჩარჩოში ღრმად ჩას-

მული კარიბჭის გვერდით ნიშა სანთლის ნაღვენის ამოუვსია. კედელი იმავე სანთლების კვამლით არის შებოლილი. ორი თუ სამი ნაშუქი ახლაც ბრჩოლავს და ირგვლივ საქმეველის სასიამოვნო სუნს აბნევს...

— აჲ, რა დროა, რა დროს აქეთ დგას სომხეთის უძველესი მიწაზე ეს პატარა ქრისტიანული სალოცავი! მსოფლიოს წამლეკავი სარკინოზები, იგივე არაბები, ეს არის შემოვიდნენ სომხეთშიაც და საქართველოშიაც, ვერაფერს გაუწია დამორგუნველი წინაღობა, ვერაფერს შესძლო მათი ურიცხვი ურდოების შეჩერება! მურვანყრო რიონის მკვიდროდ დანახლებულ დაბლობს შეესია, მოსრა და გაატიალა ყოველივე. არგვეთის მთავრები დავით და კონსტანტინე, მადლიერმა ერმა შემდეგ წმიდანებად რომ შერაცხა, ხალხს რახმაედნენ და გადაწყვეტი ბრძოლისათვის ემზადებოდნენ. ჯერ არაფერს უწყის, რომ თავდადებულ მამულიშვილთა მოწამებრივი სისხლი უბრალოდ დაიდვრება, ბნელეთის მოცუქულებმა სამ საუკუნეს უნდა იბატონონ!

ძველია კარმრავორი, მაგრამ აშტარაის ისტორიულ ძეგლთა შორის ყველაზე ძველი სულაც არ არის. ამ მხრივ პირველობის პალმა წირანავორს ეკუთვნის: იგი მესხეთე საუკუნით თარიღდება. კარმრავორის მსგავსად წირანავორი, ქართულ თარგმანში ნარინჯისფერი, ფლატეზე დგას და კასახის ბეობას ვადასცქერის. დროს, მიწისძვრებს, შესაძლოა, ურჯულო მტრის მიერ დადებულ ნაღმებსაც, ოქროს ხელით ნაგები თვალწარმტაცი ტაძარი არ დაუნდია. იგი დაახლოებით იმავე მდგომარეობაშია, რა მდგომარეობაშიც ჩვენს დრომდე ქუთაისის ბაგრატის ტაძარმა მოაღწია. თალი ჰერითურთ მთლიანად ჩამოქცეულა, ფეხზე მხოლოდ უვნებლად გადარჩენილი კედლები და კამაროვანი აფსიდები დგანან.

შედარებით ხალგაზრდაა აშტარაის კედლე ერთი შუკნინური საყდარი მარბნე, წითელი ტუფით აგებული თუ

შოპირკეთებული, მე-13 საუკუნის ძეგლი, რომელიც იმ დრომდე მდებარეობდა და არც ნახულნი არაა და არც ეკლესიის მამების მხრიდან ყურადღება და შემწეობა არ აკლია.

გავედით თუ არა აშტარაიდან და გეზი არაგაის ლურჯი მთებმსაკენ ავიღეთ, ხუთი-ექვსი კილომეტრიც არ გვექნებოდა გავლილი, მანქანამ რომ მთავარი გზიდან გადაუხვია და ერთ კარგა მოზრდილ კეთილშობილ სოფელში შეგრიალდა.

— სად გაგჩერდით? — უმისამართოდ ვიკითხე მე და უბის წიგნაკი მოვიმარჯვე, რათა სოფლის სახელი ჩამეწერა.

— ეს სოფელი მულნია, — მიპასუხა ვარდგესმა. — ცოდვია, აქ ვიყოთ, სტუმარი გვახლდეს და მულნს გვერდი ავუაროთ!

— რა არის აქ სანახავი?

— უპირველეს ყოვლისა, მე და არტაშესის რუსულის მასწავლებელი, ოდესღაც, პირველ მსოფლიო ომში, მეფის ოფიცერი, უძველესი ისტორიული ძეგლების მოვლა-პატრონობის დიდი ენთუზიასტი, ამჟამად პენსიონერი და სუბგიორგის, იგივე წმინდა გიორგის სახელობის ეკლესიის მცველი. ეკლესია მთლად ძველი არ არის, მე-12 საუკუნეშია აშენებული, მაგრამ სახელგანთქმული ვარპეტების ნახელავია, ჩვენამდე თითქმის უცვლელი სახით მოვიდა და ღირს ნახვა.

ასკეტური შესახედაობის პირხმელი, ბეჭეტში ოდნავ მოხრილი, მაგრამ ჯერაც სიცოცხლის ენით სავსე, დაბლაგვეებული სამართებლით აქა-იქ ნიკაპაკაწრული შიხუცი მასწავლებელი, რომელსაც ჩვენი შესაძლო სტუმრობის ამბავი, ეტყობოდა, წინასწარ შეატყობინეს, მანქანიდან გადმოსვლის უმაღვე მოგვეგება, ყოფილი მოსწავლეები გადაკაცნა, გულში ჩაიკრა, მე ორივე ხელი ჩამომართვა, მერე თავის საამაყო მოსწავლეს, ვარდგეს პეტროსიანს, მთლიანად და უბოდიშოდ დევპატრონა, წელზე ხელი მოჰხვია, მასთან ერთად საგრძნობლად დაწინაურ-



და და საყდრის მალალი გალავნის ჭიშკრისაკენ გავეძღვა.

— არ გაგიკვირდეთ მოხუცის საქციელი, — მიჭურჩულა არტაშეს კალანთარიანმა. — ვარდგესი ამათი არჩეულია საბჭოთა კავშირის უმაღლეს საბჭოში და რაილა სოფელში დაიჭირა, თავაზიანობის ფორმალბებებს რაღას დაეძებს, არ უნდა, ბედნიერი შემთხვევა ხელიდან გაუშვას!

— თხოვს რამეს?

— ეკლესიის გალავნის გაფართოებას აპირებს აი, ამ მოედნის ხარჯზე!

— მოედნის ხარჯზე? — მე რატომღაც ერევის წმ. სარქისის სახელობის ახალთახალი ეკლესია გამახსენდა. — მერე შეიძლება?

— არშალუისი დოკუმენტურად ამტკიცებს, ჩვენს პატივცემულ მასწავლებელს არშალუისი ჰქვია, გვირად უკუასიანია, რომ ადრე ეს ტერიტორია მთლიანად და განუყოფლად სუბგიორვის ფეოთენოდა, ოცდაათიან წლებში ჩამოაჭრეს, ძველი გალავანიც მოანგრევენეს და სოფელი იძულებული გახდა ამ მხრიდან ეს ახალი კედელი აეშენებინა. შიგნით მეტისმეტი სივიწროვება. თავვი კუდს ვერ მოიბრუნებს. არა და, მართლაც ხომ არის საჭირო, ძველი რაღაც რაკურსში დაინახო და აღიქვას!

— რას ეუბნება ვარდგესი, პირდება რამეს?

— დაპირებით პირდება, მაგრამ ვერ ვერაფერი გააწყო. ადგილობრივი ხელისუფლება, სოფლსაბჭო, თავს იკლავს, არასგზით არ თმობს მოედანს!

— ისე ვატყობ, ბოლოს მაინც ენთუზიასტი ვაიმარჯვებს.

— ჯერჯერობით ერთით ერთია..

— ძმებო, აქეთ, ახალი ამბავი გახაროთ! — თავის ძველ მასწავლებელთან ბელიხელგადახვეული ვარდგესი პეტროსიანი ეკლესიის ჭიშკართან იდგა, რომლის უკანაც ტუფის კედლის წიბო მოჩანდა, და თავისებური ნაღველშერეული ღიმილით აქეთ იყურებოდა. — ტერ არშალუისი ბრძანებს, რომ

გულითადი მეგობარი ჰყავს საქართველოში!

— და, და! — სიტყვები მასწავლებელს მოსწავლეს მარტოვე მოსწავლებელმა და სავანგებოდ ხაზგასმული რუსული გამოთქმით, რითაც ნიკოლორთქიფანიძისა და შალვა დადიანის თაობის არარუსი ინტელიგენტები მეტყველებდნენ, თითქოსდა რუსული გრამატიკის გაკვეთილზე, პირადად მე მომმართა. — ჩვენ ძველი და განუყრელი მეგობრები ვართ. მართალია, სულ რამდენჯერმე შევხვდით ერთმანეთს, მაგრამ გულმა გული იცნო, ეს შეხვედრები ორივესათვის დაუვიწყარი გახდა და რამდენი ხანიც არ უნდა ვიცოცხო, ვერც ვერასოდეს დავივიწყებ!

— აი, ხომ ხედავთ! — ჩაურთო ვარდგესმა.

— ხომ ვერ მეტყვოდით, ტერ არშალუის, ვინ არის თქვენი მეგობარი? — ახლა მეც ვატყებ ნავსი და ჩემი მხრივ შევეკითხე ყოფილ მასწავლებელს. — იქნებ ვიცნობ?

— ჯერ შიგნით შევიდეთ, საყდარი დავათვალეოთ. მობრძანდით!

გალავნის კედელსა და მოგვიანებით აშენებული სახლის აფურის კედელს შორის ვიწრო ტალანი გავიარეთ და საყდრის ყრუ კედელს გავყვეით. საწვიმრების ჩამოსწვრივ ბილიკი ბაზალტის დიდრონი ფილებით იყო მოგებული და კარიბჭის წინ აგრეთვე ფილებით მოგებულ საკმაოდ ფართო დერეფანს უერთდებოდა. ქრისტიანული ტაძრებისათვის დამახასიათებელი ორნამენტებით მოკაზმულ კარიბჭეს დერეფნიდან უშუალოდ ტაძარში შეყავხარ. ზღურბლს გადავაბიჯე თუ არა, თვალწინ რატომღაც გეპარდის მღვიმის ტაძრები წარმომიდგა, თუმცა მათთან შედარებით მულნის წმიდა გიორგი ბევრად უფრო დიდია, მალალიცაა და მზის სხივებით უკეთ განათებულიც კედლები, სვეტები და გუმბათები შიშველია, ფრესკების კვალი არსად ჩანს. საყურთხეველის წინ, აღსავლის კარის მარჯვნივ და მარცხნივ, ოქ-

როცა უკრავდა შალაშის მანქანებში უთვალავი სანთელი ჩამწვარა და ტაძრის წიგნით სიგრილეში თაფლის სანთლის ხაზი სურნელი ტრიალებს.

— აი, ეს ემბაზია, რომელშიაც ბავშვებს ნათლავენ, — ვარდგესი საყდრის მასიურ კედელთან გაჩერდა და ფაქტობრივად თაფი ნიშაში შეჰყო. ბავშვის გასანათლავი ნელთბილი წყლით ასავსები აბაზანა შიგ კედელში იყო ჩამსული. შეუცნაურა. მართლმადიდებლურ, კერძოდ, ქართულ ეკლესიაში ემბაზია, ჩვეულებრივ, ბრინჯაოს ან სპილენძის საგანგებო ქვაბია და მისი ერთი ადგილიდან მეორეზე გადატანა თავისუფლად შეიძლება, რასაც კედელში ჩატანებულ აქაურ ქვის აბაზანაზე ვერ იტყვოდი.

არ ვიცი, რა ბზიკმა მიკბინა, რა ზნემ წამომიარა, ისე, ჩემს უნებლიეთ მიემართე ყოფილ მასწავლებელს:

— გულახდილად მითხარით, ტერ არშალუის, ღმერთი გწამთ?

— თქვენ კი არა გწამთ? — შკითხა მან პასუხად და თვალეში იმდაგვარი სიმკაცრე ჩაუდგა, თურნალში კუდმოგრებილი ორიანის ჩაწერის წინ რომ ეუფლებათ ხოლმე მოსწავლის სრული უვიციობით განრისხებულ მასწავლებელს. — ვხვდები, მავას რატომაც მუქობთ. გაინტერესებთ, ყოფილი სამხედრო მოსამსახურე, შტაბსკაპიტანი, და შემდეგ სკოლის მასწავლებელი ამ სიბერეში ეკლესიაში რამ მომიყვანა, აბა, სად ჩემი განვლილი კარიერა და სად ეკლესიის დარაჯობა! მე ხომ ეკლესიის დარაჯად ვარ გაფორმებული კულტურის სამინისტროს ძეგლების დაცვის საზოგადოებაში! იმისათვის, რომ ეროვნული ისტორიული ძეგლი დაცვა, ამ შემთხვევაში საყდარი, და შინი სიკოცხლის გახანგრძლივებაზე იზრუნო, მე თუ შკითხავთ, სულაც არ არის აუცილებელი ღმერთი გწამდეს. მიბარებულს ყოველი პატიოსანი კაცი სინდისიერად შეინახავს, მიუხედავად იმისა, სწამს ღმერთი თუ არა. მეც ერთ ასეთ კაცად მიგულისებ. ისე, სიმართლე მოგახსენოთ, მე აქ,

უპირველეს ყოვლისა, სიმბეტის ისტორიული წარსულის სიტყვასწარმოვიყვანა. ისტორიული შეგულებასთან დაკავშირებით მე ბევრი ცხოვრების აზრად და მოწოდებად ვთვლი. რაც შეეხება ღმერთს, მწამს, შეგუწვიოთ მისი მადლი! — მან საკურთხეველს გაახვდა და სამგზის პირფარი გადაისახა. — ეს ხელს არ მიშლის, პირიქით, ღმერთს რწმენა მასწავლის ამქვეყნიურ ცხოვრებას ფილოსოფოსის თვალთ შევხედო და ჩემი ადამიანური ვნებები დროსა და სივრცის უსასრულობაში წარმოვიდგინო. ვეებერთელა მასშტაბებია! კმაყოფილი ბრძანდებით?

მე მხრები ავიწურე და მხოლოდ გაცივდი. რატომღაც მომერია ალიარება, ურიგო როდი იქნებოდა, ყველას რომ შეგვეძლოს მაც მასშტაბებით ვიზუალიზაციით-მეთქი. თუ ამას ვალიარებდი, იგი ლოგიკური აუცილებლობით მოითხოვდა კიდევ მეტი ალიარებას, რაც ამჟამად შორს წაგვიყვანდა და კამათი შესაძლოა დილამდეც არ დამთავრებულყო.

ტერ არშალუისი ისევ წინ წამოგვიძღვა, გარეთ გამოვიყვანა და ცალფა აგურით ნაშენები ფარდულისმაგვარი ქოხისაკენ, რომელსაც აქეთობისას წინ გამოვუარეთ, გულდაგულ გაემართა. ქოხის პარმალში დაბალფეხებიანი სუფრა იყო გაშლილი, იმერეთში ტაბაკს რომ ვეძახით. სუფრაზე თითო-ყურძნის თხელი მტევნები, ლეღვის ჩირი, კომში, ორშიმოსებური სურნელოვანი მსხალი, ლოყებდაბრძული სანთლისფერი ვაშლი, არაჩვეულებრივად ნავარგები მუჭისსიმსხო კაკალი და სხატუმროდ ნაგულეები ციტრუსები იყო დაწყობილი.

— თითო სირჩა უნდა დამილიოთ, აქაურობა დამილოცოთ და არაბატის ველის ამ ნუგბარი ნობათით პირი ჩაიგეშრიელოთ! — აფუსფუსდა მასპინძელი, სუფრის ირგვლივ შემოლაგებულ ჯორჯოებზე გვანიშნა და მასინვე თიხის სურით შემოდგმულ სასმელს და სათითოსოდენა ვერცხლის სასმისს დასწვდა. — სიღარიბის გამო ნუ დამ-



ძრახავთ ბერიკაცს. სამაგიეროდ, რაც მაქვს, ჩემია, სხვისთვის არ წამირთმევია! ეს ჩვენი პატივცემული სტუმრის მობრძანებას გაუმარჯოს, კეთილი ყოფილიყოს მისი ფეხი სომხეთის მიწაზე!

— ამინ! — მორჩილად ვუპასუხეთ ყველამ, ერთმანეთს გაჭხედ-გამოვხედეთ და არაყით გაპიპინებული სასმისები ტუჩებთან მივიტანეთ.

ვარდგესმა დაცლილი სასმისი პირველმა ჩააცვება მჭიდროდ დაწყობილ თეფშებს შორის, ქარვისფერ მტევანს დასწვდა, კუმპალი წააწყვიტა, დანარჩენი მთლიანად მე მომაწოდა და გულთად მასპინძელს, სიხარულს რომ ველარ მილავედა და აღარ იცოდა, იგი ვისთვის გაეზიარებინა, უმცროსი კაცის შეთამამებით ჰკითხა:

— ტერ არშალუის, აბა, კარგად დაფიქრდით, ხომ არაფერი გვავეიწყდება?

არშალუისი სერიოზულად შემფოთდა, თუმცა მის საყვარელ ნამოწაფარს თვალეზში ეშმაკები უსხდნენ, ქილარა წარბები შეყარა და ორივე ნაშრომი ხელი რატომღაც გულისჯიბზე მოისვა.

— პატივცემულ სტუმარს ხომ დაპირდით, რომ გაუმხელდით თქვენს ქართველი მეგობრის ვინაობას?

— უიშე, ღმერთო! — მოხუცმა შუბლზე შემოირტყა ხელი. — სულ გამოჩერჩეტდი. ეტყობა, მართლა მომერია სიბერე, თავი სადღა გამოვყო!

ამ სიტყვებით ის ზეზე წამოდგა, ქოხის კარი ჭრიალით შეაღო, შიგ შევიდა და მერე ერთხანს აღარ გამოსულა. რას ეძებდა იქ? რა უნდა გამოეტანა? როცა კარმა კვლავ გაიჭრიალა და ტერ არშალუისი ისევ დერეფანში გამოვიდა, ხელში სიფელისაგან გაყვითლებული ფოტოსურათი ეკავა.

— აბა, დახედეთ, იქნებ მართლა იცნობთ!

დახვდეთ და საბტად დაერჩი. სურათიდან ჯერ კიდევ ჰარმაგი, მხარბეჭაკირული, ამაყად თავაწეული და თითქოსდა წარმოსახვით მოწინააღმდე-

გესთან შესაბამელად შემართული პეტრე ჰაბუკიანი შემომყურებდა. პეტრე მე რამდენჯერმე მყავდა ხანაზი ქუთაისის მახლობლად, სათაფლიის ტყეში, სადაც თავის მიერვე აღმოჩენილ დინოზავრის ნაკვალევს და უნიკალურ მღვიმეს პატრონობდა. ის მაშინ უკვე მოხუცი იყო, ოთხმოც წელს გადაცილებული, მაგრამ ბუნების კანონზომიერების წინააღმდეგ ამხედრებულს თავი მაინც მხნედ ეჭირა და გალეულ წლებს არაფრად აგდებდა.

— ჰა? გეცნობათ? — შოუთმენლად მკითხა ტერ არშალუისმა.

— დიახ, ვიცანი, ეს პეტრე ჰაბუკიანია, ქუთაისელი მხარეთმცოდნე, ოღონდ აქ ახალგაზრდაა, სამოც წელს მიტანებულიც არ უნდა იყოს!

— სწორედ ისაა! ცვატანემ! ვარდგეს, არტაშეს, შვილებო, ეს ვინ მომიყვანეთ! — შესძახა სიხარულისაგან ცრემლმორეულმა ბერიკაცმა და თავისი ძველი მეგობრის, უკეთესი წლების მოზიარის, პეტრე ჰაბუკიანის მაგივრად გადაამხვია, ხმელ გულზე მიმიყრა. — როგორ არის? ხომაა ისევ ძველებურად? ჩემსავით ხომ არ დაგვიბერდა?

გონიერება გამოვიჩინე და მასპინძლის გულის გასახარად ტყუილების გუდას თავი მოვხსენი. აბა, როგორ გაჩამხელდი სინამდვილეს! ბატონი პეტრე, მთელს საქართველოში უაღრესად სოპულარული და პატივცემული აღმამიანი, ყველას მართლაც უბერებელი ღა უკვდავი რომ გვეგონა, ამ სამი წლის წინათ გარდაიცვალა ისე, რომ ლოგინად არ ჩავარდნილა, ერთი დღეც არ უჯავდამყოფია და არც მოახლოებულ სიკვდილზე უფიქრია.

სურათი უკვე ხელიდან ხელში გადადიოდა. ყველა თავის შთაბეჭდილებას გამოთქვამდა, ცდილობდნენ, სახის გამომეტყველებებში სურათზე გამოხატული კაცის ხასიათის თავისებურება და სულიერი მიდრეკილება ამოეკითხათ.

ტერ არშალუისმა მეგობრის სურათი დაიბრუნა და თავის წინ მსხალზე მიაყუდა.

— ოციანი წლების დამღვეს და ოცდაათიანი წლების დასაწყისში საქართველოს ისტორიულ ძეგლებს დიდი საშიშროება დაემუქრა. ეს ის დრო იყო, როცა მღვდლები ვაპარსეს, მატყუარებად გამოაცხადეს, ეკლესიები დაკეტეს და საეკლესიო ქონების განიავებას, თვით ეკლესიებისა და სხვა ძველისძველი ნაგებობების უწყალოდ ნგრევას მიჰყვეს ხელი. აბა, გაგებოდა და ხმა ამოგლო, მტრული იდეოლოგიის ქადაგებას შეგწამებდნენ და ციმბირი აქეთ დაგრჩებოდა. დღეს ისტორიულ ძეგლებს თვით სახელმწიფო იცავს. ძეგლის დამზიანებელი კანონის წინაშე პასუხს აგებს და მკაცრად ისჯება. ბავშვმაც კი იცის, რომ ძეგლი, არქიტექტურული თუ წერილობითი, ეროვნული საუნჯეა და თვალის ჩინივით უნდა გავუფრთხილდეთ. ყოველწლიურად მილიონობით მანეთს ვხარჯავთ ძეგლების აღსადგენად და სკონსერვაციოდ. მაშინ კი, ოცდაათიანი წლებში, სხვა დრო იყო. წარსულის ნაშთის მოსარჩლე საზოგადოებისათვის საშიშ ელემენტად ცხადდებოდა და მას ისე ექცეოდნენ, როგორც კლასობრივ მტერს, მსოფლიო იმპერიალიზმის პირისხლიან დამქაშს! აი, ეს ცაცი, პეტრე ჰაბუციანი, — ტერ არშალუსმა უკან გადაიწია და თითი სურათისაკენ გაიშვირა. — იყო ის, ვინც თავი გამოიდო, რაც მომივა, მომივიდესო და ეროვნული საუნჯის დაცვა საკუთარი სიცოცხლისა და კეთილდღეობის ფასად იცისრა. ერთ პატარა მავალითს ვაკიხსენებ. აწიეთ ხელი, ვის გაგიგონიათ გეგუთი, გეგუთი?

სუფრის გარშემო შემომსხდარმა სომეხმა მოღვაწეებმა ერთმანეთს გადახედეს და ნიშნად იმისა, რომ ეს სახელი პირველად ესმოდათ, მხრები აიჩჩეს.

მე გამიგონია—მეტქი, შევბედე მორიდებულად, ტერ არშალუსის ცუდი რამ რომ არ ეფიქრა და კიდევ ერთხელ არ აშლოდა ეურნალში კუდმო-

კაუშებულები ორიანის ჩაწერის საღერ-
ღელი.

— თქვენ კი გაგიგონიათ, მაშინ მაღალ ჩამომართვა მან სიტყვა. — თქვენ არც გეკითხებით! აბა, ის ქართველი რა ქართველია, ვისაც გეგუთი არ გაუგონია! გეგუთი სამეფო ციხე-დარბაზია რიონის მარჯვენა ნაპირზე, ქუთაისის მახლობლად, დასავლეთ საქართველოში. თუმცა ახლა სადაღა! ოდესღაც იყო, დავით აღმაშენებელმა და მისმა შემკვიდრებმა ააშენეს. გაერთიანებული საქართველოს დიდი შედეგები — დემეტრე, გიორგი მესამე, თვით თამარი გეგუთს საზაფხულო რეზიდენციად იყენებდნენ და რიონის პირას, ამ დიდებულ ციხე-დარბაზში, ზაფხულის ცხელ დღეებს ატარებდნენ. ჩვეთვის, სომხებისათვის, გეგუთი თუნდ იმით არის ღირსშესანიშნავი, რომ, როდესაც ანისის საკათედრო ტაძარში აღდგომა ღამეს ოსმალო კაციქამიებმა 12 ათასი უიარაღო სომეხი ამოწყვიტეს, მოსისხლე მტრისათვის სამაგიეროს მისაგებად საქართველოს სამეფოს ლაშქარი სწორედ გეგუთიდან წამოვიდა. ეს სიტყვისიტყვით წერია მატიაანებში, ქართულშიც და სომხურშიც. ქართველთა სამეფო სახლში და მთელ საქართველოში დიდი გლოვა სუფევდა. მეფეთა-მეფე თამარს ქვრივის ძაძები ეცვა. გარდაცვლილიყო ქვეყნის ბურჯი, მისი ფარი და მახვილი, თამარის თანამეცხედრე მეფე დავით სოსლანი. ამ დროს მოახსენეს სწორედ თამარს, რაც ოსმალო მკვლელებს ანისში ჩადინათ. ლეთისნიერმა ქალმა, საარაკო გულმოწყალებითა და დამნაშავეთა შენდობით რომ იყო განთქმული, მაშინვე იხმო ამირსპასალარი ზაქარია მხარგრძელი, სამეფო კარისა და დარბაზის სახელით უბრძანა ჯარს გასძლოლოდა და სომეხთა სისხლით გაუმძაღარი თურქები საკადრისად დაესაჯა. ქართველთა მხედრობამ სწორედ მაშინ მიიღწია არღებილს, როცა იქ შამხადიანთა რელიგიური დღეობა იყო და ქალაქის თითქმის მთელი მოსახლეობა მეჩეთში



მუხლმოსყრილი ლოცულობდა. მხარ-
გრძელი მეჩეთში შეიჭრა და მლოცვე-
ლებს დაერია. იმ სამახსოვრო დღეს
საქართველოს მეფის ჯარმა იმდენსავე
მუსულმანს გამოსჭრა ყელი, რამდენი
მშვიდობიანი სომეხიც აღდგომა ღამეს
ანისის საკათედრო ტაძარში დაიღუპა
და დიდძალი ნადავლით გეგუთში დაბ-
რუნდა.

— საინტერესოა, — თქვა ვარდგეს-
მა. — ამბავი ცნობილია, პირადად მე
მხოლოდ ის არ ვიცოდი, თუ იგი და-
სავლეთ საქართველოს და, კერძოდ,
გეგუთს უკავშირდებოდა.

— ჰოდა, ასე, — განაგრძო ტერ
არშალუისმა, — გაიარა მას შერე შეი-
დმა საუკუნეში. თამარისეული პალატე-
ბი ამ ხნის მანძილზე ბევრჯერ დაინგ-
რა და ცეცხლში დაიბუგა, მაგრამ
ხელს მოიწყობდნენ თუ არა, მომდევ-
ნო მეფეები მას ყოველთვის აღადგენ-
დნენ ხოლმე. უკანასკნელად გეგუთის
ციხე-დარბაზი ამ ორასი წლის წინათ
თურქებმა გადაწვეს და დაანგრეს,
მხოლოდ ქვის შიშველი კედლები გა-
დარჩა, როგორც ჩვენს წირანავორში.
იჭაურობა მიყრუვდა, ნანგრევი ნანგ-
რევს მიემატა და ასე გატიალებულმა
მოაღწია ჩვენს დრომდე. ოცინი წლე-
ბის ბოლოს, სოფლად კოლექტივიზა-
ცია რომ გატარდა და კულაკობის ლი-
კვიდაციას შევუდევით, ადგილობრივ-
მა ხელმძღვანელებმა განკარგულება
გასცეს, სასახლის ნანგრევებიდან
თლილი ქვები აერჩიათ, გაეზიდათ და
საკოლმეურნეო ბოსლების ასაშენებ-
ლად გამოეყენებინათ. დახეთ ბედის
დაცინვას! სიბერემდე სიჭაჩლეო, სწო-
რედ ამაზე უთქვამთ. ხალხი, მუშა-
ხალხი შიშობდა, ერთხანს ფეხს იხრე-
ვდა, ღმერთი არ გვაპატიებს, თამარ
მეფის ციხეა, აქ ფეხი თვით თამარს
დაუდგამსო, ვერ არის რიგიანი საქმე
ამ წმინდა ქვების ხელის ხლებათ. თავ-
ცაცებმა იძალეს და თავისი გაიტანეს.
გლუხეაქს რაღა ეწნა, ჩაღუნა თავი და
შიადგა ხარ-ურმით სასახლის ნანგ-
რევს. არავენ რომ არ მოელოდა, სწო-
რედ ამ დროს გამოიღო თავი პეტრე

ქაბუციანმა. მაშინ ახალგაზრდა უკაცო
იყო სტუდენტი, კბილფეხი და მუხ-
და. რაკილა ინსტანციებში წაწალით
ფერაფერს გახდა, წამოავლო ხელი პა-
პის ნაქონ ფილთა თოფს და დასტყვი-
ლა, ვინც ვაჟაკია, შემოვა, ქვებს ახ-
ლოს გაეკარებაო. გლუხეცეცბსაც ეს
უნდოდათ. გახარებულებმა იბრუნეს
პირი. მეორე დღეს თვით თემსაბჭო
გამოცხადდა. პეტრე ღამეს ნანგრევში
ათევდა. იქ კინალამ გველებმა დაკბი-
ნეს. საბჭოსაც მაგრად დახვდა, გალა-
ვანს შიგნით ფეხი არ შემოადგმევინა.
უთუოდ ჰქუაზე გადასულა უბედური,
ნუთუ პატრონი არავენა ჰყავს, რომ
მიხედოსო, ეთქვა თემსაბჭოს თავმჯ-
დომარეს, რომელიც გულისგულში
„გოცს“ ფარულად თანუგრძნობდა და
თავის დასახლვევად უფროსებთან წა-
სულიყო, ასე და ასეა საქმეო. იქ, ეტ-
ყობა, ვიღაცა ჰქუადამქდარი კაცი დახ-
ვდა, ზოგიერთივით ტინგიცა არ იყო.
მიდგა-მოდგა ის კაცი, აწონ-დაწონა
მდგომარეობა და აქეთ შემოუტია თემ-
საბჭოს თავმჯდომარეს, თქვე ოჯახქო-
რებო, ახლომახლო საშენი ქვის შეტი
რა არის, მაინც და მაინც თამარ მეფის
ნაქონს რომ არ მიადგეთ, ძროხები
აგზილავლდებათ, თუ ბოსელი კუთხის
ქვებით არ აუშენეთო? ასე გადაარჩინა
ერთი კაცის თავგანწირვამ დიდი ის-
ტორიული ღირებულების მქონე ნან-
გრევი!

— ბედი ჰქონია, — თქვა არტაშეს
ქალანთარიანმა, გაიცინა და, თითქოს
მომხრებებს დაეძებსო, აქეთ-იქით მიგ-
ვხედ-მოგვხედა. — ვინ იცის, იმ უფ-
როსს, ვინც თემსაბჭოს თავმჯდომარე
პირში ჩალაგამოვლებული გამოუშვა,
რა დაუჭდა ეგ ამბავი!

— შეიძლება, ადვილად შესაძლებე-
ლია! — უყოყმანოდ დაეთანხმა ტერ
არშალუისი. — მაგისთანა რამეები
ხდებოდა? არ გაუვლია სამ წელი-
წადს, პეტრე უკვე მასწავლებელია,
ისტორიას ასწავლის ქუთაისის გინეა-
ზიაში, ახალმა პირმა წამოყო თავი.
რიონის პირზე, ტრიალ მინდორში, ჯა-
ჩი იდგა ბანაკად, საარტილერიო პოლ-

სი თუ დივიზიონი. სასოლოეთისათვის გამოსადეგ მყუდრო ადგილს ეძებდნენ, რაღა შორს წავიდეთო, ეთქვა ერთ ჭკუის კოლოფს და ნანგრევებით მოფენილი უპატრონო გალავანი ეჩვენებინა. არც აციათ თურმე, არც აცხელათ, ატეხეს სროლა და ზარბაზნის ჭურვებით აქამდე უვნებლად გადარჩენილი კიდევ ორი კედელი დაანგრიეს. პეტრე ჰაბუკიანი ამ დროს ლოგინში წევს სიციხიანი, ცაიხის ჩაით ოფლს ადენენ. მოწვედა თუ არა ყურში ამბავი, წამოვარდა თურმე და მიეჭრა არტილერიისტებს უბელო ცხენით. მეთათურს აღარც მკვდარი შეარჩინა, აღარც ცოცხალი, რა არ უძახა, ლანძლა და აგინა, მე შენ გეტყვი, სიტყვა შეეშლებოდა, ბოლოს, მეტისმეტად რომ გაფიცდა, საცემდაც მიიწია. გალავანდა აუცილებლად, სკანდალი მოხდებოდა, პეტრე ჯარისკაცებს რომ არ ეცნოთ, რომ არ ემარჯვათ და შუაში არ ჩაიკვნილიყვნენ. ვინ არის ეს გიგი, დამთხვეული, მომავორეთ, თუ არა არაფერზე პასუხს არ ვაგებო, ეყვირა მეთათურს და მეზარბაზნეებისათვის ნიშანი მიეცა, სწორედ თაღის შუაგულს დაუმოხნეთო. დამოხნება აგრე არ უნდათ, პეტრე ხელიდან გასხლტომოდა ჯარისკაცებს, ნანგრევზე თვალის დახამბამებაში აერბინა და იქიდან დაეყვირა, რაკილა აგრეა, აბა, ჰე, მესროლეთ, ვისაც სიცოცხლე არ მოგყირკებიათო. ვერ ესროლეს, რასაკვირველია, კაცს ხომ ვერ მოკლავდნენ, თუნდაც მართლა გიგი ყოფილიყო, და გეგუთის ციხე-დარბაზის ნაშთი, ამგვარად მეორედაც გადაურჩა მიწასთან გასწორებას. ჰა, რას იტყვიო?

ყველაფერს ვიფიქრებდი, ყველაფერს წარმოვიდგენდი, მაგრამ ჩემი საზოგადოებრივი საქმის გამო სომხეთში მომავალს თავში როგორ მომხვიდოდა, თუ აქ, სომხეთში, არარატის ველზე, სოფელ მულნში, სუბგიორჯის საყდრის კედელთან, ჩვენი სასიქაღულო მამულიშვილის პეტრე ჰაბუკიანის პიროვნული სადღეგრძელოს

დალევა მომიწევდა, თუ სტუმარიცა და მასპინძლებიც დაუწერავო უნდა წინასწარ აღსასრულებლად ფაქტობრივებით წამოვიშლებოდი და ამ ერთადერთ პიროვნულ სადღეგრძელოს ისე მივიკლებდი.

17

არარატის ველზე მანძილები მართლაც მცირეა. აქაურ კეთილმოწყობილ, სანამუშოდ მოვლილ მაგისტრატებზე, თუ მანქანა ნებაზე მიუშვი, საათი-საათნახევარი სრულიად საცმარისია, რომ იგი მთელ სივრძე-სივრძეზე გადასწერო. მულნიდან გასულებმა ერთმანეთისათვის ცოცხალი შთაბეჭდილების გაზიარებაც ვერ მოვასწარიო, რომ უკვე არაგაციის მთებს მივალწიეთ და კალთაზე დაკლავნილ გზას შევეუდექით.

ვარდგესმა სომხეთის მეფე არა მშვენიერი და მისდამი ასირიის დედოფალ შამირამის, იგივე სემირამიდას გაშვებული სიყვარული გაიხსენა. სისხლისმღვრელი ომი, ასირიასა და სომხეთს შორის რომ მოხდა და რომელშიაც არა მშვენიერი სასიკვდილოდ მკვრდგანგმირული დაეცა, სადღაც აქ, მთისძირებში უნდა მომხდარიყო.

გადავიარეთ ერთი, ორი, სამი მკვიდრბურჯებიანი ძველთაძველი ხილი მთის გეგმე მდინარეებზე, შევჩერდით და პეშვით დავლიეთ აქაური წყაროს წყალი. როგორ შეგიძლია, ახლოს გაუარო, დაინახო კლდიდან გადმომსკდარი და გულგრილი დარჩე, ირემივით არ დაეწაფო და თუნდაც სულ არ გწყუროდეს, პირი მაინც არ გაისველო.

უთუოდ ბროლივით ანკარა წყაროებმა და კლდოვანი მთების ვაკეკატორმა სილამაზემ მოხიბლა ნინევიის დიდებულ სასახლეებში ცხოვრებით თავგაბებრებული ვნებააშლილი დედოფალი, აქ რაღაც არა მშვენიერის მსგავსი დაინახა, როცა არაგაციის მთები საზაფხულო რეზიდენციად აირჩია, სამშობლოდან ათი ათასობით მოხელე

დაიბარა და საიგარაკო ქალაქი ააშენა განა უწყოდა პირშავმა დამპყრობელმა, რომ ეს არა მშვენიერის ხელმეორე სიკვდილი იყო! რა არის იმაზე საზარელი რამ, როცა შენი მოსისხლე მტერი შენს ნალოლიავებ კარშიდამოში, შენს მიწა-წყალზე სახლს იღვამს, უსირცხვილო განცხრომას ეძლევა და შენ კი, აქაურობის ერთადერთ კანონიერ პატრონა, ვული ყელში რომ გემჯინება, ვეღარც კი გამჩნევს, ვინაიდან მისთვის სულ ერთია, ხარ თუ აღარა ხარ!

კამეჩის სისხლში ამოვლებული წითელი მზე ცის დასალიერზე გაწოლილ, სართულ-სართულ აკოლიკებულ ღრუბლებში შეიშალა, სადაცაა კიდევაც ჩავიდოდა და ამ ენით აუწერელ ველურ სიმშვენიერეს, გარს რომ გვერტყა, მალე ბინდი დაფარავდა. როდისღა გადმომავდებდა ბედი ხელმეორედ მის სანახავად? რა უცებ გაიბრინა რამდენიმე საათმა! ზედმეტი დრო ხომ არ შემოგვეხარჯა მულში? თავისი სამაყო მოწაფეებისა და მათი მეგობრების ხილვით მეცხრე ცაზე აფრენილმა ტერ არშალუსისმა მეტისმეტად ხომ არ გაიხანგრძლივა სიზარული? ნეტავი ახლა რას აკეთებს? სუფრას ალაგებს, ალბათ, დერეფანში თავისებური მხედრული ნაბიჯით მიდი-მოდის და ისევ ჩვენზე ფიქრობს, მოულოდნელად რომ ავჩქარდით და გულით შორთმეუღლი ხილულობა თითქმის ხელუხლებელი მივეტოვეთ?

— ხედავთ? თოვლი! — წამოიძახა არტამეს ქალანთარიანმა.

დმერთო, დიდებულო, ნუთუ ამ სიმალღეზე ამოვედით? გზის ორთავე მხარეს მართლაც თოვლი იდო, ძველი, წამბული თოვლი, სილაშერეული, მცხუნვარე მზე მთელ თვესაც რომ ვერ გააღწობს.

— ჩრდილო კალთაა, — აგვიხსნა შოფერმა, თან გზას თვალს არ აშორებდა, რადგან სახიფათო, მუხანათური მოსახვევები წამდაუწყუმ ცვლიდნენ ერთმანეთს. — მზე, ისიც ამოსვლისას, ერთი საათით თუ დახედავს. როცა არ

უნდა ამოხვიდე, აქ თოვლს ნახავ!

— ამჩნევთ? უკვე აღჭურვნილი ვართ! — ჩაერია საუბარში ჯარჯუცხას — ზევით, როგორც ხედავთ, შიშველი ცლდეებია და მართო ჯიხვები და არჩევები ბინადრობენ!

— გზა კი მაინც მიდის, — შევნიშნე მე. — საით?

— გადაღმა, ხეობებში, მთის სოფლებია. ხალხი ცხოვრობს!

— მერე ზამთარში, როცა თოვლი დევს და ყინავს, ამ გზით დადიან?

— რატომაც არ ივლიან, განა ცუდი გზებია? ზამთარში ტექნიკა მუშაობს, თოვლს ხვეტენ, ასე რომ, მიმოსვლა ერთი საათითაც არ წყდება. საქართველოშიაც ხომ აგრეა: სურამის უღელტეხილს, ფშავეზურეთის და რაჭის გზებს გაუწმენდავად ვინ დაავდებს,

შოფერმა მანქანა ფლატეზე გააჩერა, პირით მწვერვალისაკენ, ხელის მუხრუჭი გამოსწია, მოსინჯა, ხომ საიმედოდ ვდგავართო და ჩვენ თოვლზე მოგვიხდა გადმოსვლა. ვიწრო ტერასაზე ვიდექით, მუხლამდე თოვლში. უკან და უკან ტერასა თანდათან ფართოვდებოდა. იქ, ფრიალო კლდის გადასახეზე, რომელიც არარატის ველიდან ცაზე მიხატულივით მოჩანს, მოწყენით იღვა ყოველივე ამქვეყნიური ფუსფუსისაგან განმდგარი, განშატოებული, თითქოსდა ცისა და ქვეყნისაგან სამუდამოდ მივიწყებული მონასტერი აღმოსავანი, მე-11 საუკუნის ძეგლი, სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ერთ-ერთი მშვენიერება.

არ ვიცი, მე მეჩვენება თუ მართლაც ასეა: აქაური ეკლესია-მონასტრებში, უძველესნი და უმშვენიერესნი, თავიანთი გარეგნული იერით გულში აუხსნელ ღრმა სევდას გინერგავენ. ყოველი მათგანი თითქოს რაღაც მარადიულ საწუხარს მისცემია, ჩაფიქრებულა და დრო-ჟამიც განუწყვეტლივ მიედინება თავის უსასრულო გზაზე. ირგვლივ საოცარ სიწყნარეს, სწორედ კოსმოსურ მღუმარებას, დაუსადგურებია და შენს გულშიაც როგორღაც შვების მომგერელი სევდა

შემოდის. ეს ის დიდი და დაუსაბამო სევდაა, უნაპირო სივრცეებს რომ მოიცავს, რომელიც ბადებს სიყვარულს და შთაგონებას; ხსნის ცის კარს და შემოქმედი ადამიანის გონებას სამყაროს საიდუმლოებაში ახედებს.

უკანასკნელი სიტყვები კაცმა შეიძლება პირდაპირაც გაიგოს. ჩვენს ქვემოთ, არცთუ ისე დიდ სოფელ ბიურაკანში, მოთავსებულია მთელს პლანეტაზე ცნობილი ასტროფიზიკური ობსერვატორია, რომელსაც მისი დამაარსებელი და სულისჩამდგმელი ვიქტორ ამბაშაძის ძე ამბარცუმიანი წინამძღოლობს.

აყადემიკოსი ამბარცუმიანი რომ შოსკოვიდან სომხეთში ჩამოვიდა, ის უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერი და თანამედროვე ასტროფიზიკის აღიარებული ლიდერი იყო. ბიურაკანში ობსერვატორიის აშენების იდეას იმით ხსნიდნენ, რომ კოსმოსურ მოვლენებზე მეცნიერული დაკვირვებების მოსახდენად არაგაცის მთებს და კერძოდ სოფელ ბიურაკანს განსაკუთრებით ოპტიმალური თვისებები გააჩნიათ. ვის შეიძლება ეჭვი დაეხადოს, რომ ეს ნამდვილად ასეა, აყადემიკოს ამბარცუმიანზე უკეთესად ვის შეეძლო განესაზღვრა, სად, დედამიწის რომელ კუთხეში აჯობებდა უახლესი ასტრონომიული ტექნიკით აღჭურვილი ასტროფიზიკური ობსერვატორიის აგება; მაგრამ ხომ სასიამოვნოა ისიც, რომ არაგაცის მთებიც და ბიურაკანიც, სადაც უკვე აიგო ეს ობსერვატორია და დაიდგა მსოფლიოში ყველაზე მძლავრი ტელესკოპი, სომხეთშია, ღვაწლმოსილი მეცნიერის სამშობლოშია!

აღვლი, სადაც ობსერვატორიის ვარდისფერი, ყვითელი ტუფის პერანგში ჩასმული კორპუსები და კოსმოსისაკენ მიპყრობილი სათვალთვალ კოშკები დგას, ზღვის დონიდან 1500 მეტრზეა. ჰაერი წლის ყოველ დროს აქ მართლაც გამჭვირვალეა — „ანგლოზს დაინახავს მოდარაჟე კაცის თვალი“! უღრუბლო ვარსკვლავიანი ღამეები, რომელთა სიმრავლეთაც ბიურაკანი ამ-

კარად გამოირჩევა, სამუდამოდ აღსაქმებს სომეხ ვარსკვლავმცოდნეებს განუწყვეტილი ასტრონომიული დაკვირვებები აწარმოონ.

ობსერვატორიის მშენებლობას ომის დამთავრებისთანავე, 1946 წელს შეუდგნენ, მაგრამ ამ სამუშაოში მსოფლიო დაწყვეტილებით ფრთხილმსმულ სომეხ მეცნიერებს მისი დასრულებისათვის არ დაუცდიათ. თავიანთი ზელსაწყობები ღია ცისქვეშ განალაგეს და გალაქტიკაზე დაკვირვება დაიწყეს. არ გაუვლია წელიწადსაც, ამბარცუმიანმა და მარტირიანმა შორეულ კოსმოსურ სამყაროებზე დაკვირვების დროს მიაკვლიეს ვარსკვლავების თავისებურ დაჯგუფებას, რომელსაც ასტრონომიული მეცნიერების ენაზე ვარსკვლავთა ასოციაციები ეწოდება.

თვალსაჩინო აღმოჩენები, ბიურაკანის ასტროფიზიკურ ობსერვატორიაში რომ განხორციელდა, — რა თქმა უნდა, შეუძლებელი იქნებოდა, ობსერვატორიის ისეთი შეუვალი მეცნიერული ავტორიტეტის მქონე სწავლული რომ არ ზეღმძვანელობდეს, რომელიც სომეხი ხალხის სიამაყე და მითი ერთგული შვილი აყადემიკოსი ვიქტორ ამბარცუმიანია. შეუვალი ავტორიტეტია სწორედ ის სასწაულმოქმედი ძალა, რის შემწეობითაც ქვეყნის ეს უდიდესი სამეცნიერო ცენტრი შეიქმნა და შემდეგ უახლესი აპარატურითა და ზელსაწყობით აღიჭურვა. ვინ რას მოგცემს, ვინ რას განდობს, ვინ რაში ეპიტნავები, თუ შენ თვითონ არ მოიპოვე, თუ საქვეყნოდ არ დაამტკიცე, ვინა ხარ და რა შეგიძლია!

უკან სხვა გზით დავბრუნდით, თითქმის ვერტიკალურად ჩავეშვიტ მწვანე ხეობაში და მთის მდინარის მოპირდაპირე ნაპირზე, თუ შეიძლება ამასაც ნაპირი ეწოდოს, ლურჯი ცის ფონზე, ძველი ციტადელის ნანგრევები გამოიკვეთა. რუკისა და ცნობარების წყალობით მე უკვე ვიცოდი, რომ ჩვენს წინაშე იყო სამი მხრიდან სრულიად მიუვალა, თითქმის ცაში გამოკიდებული ციხე-სიმაგრე ამბარდი, რომ-

მელსაც ხანდახან ანბერდსაც უწოდებენ.

ფრიალო კლდის ძირას, ღრმა კანიონში, თვალს რომ ვერ ჩაუწყვდენ, არაგაციის წყაროებისაგან შემდგარი ორი მდინარე, არკაშენი და ამბერდი, ერთვის ერთმანეთს და აწ უკვე ამბერდად გადაქცეული, რომლის სახელითაც ოდესღაც შრისხანე, მომხვედური მტრის თავზარდამცემი ციხე-სიმაგრე მოინათლა, სადაც ამტარაკის შიდაშოებში ერთვის კასახს.

ამჟამად დარღვეული, უწყალო დრო-ჟამისაგან დამსკდარ-ჩაშოშლილი კიბადელი ჭერ კიდევ არაბობის ხანაში, მეშვიდე საუკუნეში აუგიათ თავად კამსარაკანებს. გოდლებით გამაგრებული ციხის კედლებს შორის მთელი ქალაქი ყოფილა. ქალაქს ორი ეკლესია, საზოგადოებრივი აბანო, წყალსადენი და წყლის მარაგის მოსაკავებელი აუზები ჰქონია. თუ ვიგულისხმებთ იმას, რომ ციხე-ქალაქი ამბერდი ზღვის დონიდან 2300 მეტრზეა, ვაკვირდნელდება ავხსნათ, როგორ ხერხდებოდა წყალსადენის საშუალებით ქალაქის წყლით მომარაგება. საიდან ამოიყვანეს ეს წყალსადენი, როგორ აიძულეს წყალი განუწყვეტლივ ედინა? უთუოდ არსებობდა რაღაც ინტერული საშუალებები, რომელთა მოშედელებითაც ამ ურთულესი ტექნიკური პრობლემის გადაწყვეტა შეიძლებოდა!

საკითხავი სხვა არის: რა გაჭირვება უნდა დასდგომოდა ერთ შუტა ერს, ამნაირ მიუვალ ადგილზე თავდაცვითი ნაგებობა და მთელი ქალაქი რომ აეშენებინა, თუნდაც ისეთი პატარა ქალაქი, როგორიც ამბერდის კიბადელში მოთავსდებოდა. გაჭირვება მიჩვენე და გაქცევის გიჩვენებო. ძვირად უღირდა სომეხ კაცს ეროვნული თავისუფლება. თუკი მის შესანარჩუნებლად შრომით რაიმეს გახდებოდა, თავს არ დაზოგავდა, დღესა და ღამეს გაასწორებდა, წლებზე ფეხს დაიდგამდა, შეუძლებელს შესძლებდა, ხოლო სადაც ეს ვერ უშველიდა, იქ ისევ მა-

ხვილს აიღებდა ხელში და მტერს მტრულად დახვედებოდა.

ამბობენ, ამჟამად უკვე გვედარაქვს ქალაქ ამბერდში ყველაზე უკეთ კარგა შოზრდილი, არქიტექტურული ფორმებით საკმაოდ საყურადღებო ერთი საყდარია შემორჩენილიო. საყდარი ვაგრამ ფაქლეუენის აუშენებია 1026 წელს. კარსუკან, კედელზე, ამის დამადასტურებელი წარწერაც ყოფილა.

ეს ის ვაგრამ ფაქლეუენია, ვის სულის საოზადაც აგებულმა საყდარმა ციხე-ქალაქ ამბერდში ჩვენამდე თითქმის უვნებლად მოაღწია და იმ შოჩეული მეთერთმეტე საუკუნიდან სამშობლოსათვის თავდადებულ გმირთა კიდევ ერთი ამაღელვებელი ამბავი მოგვითხანა.

ზღვის დონიდან დიდ სიმაღლეზე აზიდულ სევანის ტბასთან ერთად, არაგაციის მთებში მოჩუხჩუხე წყაროები, თავბრუდამხვევი სისწრაფით მსარბოლავი მდინარეები, ბუნებრივი და ხელოვნური წყალსატევები, მაცოცხლებელი ტენით კვებავენ ქვეყნის მარჩენალ არარატის ველს, სომხეთის ბეღელს, თუ არა სევანის ტბისა და არაგაციის მთების ტენი, არარატის მთელი დაბლობი რამდენიმე წელიწადში უდაბნოდ გადაიქცეოდა და იქ, სადაც დღეს სიცოცხლე ჰყვავის, საქვეყნოდ სახელმომხვეჭილი ვაზი და ხეხილი ზღაპრულ მოსავალს იძლევა, ბალახის ერთი ღერიც კი არ იხარებდა. ამას იმედოვნებდა სწორედ პირსისხლიანი შაჰ-აბასი, როდესაც არარატის ველის გაუდაბნოება და სპარსეთსა და ოსმალეთს შორის ე. წ. მკვდარი ზონის შექმნა განიზრახა. დასახული ბარბაროსული მიზნის მისაღწევად მარტოოდენ მკვიდრი მოსახლეობის აყრა და ცხრა მთას იქით გადასახლება არ კმაროდა. საჭირო იყო საუკუნეების განმავლობაში დაუღალავი მარჯვენით შექმნილი საარწყავი სისტემის მოშლა, არტების მიწით ამოვსება, სათავეების დანგრევა, ერთი სიტყვით, ნაყოფიერი მიწის წყურვილით დახრჩობა, რასაც დაუყო-

ენებლივ შეუდგა და ნაწილობრივ კიდევაც განახორციელა.

არარატის ველის ახალი ირიგატორები, ჩვენი თანამედროვეები, დღესაც ხშირად ნახულობენ ძველ, უხსოვარ დროს გაყვანილი და ავებდობის ქაშს მივიწყებული არხების სისტემას და არცთუ იშვიათად კიდევაც იყენებენ მაშვრალ წინაპართა ათასწლოვან გამოცდილებას.

არაგაციის მთების წყლის რესურსები მაქსიმალურადაა გამოყენებული არარატის ველის ბალბოსტნებისა და ყანა-ვენახების მოსარწყავად.

აპარანის წყალსაცავმა, რომელიც აგერ გუშინ, ჩვენს თვალწინ აშენდა, ავაება 1967 წლის 2 ივლისს დაიწყო. წყალსატევი კასახის წყლებით იკვებება მის ზემოწელში და სომხეთის ბელოვურ წყალსატევებს შორის ყველაზე დიდი და ტევადია. საკმაოა ითქვას, რომ წყალსატევის ვებორის სიმაღლე 55 მეტრს აღწევს, ხოლო სიგრძე 210 მეტრია.

ბელოვურმა ზღვამ მისთვის დამახასიათებელი მცენარეული გარემო და შავა შექმნა, რამაც ზღვის შემოგარენი ქვეყნის ერთ-ერთ უმშვენიერეს დასახლებულ და საწყლო სპორტის განვითარების უმნიშვნელოვანეს კერად აქცია.

ისინი, ვისაც საქმე აბარია, მთის გულუხვი ბუნების წყალობით არ კმაყოფილდებიან. ზღვის გარეშემო არაგაციის მთების მცენარეული საფარისათვის დამახასიათებელ ნარგავებს რგავენ, შიშველ, კლდოვან ფლატეებს ამწვანებენ, აშენებენ დასასვენებელ სახლებს, პიონერთა ბანაკებს, პირველხარისხოვან სასტუმროებს, ქმნიან ყველა პირობას საიმისოდ, რომ მოსულმა კაცმა, შინაური იქნება თუ უცხოელი, სულითა და გულით დაისვენოს, მდლიერებით აღივსოს და აქ კიდევ არაერთჯერ მოსვლა მოიწადინოს.

არაგაციის მთებში აპარანის წყალსატევი ერთადერთი როდია. მის ჩრდილო-დასავლეთ კალთაზე, ზღვის დონიდან 2500 მეტრზე, მდინარე მენტაშის

სათავეში, მოგზაური კიდევ ერთ ბელოვურ წყალსატევს წააწყდები. მენტაშის წყალსატევის სიგრძეა 70 მეტრს, ხოლო სიგანე 70 მეტრს აღწევს. იგი თუ-სმე 7 მილიონ კუბმეტრ წყალს იტევს და ოთხი ათას ჰექტარ მიწას რწყავს ახურაინის რაიონში.

ვერ მორწყავ, წყლით ვერ გააჩერებ და ის ოთხი ათასი ჰექტარი მიწა გინდ გქონია და გინდა არა, სომხეთში კი მიწა სანთლით საძებარია, კაცი იმას როგორ მოაყენებ, ღმერთს როგორ გააჩერებ,

ბელოვური წყალსატევების მშენებლობის დროს სომხეთში წინდახედულად გაურბიან სავარგულების, დასახლებული პუნქტების, სახელმწიფო გზების, ისტორიულად მნიშვნელოვანი ადგილების წყალქვეშ ჩაძირვას. მათ, ეტყობა, ზოგიერთი კოლეგისაგან განსხვავებით, დიდი ხნის წინათ და შვეილად შეუთვისებიათ უბრალო ჰემმარტება, რომ მარჯვენა ხელმა ყოველთვის უნდა იცოდეს, რას აკეთებს მარჯვენა, თორემ რა გამოვა, თუ ერთი სეაშენებ და მეორე, უკვე აშენებული, დავაქციეთ, ერთხელ უკვე გაკეთებული საქმე მეორედ და მესამედ გასაკეთებელი გავიხადეთ!

18

გული დამწყდა, რომ აკადემიკოსი ვიქტორ ამბაზასის ძე ამბარტუმიანი საზღვარგარეთ ბრძანდებოდა სამეცნიერო მივლინებაში და მასთან შეხვედრა და საუბარი ძალაუნებურად უნდა გადამედო, მაგრამ, სამაგიეროდ, მეორე სურვილმა გამიმართლა, ყოველთა ჯომებთა მსოფლიო ეკლესიის შეთაურმა უწმიდესმა კათალიკოს-პატრიარქმა ვაზგენმა ჩემთან შესახვედრად დრო გამოანახა და დღის 12 საათისათვის წმ. ეჩმიადინში, თავის შუღმივ რეზიდენციაში მელადა.

ერევნიდან ეჩმიადინამდე ორშოციოდე წუთის სავალია, სერგოსთანა მარჯვე შოფერი კი უფრო აღრეც შეიძლება მივიდეს. ჩვენ, მე და გვეორ-



ქმა, გადაწყვიტეთ, ჯერ თბილისში დასაბრუნებელი საკინიგზო ბილეთი აგველო, საიუბილეო ზეიმის შემდეგ გამგზავრების საქმე საიმედოდ მოგვეგვარებინა და ეჩმიაძინის გზას, რომელიც მეოთხედი საუკუნის წინათ ამხანაგებთან ერთად ერთხელ უკვე გავიარე, მხოლოდ ამის შერე გავდგომოდით.

თბილისისა არ იყოს, სამგზავრო ბილეთების შოვნა ერევანშიაც სერიოზული პრობლემა აღმოჩნდა. ვარდგეს პეტროსიანი, ბილეთების წინასწარი გაყიდვის სადგურთან შოლაპარაკებით რომ ვერაფერს გახდა, იძულებული შეიქნა, რკინიგზის უფროსისათვის დაერეკა და ერევან-მოსკოვის მატარებელზე, რომელიც სხვა მატარებლებთან შედარებით თითქმის ორჯერ უფრო სწრაფად დადის, თბილისამდე ერთი ადგილი ეთხოვა.

— რკინიგზელებს ამ საქმეში ძალიან ვერ გაამტყუნებ, — ღიმილით მიმხრა ვარდგესმა, სანამ იქ, მათეულის მეორე ბოლოში, ჩემთვის ადგილს ეძებდნენ და ყურმილი ყურიდან არ მოუშორებია. — ამ მატარებელზე თბილისამდე ადგილის გაცემა იმას ნიშნავს, რომ თბილისიდან მოსკოვამდე შემდეგ ის ადგილი დაუკავებელი დარჩეს. აქედან — არარენტაბელობა!..

— იქნებ არ ღირდა ამდენ შეწუხებად? სხვა მატარებლითაც მშვენივრად წავიდოდი!

— რას ბრძანებთ, ქვეყანაზე ყველაფერი წაგება-მოგებით ხომ არ იზომება. ხან მოიგებენ, ხან წააგებენ, აბა როგორ, ასეა ცხოვრება! დიახ, გმადლობთ, ცვათაქანებ, — ჩასძახა მან ყურიმილს. — ახლავე კაცს გამოვეგზავნით; თხუთმეტ წუთში მანდ იქნება. გვეორქ, აწი შენ იცოდე, გაფრინდი, ერთი ფეხი იქ, მეორე აქ, მისული რომ არ გვეგონო, მისული იყავი! აბა, როგორ გინდათ, ბიძია, კრიტიკოსებს, მართო უნდა გვაკრიტიკოთ საწყალი მწერლები?

მე წამოვდექი და ყურადღებისათვის მაღლობა გადავუხადე.
 — არ დაუცლით? გვეორქი ახლავდ მოვა! ხომ, გვეორქ?

— არა, ჯობს ერთად წავიდეთ, ასე უფრო ნაკლები დრო დაგვეკარგება! დრო მაინც ბევრი დაგვეკარგა. გეცოქქმა ბაზალტის საბარადო კიბე აირბინა და ტამბისმაგვარი მრავალსართულიანი შენობის ვეებერთელა სადაბრბაზო კარსუკან გაუჩინარდა. შემდეგ ასჯერ მაინც გაიღო და დაიკეტა ის შიძიმე კარი, ვინ არ შევიდა და ვინ არ გამოვიდა, ჩვენი გვეორქი კი არ ჩანდა ჯდა არა.

— ნამდვილად რაღაც გაუგებრობა მოხდა, შაგრამ ვერ წარმომიდგენია, რა უნდა მომხდარიყო? — თქვა შეფიქრებულმა სერგომ და მანქანის საათს ერთხელ კიდევ მოუსვენრად შეხედა. — ოციოდე წუთი მაინც მინდოდა მარაგად დამეტოვებინა. კათალიკოსი ჩვენი გარაჟის გამგე ხომ არ არის, რომ ვალოდინო?!

ის იყო, დავაპირე სერგოსათვის მეტხოვა, დამდე პატივი, შედი ერთი, გაიგე, რა ამბავია, გვეორქის ნებაზე რომ იყოს, ხომ იცი, რა პუნქტუალური კაცია, ის ამდენს არასდღეებით არ დაიგვიანებდა-მეთქი, რომ რკინიგზის სამმართველოს შიძიმე კარი ერთხელ კიდევ გაიღო და გამოჩნდა ჩვენი დაკარგული მოციქული. სანამ კიბეს ჩამოირბენდა, შუბლზე ჯიუტად ჩამოშლილი ქოჩორი ერთი ხუთჯერ მაინც გაისწორა. გაჯავრებული და ნაჩხუბარი ჩანდა. სანამ მანქანაში არ შემოვიდა და არ დავიძარი, მე და სერგოს ჩვენი დაგვემართა.

შთელი ეს გაუგებრობა და ძვირფასი წუთების ამოდ დაკარგვა გზის უფროსის მდივან გოგოს გამოეწვია. ჩემთვის ჯერ არავის არაფერი გადმოუცია, დაბრძანდით ეგერ, დაიცადეთ, სანამ ჭადმომცემდნენ, უფროსთან კი ვერ შევიშვებთ, ჩადგანაც ხალხი ჰყავს, სამმართველოს თანამშრომლები, და, ხომ ხედავთ, თქვენს გარდა სხვაც ბევრი ელოდებოთ. გამწარე-

ბულ გეოგრაფს მაშინ ტელეფონზე დარეკვის ნება ეთხოვა, რათა ვარდგესი-სათვის თავისი გაჭირვებული მდგომარეობა ეცნობებინა. მდივანს არც ამის ნება დაერთო. ეს სამსახურის ტელეფონებია, გარეშე პირის ლაპარაკი აკრძალულია, ჩადით და, თუ ასე გეჩქარებათ, როგორც თქვენ ამბობთ, ტელეფონ-ავტომატით დარეკეთო. ჟანაბას, მაგრამ ახლა ორკაპიტიანების შოვნა არ გინდა?

— ასეა, დასვამენ საიდანღაც მოსულ ტინგიცა გოგონებს, სარკეში ცქერის მეტი რომ არაფერი გაეგებათ, და მერე თავადაც იმათ კეუბზე დადიან! — უკმაყოფილოდ ეთქვი მე, რადგანაც მსგავსი რამ თავადაც არაერთჯერ გამომიცადა.

— თქვენ გგონიათ, საიდანღაც მოსულია? — მკითხა გეოგრაფმა, რომელსაც უამისოდაც მოყვითალო სახეზე სიფთოვრე გადაჰკრავდა და თუმცა ცდილობდა დამშვიდებულიყო და გადატანილი უსიამოვნება დავიწყებისათვის მიეცა, ამას ვერ ახერხებდა. — არა! აქ ყველა ადგილობრივი ვართ, უფროსებიც და უმცროსებიც, ამშენებლებიც და დამანგრეველებიც, ვინმე სხვას ვერავინ ვერაფერს დავაბრალებთ!

— მერე? როგორღა გაიტანეთ თქვენი?

— ეს გატანა? დავრეკე კავშირში, ვარდგესს ველაპარაკე. ზემოთ რომ ავბრუნდი, ბილეთი უკვე მდივანის მაგიდაზე იდო. სადა ხართ, აკი გეჩქარებოდათ, რა ხანია მოიტანესო. ტუ-ტუ-ტუ! აი, ინებეთ! აქ ყველაფერია, მათ შორის საწოლის ქვეთარაც, თუმცა თქვენ დაწოლა და დამჯენება არ მოგიწევთ. მატარებელი დილის ექვსსა და ორმოც წუთზე გადის და, თუ არ გცდები, სამზე — ოთხის ნახევარზე უკვე თბილისშია!

— რასაკვირველია, დასაწოლად ვერ მოვიცილი, მთელი დღე ფანჯარასთან უნდა გავატარო!

— ჰა, როგორ არის საქმე, სერგო, მივასწრებთ თუ დაგვაგვიანდება?

— უნდა მივასწროთ!

— მაგრამ მთლად ისე ნუ იზამ, რომ სადმე კისერი მოგვატეხინო! და გადაგვყარო!

— დარდი ნუ გაქვთ!

გეოგრაფის გაფრთხილებას, რომელიც მან ნაძალადევი სიცილით წარმოთქვა, მთლად უსაფუძვლოდ ვერ ჩათვლიდი. მანქანა ისე ტყვიასავით მიფრინავდა გზაზე, ჰაერს ისე შხუილით მიპობდა, უშუალოდ გზის პირას რისამე შემჩნევა და დანახვა უკვე შეუძლებელი იყო. ერევისს გარეუბნებს მეტეორის სისწრაფით ვშორდებოდით, რამდენიმე წუთის შემდეგ უკან დარჩა ზვარტნოცის გადასახვევიც. ლამპიონებიანი სვეტების შწყვივს თვალი გავადევნე და შორს, ველზე, დავლანდე კალოსეზურად მოსწორებული გრძელი, მწვანე მიწდორი. მიწდორში საიდანღაც მოსული თუ სადღაც წასვლის თადარიგში გართული თეთრი საჰაერო ლაინერები ბრწყინავდნენ. ერთი ლაპლაჰა ლაინერი მწვანე და წითელი სასიგნალო სინათლეების პაჭუნ-პაჭუნით ასაფრენ ბილიცზე უხმაუროდ მიჰქროდა და სივრცეში ცხვირშერგული ცაში ისარივით ასაპრელოდ კამარას კრავდა. მიწდორის აქეთა კიდეში ნახუჭივით მრგვალი, მოყავისფრო შენობა, ერევისს ერთ-ერთი თვალსაჩინო ღირსშესანიშნაობა დავინახე. ვიცანი, ეს მეათე საუკუნეში მიწისძვრისაგან დანგრეული წმიდა გრიგოლის ტაძრის, იგივე ზვარტნოცის სეხნია აეროპორტი ზვარტნოცი იყო.

ახალი შინაარსი ძველ ფორმაში ხომ შეეძლოთ, მისთვის სრულად სხვა ეპოქისათვის ვითომდა უფრო შესაფერისი სახელწოდება მიეცათ? მაგრამ არა—ზვარტნოცი! რით არ არის თანამედროვე? ბგერათა ეს ურთიერთ-შეთანხმება, ერის სასუკვარო სახელი, სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორიის ასოციაციებს აღვიძებს და გათანამედროვეებული უაღრესად ღრმად და სისხლსავესედე ეღერს!

— თუ დრო დაგვრჩა, იქიდან გამოვლისას ათიოდე წუთით შევივლით,

— გევორქშა ეს ისე მითხრა, თითქოს მე ჰირვეული ბავშვი ვყოფილიყავი, რასაც თვალს მოჰკრავს, ყველაფერს რომ ინდომებს და მოსასყიდად კანფეტს მპირდებოდა.

— თქვენ ფიქრობთ, რომ აუდიენცია ასე დიდ დროს წაიღებს?

— დამოკიდებულია, როგორ მიგვიღებს კათალიკოსი. არის შემთხვევა, როცა შეხვედრა მხოლოდ რამდენიმე წუთს გრძელდება და წმინდა ოფიციალურ ხასიათს ატარებს, სხვა შემთხვევაში კი შეიძლება ორ-სამ საათსაც გაგრძელდეს. ასეა თუ ისე, ჯერ ადრეა და ჩვენ არამცთუ აეროპორტის საყველუროდ დათვალიერებას, საისტორიო მუზეუმის ან სახელმწიფო სამხატვრო გალერეის შემოვლასაც მოვასწრებთ. ისე ვერა, რასაკვირველია, როგორც იქ გამოფენილ ექსპონატებს და ჩვენს ცნობისმოყვარეობას ეკადრება, მაგრამ მაინც, დრო უციდურესად უნდა შევამჭიდროვოთ. სხვაგვარად არაფერი გამოიღოს!

თუ ორიენტაციის თანდაყოლილი გრძნობა არ მალატობდა, ეს სწორედ ის ადგილები უნდა ყოფილიყო, რომლებიც თავის მრავალრიცხოვან თანამოაზრეებთან ერთად, წარმართულ ბნელეთში სინათლის სხივის შემოსატანად სომხეთში მოსულმა მშვენიერმა რიფსიმემ და მისმა ერთგულმა დედამძღებმ გაიანემ გაიარეს.

მართლაც რომ დრონი შეფობენ და არა შეფენი. ძლევაშოსილ სატახტო ქალაქ დენისიავან, საითაც ცოდვილთ სულის დასახსნელად აღძრულ დედათ გზა ედოთ, გაჩერება კი, თანახმად ადგილობრივი წერილობითი ვადმოკემისა, რომელიც ქართველი მეგობრების მიერ მოწოდებულ ცნობას არ ემთხვევა, ვაგარშაფათში, მოგვიანებით ეჩმიანად სახელდებულ ქალაქში მოუწიათ, სომხეთის ერთ-ერთი, რიცხვით მესამე თუ მეოთხე დედაქალაქისაგან, აწინდელი აშტარაკის ჩრდილოეთით კლდოვან ზეგანზე რომ ყვაოდა, დღეს მხოლოდ უსახო ნანგრევებია დარჩე-

ნილი და ისიც მიწით დაფარული. არქეოლოგები თხრიან და გაქვნიან ახრის სამეფო დინასტიის მშენებლებს ბრწყინვალე სასახლეები, ფუფუნებითა და გარეგნული მომხიბვლელობით რომის, ნინევიისა და ბაბილონის სასახლეებს რომ ეჯობებოდნენ, ანდა მოსახლეობის უღარიბესი ფენების უბნები და ფოლორცები, სადაც შორიდან მოსული მისიონერი დედების მონათლული სომეხი მოძღვრები წარმართულ მართლმსაჯულებას ემალებოდნენ და ტვირთმძიმეთა და გაქირვებულთა სასუგეშოდ ვერში ახალ რელიგიას, ქრისტეს მცნებას ქადაგებდნენ. აბა, მაშინ ვინ წარმოიდგენდა, თუ ეს ხხალფებადგმული სარწმუნოება, სომხეთში სუსტი სქესის წარმომადგენლებმა რომ შემოიტანეს, ადრე და მალე არა მარტო სომხეთსა და საქართველოს, მოგვიანებით თვით წარმართულ რომსაც დაიპყრობდა და ჯერ კიდევ გუშინ წარმართობის მტკიცე ციტადელს ქრისტიანულ იმპერიად გამოაცხადებდა!

მაშინ ვერც იმას წარმოიდგენდა ვინმე, თუ სათნოების მქადაგებელი, ქვეყნად კოტმოყვარეობის დასამკვიდრებლად მოწოდებული რელიგია, შემდეგ, თავზე რომ ხელს მოისვამდა და სახელმწიფოებრივ ძალაუფლებას მოიპოვებდა, ძველ აღქმებსა და დაპირებებს მხოლოდ ლოზუნგებად დატოვებდა, მათს აზრს კი ბირწმინდად დაიფიყებდა, ინკვიზიციის კოცონებს დაქნებდა და იმავე მაცხოვრის სახელით, კაცობრიობის ცოდვა-მადლი რომ იტვირთა, ყოველ თავისუფალ მოაზროვნეს ზედ დამშვიდებული სინდისით აიყვანდა. მაგრამ ეს შემდეგ მოხდა, როცა მრავალმა საუკუნემ გაიარა, როცა ჯვრისა და ხატის დასაცავად სისხლი ზღვად დაიქცა და ძველი სათნოებისა და მოყვასის სიყვარულის სანაცვლოდ ადამის ძეთ სულ სხვა ფიქრი და აზრი დაეუფლა.

წმიდა მოწამეთ, რიფსიმესა და გაიანეს, წამება ნეტარებად რომ მიიღეს და ტანჯული სული თავიანთ „ზეციურ

სიძეს, იესო მაცხოვარს მიიბარეს, რაღა ეშველებოდათ, მკვდრებით ხომ ველარ აღადგენდნენ, მაგრამ სულიწმინდის ჩაგონებით ჟურღმულიდან ამოყვანილმა გრიგოლ განმანათლებელმა-ლუსაროფიმმა ყველას მაგივრობა გასწია და სომეხ ხალხს ერთ-ერთ პირველ მოციქულად მოევიღნა. ამიტომ, რომ სომეხთა ეროვნული ეკლესიის დროშაზე სამი წმიდანია გამოსახული: გრიგოლ განმანათლებელი, რიფსიმე და მეფე თრდატი, რომელმაც სომეხ გვირგვინოსანთაგან პირველმა ჩრწმუნა მოციქულების ნაქადაგები მოძღვრება, სომეხი ერი ქრისტიანულ ემბაზში მონათლა, ხოლო ქრისტიანობა სომეხეთის სახელმწიფო რელიგიად გამოაცხადა.

გრიგორიანული ეკლესიის სატახტო ქალაქის, წმ. ერმიადინისაკენ მიმავალ კაცს გზაზე ყველაზე ადრე ორი ნაღვილიანი ტაძარი შემოგვეყრება. ერთი მათგანი რიფსიმეს სხელობაზეა აშენებული, მეორე კი გაიანეს სახელს ატარებს. ასე შემორჩა სომეხეთს სამუდამოდ მისი სულიერი აღორძინებისათვის, დასავლურ ცივილიზაციასთან მისი დაკავშირებისათვის წამებული ორი უცხოელი ქალის სახელი!

წმ. რიფსიმეს ნეშტი შიგ ტაძარში განისვენებს, საყურთხველის ქვეშ, და ამ შთამავონებელი არქიტექტურული ქმნილების აგება მიიწე და მიიწე ამ ადგილას, ძველი ვაგარშაფათის გარეუბანში, სწორედ წმიდანის საფლავთან არის დაკავშირებული. საფლავზე მეოთხე საუკუნეშივე, უთუოდ პირველი ქრისტიანი სომეხი მეფის თრდატი მესამის ნებითა და სურვილით, პატარა სამლოცველო აშენდა, ხოლო ორი საუკუნის შემდეგ, როცა ქრისტიანობამ ფეხი საბოლოოდ მოიკიდა და იგი არა მარტო სახელმწიფო რელიგიად, არამედ მთელი ხალხის სარწმუნოებად გადაიქცა და ერის ყველა ფენას თანაბრად დაეუფლა, მეშვიდე საუკუნის დამდეგს, 618 წელს, ტაძარიც აშენდა.

იმავე წლებს განეკუთვნება მეორე, წამებულ რიფსიმეს დედაძმე და

თავადაც წამებულ გაიანეს. სახელობაზე აგებული ტაძარს (წმ. რიფსიმესა და გაიანეს) ტაძრებს სპეციალისტები ცენტრალურ-გუმბათოვან, გეგმაში ჭვრის ფორმის უძველეს საკულტო დანიშნულების არქიტექტურულ ძეგლთა რიცხვს მიაკუთვნებენ.

ტაძრების ეს ფორმა გავრცელებული იყო იმდროინდელ სომეხთა და საქართველოში. ამას ადასტურებენ მცხეთის ჭვარი და ატენის სიონი, რომლებიც დაახლოებით იმავე პერიოდში, მეექვსე საუკუნეშია აშენებული და ჩვენამდე თითქმის სახეშეუცვლელად მოაღწიეს.

ვაგარშაფათს და შემდეგ ერმიადინს თავიდანვე ქვეყნის რელიგიური ცენტრის რეპუტაცია ხვდა წილად. ამის მიზეზი წმიდა ადგილებთან მისი უშუალო მეზობლობაც უნდა იყოს. ზვარტნოცი, იგივე წმიდა გრიგოლის სახელობის ტაძარი, სომხური საეკლესიო ხუროთმოძღვრების ბეჭდისთვალი, რომელმაც სულ რაღაც სამასობდე წელნივად იარსება და გარეშემო ერის ყველა მოქმედი ძალა შემოიკრიბა, მეათე საუკუნის მიწურულს კი, თითქოს ვიღაც ავსულს დაუწყველიაო, ყოვლის მომსურელი მიწისძვრის დროს დაიქცა, აქედან, ერმიადინიდან, სულ ახლოა, ათი-თორმეტი კილომეტრი თუ იქნება, რიფსიმეს საყდარი კი, რომლის საკურთხეველქვეშ თვით პირველი მოწამის ნეშტი განისვენებს, მთლად აქვეა, ქალაქის გარეუბანში!

რაოდენ საგულისხმოა, რომ ქრისტიანული სარწმუნოების სადიდებლად, მისი უპირველესი სომეხი მოღვაწის, გრიგოლ განმანათლებლის სახელის უკვდავსაყოფად ჩაფიქრებული ტაძარი ზვარტნოცი სისხლის წვიმების დროს შენდებოდა. მთელს ამიერკავკასიაში, სომეხთა, ალბანეთსა და საქართველოში, უსასტიკესი დამპყრობლები, არაბები, მძვინვარებდნენ. სამხელიშვილო მშენებლობის წამოწყება არა სადმე მიუვალ მთებში, არამედ არაბების თვალწინ, შუაგულ არარატის

ველზე. დამპყრობლების წინააღმდეგ მიმართული პოპტესტის, სომეხი ხალხის გაუტეხელი სულის თავისებური გამოხატულება იყო და, ამავე დროს, იგი ქვეყნის შიგნით მოქმედი ეროვნული ძალების პოლიტიკურ ორიენტაციასაც ცხადყოფდა.

ტაძრის აშენების სულისჩამდგმელი და უშუალო ხელმძღვანელი იყო ხალხში აღმაშენებლად სახელდებული კათალიკოსი ნერსეს მესამე. ეკლესიის მამა არ გამოყოფილებოდა მარტოოდენ თავისი სასულიერო მოღვაწეობით, აქტიურად ერეოდა და ცხოველ მონაწილეობას იღებდა ქვეყნის საერო საქმეებში.

მეშვიდე საუკუნეში, როდესაც არაბები ამიერკავკასიის სხვა ქვეყნებთან ერთად სომხეთსაც დაეუფლნენ, ეს უკანასკნელი პოლიტიკური დილემის წინაშე აღმოჩნდა. მას ან უნდა ეცნო არაბების ბატონობა და თავი ხალიფატის ყმად ელიარებინა, ან ბიზანტიის მხარე დაეჭირა და, ამგვარად, ქვეყნის მიწა-წყალზე დაუსაჯელად მოთარეშე არაბებისათვის სამკედრო-სასიცოცხლო წინააღმდეგობა გაეწია. თუ იმას გავითვალისწინებთ, რომ ბიზანტია ხალიფატზე ნაკლები მგლური მადით არ გამოიარებოდა, ცხადი გახდება, რომ სომხებს თავიანთი ბედის გადაწყვეტის დროს ორ ბოროტებას შორის უმციურესი უნდა აერჩიათ.

ზეარტოციკს ამშენებელი კათალიკოსი ნერსესი სომეხ პოლიტიკოსთა იმ ფრთას ეკუთვნოდა, რომელსაც ქვეყნისა და ერის ხსნის ერთადერთ გზად ერთმორწმუნე ბიზანტიასთან სამხედრო კავშირის დამყარება მიაჩნდა. მოკავშირეებს შორის სარწმუნოების ნიდაღზე განხეთქილება რომ არ ჩამოვარდნილიყო, ნერსესი იმასაც კი შესაძლებლად თვლიდა, რომ სომხებს უარი ეთქვათ თავიანთ ეროვნულ რელიგიაზე და მართლმადიდებლური ეკლესიის წიაღს დაბრუნებოდნენ. მაგრამ ქვეყნის მმართველთა ზედაფენაში იყო მეორე პარტიაც, რომელიც პირველთა მოწოდებას დამლუპველად თვლიდა და

ერს არაბებთან თანხმობით ცხოვრებას, ხალიფატის ყმობას ურჩევდნენ.

იძალეს პროარაბულს ჩარჩუნტს ციხის მიმდევარმა პოლიტიკოსებმა და ბიზანტიასთან კავშირის მომხრენი შეავიწროვეს. კათალიკოსი ნერსესი, ყველაზე უფრო აქტიური ძალა, იძულებული გახდა, ბიზანტიის იმპერატორ კონსტანტინე მესამის ჭარბებთან ერთად უკან დაეხია, კათალიკოსის ტახტიც დაეთმო და პოლიტიკურ ცხოვრებას ჩამოშორებოდა, თუმცა ეს სრულებითაც არ მოასწავებდა იმას, რომ მან ბრძოლაზე ხელი საბოლოოდ აიღო.

სომხეთი სახალხო აჯანყებების ცეცხლში გაეხვია.

სახალხო აჯანყებებმა, მიუხედავად იმისა, რომ ყოველ მათგანს სისხლში ახრჩობდნენ, მაინც მნიშვნელოვანწილად შეასუსტა არაბთა ბატონობის ძალა. 659 წელს ნერსესი ერშიაძინში დაბრუნდა, კვლავ დაიკავა ყოველთა სომეხთა კათალიკოსის ტახტი და ზეარტოციკს შეწყვეტილი მშენებლობაც განაახლა.

ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი ზემოთ სომეხთა მსოფლიო ეკლესიის მეთაურად იყო მოხსენიებული და ამან, შესაძლოა, ვისიმე გაკვირვებაც გამოიწვია, მართლა ასეა თუ კალამს წასცდაო. საქმე ის გახლავთ, რომ ერშიაძინელი კათალიკოსი სომეხთა ერთადერთი კათალიკოსი არ არის. სომხურ ეკლესიას, როგორც ცნობილია, თავისი უმაღლესი რანგის მღვდელმთავრები ჰყავს კონსტანტინოპოლში, იერუსალიმში, ალექსანდრიაში და სხვაგან, დედამიწის სხვადასხვა კუთხეში, სადაც კი საშობლოდან უგზოუკვლოდ გადახვეწილი სომხები ცხოვრობენ და სადაც წირვა-ლოცვა სომხური ტიპიკონით, ანუ სომხურ ენაზე ხდება. საეკლესიო იერარქიის შესაბამისი კანონმდებლობის თანახმად ეს მღვდელმთავრები თავს აგრეთვე უწმიდეს კათალიკოსს უწოდებენ, მაგრამ კათალიკოსთა შორის მთავარი და კანონმდებელი სომეხთა მსოფლიო ეკლესიის მეთაური, ყოველთა სომეხ-

თა კათალიკოს-პატრიარქია, რომელსაც დღიდან ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად შემოღებისა, მუდმივი რეზიდენცია ერშიაძინში აქვს.

19

ერის სასულიერო ცენტრის რეპუტაცია ერშიაძინში მარტო იმით როდი მოიპოვა, რომ ის ქრისტიანული სარწმუნოების წმინდა ადგილების უახლოესი მეზობელია. ეს ამბავი უწინარეს ყოვლისა ისტორიულ ტრადიციას უკავშირდება. ჯერ კიდევ ქრისტიანული რელიგიის სახელმწიფო რელიგიად შემოღებამდე, ჯერ კიდევ იმ დროს, როდესაც სომხები თავყვანს ცის მნათობებს სცემდნენ, ვაგარშაფათი, ერშიაძინის წინამორბედი, ქვეყნის მაშინდელი სასულიერო ცენტრი და უპირველესი ქურუმის თუ ქურუმთა ქურუმის საჯდომი იყო.

იმ ადგილას, თანამედროვე ერშიაძინის ცენტრში, სადაც საეკლესიო ბუროთმომდგრების შედეგად საკათედრო ტაძარი დგას, მანამდე ბაზილიკური ტიპის ერთი პატარა საყდარი მდგარა. ვარაუდობენ, რომ ბაზილიკა მეოთხე საუკუნის დამდეგს, ქრისტიანობის მიღებისთანავე აიგო, ალბათ, იმავე თრდატ მესამის ბრძანებით, უკვე მეხუთე საუკუნეში კი მისი ადგილი დღევანდელმა თავალშუღდამმა ქმნილებამ დაიკავა.

მაგრამ ტრადიცია კიდევ უფრო ღრმად შედის ისტორიის წიაღში. ტაძრის იატაკის რეკონსტრუქციის დროს მშენებლები კიდევ უფრო ძველი ნაგებობების ცოკოლს წააწყდნენ, რამაც სწავლული არქეოლოგები იმ დასკვნამდე მიიყვანა, რომ ქრისტიანული ბაზილიკის აგებამდე აქ წარმართული ტაძარი იდგა და ბაზილიკა სწორედ მის ნანგრევებზე ააშენეს.

ეს როდია გასაკვირი. ყოველი მომდევნო რელიგია ყოველ დროსა და ვითარებაში წინამავალს ძირფესვიანად თბრიდა, რათა იგი სამუდამოდ ამოეშალა ხალხის მეხსიერებიდან და კა-

ცობრიობის ახალი წელთაღრიცხვა თავისი გამარჯვების დღით დაეწყო.

გამარჯვებული რელიგია ამითაც არ კმაყოფილდებოდა. თავის სალოცავებს ძველი რელიგიისათვის ტრადიციულ ადგილებში დგამდა, რათა მორწმუნე მრევლის ისტორიულად გამომუშავებული ჩვევით ესარგებლა და ახალი ჩვევის გამოსამუშავებლად ზედმეტი ენერგია და მატერიალური სახსრები არ დაეხარჯა.

მსოფლიო ისტორიაში ბევრია ამის მაგალითი. განა თვით წმიდა პეტრეს ტაძარი რომში, სახელგანთქმული სან-პედრო, ძველი წარმართული ტაძრის ნანგრევებზე არ აშენდა? აქ ხომ ნერონის ბრწყინვალე ტაძარი იდგმენ რომლის წინაც, მოედანზე, რომაულნი ქრისტიანული ეკლესიის პირველი მონაწილე წმ. პეტრე აწამეს. ახლადმოქმნი ცეულმა რომაელებმა, მთელი მსოფლიოსაგან წარმართობის შეუბღალველად ერთგულებას რომ მოითხოვდნენ, მუშნ რომის ტაძარი დაანგრეს, წმ. პეტრეს ჯაჭვები კი, რითაც გრიგოლ განმანათლებელივით ჯურღმულში ჩაგდებულს ხელ-ფეხი ჰქონდა შეკრული, დღესაც უდიდესი კრძალვითა და მოწიწებით ინახება საგანგებოდ აგებულ საყდარში, სან პედრო დი ვინკოლი — წმიდა პეტრე ჯაჭვებში რომ ჰქვია.

ვგონებ ინტერესმოკლებული არ უნდა იყოს, თუ საიდან წარმოსდგა თვით სახელწოდება „ერშიაძინი“. უძველესი ხალხური გადმოცემის თანახმად იგი „მხოლოდშობილის მოვლინებას“ ნიშნავს. მაგრამ ვინაა ეს „მხოლოდშობილი“? იგი მამალმერთის ერთადერთი ძეა, რომელიც ცის ქვეშ ღმერთმა მოავლინა და თითქოს პირადად აჩვენა ადგილი, სადაც მისი სადიდებელი ტაძარი უნდა აშენებულყო.

მაგრამ ძნელია დაიჯერო, თითქოს ჩვენს ათეისტურ მეოცე საუკუნეში უკლებლივ ყველა სომეხი, შინ თუ გარეთ, ღვთის მორწმუნე იყოს. ზემოთ სადღაც უკვე ვამბობდი, რომ ერშიაძინის როლსა და მნიშვნელობას სომეხი საზოგადოების თვალში ამ მხრიდან



არც უნდა შევხედოთ. კათალიკოსის კვერთხი, ყველა სომეხს რომ სულიერად აერთიანებდა და ერთ არსებად კრავდა, ყოველთვის საფიციარი საშობლოს წმიდა სიმბოლო იყო და ასეთად რჩება იგი დღესდღეობითაც. ამიტომაც აქ, ეჩმიაძინში რომ მოდიხარ, ვინც არ უნდა იყო, უფლისწული თუ მათხოვარი, თუკი გულში სიკეთისა და კაცთმოყვარეობის სანთელი გინთია და ღონე შეგწვევს სხვის სახატეს თაყვანი სცე, არ შეიძლება, სულის ამამაღლებელი მოწიწებით არ აღიფსო.

ძველი ბაზილიკისაგან საკათედრო ტაძრის მშენებლებს იმ შორეულ მეხუთე საუკუნეში მხოლოდ ოთხი მძლავრი პილონი გამოუყენებიათ, სიმალღე დაუმატებიათ, კამარებით დაუკავშირებიათ და ზედ მთავარი გუმბათი დაუდგამთ.

ეჩმიაძინის ტაძარი ჯერის ტიპის ერთ-ერთი უპირველესი ნაგებობაა ქრისტიანულ სამყაროში. მისი ინტერიერი და სიბრტყის ფართობი, მართალია, ისე ვრცელი და ყოვლის მომცველი არ არის, როგორც რომაულ-კათოლიკურ ტაძრებში სჩვევიათ (ყველა მათგანი ხომ გაცილებით მოგვიანებით აშენდა!), ხუთას კვადრატულ მეტრსაც არ აღემატება, მაგრამ ტაძარი შიგნიდანაც, ისევე როგორც გარედან, გრანდიოზულ შთაბეჭდილებას სტოვებს და რაღაც ზემოუნებრივის მიმართ კრძალვას გინერგავს.

კედლების ამოსაყვანად და მოსაპირკეთებლად გამოყენებულია წითელი პორფირი, რომლის საბადო და საშტეხლოები შორს არ არის ქალაქიდან. სომხეთი ხომ ქვის ქვეყანაა. აქ რა ჯურის სამშენებლო ქვას არ ნახავ!

ტაძარი შორიდანვე იქცევს ყურადღებას მრგვალი და მრავალწახნაგოვანი კონუსისებური სამრეკლოებითა და გუმბათებით, რომელთაგან ზოგი სარკმლებიანია და ორიგინალური დეკორით შემკული, ზოგი კი ქვაზე ქარგვის შეუღარებელი ოსტატის ნახელავ სვეტებზე დგას. სამრეკლოების, გუმბათების და მთლიანად ტაძრის სახურავი

თავდაპირველად ხისა ყოფილა და მას დროდადრო შეეკეთება და განახლებაც პირდებოდა. მეშვიდე საუკუნის შუა წლებში ხის სახურავი ბაზალტის ფილებით შეუცვლიათ და ამით, თუ შეიძლება ასე ითქვას, ტაძრისათვის საბოლოო, მონუმენტური სახე მიუციათ.

ჩვენს დროში, ორმოცდაათიან წლებში, კათალიკოს ვაზგენ პირველის ლოცვა-კურთხევით, ტაძრის ახალი რეკონსტრუქცია მოხდა, რადგან კედლები და შიგა საყრდენები დაიბზარა და მთელ შენობას საშიშროება დაემუქრა. პილონები და მათი შემაერთებელი კამარები რკინა-ბეტონის სარტყლებით გაამაგრეს, კედლის ბზარებიც საგულდაგულოდ გამოაშენეს და გუმბათ-სამრეკლოებისა და სახურავის ყველა დაქანებული ნაწილი, რომელსაც ატმოსფერული ნალექები ხედება, ტყვიის სქელი ფურცლებით დაფარეს. ამგვარად, სინესტის გაფონვისაგან ტაძარი სამუდამოდ დაცულია.

ცვლილებები განიცადა იატაკმა და საკურთხველმაც. იტალიური ფერადი მარმარილოთი ამოშენდა საკურთხველის ზღუდე და იატაკიც იმავე მარმარილოს ფილებით დაიფარა. ჭეშმარიტ ვარპეტებს უმუშაენიათ. ნაყერსაც ვერსად შეამჩნევ. მე შენ გეტყვი, ოსტატების შორიდან მოყვანა დაპირდებოდათ. ქვის ოსტატებით სავსეა სომხეთი, ოღონდ ძნელია გაარკვიო, რომელი რომელს ჯობს. რა დაჯდებოდა ყოველივე ეს? აურაცხელი ოქრო, რომლის გაღება მსოფლიოში ერთ-ერთ ყველაზე უფრო მდიდარ სომხურ ეკლესიას დღესდღეობით არ უჭირს და იმედი უნდა ექონიოთ, რომ არც მომავალში გაუჭირდება!

ქერიდან შუაგულ სამლოცველო დარბაზში ასობით სანთლით გაჩირადლებული ბროლის უზარმაზარი ჭაღი ეშვება და ცისარტყელის შვიდივე ფერით ციმციმებს. იგი ჩვენი თანამედროვე სომეხი არქიტექტორების ესკიზების მიხედვით დაამზადეს მსოფლიოში საუკეთესო ჩეხო-სლოვაკმა ოსტატებმა.

დიდი რელიგიური დღესასწაულების დროს, როდესაც ტაძარში და მის ედემალტკეულ ვრცელ შემოგარენში ათასობით და ათი ათასობით ადამიანი იკრიბება, როცა ყოველთა სომეხთა სამღვდლოება, კათალიკოს ვახგენის წინამძღოლობით, საეპეკლის კმევით, ფართოდ გაღებულ კარიბჭეში შემოდის, უჩინარ ნიშებში მიმაღული კაპელები ღვთის საგალობელს აღავლენენ და მოხეიწე საკათედრო ტაძარი ღვთაებრივი ზემებითა და მქრქალი კვაშლით ივსება.

ბედნიერია ის, ვინც თადარივიანობა გამოიჩინა და შიგნით მოხვდა, ვისაც შეუძლია მთელი ეს საეკლესიო მისტერია, რომელიც ეჩმიადინის ბუკებუკეშ უკვე თექვსმეტი საუკუნეა იმართება, თავიდან ბოლომდე საკუთარი თვალით იხილოს. ეს ზომ თეატრია, მაღალი რანგის თეატრი!

ჯერ სად იყო კიდევ ქრისტიანობა, სომხეთში რომ პირველი საერთო თეატრი გაჩნდა! სახიობა და დრამათმთხველობა სომეხ არისტოკრატთა ერთი უსაყვარლესი გატაცება იყო. ამის დასტურად საეპარხია ვავიხსენოთ ტიგრან დიდის შვილი არატავაზდ მეორე, მამის მსგავსად, სიცოცხლე რომ მსოფლიო ბატონობის მოსურნე რომთან ომში გალია. არტავაზდი, გარდა იმისა, რომ ცნობილია, როგორც დახელოვნებული პოლიტიკოსი, მოხერხებულად რომ იყენებდა რომისა და პართიის წინააღმდეგობებს, ცნობილია აგრეთვე, როგორც მწიგნობარი, აეტორი არა ერთი პიესისა და ისტორიული თხზულებისა. მოგვიანებით არტაშატში გაიხსნა სტაციონარული თეატრი, რომელსაც თავისი მუდმივი დასი ჰყავდა და რომლის სკენაზეც, გარდა მეფე არტავაზდისა და სხვა სომეხი დრამატურგების ნაწარმოებებისა, ანტიკური დრამატურგიის ნიმუშებიც იდგმებოდა.

ხალხის საყოველთაო ტრადიციის უდიდესი ძალა აქვს. ის შენც შენდა შეუძნეველად გიპყრობს და თავის ფერხულში გაბამს. ამ ოცი წლის თუ შე-

ოთხედი საუკუნის წინათ მე ეს საკუთარ თავზე გამოვსცადე რქუნული!

არა აქვს არავითარნი მშენსუქნეჭარბა, გვამს ღმერთი თუ არა, იზიარებ თუ არა გრიგოლ განმანათლებლის მოძღვრების პოსტულატებს. აჟ, აბრიალებულ ტაძარში, მეგობრობის, კაცთა შორის თანხმობის, ძმობისა და სიყვარულის ატმოსფერო სუფევს.

ეს დიდი საეკლესიო სპექტაკლი სომხური ხელოვნებაა, რომელიც, როგორც საზოგადოდ ყოველგვარი ხელოვნება, მხოლოდ იმისათვის არსებობს, რომ ადამიანში ადამიანური საწყისი გააღვიძოს და იგი სიყვითის ნეტარებას აზიაროს.

აქვე გვმართებს ვავიხსენოთ საეკლესიო მხატვართა დინასტიის გვარი, ოვანთანიანი, რომლის გამოჩენილმა წარმომადგენლებმა ეჩმიადინის ტაძრის თაღები და კედლები მოხატეს. აჟ, ტაძარში, და საერთოდ მონასტერში, რომლის ერთი ნაწილი კათალიკოსის პირად რეზიდენციას, მუზეუმს და სასულიერო სემინარიას უჭირავს, ოვანთანიანების გვარი წამდაუწყუმ გაისმის. ისინი, თითქმის ყველა, მხატვრების მთელი დინასტია, მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეში ცხოვრობდნენ და მშობლიურ სომხურ ეკლესიას ფრესკული ფერწერის შედეგებით და მაღალმხატვრული ხატებით ამკობდნენ.

ეკლესია დროს უკან არ რჩება. არამცთუ ხელოვნების ახალ-ახალ ფორმებს, მის ტექნიკურ მიღწევებსაც თავის სასარგებლოდ იყენებს, ამით უაღრესად თანამედროვე ზდება და ცდილობს, მეოცე საუკუნის მიწურულის ადამიანის ყველა სულიერ მოთხოვნილებას უბასუხოს.

რა მიაჩნიათ ამისთვის საჭიროდ? უპირველეს ყოვლისა ის, რომ ეკლესია უწიგნურთა და უმეცართა თავშესაფრად არ იქცეს, როგორც არა იშვიათად ზდება ხოლმე, და მისი უკლებლივ ყველა მსახური ჩვენი დროის ცივილიზაციის უმთავრეს საკითხებში თავისუფლად ერკვეოდეს.

მაგალითს თვით კათალიკოსი ვახგე-



ნი იძლევა. ის თავისი დროის ერთ-ერთი თვალსაჩინო ლეთისმეტყველი, ფილოსოფოსი და ხელოვნებისმცოდნეა და მის ხელთ არსებული საშუალებები... ყველა პირობას ქმნის, რომ გარე-შემოც ასეთივე ინტელექტუალური დიაპაზონის მქონე პირები შემოიკრიბოს.

სომხეთში ესამით, რომ, მართალია, კონსტიტუციის თანახმად, ეკლესია სახელმწიფოსაგან გამოყოფილია, მაგრამ უგუნურება იქნებოდა მისი იგნორირება, თითქოს იგი საერთოდ არ არსებობდეს. ეკლესია რეალური ძალაა, რომელიც იმავე კონსტიტუციის შესაბამისი მუხლის თანახმად არსებობს და როდი შეიძლება, ამ გარემოებას ჭე-როვანი ანგარიში არ გაეწიოს.

კულტურულ ერს, ეს უმკველია, სა-მღვდლოებაც ზნეობრივად სანიმუშო და საკაცობრიო კულტურას ნაზიარები უნდა ჰყავდეს. ამის წინააღმდეგ შეგ-ნებული თუ შეუგნებელი ბრძოლა შე-იმ დეზერტირის უნუგეშო მდგომარე-ობას მაგონებს, თავი რომ თავისივე იარაღით დაუჭრია და ცდილობს, ომ-ში სიკვდილს ასე გადაარჩეს.

ოვნათანიანების ხელით სხვადასხვა დროს შესრულებული შინაგანი მოხა-ტულობა ტაძრის რეკონსტრუქციის დროს მთლიანად განახლდა. ფრესკე-ბის განახლებაზე ათობით პირველხარის-სხოვანი სომეხი ფერმწერი მუშაობდა. არავის დაბადებია აზრად, მათთვის კულტის სამსახური დაებრალებინა და რაიმე მხრივ საყვედური ეთქვა. ოვნა-თანიანების საეკლესიო მხატვრობა, ისევე როგორც მთელი ეჩმიაინი თა-ვისი უძრავ-მოძრავი ქონებით, სომეხი ხალხის ეროვნული საკუთრებაა და წრფელი მადლობის მეტი რა ეკუთვნის იმ მამულიშვილ სომეხს, უკეთუ ის მისი შემდგომი გამდიდრებისა და გა-მშვენებისათვის ნიჭისა და შესაძ-ლებლობის კვალობაზე გაირჩება.

ოვნათანიანების შთაგონებული მხა-ტვრობა დღესაც იმავე ძალით აღაგზ-ნებს და ატყვევებს ხელოვნების დამ-ფასებელ მნახველს, როგორც ამ ორ-

ნახევარი საუკუნის წინათ აღაგზნებდა და ატყვევებდა.

მარკო ვეჯი

მაგრამ ეს ყველაფერს მარკო ვეჯის დევ გველის ერთი მოულოდნელობა: ესაა თანამედროვე მხატვრობის ნაკა-დის გაბედული შემოჭრა ტრადიციულ სომხურ ფრესკულ ფერწერაში და მი-სი ბუნებრივი შერწყმა კლასიკურ ფე-რებსა და ხაზებთან.

საკურთხევლის ბუქებს შორის ოქ-რომკედით ამოჭარგული კრეტსაბმე-ლი იხსნება და საზეიმო ლეთისმსახე-რების დროს მლოცველთა და სამლო-ცველო დარბაზში მყოფთა თვალწინ მთელი თავისი სიღიადით წარმოსდგე-ბა უზარმაზარი ფერწერული ტილო — ლეთისმშობელი მარიამი და ყრმა იესო ქრისტე, რომელიც ჩვენი დროის სა-ხელგანთქმული იტალიელი მხატვრის გრეგორიო შილტიანის ყალამს ეკუთ-ვნის.

სახელი, მართალია, იტალიურად ელერს, მაგრამ გვარი კი აშკარად გვე-უბნება, რომ მხატვარი წარმოშობით სომეხია, არა მარტო წარმოშობით, არამედ სამშობლოსთან დამაკავშირე-ბელ გულის სიმებით, ერთი იმათგანია, ვისი მაშვრალი მამა-პაპაც ავიდ მოსა-გონარ წლებში მშობლიური აიარა-ტის ქვეყნიდან აიყარა, შორს გადაიხ-ვეწა, ბოლოს იტალიაში ჰპოვა მშვი-დობიანი ნაესაყუდელი და აი, მათი შთამომავლის, სისხლისა და ხორცის მარჯვენით შექმნილი დიდებული ტი-ლოს წინაშე მუხლს იღრეკენ სომეხთა უძველეს და მარად ახალგაზრდა სამშო-ბლოში. ვის სჭირდება დღეს იმის მტყი-ცება და შეგონება, რომ ეს ყველაზე დიდი ჯილდოა, რომელიც კი შეიძლება სიცოცხლეში თუ სიცოცხლის შემდეგ ხელოვანს ერგოს, სადაც არ უნდა ცხოვრობდეს იგი და ვის კარზედაც არ უნდა ათენ-ალამებდეს!

საკურთხევლის უკან, საღაროში, სა-დაც წესისამებრ საეკლესიო შესამო-სელი და წირვა-ლოცვისათვის საჭირო ნივთები: ჭვრები, კვერთხები, სანთე-ლი, ბარძიშები, აზარფეშები ინახება და დღეს ტაძრის მუზეუმის მოვალეო-

ბასაც ასრულებს, დაინტერესებულ პირს სწორედ სასწაულის ძალით გადარჩენილ და ჩვენს დრომდე უვნებლად შემონახულ უძვირფასეს რელიქვიებს, სომხური ოქრომჭედლობის ორიგინალურ ნიმუშებს და გამოყენებითი ხელოვნების უნიკალურ ქმნილებებს გაჩვენებენ.

თითქმის ყველაფერი, რაც აქ თაროებზე და მინისსახურავიან სამუზეუმო ვიტრინებში აწყვია, შემოწირულებაა, სხვადასხვა დროს საჩუქრად მიუღია საპატრიარქო ტაძარ ეჩმიაძინს მსოფლიოს ყველა კუთხეში ძნელბედობის გამო გაბნეული შვილებისაგან. ისინი, სომხეთის დიდი შვილები, სადღაც ცხოვრობენ, ხშირად იქნებ განცხრობითაც, თავისებურ, სხვებისაგან განსხვავებულ ცხოვრებას ეწევიან, თუ ერთნი უდიდეს ფაბრიკა-ქარხნებსა და ბანკებს ფლობენ და მილიარდებს ატარიალებენ, მეორენი დიდი რაოდენობის მძივებისაგან შედგენილი სარწმუნოება და ყოველთა სომეხთა ეროვნული სალოცავი წმ. ეჩმიაძინი ასახიერებს.

ვის რა შეუძლია და ემეტება, იმის შემოწირვით ეტრფის და ესიყვარულება სანუკვარ სამშობლოს და რაკი მისი ხელშეწავლები ნივთი აქ დევს, მაშასადამე, მისი სულის ნაწილიც აქ არის და აწ და მარადის სომხეთის ცის ქვეშ იტრიალებს!

მაგრამ ყველა ამ სამუზეუმო ექსპონატს შორის, რომელთა ერთი ნაწილი დღესაც ხმარებაშია, არის ერთი, თავისი საკრალური დანიშნულებით დანარჩენებზე ბევრად უფრო მნიშვნელოვანი და ყურადღებასისაქცევი.

ეს გახლავთ სკლუპტურული რელიეფებით შემკული უზარმაზარი ვერცხლის ქვაბი — სამირონე. მირონი ქრისტიანული ეკლესიის ერთი უპირველესი ატრიბუტია, მირონის ცხება ერთ-ერთ საეკლესიო საიდუმლოდ ითვლება და მისი ხარშვის რიტუალური

ცერემონიალი ოდითგანვე დადგენილი წესითა და რიგით მიმდინარეობდა. მირონი, ეს უზარმაზარი ზეთი, იხარშება რამდენიმე წელიწადში ერთხელ და მისი მოხარშვისა და მსოფლიოს სხვა ეკლესიებისათვის განაწილების პატივი და უპირატესობა მხოლოდ უძველეს, საქვეყნოდ აღიარებულ ქრისტიანულ ცენტრებს აქვთ, რამდენიმეთაგან ერთ-ერთი პირველია ეჩმიაძინი, ვინაიდან სომხეთის ეკლესია სამოციქულოა და ქართულ მართლმადიდებლურ სამოციქულო ეკლესიასთან ერთად ქრისტიანული სარწმუნოების ურყევ ბურჯად ითვლება.

მეორე მსოფლიო ომში ფაშისტი მხეცის თავისსავე ბუნაგში განადგურების შემდეგ სომხეთში მანამდე წარმოუდგენელი ეროვნულ-სახელმწიფოებრივი აქტი განხორციელდა, რამაც საერთაშორისო გახმაურება ჰპოვა და საბჭოთა კავშირის ეს ერთი პატარა რესპუბლიკა მთელი მსოფლიოს ყურადღების ცენტრში მოაქცია.

ყველა სომეხს, ვინც ისტორიულ სამშობლოში დაბრუნებას მოიწადინებდა, უცხოეთის რომელი სახელმწიფოს ქვეშევრდომიც არ უნდა ყოფილიყო, ნება ეძლეოდა შინ დაბრუნებისა. გაიღო ცხრა ურდულით ჩაგმანული სამშობლოს კარი, დიდი ხანია ამოდ რომ ელოდა თავის გაუცხოვებულ შვილებს, რომელთა გულში ჭერ კიდევ ერთო სამშობლოს სიყვარულის წმიდა ლამპარი.

ღირსსახსოვარ მოვლენას შემდგომ პოლიტიკური სახელწოდება — უცხოეთში მცხოვრებ სომეხთა რეპატრიაცია დაერქვა და მის განხორციელებაში მეტად აქტიური მონაწილეობა მიიღო სომხეთის ეროვნულმა ეკლესიამ. ეჩმიაძინის საპატრიარქო ერთგვარ შუამავლის თუ შუა რგოლის როლს ასრულებდა ერთი მხრივ ჩამოსახლების მოსურნე რეპატრიანტთა და მეორე მხრივ საბჭოთა ხელისუფლების შესაბამის ორგანოებს შორის.

სამშობლოში დაუყოვნებლივ დაბრუნების სურვილი ათასობით და ათი ათასობით სომხურმა ოჯახმა გამოთქვა.

ბევრმა მათგანმა, ოღონდ კი წინაპართა სისხლითა და ოფლით გამოხილ მშობელ მიწაზე ფეხი დაედგა, უყოყმანოდ უარი თქვა სოციალურ პრავილეგიებზე, რომლებიც იმ ქვეყანაში გააჩნდა, საიდანაც შინ მოემგზავრებოდა.

მას შემდეგ, რაც ფელდმარშალმა პასკევიჩმა რუსეთ-თურქეთის ომის ძღვევამოსილად დამთავრებისა და ადრიანოპოლის ზავის დადებისთანავე გასული საუკუნის ოციანი წლების მიწურულს რამდენიმე ასი ათასი სული ქრისტიანი სომეხი, მათივე თხოვნის თანახმად, თურქეთის ვილაიეთებიდან სამხრეთ საქართველოს დაცარიელებულ მიწა-წყალზე ჩამოასახლა, სომხურ მოსახლეობას ასეთი დიდი და ორგანიზებული ადგილგადანაცვლება აღარ განუცდია. დედა-სომხეთს მოაშურა საზოგადოების თითქმის ყველა კლასმა და ფენამ. სამშობლოს მცენება ყველა სხვა ინსტინქტზე და სოციალურ მრწამსზე ძლიერი აღმოჩნდა. სომხეთი კვლავაც აივსო პირველხარისხიანი მოხელეებით, სახალხო მეურნეობის სხვადასხვა დარგის გამოცდილი სპეციალისტებით, უმაღლესი კვალიფიკაციით აღჭურვილი ექიმებით, ინჟინრებით, პედაგოგებით, უკვე მსოფლიო სახელის მქონე მეცნიერებით, თეატრისა და კინოს ვარსკვლავებით, მწერლებით, ჟურნალისტებით...

უაღრესად სასიხარულო მოვლენამ სომეხი ხალხის ცხოვრებაში ამოძრავა ის ბნელი ძალებიც, რომელთაც არამცთუ სამშობლოში დაბრუნება და იქ ცხოვრება, საბჭოთა სომხეთის სახელის გაგონებაც არ სურდა, არა და სხვა სომხეთი ბუნებაში არ არსებობდა. ესენი ისტორიის სანაგვეზე გადაყრილი დაშნაკთა ნაშთები, ანდა დაშნაკურად განწყობილი საშუალო თაობისა და ახალგაზრდობის მცირერიცხოვანი მოფაშისტო წრეები იყვნენ. მათ საშინელი აურზაური ატეხეს თავიანთ ბულვარულ პრესაში, თავისი თავის პატივისცემული კაცი ხელშიაც რომ არ აიღებს. ირწმუნებოდნენ, ყოველ გზაჯვარედინზე გაიძახოდნენ, სა-

ბჭოთა კავშირის ტერიტორიაზე არავითარი სომხეთი და სომეხი არ არსებობენ, საყოველთაოდ აღიქმებიან კვლავ იმ უკვე გადაყლაპა ყველაფერი, რასაც აქამდე სომხეთი და სომხური ერქვა, ხოლო რაც შეეხება გრიგორიანულ ეკლესიას, წმ. ერმიადინს, ყოველთა სომეხთა უწმიდეს კათალიკოს-პატრიარქს, ესენი დიდი ხანია მორჩილ იარაღად ქცეულან ველიკორუსთა ხელში და მხოლოდ კრემლის გულის საამებელ საქმეებს აკეთებენ.

სიმაართლე უნდა ითქვას, გულზე ხელედაძვდობილი არც სომხეთში მსხდარან და არც უნდა მსხდარიყვნენ. იმაზე უარესი ბოროტება, რასაც შოვინიზმის შხამით მოწამლული დაშნაკები, რომლებმაც ჯერ კიდევ მაშინ შეირცხვიენეს თავი, როცა, როგორც მმართველი პარტია, ქვეყნის სათავეში მოექცნენ, სომხეთისათვის ვის რა უნდა გაეკეთებინა! უმაღლესმა საეკლესიო პირებმა და სომხური კულტურისა და მეცნიერების გამოჩენილმა მოღვაწეებმა, მათ შორის მწერლებმა, მთელი მსოფლიო შემოიარეს, დედაშიწის ყოველ კუთხე-კუჩქულში შეიხედეს, სადაც კი უცხოელი თანამემამულეები ეგულებოდათ, მოინახულეს ე. წ. „სპიურები“ — სომეხთა გაერთიანებული თემები ახლო აღმოსავლეთისა, ინდოეთისა, ამერიკის შეერთებულ შტატებსა და კანადაში და თავისი პირით აუწყეს ყველას გაბოროტებულ დაშნაკთა კაცთმოძულე პროპაგანდის სიცრუე. კონტროპროპაგანდის მთავარზე უმთავრესი არგუმენტი ის იყო, რომ პირველმავე რეპატრიანტებმა იხილეს არა ფიქცია, არამედ ნამდვილი ცოცხალი სომხეთი, სომეხი ერის სისხლითა და ოფლით აშენებული, კიდევ უფრო მაღალი და აღმატებული, ვიდრე იგი ოდესმე ყოფილა!

ზუსტად თორმეტი სრულდებოდა, მე და გევორქ ხაჩატრიანი რომ მანქანიდან გადმოვედით და გაჩქარებუ-

ლებმა სამონასტრო კომპლექსის გარეშემო გაშენებულ ბაღნარს მივაშურეთ, რომლის უკანა ნაწილი, წინა ნაწილისაგან ბრინჯაოს მხატვრული მესერით რომ არის გამოყოფილი, ამ რამდენიმე წლის წინათ რეკონსტრუქციამწილ დიდებულ სასაბლემში, თავის პირად რეზიდენციაში, ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქი ვაზგენ პირველი გველოდებოდა.

შოსანმა ბერმა ჯიხურის კარი გამოალო, გთხოვთ, კეთილი ინებეთო, თანამემამულე გეგორჯ ხაჩატრიანს სომხურად მიმართა და შემდეგ ჩემდა საყურადღებოდ რეზიდენციის კარიბჭისაკენ ზელით გვაჩვენა.

სამი კარისაგან შემდგარი კარიბჭის შუა კარი ღია იყო და ნაცრისფერ მოღურ კოსტუმში გამოწყობილი პირ-მომღიმარე, ქერთმიანი ახალგაზრდა კაცი, ასე ოცდარვა-ოცდაათი წლისა, გარეგნულად სომეხს სულ რომ არ ჰგავდა, ჩქარი ნაბიჯით ხელგაშლილი გვიახლოვდებოდა.

— მობრძანდით, ძვირფასო სტუმრებო! — მოგმართა მან და თან ხელს გვართმევდა. — მე უწმიდესის მდივანი ვახლავართ. — უწმიდესი თავის კაბინეტში ბრძანდება და თქვენ გელით!..

უწმიდესი ვაზგენი თავის მდიდრულად გაწყობილ და ბროლის ქაღებით გაჩახახებულ კაბინეტში გველოდა. ის თავშიშველი იყო, ბერული საშოსელი ეცვა, თუმცა არა გახუნებული უბრალო ფლანგები, გულზე ოქროს ძეწკვით დაკიდებული პატროსანი თვლებით მოოქვილი ჭვარი და პანალია უბრწყინავდა. ხეშეში ქალარა წვერი მოკლედ შეეკრიჭა და სოლისებურად დაეყენებინა. ფიქრიან სახეზე სტუმართმოყვარე მასპინძლის ღიმილის შუქი დასდგომოდა. ვერ იტყოდნი, მაინც და მაინც გოლიათური აღნაგობისააო, მაგრამ ძველი დროება რომ ყოფილიყო და, როგორც სარდალი, ლაშქარს სათავეში სდგომოდა, ხმალში ვაგლახად არავის გაეცქეოდა, ჭვარ-მუზარადში ჩამქდა-

რი მუხთალ მტერს თავზარს დასცემდა და თავის ჯარს გულში მხნეობას ჩაუნერგავდა.

ხელს რომ მართმევდა, თვალი მოვატანე, მარჯვენა ხელის არათითზე აღმასისთვლიანი უზარმაზარი ბეჭედი ეკეთა და უნებლიეთ ჩვენი საყვარელი მწერალი ბატონი კონსტანტინე გამსახურდია გამახსენდა. მასაც ჰქონდა ასეთი ბეჭედი. იქნებ ასე ძვირად ღირებული არა, მაგრამ რალაც ამის მსგავსი კი იყო და ძალიან უყვარდა, წუთი ისე არ გაივლიდა, ზედ ერთი-ორჯერ მაინც რომ არ დაეხედა. ერთხელ კონსტანტინესაც ხომ დაუყარეს ხმა, სრულიად საქართველოს კათალიკოსად კურთხევას აპირებსო. მახსოვს, სიცოლად არ ეყო, რას არ მოიგონებს და შეთხზავს ეს ხალხი, აბა, სად მე, ცოდვილი ბერკაცი, და სად კათალიკოსი, რომელი გაბრიელი ან კალისტრატე ცინცაძე მე მნახესო.

— კეთილი იყოს თქვენი სტუმრობა სომხეთში, — რუსულად მომმართა უწმიდესმა ვაზგენმა და მწვანემამულდაჭიმულ თავის მასიურ მაგიდისაკენ, საიდანაც ჩვენი შემოსვლისას წამოდგა და შუა დარბაზში მოგვეგება, სანახევროდ შებრუნდა. — მობრძანდით, დაბრძანდით! — ხელი გაიშვირა და მაგიდისებურად მასიურ სკამისაკენ, რომელიც დაწინაურებულმა კათალიკოსის მდივანმა გამომიწია, წინ გამიძლოა.

წინასწარ არაფერი მომიფიქრებია, რა და როგორ მეთქვა. იმპროვიზაციის იმედად ვიყავი, რისამე თქმას ან ართქმას ვითომ გარემოება მიკარნახებს-მეთქი.

— გამადლობთ გულთბილი მიღებისათვის, — დავიწყე რუსულადვე, როცა ჩვენ-ჩვენი ადგილები დავიკავეთ, მან — თავის სავარძელში, მე კი მიდგმულ მაგიდასთან, ქორეპისკოპოსისა და გეგორჯ ხაჩატრიანის პირისპირ. — ბედნიერი ვარ, რომ დრო გამონახეთ და საშუალება მომეცით ამ თქვენს დიდებულ რეზიდენციაში პირდად გვევოდით.

რეზიდენციის საცხობით გულწრფელი შეჭება, რასაც ის ასწილ და ათასწილ იმსახურებდა, კათალიკოსს აშკარად ესაბოვნა, მაგრამ ამ თემაზე საუბრის გაგრძელება არ ინება, სამაგიეროდ ქათინაურით მიბასუხა:

— ჩვენც ბედნიერი ვართ, რომ მიუხედავად ასე ხანმოკლე ვიზიტისა, რაც რაფის იუბილესთან არის დაკავშირებული, მაინც გამოჩნხეთ საშუალება და ჩვენს ღარიბ სახლსაც ესტუმრეთ!

უკანასკნელი სიტყვები სახლის სიღარიბის თაობაზე, რასაკვირველია, ხუმრობით იყო ნათქვამი და კაბინეტში მყოფმა ოთხივე მამაკაცმა — თვით უწმიდესმა ვაზგენმა, ქორეპისკოპოსმა, გევორქ ხაჩატრიანმა და მე გულიანად გაეციინეთ. ამან როგორღაც მაინც დაძაბული ატმოსფერო, თვით მასპინძელიც რომ გრძნობდა, ერთბაშად განმუხტა და მეც შესაფერი წუთი შევარჩიე, უწმიდეს კათალიკოსს იმხანად მოსკოვში გამოცემული „მძიმე ჯვრის“ რუსული თარგმანი მივართვი. წიგნი მან ორივე ხელით გამომართვა, დახედა, გადაშალა, მიძღენითი წარწერა წაიკითხა, კიდევ ერთხელ გადამოხადა მადლობა და თავისი საჩუქარი ქორეპისკოპოსსა და გევორქ ხაჩატრიანს აჩვენა. წიგნი მათაც ზრდილობის გულისათვის გადაფურცლეს, მხოლოდ მიძღენით წარწერას აარიდეს თვალი და როდესაც იგი ისევ მასპინძელს დაუბრუნდა, მან მობოდიშებით თქვა:

— სამწუხაროდ, ვერ დაგპირდებით, რომ წაეიკითხავ. ამდენი რუსული მე სად ვიცი! თავადაც ხედავთ, სიტყვას სიტყვაზე ძლივს ვაბამ. რომელიმე დასავლურ ენაზე რომ იყოს, მაშინ... გაგებული გქვნებათ: მე რუმინეთში დავიბადე ამ სამოცდათხუთმეტობედ წლის წინათ. განათლებაც იქვე მივიღე, ბერადაც იქ შევედქე ჩვენს სომხურ მონასტერში. რუსული ენის შესწავლას ერთობ გვიან შევეუდქე და სიბერეში ამის მეტი ვეღარ შევძელი. წიგნის წასაკითხად და გასაგებად არ კმარა. ქა-

რთველესმა იცით იქმა და მე ვალდან მომწონს, კაცი რომ სიბერეში ატარებდა და ფანდურზე ფიფქლი იწიშქუნის, საიტიოს დაუკრავს!

ამაზე ოთხივემ ისევ გულიანად გაცივინეთ, მე ვასამხნევებლად პროტესტი ვერ შევებდე, ეგ თქვენ სრულებით არ შეგეხებათ, რადგან რუსულადაც შესანიშნავად ლაპარაკობთ-მეთქი.

თავზე მდივანი წამოგვადგა. ხელში ვერცხლის ლანგარი ეჭირა. თუ სუნის მიხედვით იმსჯელებდი, ლანგარზე თურქული ყავით გაბიძინებული ფინჯნები იდგა.

— შეიძლება? — სომხურად იკითხა მან.

კათალიკოსმა ჩემი წიგნი, რომელიც ჯერ ისევ ხელში ეჭირა, გვერდზე გადასდო და ყავის ფინჯნის მოსათავსებლად ადგილი მოათავისუფლა.

— რა ნახეთ? მოგწონთ თუ არა ჩვენი პატარა ქვეყანა? თუმცა რას გეკითხებით, ხომ არ შეტყვით, არ მომწონსო!

— რას ბრძანებთ, თქვენო უწმიდესობა, მე არ შემიძლია ეს ერთი-ორი სიტყვით გამოვხატო! ეს არავის არ შეუძლია!

— ჯერ გასაკეთებელი ბევრია. ამას თავადაც ვგრძნობთ. იმედს არ ვკარგავთ, რომ ღმერთი ჩვენთანაა და შთამომავლობის წინაშე თავს არ შევირცხვენთ!

— ოცნებად მაქვს გადაქცეული, სომხეთზე დიდი თუ არა, პატარა წიგნი მაინც დაწერო, — გამახსენდა კი, მაგრამ რატომღაც საჭიროდ არ ჩავთვალე, მე და ვარდგესის ჟენტლმენური შეთანხმება მესხენებინა. — რამდენადაც ვიცი, ასეთი ხასიათის წიგნი, რომელიც კი არ გაგვყრის, არამედ დაგვაახლოებს, არც სომხეთის და არც საქართველოს მხრიდან ჯერ არ დაწერილა.

— არ დაწერილა და ძალიან კი გვეკირდება! სომეხი კოლეგები რას ამბობენ? არ მინდა, ისინი ვალში დარჩენენ! — კათალიკოსმა მორცხვობისაგან მთლად დაქმუქუნულ და საკუთარ მხრე-

ბში ჩამძვრალი გევორჯ ხაჩატრიანს შეხება და დაელოდა, რას იტყვოდა.

— ჩვენს თავმჯდომარეს, პეტროსიანს, მტკიცედ აქვს გადაწყვეტილი თავად მოკიდოს ხელი ამ საქმეს, — გევორჯმა ბეჯით მოწაფესავით წამოიწია, წამოჭარხლებულმა ჯერ სომხურად უბასუხა, შემდეგ ფრთხილად დაეშვა საქმზე და იგივე სიტყვები, მეც რომ გამეგო, რუსულად გაიმეორა. — წიგნი საქართველოზე სომხეთში აუცილებლად დაიწერება!

— ღმერთი იყოს თქვენი შემწე. უკეთესი საქმე მწერალმა რა უნდა გააკეთოს. ორი ათას ხუთასი წელიწადი და კიდევ მეტი ერთმანეთის გვერდით გვიცხოვრია, ჭირიც ერთი გვექონია და ლხინიც. სხვა რაღა არის საჭირო, რომ ერთმანეთს უკეთ ვიცნობდეთ? კიდევ რომ არ მიირთმევთ ყავას?

— არა, გამადლობთ-მეთქი, ვუბასუხე და უმალ ენაზე მომადგა, რომ ორი მოძვეწალხის ურთიერთობის გაფუჭებაში თავის დროზე დიდი როლი სწორედ ეკლესიამ ითამაშა, რომ სასულიერო პირთა გაწიფმატებამ ჯერ კიდევ შეექმნა-მეშვიდე საუკუნეში და შემდეგ უკიდურეს წერტილს მიაღწია, რაზედაც ვრცლად და ამომწურავად მოგვითხრობს მეთექსუთნი საუკუნის სომეხი ისტორიკოსის, უბტანესის წიგნი „ისტორია განყოფისა ქართველთა სომეხთაგან“, მაგრამ ახლა საყვედურებისა და ძველი ნაწყენობის გახსენების დრო არ იყო და უკვე მოშუშებულ ტყვიელზე სიტყვის ჩამოგდებას ისევ დუმილი ვამჯობინე.

— მაშ, რაკი აგრეა, — უწმიდესმა ვახტანგმა თავისი ფინჯანი უკან დასწია, ღონიერ ნიდაყვებს დაეყრდნო და ადგა. იმავ წუთს წამოვიშალეთ დანარჩენებიც. — ცოტაც გავისეირნოთ. მე შინდა ჩვენს ძვირფას სტუმარს რეზიდენციის სამხატვრო სალონი და ზოგი რამ სხვა ღირსშესანიშნაობა ვაჩვენო. თანახმა ხართ?

— დიდად დამავალბდით, თქვენო უწმიდესობავ!

კათალიკოსი ხანშიშესული კაცის

მისივე ნაბიჯით გაგვიძღვა, კანცელარიის ოთახში გაგვატარა და ჩვენ... ისევე ღრმა ქასავით ვრილ ვეხტებოდით ვაველით. აქედან მარჯვნივ და მარცხნივ სიმეტრიულად აღის ჭრელი მარმარილოს მოაჯირებიანი, თითქოსდა სადღაც მზა სახით მოჭრილი და აქ ჩადგმული ორი კიბე, რომელთაც განიერი საფეხურები დაძარღვეული თეთრი მარმარილოსი აქვთ და ზემოდან ბროლის დიდი ჭალით განათებული მეორე სართულისაკენ ზვიადად მიემართებიან.

— მარმარილო აქაც იტალიური ვიხმარეთ, პირდაპირ სიცილიიდან ჩამოვიტანეთ, — კათალიკოსს როგორღაც გადაავიწყდა, რომ მისმა სტუმარმა სომხური არ იცოდა და ეს სიტყვებრ სომხურად თქვა, მაგრამ კიბეზე ჩემს უკან მომავალი გევორჯ ხაჩატრიანი ფხიზლობდა და იმწამსვე მითარგმნა. — დამზადებით ადგილობრივად დაეამზადეთ. სომეხი ხუროები ამ საქმეში იტალიელებს არ ჩამოუვარდებიან!

კიბისთავში მარცხნივ მოუხუციეთ და მხატვრული პარკეტით მოგებულ გრძელ ტალანს გავეყვით, რომლის მარჯვენა მხარეს, კედელზე, ძვირფას ჩარჩოებში ჩასმული ფერწერული ტილოები ეყიდა, მარცხენა კი ღია იყო, იმევე ჭრელი მარმარილოს ნატიფი მოაჯირით გადაკეტილი, და კიბეებს გადაჰყურებდა.

კათალიკოსმა ფართოდ გაღებულ კარში შეუხვია და ჩვენ ყველა თეთრი მარმარილოს დიდრონი ფილებით კედლებმპირაკეთებულ დიდებულ დარბაზში შევედით. მზერა აქეთ-იქით გამექცა. მოგრძო ოთხკუთხა დარბაზს მარჯვენა, ტალანისაკენ მიქცეული კედელი ყრუ ჰქონდა, მოპირდაპირე მარცხენა კედელი კი კამარებიანი შალაღი ფანჯრებით, საიდანაც თვალისმომჭრელი მზის შუქი შემოდისოდა, აგრეთვე მზის სხივებზე მოელვარე ეჩმიანის სამრეკლოებსა და გუმბათებს გაჰყურებდა. როგორც ერთ, ისე მეორე მხარეზე, შიშველი კედლების გასწვრივ, წითელ ხავერდგადაკრული სავა-

რძლები დაეწყეთ, პირდაპირ კი ჩვენს წინაშე იყო განსხვავებული ფერის მარმარილოსაგან გამოკვეთილი კიდევ ერთი მაღალზურგაანი, ღერბიანი სავარძელი — ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქების ტახტი. დარბაზის მარმარილოს იატაკზე და კათალიკოსის ტახტის წინ, იატაკთან შედარებით ერთი საფეხურით მაღლა, ზღაპრული ფერებით ნაქარგი, არაჩვეულებრივად დიდი ზომის ირანული ხალიჩა ედინა.

— თქვენ, ალბათ, უკვე მიხვდით, — შეთქმული კაცის ღიმილით მითხრა კათალიკოსმა და ქარვის კრიალოსანი ჩამომარცვლა. — სატახტო დარბაზში ვეწყობებით. აქ ვწყვეტთ მნიშვნელოვან საეკლესიო საკითხებს. საზეიმო დარბაზობებიც აქ იმართება. როდესაც უწმიდესი და უნეტარესი ილია მერაბეკი დასრულდა მსოფლიო საბჭოს ერთ-ერთი პრეზიდენტი, სომხეთში სტუმრად ჩამობრძანდებოდა ხოლმე, აგრეთვე ყველა მისი რანგის საეკლესიო მოღვაწე, ჩვენ ამ დარბაზში ვიღებთ. სავარძლებს მაღალი საეკლესიო ღირსების მქონე ჩვენი სტუმრები და სომეხი მღვდელმთავრები იკავებენ...

თვალუბგაბარწყინებული ვიდეჭი. ყოველივე ეს ნათლად წარმოვიდგინე და ჩემს წარმოსახვაში გავაცოცხლე. ასეთი დიდებული რამ იშვიათად თუ სადმე შენახა და ჩემს გულწრფელ აღტაცებას არ ვმაღავდი. კათალიკოსი სიამოვნებით მისმენდა, პირზე ღიმილი არ შორდებოდა.

— აბა, ახლა აქეთ მოვტრიალდეთ და ამ გობელენს შევხედოთ, — მითხრა მან და ტახტის მოპირდაპირე კედლისაკენ მიმახედა, რომელზედაც ჰეროდან თითქმის იატაკამდე და კედლის თითქმის მთელ სიფართოზე უზარმაზარი გობელენი ეკიდა. გობელენზე გამოსახული იყო ბატალური სცენა. ჯაჭვ-მუზარადში ჩამჭდარი და თავჩიჩქანიანი მეთორბები, ქალი და კაცი, მოხუცი და ახალგაზრდა, გამეტებით უტყვენ და ჩეხენ ერთმანეთს. აქა-იქ მტრის შტანდარტებს შუა ქრისტიანული ხა-

ტები აუწყვიათ, ერთგან სომხური ეკლესიის ეროვნული დროშა ფრიალებს. დროშაზე ვცნობთ წმინდანთა სახეებს: გრიგოლ განმანათლებელს, თრდატ მეფეს და რიფსიმეს. ალყაში მოქცეულ წითელმოსასხამიან სარდალს ყოველი მხრიდან მისევია შუბშობლერებული მტერი და ხმლის ქნვეისაგან მოქანცულ ვაკეცს განძრევის საშუალებასაც აღარ აძლევს.

— ორიგინალი აქ შეასრულეს ჩვენმა მხატვრებმა, გობელენი კი პარიზში მოვაქსოვინეთ იმ ორიგინალის მიხედვით, — განმარტა კათალიკოსმა, — სიუჟეტი თქვენთვის, ალბათ, ცნობილია: ავარიირის ბრძოლა. 451 წლის 26 მაისს მოხდა ჩრდილოეთ ირანში, სასანიანთა ირანის წინააღმდეგ. ეს, ცენტრში, ანგელოზი რომ თავზე დაფნის გვირგვინს ადგამს, სპარაპეტი ვარდან მამიკონიანია, ვინც აჯანყებულ სომეხებს სარდლობდა...

— ვარდან მამიკონიანს ეს მერამდენედ ვხვდები, — შეენიშნე მე. — თხუთმეტი საუკუნეა საომარ ცხენზე ზის და სამშობლოს ურჯულო მტრის უგერიებს!

— კარგი ნათქვამია! — მომიწონა უწმიდესმა ვაზგენმა. — ახლა კი წავიდეთ და ჩვენი რეზიდენციის სამხატვრო სალონი მოვიწახულოთ.

სამხატვრო სალონს, როგორც აქ უწოდებენ, ერთი კარგა დიდი დარბაზი უჭირავს კიბისთავის ახლოს, ტალანის აქეთა ბოლოში. აქ გამოფენილი ყველა ხატი თუ ფერწერული ტილო, რასაკვირველია, დედანია და საბატრიარქოს ეკუთვნის. ბევრი რამ ძველია, ოდითგანვე ეჩმიძინში ინახებოდა, ბევრი შემდეგ შეუტენიათ და უკვე არსებული კოლექცია შეუესიათ.

ძირითადად აქ სომეხ მხატვართა ნამუშევრებია გამოფენილი, თუმცა რუსული ხატები და იტალიური ფერწერის ნიმუშებიც გვხვდება, და, მცირე გამოწაკლისის გარდა, ყველა რელიგიური შინაარსისაა. გამოწაკლისებს შორის უნდა ვიგულისხმოთ დიდი მარინისტის, წარმოშობით სომეხი აივა-

ზოვსკის რამდენიმე ტილო: „მოუსვენარი ზღვა“, „მზის ჩასვლა ზღვაზე“ და „ბურუსიანი ზღვა“. „მზის ჩასვლა“, ალბათ, ერთ-ერთი საუკეთესოა აივა-ზოვსკის ყალბით შექმნილ ტილოებს შორის.

ზღვის თემა სალონი მარტო აივა-ზოვსკით არ ამოიწურება. ყურადღებას იქცევს მახოხიანისა და ბაშინჯაიანის ქმნილებები, რომლებიც აგრეთვე ზღვას და სევანის ტბას ეძღვნება.

სალონის კედლებზე ყველაზე მეტი ადგილი, როგორც მოსალოდნელი იყო, მხატვართა ცნობილი დინასტიის წარმომადგენლის, ენკშიანიანის საკათედრო ტაძრის თაღებისა და კედლების ერთ-ერთი მომხატველის ოვანთან ოვანთიანიანის ნაწარმოებებს უჭირავს. ყოველი მათგანის სიუჟეტი ბიბლიური ციკლებიდან და ეროვნული ეპოსების ისტორიიდან არის ამოღებული და შთაბეჭედავია თავისებური ეროვნული კოლორითი.

კოლექციის ერთ-ერთი მშვენიერება ბაშინჯაიანის ქმნილება „იუდას მონანიება“. მხატვარს იგი პირველი მსოფლიო ომის წინ, 1913 წელს შეუსრულებია.

— გატყობთ, დიდი შთაბეჭდილება მოახდინა, — მითხრა ლიმილით კათალიკოსმა. — მართალი გითხრაო, ჩვენც ძალიან მოგვწონს. ხანდახან მომინდება ხოლმე ნახვა და საგანგებოდ ამოვდივარ!

— დიდებული ნაწარმოებია. — ეთქვი მე ისე, რომ სურათისათვის თვალი არ მომიშორებია. — ასეთ რამეს კაცი ყოველ ნაბიჯზე ვერ ნახავ. რა ღრმა განცდა, გულწრფელობა, რა შემზარავი სინამდვილე!

— შემზარავი და სულის გამწმენდი კათარზისი! სხვა რა არის ხელოვნების და თქვენი ლიტერატურის, თუნდაც ეკლესიის დანიშნულება? ჩვენ დღეისაგან გაჩენილი ადამიანის სულს ვდარაჯობთ, ვცდილობთ, დავიცვათ იგი წამწყმედი ცთუნებისაგან და მარადიულის შემეცნებისაკენ მივმართოთ.

ვერნებ, აქ ყველაფერი ენაზე? / ჰა, რას იტყვით, სტუმაროშირქვენი!

— მე ველარ გაგებდეთ სიონის კედლებზე წაგართვათ, მეტიმეტი გამომივა, თქვენო უწმიდესობავ!

— მაშ, რაკი აგრეა, განეაგრძოთ. — ამ სიტყვებით მან ყველას მიმართა. — მე რამდენიმე საინტერესო ექსპონატს გაჩვენებთ და შემდეგ, თუ უყურადღებობაში არ ჩამომართმევთ, თქვენს თავს ჩვენს საერთო მეგობრებს გადავებარებ და ვთხოვ, 1915 წლის გენოციდის ძეგლი და ალექ და მარი მანუკიანების განთსაცავი-გამოფენა დაგათვალიერებინონ!

რალა მეტქმონდა, ფარხმალი დაყრილი მქონდა. მომდევნო დარბაზის კარში კათალიკოსის ახალგაზრდა მდივანმა გადაგვისწრო. ხელში გრძელე, ბრკვეიალა გასაღებების ასხმულა ეჭვარა. რა უნდა გელო ნეტავ ამ გასაღებებით? ალბათ, ევროპიდან საგანგებოდ გამოიწერილი, ანდა სომეხი ოსტატებზე მიერ ადგილობრივ დამზადებული ცეცხლგამძლე ყუთი. რომელშიაც მეთათე-მეთერთმეტე სიუჟეტების, ანდა უფრო აღრინდელ უნიკალურ ხატებს, პედური ხელოვნების სხვა ნიმუშებს და ხელნაწერებს ინახავდნენ.

რაოდენ შეეცდი და სახტად დაერჩი. როდესაც თავისი ახალგაზრდული ენერჯით ვალადებულმა ყმაწვილმა კაცმა კედლებზე დაკიდებული მუქი ფარდა გადასწია, გასაღებები კლოტებში მორიგეობით მოარგო. ასევე მორიგეობით გადააბრუნა, ხანძარების წერილს ყური მიუგდო, კედელში ვერტიკალურად ჩასმული ცეცხლგამძლე ყუთის მიძიმე კარი გამოაღო და ჩვენ, დარბაზში მყოფთ, ბრდღვილა ოქროს მთელმა სამყარომ შემოგვანათა.

ეს გახლდათ სომხეთის საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკის სახელმწიფო ლერბი, ჩამოსხმული და გამოკვერილი მასიურ ბაჯალლო ოქროსაგან,

შიგ ჩასმული ასოებით პატიოსანი თვლით!...

მოულოდნელობისა და ალტაცებისაგან ენა ვეღარ მოვიბრუნე. ანდა რა უნდა მეთქვას! დარწმუნებული ვარ, ასე დაემართება ყველას, ვინც ოდესმე ჩემს ადგილას დადგება და ოქროს ამ საოცრებას პირველად დაინახავს! უნდა იდგე და უხმოდ უყურო. ოქროს ღერბი, რაღა თქმა უნდა, სომხეთის სახელმწიფოებრივობას განასახიერებს. ეს ყველაფერზე უფრო ძვირფასი განძია, რაც კი სომეხ კაცს გააჩნია და რაც კი ოდესმე გააჩნდა, კერპია, რომლის წინაშეც ყოველმა ჭეშმარიტმა მამულაშვილმა მუხლი უნდა მოიყაროს და მას სასოებით ეამბოროს.

აი, რას ჭადაგებდა საუკუნეებში და რას ჭადაგებს დღეს სომხეთის ეკლესია და რატომ ეწოდება მას „ყოველთა სომეხთა“!

იქნებ მკრეხელობა იყოს ახლა ამაზე სიტყვის ჩამოგდება, მაგრამ შეუძლებელია, ყურადღება იმაზეც არ გაამახვილო, რომ ღერბის შემქმნელ თანამედროვე ოქრომქვედლებს, თავიანთ მარჯვენადალოცვილ წინაპრებს ტოლს რომ არ უდებენ და ხანდახან კიდევაც აჭარბებენ, რამდენიმე ათეული კილოგრამი უმაღლესი მარკის ოქრო დაუხარჯავთ, რომლის საარაკო ნომინალურ ფასს ჩვეულებრივი მოკვდავის გონება ადვილად ვერ მისწვდება.

თუ შეიძლება ასე ითქვას, მიღებული შთაბეჭდილება გაორმაგდა, როდესაც იმავე დარბაზში მეორე ცეცხლგამძლე ყუთის კარი გაიღო და ჩვენს გვერდით მდგომმა სასულიერო პირებმა, მათ შორის უწმიდესი კათალიკოსის მდივანმაც, პირჯვარი სამგზის გადაისახეს.

ნიშიდან გვიყურებდა ბაჯალო ოქროს ჯვარი ღერბის ზომისა, კაშკაშა, საომრად ალესილი სატევარივით ელვარე, პატიოსანი თვლების უთვალავი სხივით აბრწყინებული.

სომეხ ოქრომქვედლებს ნიჭი, ცოდნა და საუკუნოებრივი გამოცდილება არ დაუშურებიათ, რათა ეჩმიადინის ოქ-

როს ჯვარი, ნიშიდან ცოცხალივით რომ იმზირებოდა, როგორც ქედურ ხელთა ვნების განუყოფელი ჭიშკრის ქრთა ერთი საუკეთესო ყოფილიყო ყველა იმ ჯვარს შორის, რომელიც კი ადამიანის ხელს შეუქმნია!

— კიდევ ერთიც და... — მომესმა უწმიდესი კათალიკოსის ხმა.

ეს „ერთი“, რიცხვით მესამე, მესროფ მაშტოცის მიერ შექმნილი სომხური ანბანი, სომეხი კაცის კიდევ ერთი სალოცავი ხატი, აღმოჩნდა, ზუსტად იმ მოხაზულობისა, როგორიც ათას ხუთასი წლის წინათ შემქმნელს ხელიდან გამოვიდა!

დღეს მსოფლიოში უამრავი სომხური გაზეთი, ჟურნალი და წიგნი გამოდის, რომლებიც ამ უძველესი, ერთობ ორიგინალური, დახვეწილი შრიფტით იბეჭდება. იგი ერთ-ერთია მსოფლიოს 14 დამწერლობას შორის. მრავალ ქვეყანაში, მათ შორის ამერიკის კონტინენტზე, ბევრი სომხური საშუალო სკოლა და უმაღლესი სასწავლებელია, სადაც ყველა მეცნიერების საფუძვლებს და თვით მეცნიერებას სომხურ ენაზე ასწავლიან. ბევრია ტაძარი, სადაც ღმერთს სომხურად ევედრებიან, თვალს კი სამშობლოზე, ყველა სომხის სულიერად გამაერთიანებელ ეჩმიადინზე უქირავთ!

ჩემთვის რომ ვინმეს ეკითხა, მე ამ დარბაზს ღვთაებათა დარბაზს დავარქმევდი. ის ზომ არა მარტო სომხეთს, არამედ ქვეყნიერებაზე გაბნეულ ყველა სომეხს ეკუთვნის. აქ ოქროს ძეგლები აუგიათ სამი ღვთაებისათვის: სახელმწიფოებრიობისათვის, სარწმუნოებისათვის და დედანისათვის, რომლის ანბანის შემქმნელი მესროფ მაშტოცი ერის ერთ უპირველეს წმიდანად არის გამოცხადებული!

დიდრონი მწვანე ხეების ფონზე, ვარდყავილოვან გაზონებს შორის აღმართული ძეგლი 1915 წლის გენოციდისა მოდერნული ხელოვნების ნი-

მუშს წარმოადგენს. იგი სივრცეში წასული, სხვადასხვა ვერტიკალურ სიბრტყეში განლაგებული რელიეფებისაგან შესდგება. ყველა რელიეფზე ჭერის მოტივი ბატონობს. ჭერების სხვადასხვა ზომისაა, პერსპექტივაში უთვალავურ მგორდებიან და თითქოს მნახველის წარმოსახვაში აცოცხლებენ მილიონობით უბრალო მსხვერპლის სამარეებს, რომლებზედაც ეს ჭერები აღიმართა.

ძეგლი სულ ახლახან, ამ ოციოდე წლის წინათ დაუდგამთ და, მიუხედავად უჩვეულო ფორმისა, აქაურობას უკვე შერწყმია, მისი ერთ-ერთი ორგანული ნაწილი გამხდარა.

თუ გენოციდის მსხვერპლთა ძეგლი მეოცე საუკუნის მოდერნული ხელოვნების ტიპური წარმომადგენელია, სამაგიეროდ, ალექ და შარი მანუკიანების განმთსაცავი, საეკლესიო ხუროთმოძღვრებისაგან ნასესხები მაღალი, ვიწრო სარკმლებით, ყრუ კედლებითა და კამაროვანი კოლონადით, რომელიც ფასადის კონსტრუქციების საყრდენადაა გამოყენებული, კლასიკური სომხური არქიტექტურის ფორმებით მდიდარი მაღალმატრული ქმნილებაა. იგი მთლიანად ვარდისფერი ტუფის პერანგშია ჩასმული და ფასადის შუაგულში აღმართული ზომიერი სიმაღლის მრავალწახნაგოვანი გუმბათით და ბლაგვ კუთხედ შეტებილი ლავგარდანი, წარუშლელ შთაბეჭდილებას ტოვებს. განმთსაცავის სადა ფასადი სწორ კუთხეს ქმნის კათალიკოსის ახალი რეზიდენციის ფასადთან და მასთან ერთად განუყოფელი არქიტექტურული ანსამბლის მადომინირებელ ნაწილად გვევლინება.

სომხეთის ეს ერთ-ერთი მნიშვნელოვანი სამუზეუმო შენობა 1982 წელსაა აგებული არქიტექტორ არზუმანიანის პროექტის მიხედვით, ხოლო რაც შეეხება მშენებლობის ხარჯებს, იგი მთლიანად უკისრიათ ამერიკის შეერთებული შტატების მოქალაქეებს, ეროვნებით სომეხ ალექ და მარი მანუკიანებს. წმ. ეგვიპტისა და სომეხ-

თის რესპუბლიკამ მადლიერებით მიიღეს სამშობლოს ფარგლებს გარეთ მცხოვრებ თანამემამულე მშენებელი შემონაწირი, მილიონობით დოლარით რომ განისაზღვრებოდა, და ნიშნად გულითადი მადლიერებისა, განმთსაცავს, სადაც უძველესი სომხური ხელოვნების ასობით ძეგლის ნახვა და გაცნობა შეიძლება, მათი სახელი უწოდეს.

ალექ და მარი მანუკიანების დიდებული სამუზეუმო სასახლე ორსართულიანია და რამდენიმე ათეული საექსპოზიციო დარბაზისაგან შედგება. დარბაზების კვარცხლობებზე და დღის სინათლით განათებულ ფართო ვიტრინებში გამოუფენიათ ერმიოძინის თითქმის მთელი საეკლესიო ქონება. იგი დღითიდღე და წლითიწლით იზრდება სულ ახალი და ახალი შემოწირულობებით, რომელთაც საზღვარგარეთის ქვეყნებიდან აგზავნიან იქ სხვადასხვა დროს ჩასახლებული სომხები და, ამგვარად, არამცთუ არ წყვეტენ, აცხოველებენ კიდევაც სულიერ და მატერიალურ კავშირს დედა-სამშობლოსთან.

უპირველეს ყოვლისა, დამთვალიერებლის ყურადღების ცენტრში ექცევა ხაჩკარები, მცირე ზომის არქიტექტურულ-სკულპტურული ქმნილებები, ქვაში ნაკვეთი ჭერები, რომლებიც მნახველს ანციფიტრებენ ხაზების ფანტასტიკური მრავალფეროვნებით და შესრულების სინატიფით. აქ ნახავთ სომხეთის სხვადასხვა ეკლესია-მონასტრიდან მოტანილ ხაჩკარებს, რომელთაგან უძველესი მე-11 საუკუნისაა, ხოლო ყველაზე ახალი ჩვენს დროს განეკუთვნება. აქედან ცხადია, რომ ხაჩკარი, როგორც მხატვრული აზრის გამოხატვის ფორმა, კვლავ ცოცხალია და მის შემდგომ სრულყოფაში თავიანთ შემოქმედებით ძალებს სცდიან ჩვენი დროის მოქანდაკეები და ხუროთმოძღვრები.

ენით აუწერელია აღტაცება, რასაც ოვანავანქიდან ჩამოტანილი, 1171 წელს ვარპეტ ვარდანის მიერ შესრულებული ხაჩკარი იწვევს. რა დაუშრე-



ტელი უნდა იყოს შემოქმედი ადამიანის ფანტაზია, როგორ უნდა ფლობდეს საჭრეთელს, რა ტიტანური მოთმინებით უნდა აღიჭურვოს, რომ უტყვი ლოდისაგან ამგვარი განმაცვიფრებელი რამ გამოკვეთოს.

ირგვლივ ფანტაზიის უკიდვანობისა და შესრულების ფილიგრანული ტექნიკის შეჯიბრია და ჩვენ, მაყურებლები, შეჯიბრის ყოველი მონაწილის გამარჯვების მოწმე და მონაწილე ვხდებით.

ვიტრინები ამზეურებენ შუა საუკუნეების სომხეთის საგანძურს, უფრო სწორად, საგანძურის იმ მცირე ნაწილს, რაც კი უთვალავ შემოსევას, ძარცვა-გლეჯას და ქვეყნის შიწა-წყალზე ძალმომრეობის პარპაშს გადაურჩა. უთვალავი ვარიაციაა ოქროსა და ვერცხლის დასადგმელი ჯვრებისა, გარდამოსხნის რელიეფებისა, ლამპადებისა, საცეცხლურებისა, მირონის მოსათავსებელი ტანწერწეტა სურებისა, ზარდახშებისა, ფიალებისა, კანდელებებისა, ოქროთი და პათიოსანი თვლებით მოჭედული სამღვდელმთავრო კვერთხებისა, თავი რომ გველისა აქვთ, ბარძიშებისა, საკურთხევის ჯვრებისა, ხატებისა, რომელთაგან უძველესი მე-10 საუკუნეს განეკუთვნება, კარედებისა, პანაღებისა, ვაკაიებისა, ტიგრან დიდის ზარაფხანაში მოჭრილი ოქროს მონეტებისა თვით ტიგრანის გამოსახულებით, არშაკიდების, კილიკიის სომხეთის, ალექსანდრე მაკედონელის, რომის რესპუბლიკის, ანტონიოს პიუსის, ნერონის, სასანიდური ირანის და სხვათა და სხვათა მონეტებისა, დაბადებისა და სახარების ჰედური ყდებისა, ოქროსა და ვერცხლის აბზინდებისა, მოსევადებული სარტყლებისა, კათალიკოსთა შესამოსელია, წმ. გრიგოლ განმანათლებლის და წმიდანთა სამეულის საეკლესიო დროშებისა, მღვდელმთავართა სარიტუალო გვირგვინებისა, მიტრებისა, ოლარებისა, სტაქარებისა, კრეტაბმელებისა, ნაქარგი ჯვრებისა, ბალდახინებისა, ბარძიშის საფარველებისა, ხა-

ლიჩებისა, ფარდაგებისა, სახარების უძველესი ილუსტრაციებისა, მხატვრებით მოხატული სახარებებისა...

მართალია, ამერიკელი მანუკიანები სომეხმა მშობლებმა შობეს, მათს ძარღვებში სომხის სისხლი ჩქეფს, საწყენად ნურვინ მიიღებს თუ ვიტყვი, ცხოვრების წესით ისინი მაინც ნამდვილი ამერიკელები არიან, ესმით ფულის ყადრი და თუმცა სარფაზე ერთი წუთითაც არ უფიქრიათ, შრომით მონაგარ მილიონებს სულის საქმეს წირავდნენ, მაგრამ კარგად იცოდნენ, უზარმაზარ თანხას რაში აბანდებდნენ. მათი სახელობის განძთსაცავი დღეს, სომეხი ხელოვნების მცოდნეებისა და საეკლესიო მოღვაწეების დაუღალავი მეცადინეობით, ქრისტიანული სამყაროს ერთ-ერთი უმდიდრესი, ანგარიშგასაწევი კერაა, რომლითაც არა ერთი მრავალმილიონიან ერსა და სახელმწიფოს შეუძლია იამაყოს!

დიდი ხანი არ არის, რაც ყოველთა სომეხთა კათალიკოს-პატრიარქ ვაზგენის ნებთა და ლოცვა-კურთხევით ფინეთის ერთ-ერთ პოლიგრაფიულ კომბინატში, უმაღლესი ხარისხის ქალაღზე, პოლიგრაფიული მრეწველობის მსოფლიო დონეზე, სამ ენაზე — სომხურად, რუსულად და ინგლისურად დაისტამბა ვეებერთელა გამოკვლევა-ალბომი „ემიპიანის განძეულობა“.

„ნება და ლოცვა-კურთხევა“, თუნდაც ისე მაღალი საეკლესიო ტიტულის მქონე პირისა, როგორც კათალიკოსია, ძნელი არ არის, შენ სახსრები თქვი, რაც ყოველი დიდი საერო საქმის გაკეთებას სჭირდება!

ამ ახალი უნიკალური პუბლიკაციის მნიშვნელობა მეცნიერებისათვის დაუფასებელია, მე კი შევნატრი იმ სომეხ კაცს, ვინც მას ხელში აიღებს, სიყვარულით გადაფურცლავს და გული მადლიერებითა და ეროვნული სიამაყის გრძნობით აევისება. განა ბევარი მოიპოვება დედამიწის ზურგზე ერი, ვისაც ეს ნივთიერი სიმდიდრე გააჩნია, ანდა ვისაც ძალუძს მას ისე ღირსეუ-

ლად, საქმის ცოდნითა და რუდუნებით, ეპოქის შესაფერისი პასუხისმგებლობით მოუაროს, როგორც სომხები უვლიან!

ხსენებული უბლიკაცია საპატრიარქოს ერთადერთი მონაპოვარი როდია. უკანასკნელ ათწლეულში მას წინ უძღოდა ასევე დიდმნიშვნელოვანი გამოკვლევა-აღმოჩენები „სომხური საყდრები“ და „ხაჩკარები“.

რა მადლიერებით აღევსებოდა გული ქართულ ეკლესიას, ჩვენს ეკლესიას მამულიწვილი მეცნიერის პატრ მიხეილ თამარაშვილის, იმავე მიხეილ თამარაშვილის, მსოფლიოში გახმაურებული და სპეციალისტების წრეებში სათანადოდ აღიარებული ნაშრომის „ქართული ეკლესიის ისტორია“ ფრანგულიდან თარგმნა რომ ეთავა და იგი თავისი მრევლისათვის მშობლიურ ენაზე მიეწოდებინა!

ბინდდებოდა, აშტარაკი რომ გავიარეთ და გეზი პირდაპირ ერევნისაკენ ავიღეთ. რა დასაშალოა, არც სტუმარსა და არც მასპინძლებს დაღლა არ გვაკლდა. ჩემს მიერ ერთხელ უკვე ნანახი ზეარტოციის ნანგრევების და მისივე თანამოსახელე საერთაშორისო აეროპორტის ნახვა განუსაზღვრელი დროით გადაიდო, ვინაიდან შემდეგი დღე, მარტის 21, სომხეთში ჩემი ყოფნის უკანასკნელი დღე იყო და იგი მთლიანად დედაქალაქის ღირსშესანიშნაობათა — სახელმწიფო საისტორიო მუზეუმის, სახელმწიფო სურათების გალერეის, ქალაქ ერევნის მუზეუმის და სომხეთის მეცნიერებათა აკადემიის ძველ ხელნაწერთა ინსტიტუტის საყვირის, მატანადარანის, შეძლებისამებრ გაცნობას უნდა მიძღვნოდა.

ნავახშმევს თავი სასთუმლამდე ძლივს მივიტანე და იმწამსვე მკედარივით ჩამეძინა. შემდგომი და უკანასკნელი დღის გეგმა ასეთი იყო: რადგან მუზეუმები, საყოველთაოდ დადგენილ წესისამებრ, მუშაობას მოგვიანებით იწყებდნენ, დილა უქმად რომ არ დაგვეკარგა, გადაწყვიტეთ, ახალგაზრდობის სასახლე მოგვენახულებინა, სადაც

თურმე ახალი ტექნიკური მოულოდნელობის ნახვა მელოდა, ექსპოზიციონარულიდან ერევნის ხედვებამდე მანათობის ჰერეტიკით დაემტკებაროყავით და შემდეგ გზა სურვილისამებრ რომელიმე არჩეული მარშრუტით გაგვეგრძელებინა.

თუ კაცი ერევანში იმყოფები, უცხოელ ხარ და ყველაფერს პირველად ხედავ, არ შეიძლება, ახალგაზრდობის სასახლეს პირველსავე წუთებში თვალი არ მოჰკრა და არ იკითხო, ეს რა შენობა უნდა იყოს. იგი საკმაოდ მასშტაბური, მრგვალი, მინისა და რკინაბეტონის ცილინდრისებური ნაგებობაა, მატანადარანისა არ იყოს, ერევნის ერთ-ერთ ყველაზე მაღალ ბორცვზე დგას და თვალის ერთი შეველებით თითქოს პიზის ცნობილ კოშკს გაგონებს, ოთხასი წელიწადია სულ წაქცევის რომ აპირებს, შინაურსა და გარეულს შიშით გულს უხეშთავს, წაქცევით კი დღემდე არ წაქცეულა.

— მაინც რა არის ეს ტექნიკური მოულოდნელობა? — ვკითხე გვეორქ ხაჩატრიანს, როდესაც დილაადრიან სასტუმრო „რაზდანი“ მორიგე დიასახლისის ნომრის გასაღები ჩავაბარეთ და გარეთ გამოვედით.

— აი, მივალთ და ვნახავთ! ისეთი, ლაპარაკად რომ ღირდეს, მაინც და მაინც არაფერია, მაგრამ...

სერგო ახალი გადაბარული გაზონის წინ გველოდა და სარკესავით გააწყვილებულ თავის „ვოლგას“ ადგილ-ადგილ გაწურულ ჩვარს უსვამდა.

— მაშ, ახალგაზრდობის სასახლენი? — გვკითხა მან, როგორც კი სექსს მიუჭდა და ძრავი ჩართო.

— სხვა საქმე ხომ არაფერი გვაქვს? — გვეორქი მე მომიტრიალდა.

— რა საქმე უნდა გვქონდეს სხვა, პირდაპირ ახალგაზრდობის სასახლენში!

სერგომ მანქანა დასძრა და ადგილიდანვე გააქროლა. გავუარეთ არარატრესტის ღვინის სარდაფებს, სადაც ალექსანდრე სერგის ძე გრიბოედოვის „ვაი ჰეუსიანის“ რუსეთის იმპერიის ტერიტორიაზე პირველად დაიდგა, ჩა-

ეუხვიეთ მარჯვნივ, დავეშვით თავდა-
ღმა, ხაიატურ ამოვიანის ძეგლის გა-
რეშემო წრეს შემოვუარეთ და მაშინვე
ცლიაბო აღმართს შევეუდგეთ.

ახალგაზრდობის ასფურცელა სასახ-
ლე არარატივით ქალაქის ყველა უბნი-
დან ჩანს. ის ხან მარჯვნივაა, ხან მარ-
ცხნივ, ხან წინაა, ხან უკან მოგვექცევა.
მოიხედავ და — აგერ არ არის? თით-
ქოს შიშობს, მილიონიან ქალაქში გზა
არსად დაგებნეს და არ გტოვებს, მო-
უშორებლივ თან გახლავს.

ვიდრე ბალავრის ჩასხმა და კედლე-
ბის ამოყვანა დაიწყებოდა, ახალგაზრ-
დობის სასახლის მშენებლებს უაღრე-
სად ძნელი და შრომატევადი სამუშაოს
შესრულება მოუხდათ. საჭირო იყო
კლდოვანი გრუნტის დამსხვრევა, შე-
ნობის დასადგმელი და სამშენებლო
მასალების მოსათავსებელი მოედნის
მოქსოვრა და მასთან მოხერხებული
სამანქანო გზის მიყვანა. კლდოვანი
რელიეფი, როგორც მის ჰორიზონტა-
ლურ ისე ვერტიკალურ ჭრილში, თა-
ვიდანვე გაითვალისწინეს სასახლის
დამგეგმარებელმა არქიტექტორებმა და
კონსტრუქტორებმა. ამიტომაც, რაც
უფრო ზევით და ზევით აღიხარ, ზე-
დავ, რომ შენობა ალაგ-ალაგ შიგ კლდე-
ში იჭრება, ალაგ-ალაგ კი მას რამდენ-
იმე მეტრით შორდება. ქალაქის მხრი-
დან ამის შემჩნევა შეუძლებელია, რა-
დგან არხაბაჩხა ჩამოკვეთილ კლდეს
თვით სასახლე და მისი მოსაზღვრე შე-
ნობები ფარავენ.

სასახლის არქიტექტურული ფორმე-
ბის გრანდიოზულობას და საიმედო სი-
მძიმეს მაშინ-ღა იგრძნობ, როცა რკი-
ნა-ბეტონით ამოყვანილ და რუხი ტუ-
ფით მოპირკეთებულ მის ცოკოლის სა-
რთულს მიადგები.

ახალგაზრდობის სასახლე, რიცხვით
მეათე საბჭოთა კავშირში და მათ შო-
რის ერთი საუკეთესო, არსებობდა სხვა-
დასხვა სამსახურით აღჭურვილი სას-
ტუმროა, სადაც საჭიროების შემთხვე-
ვაში ახალგაზრდობის ხალხმრავალი
ფორუმები იმართება. უწინარეს ყოვე-
ლისა ის რესპუბლიკის ახალგაზრდო-

ბას ეკუთვნის, მის სწორ სულეერ ბლ-
ზრდას ემსახურება. ამენკერქუ მშაფუქი
მიზეზი და მიზანიც სწორსწამს.
აქვეა მექორწინეთა მისაღები, სარეგის-
ტრაციო და საქორწინო დარბაზები,
რომლებიც გზიბლავენ გემოვნებით გა-
ფორმებული ინტერიერებით, კედლის
მხატვრობით, გობელენებით, ფერწე-
რული ტილოებით. მათი ბადალი აქ მე
მხოლოდ წიწარაყაბერდის პლატოზე
აგებულ სპორტულ-საკონცერტო კომ-
პლექსში შეგულენა.

საქორწინო დარბაზს შინაგანი მო-
რთულობით, თაღებით, ვიტრაჟებით,
ავეჯითა და ორიგინალური განათებით
არც სხვადასხვა ზომის საბანკეტო და-
რბაზები, ბარები და კაფეები ჩამოუ-
ყარდება. არ დავიწყებიათ არც კინო
და სააქტო დარბაზები, ბიბლიოთეკა-
სამკითხველოები, საცეკვაო მოედნები
და საბანაო აუზები, რომლებშიც ერთ-
დროულად რამდენიმე ასეული მონა-
წილე და მყურებელი თავსდება. სათ-
ვალავი აღარა აქვს სპორტულ, სარე-
პეტიციო და სხვადასხვა სანაზაობათა
მოსამზადებელ დარბაზებსა და ოთა-
ხებს. ამავე დროს ვესტიბიულებსა
და პოლებში სიხალვათე იგრძნობა,
არავინ არავის არაფერს უშლის. მოდი,
მოიყვანე შენი გულისტოლი, ან კეთი-
ლი სტუმარი, მოდი, რამდენიც გნე-
ბავთ, სასახლე დიდია, ყველას დაგი-
ტევთ, ისიამოვნეთ, გაერთეთ, დრო გა-
ატარეთ, ვინ ჰქუის კოლოფმა თქვა,
ახალგაზრდობის ერთადერთი საქმე, მი-
სწრაფება და გატაცება მხოლოდ და
მართოდენ სპეციალობის დაუფლე-
ბააო, აქ თქვენ არავინ გაგატყავებთ,
არავინ მოგელაქუცებთ, არავინ მოინ-
დომებს თქვენს ხარჯზე გამდიდრებას!

სწრაფ ლიფტს თვალის დახამხამე-
ბაში აყავხარ სასახლის უკანასკნელ
სართულზე, საიდანაც თვალს ერევენის,
მისი ბაღებისა და პარკების, სახლე-
ბისა და სასახლეების, ქუჩებისა და
მოედნების, მანქანებით მოზიშნივე სა-
ტრანსპორტო მაგისტრალების, ქალაქ-
გარე მწვანე მასივების, ხელოვნური
წყალსატევებისა და, რაც ყველაზე

უფრო მთავარია, არარატ-არაგასის განუყოფელი სანახაობა ეწლებათ!

ყოველივე ამან ისე გამიტაცა და გამოგნა, გვიანლა შევნიშნე, კაფეში რომ ვიყავით. რალაც უცნაური მრგვალი კაფეა. ბუფეტი შუაგულში მოუქცევიათ. ნახევარი დარბაზი ჩანს, ნახევარს ბუფეტი ეფარება. პატარა-პატარა კობტა მაგიდებს, მომრგვალებულ მოაჯირებთან რომ იყვნენ მიდგმული, ახალგაზრდა ქალ-ვაყები მისხდომოდნენ, ზოგი აქაური, ზოგიც უცხოელი, ხმა-დაბლა, მხოლოდ მათთვის გასაგებად მასლაათობდნენ, ნარინჯის წვეს ნება-ნება წორუბადნენ და თან „მწვანეში ჩაფულ მზიურ ქალაქს“, პირველად მისმა მთავარმა ხუროთმოძღვარმა ალექსანდრე ტამანიანმა რომ დაინახა, დიდი სიმაღლიდან, ტამანიანისათვის წარმოუდგენელი სიმაღლიდან დასცქეროდნენ.

სიმაღლე მართლაც შთამბეჭდავია! თუ ტუფის პერანგში ჩასმული რკინა-ბეტონის ვეება ცილინდრის სიმაღლეს იმ ფრიალო კლდის სიმაღლესაც ზედ დაურთავ, რომელზედაც იგი დგას, გამოვია, რომ, ოპერისა და ბალეტის თეატრის დონესთან შედარებით, შენოცდამეთოთხმეტე სართულზე იმყოფები. აუჰ! ბიჭი ხარ და ძირს გულის შეუქანებლად გადაიხედავ! მთელი ერევანი და მთელი არარატის ველი მდინარე არაქსის ნაპირებამდე თითქოს ხელისგულზე გიდევს.

— ჩვენც ხომ არ დავმსხდარიყავით, პირი ხომ არ გაგვესველებინა? — მას-პინძლური კრძალვით, არსად ისე რომ არ ემარჯვებათ, როგორც კავკასიაში, შემომთავაზა გევორკ ხაჩატრიანმა.

— სიამოვნებით! მაგას რალა აჯობებს, მამიდასაც ვნახავთ და კვიცსაც გავხედნით!

— როგორ, როგორ, როგორ თქვით? — თვალეზი მალ-მალე დაფახულა და ღიმილით მკითხა გევორკმა.

— ვამბობთ ხოლმე ასე ქართველები. პრიატნოე ს პოლეზნიმ — მგონი რუსულად ასე ითარგმნება.

— ღმერთო ჩემო, რა შედარება!

სახეა, მთელი პოემია! — გევორკმა ჩმდენი იცინა, კინალამ გაიგულა: ქართული ანდაზა რამდენჯერმე გაჩნდა. სახელდახელოდ სომხურადაც გადათარგმნა და კიდევ უფრო გულიანად ახითხითდა. — ნამდვილი პოემია, ჩემმა მზემ, ეგ რა მითხარით! მაშ. მამიდასაც ვნახავთ და კვიცსაც გავხედნითო?

ჩალისფრად თმაშეღებულმა აშკარად შავგვრემანმა პირმოძლიმარე ქალიშვილმა მოგაკითხა, თავი მორიდებულად დაგვიკრა, შეკვეთა შონისმინა, თეთრი ხალათის სარტყელში გაჩრილ ბლოკნოტში ჩაინიშნა და ბუფეტამდე მისული რომ არ გვეგონა, მაგიდაზე ორი მაღალი ფეხიანი ჭიქა, კრიალა გრაფინით ფორთოხლის წვენი და თეფშით ორ-ორი ნამცხვარი დაგვიდგა.

წვენი ხარბად მოვწრუპე და ქალაქს გავხედე, რაზდანის მიხვეულ-მოხვეულ, კლდოვან ხეობას, აქედან ერთ მთლიან მწვანე ლაქად რომ მოჩანდა, როგორც მსხვილი მასშტაბის ტობოგრაფიულ რუკაზე, თვალს გაავადევნე და არარატ-ტრესტის ღვინის სარდაფებს უკან მალე ვიპოვნე სასტუმრო „რაზდანი“ მალლივი შენობა, სადაც ეს ოთხი დღე ვცხოვრობდი.

ბიჭოს, ეს რა ხდება? თითქოს თავბრუ მესხმოდა, მსუბუქ გულისრევასაც ვგრძნობდი. გევორკი, ეტყობოდა, მალულად თვალს მადევნებდა და ჩემი სახის გამომეტყველების უცარი შეცვლა არ გამოჰპარვია.

— რა ხდება? — ვკითხე მე. — მეჩვენება, რომ შენობა ბრუნავს. თქვენც ხომ არ გეჩვენებათ? ვატყობ, ვგიჟდები!

— არა, არ გიჟდებით, არც არაფერი გეჩვენებათ, — სიცილით მიპასუხა მან. — მე წინასწარ ვანგებ არაფერი გითხარით. ბრუნვით, მართალია, ბრუნავს, მაგრამ არა მთლიანად შენობა, არამედ მხოლოდ ის წრე, ყველა თავისი ატრიბუტით, რომელზედაც ჩვენ ვსხედვართ. დააკვირდით, ბუავეტი გაჩერებულია, უძრავ ადგილზე დგას, ჩვენ კი ვმოძრაობთ ღერძისა და ცენტრალური წრის გარშემო.

— ეს რამ მოაფიქრათ? გადამრევნენ სწორედ აქაური არქიტექტორები და ინჟინერ-ტექნიკოსები! რას წარმოვიდგენდი! ყველა საოცრებას ხომ მაინც და მაინც უცხოეთში ვეძებთ. ასეთია ინერცია! კარგია, რომ წინასწარ არ გამიზილეთ საიდუმლოება. მთელი ეფექტი დაიკარგებოდა! ამას მოფიქრება და გაკეთება არ უნდა?

— მოიფიქრეს, გააკეთეს.

— ჰოდა, ბარაქალა თქვენი!

— მე რა, მე ამის ინჩი-ბინჩიც არ გამეგება. ორმოციოდე წუთი უნდა, 360 გრადუსით რომ შემობრუნდეს. ზიხარ, წრუბავ მშვიდობიანად ცივ წვეს და ქალაქის პანორამა თავისთავად მოცურავს შენს წინაშე. მართლაც ზღაპარს ჰგავს!

თავბრუსხვევამ მაინც არ გამიარა, იმგვარი გრძობა მეუფლებოდა, თითქოს გემბანზე ვიყავი, ზღვა შემპარავად ღელავდა და ზღვის ავადმყოფობაც ჩემდა შეუმჩნეველად ხელს მკიდებდა.

— გატყობთ, წასვლა გინდათ, — მითხრა გევორქმა და მაჯის საათზე დაიხედა. — დროც არის, მატანადარანში უკვე გველოდებიან.

შეება მხოლოდ მანქანაში ვიგრძენი, თვლები დავხუჭე და ყვრიმალით საზურგეს მივეხდე.

— როგორ ვწუხვარ, — თქვა გევორქმა! — ნეტავი ზემოთ სულ არ ამეყვანეთ!

— რას ამბობთ, ძალიან კარგი იყო! როგორ შეიძლება, ერევანს თუნდ ერთი დღით ესტუმრო, ახალგაზრდობის სასახლე არ მოინახულო და იქიდან არ გადმოიხედო! ბოლოსდაბოლოს, სხვა თუ არაფერი, ხალხი გაგცინებს. ეგ ხომ ეიფელის კოშკზე აუსვლელობას უღრის!

— რა იყო, ცუდი ხომ არ მოხდა რამე? — ახლა სერგოც დაინტერესდა და მანქანის დაძვრა გადაიფიქრა, კისერი მოიღრჩია, უკან მოიხედა.

— არა, ხალხო, რა ცუდი, რის ცუდი, ცოტა თავბრუ დამეხვა, იმ მბრუნავ წრეზე რომ დავსხედით. ჩემი ხნისა

მოიყრებით, ვნახავ ერთი, რა ენახე იქიკიკებთ. მატანადარანი!

— თუ საჭიროა... — სერგომ გევორქს შეხედა.

— გუზუნებით, არაფერიც არ არის საჭირო, მეტი რაღა გითხრათ, რით დაგარწმუნოთ?! უკვე გამიარა! მოვრჩით?

— კეთილი, მაშინ... — სერგომ ბიჭურად გაკრეჭილი თმაშეთხელებული თავი გადააქნია, გადაბმულობის პედალს ფეხისწვერით დააწვა, ბერკეტი პირველ სიჩქარეზე გადაიყვანა და მანქანა დასძრა.

ეს ოთხი დღე მატანადარანის შუბლ-მაღალ შენობას, კლდოვანი მთის კალთაზე რომ არის გადმომდგარი და, ახალგაზრდობის სასახლის მსგავსად, ქალაქს თავზე დასცქერის, შორიდან ვხედავდი და ვერც ერთჯერ ვერ მივუახლოვდი, ახლა კი ის თანდთან დიდდებოდა ჩემს თვალწინ, თვალსაწიერს თანდათან ფარავდა.

— ზევით თუ კიბესთან? — იკითხა სერგომ და აღმართში სიჩქარე შეცვალა, მეოთხედან, რითაც აქამდე მიდიოდა, მესამეზე გადავიდა.

— კიბებთან აჯობებს, — მიუგო გევორქმა და კითხვის ნიშნად მეც გადმომხედა, საწინააღმდეგო ხომ არაფერი ექნებოდა. — მესროფ მაშტოცი უნდა ვნახოთ!

— რასაკვირველია! — მოუთმენლად დავუდასტურე მეც.

მჯდომარე, ზურგით ბაზალტის ცოკოს მინდობილი, ბერულად წვერმოშვებული, ბერულ მოსასხამში გახვეული, აქეთ-იქით ხელეზგადაშლილი მესროფ მაშტოცი, სომხური დამწერლობის შემქმნელი, რომელსაც თავისი საშვილიშვილო საქმე ეს-ესაა დაუმთავრებია და მარჯვენა ხელის ზურგით ბაზალტის ფილაზე ამოქარგულ პირველ სომხურ წარწერაზე გვიჩვენებს, მე როგორღაც დიდი მიქელანჯელოს „მოსესს“ მაგონებს. თუ მოსემ მეწამული ზღვა კვერთხის დარტყმით გაჰკეთა და ერი სამშვიდობოს გაიყვანა, იმავე კვერთხის შეხებით უდაბნოში წყარო-

ები ამოაჩუხჩუხა და წყურვილისაგან სასომხიხილი დედა-წული და ყოველივე სულდგმული დაარწყულა, მესროფ მაშტოცმატ წინაწარმეტყველის ღვთაებრივი ღეაწლი გასწია, სომხური ენის ბგერები ასო-ნიშნებში მოაქცია და სივრცეში გაბნეული სული ხელშესახები გახადა.

რა არის ის ფრაზა, მესროფ მაშტოცის ხელით ახალშექმნილი ასო-ნიშნებით სომხურად რომ დაიწერა პერგამენტზე? „შეიქნო სიბრძნე და დარიგება, ჩასწვდე გონების გამონათქვამს...“

ზომითაც და ქვაში გაყოცხლებული პიროვნების მნიშვნელობითაც მესროფ მაშტოცის ქანდაკება ერთ-ერთი უდიდესია ქანდაკებებით ერთობ მდიდარ ერევანში. იგი კიბის ბაქანზე დგას და მარჯვენა ხელის ზურგიით არა მარტო თავის მიერ შექმნილი ასო-ნიშნებით დაწერილი პირველ სომხურ ფრაზაზე მიუთითებს, არამედ საცავში თავმოყრილ უძველეს ხელნაწერთა უზარმაზარ კოლექციასზეც, რომელიც ათას ხუთასი წლის განმავლობაში ამ ანბანის საშუალებით შეიქმნა. ამით და მარტოოდენ ამით აიხსნება, რომ მსოფლიოში სახელგანთქმული ხელნაწერთა საცავი, უკლებლივ ყველა ენაზე მატანადარანი რომ ეწოდება, არა რომელიმე სხვა დიდი მეცნიერის და მოაზროვნის, არამედ სომხური სულიერი კულტურის სათავეს დამდები მესროფ მაშტოცის სახელს ატარებს.

სათანადო საცნობარო ლიტერატურის მონაცემების მიხედვით, ამჟამად მატანადარანში ათი ათასზე მეტი ძველი სომხური ხელნაწერი ინახება, ამას გარდა, ოთხი ათასი ფრაგმენტი და ასი ათასზე მეტი ფასეული საარქივო დოკუმენტი.

არასპეციალისტთა თვალში, ყოველთვის უმეტესობას რომ შევადგენთ, ხელნაწერი ხანდახან ტექსტით დაფარულ ფარატიხა ფურცლად აღიქმება. მართლა ასე რომ ყოფილიყო, მატანადარანის ფონდებს ერთ პატარა ოთახშიაც ადვილად მოათავსებდნენ და

ამოდენა სისახლის აშენებაც, საჭირო აღარ იქნებოდა. ხელნაწერთა მუშაველებისხმეგია ვეებერთელა წიგნებისსტოტუ იშვიათად მრავალტომიანი, რომლებიც გუტენბერგის გამოგონებამდე გადაშერთა, მომხატველთა, დამკაბადონებელთა და ყდაში ჩამსმელთა ხელით სრულდებოდა.

მატანადარანის ხელნაწერთა შორისაა შუა საუკუნეების სომხეთის გამოჩენილი მეცნიერების — ისტორიკოსების, ფილოსოფოსების, მათემატიკოსების, ვარსკვლავთმრიცხველების, გეოგრაფოსების, მედიკოსების მრავალრიცხოვანი და მრავალტომიანი ნაშრომები.

პირველთა შორის უპირველესად მოიხსენიება მესროფ მაშტოცის უმცროსი თანამედროვე, მეხუთე საუკუნის ისტორიკოსი, სომხეთის ისტორიის მამად აღიარებული მოვსეს ხორენაცი, რომლის თხზულებები, კერძოდ, „სომხეთის ისტორია“, დღეს უკვე მსოფლიოს მრავალ ენაზე, მათ შორის ქართულადაც არის თარგმნილი და გამოცემული.

მოვსეს ხორენაცი უმთავრესად ძველი სომხეთის ისტორიის საკითხებს იკვლევდა და მეცნიერულ მუშაობაში ანტიკური ხანის წერილობით წყაროებს და ზეპირ დამოცემებს ეყრდნობოდა. სპეციალისტთა ერთი ჯგუფის აზრით, რასაც ბევრი სხვა მეცნიერიც უშენიშვნოდ იზიარებს, ხორენაცის შრომებში დამუშავებული ყველა საკითხი ერთნაირი საბუთიანობითა და დამაჯერებლობით არ ელერს, მაგრამ, მიუხედავად ამისა, შრომების მრავალმხრივი მნიშვნელობა, თუნდაც მათი სიძველისა და არგუმენტაციის თავისებური ფორმის გამო, მეცნიერებისათვის ერთობ ღირებულია.

მოვსეს ხორენაცის დროსვე, მეხუთე საუკუნეში მოღვაწეობდნენ აგრეთვე სახელოვანი სომეხი ისტორიკოსები ელიშე და ლაზარე ფარპეცი, რომელთა თხზულებების ხელნაწერები საცავის ერთ-ერთ უბრწყინვალეს მარგალიტებად ითვლება. დაუზიანებლივ

შემორჩენილა და მასერალ წინამორბედთა ნაშრომების მსგავსად დღესაც სამეცნიერო მიმოქცევაშია გვევლინება, კირაკოს განმარტების და სტეფანოს ორბელიანის მრავალმხრივ საინტერესო თხზულებები.

ალსანიშნავია, რომ ამათგან უკანასკნელი ორი მე-12 საუკუნის ბოლოსა და მე-13 საუკუნის პირველ ნახევარში ეწეოდნენ წუთისოფლის ქაპანს. ეს დრო საქართველოს ისტორიაში დიდი თამარისა და გიორგი ლაშას მეფობის ხანას ემთხვევა. ისტორიკოსებმა დამაჯერებელი ფერებით, ობიექტურობითა და სიმართლით აგვიწერეს სელჩუკთა, ხორეზმელთა და მონღოლთა შემოსევები.

მატანადარანის წილში იხანება მე-შვიდე საუკუნის დიდი სომეხი მათემატიკოსის, ვარსკვლავთმრიცხველისა და გეოგრაფოსის ანანია შირაკაყის „კოსმოგრაფია“, გიორგი მესამისა და თამარ მეფის თანამედროვე სომეხი მოაზროვნის მხითარ გოშის სამართლის წიგნი, აგრეთვე მე-12 საუკუნის მოღვაწის, სახელგანთქმული აქიმის, მხითარ გერაკის „ნუგეზისცემა ციებ-ციხელებით დაავადების დროს“.

დაინტერესებული პირი მატანადარანში ნახავს შუა საუკუნეების სომხეთის ცნობილი პოეტების — გრიგოლ ნარეკაციისა და ფრიკის ლექსების ავტორგრაფებს. პირველი მათგანი მეთათე საუკუნეში მოღვაწეობდა, მეორე კი მეცამეტეში.

მაგრამ აქ, მატანადარანში, სართო ხელნაწერი წიგნები და ისტორიული საბუთები როდია. აქვეა პირველი სომხური ნაბეჭდი წიგნი „პარაზატუმარი“ — „კალენდარი“, რომელიც 1512 წელს არის გამოცემული და 1794 წელს მადრასში დაბეჭდილი პირველი სომხური ქურნალი „აზდარარი“, ჩვენებურად „მოამბე“.

გარდა სომხური ხელნაწერებისა, მატანადარანში შეგვიძლია გავეცნოთ სხვადასხვა ენაზე შექმნილ თხზულებებს, ან მათს ფრაგმენტებს, რომელთა დედნები მიზეზთა და მიზეზთა გამო

დაკარგულია და დღეს მათი მოხილვა სომხების მიერ გადაწერილ ნუსხეებში საშუალებით შეიძლება.

ასეთთა შორის ცნობარები ასახელებენ მეოთხე საუკუნის მოღვაწის ევსევი კესარიელის „ქრონიკებს“, ფილონ ისრაელის, დიონისე ალექსანდრიელის, ეფრემ სირინის, ტიმოთე ელურის უფრო ადრინდელ თხზულებებს და არისტოტელეს „კატეგორიების“ ანონიმურ კომენტარებს. რაც შეეხება ძენონის ტრაქტატს „ბუნების შესახებ“, ის მხოლოდ სომხურ თარგმანში ყოფილა შემონახული.

ვერც ვერასოდეს დავამთავრებ, საცაყის შენობის არქიტექტურული თავისებურებების აღწერას რომ შევეცადო. ის უაღრესად სადაც არის, როგორც მაღალმხატვრულ ქმნილებას შეეფერება, და, ამავე დროს, უაღრესად მდიდარიც არქიტექტურული დეტალებით. მსგავსი შენობები, მათი სიძვირის გამო, ჩვენში უკვე ძალზე იშვიათად შენდება.

სადარბაზო შესასვლელის მარჯვნივ და მარცხნივ თალიან ნიშებში დგანან სომხური მეცნიერებისა და კულტურის ქურუმთა სკულპტურული გამოსახულებანი, საუკუნეების მანძილზე შორს რომ გაუთქვეს სომხეთს სახელი და საცაყობრიო აზრის საგანძურში თავიანთი წვლილი შეიტანეს.

დაფერილი კანდელაბრებით და ვიტრაჟით განათებულ ვესტიბულში სამარისებური სიჩუმე სუფევს. შენობაში შემოსვლის უმაღვე გრძნობ, რომ ფეხი იქ შესდგი, სადაც ყოველ გონიერ კაცს სულის შეგუება მართებს. თითქოსდა შიში ვიპყრობს, მარადიული ძილი არავის დაუფრთხო, ანდა საუკუნეთა წილში ღრმად ჩაფლულ სწავლულს უნებლიეთ აზრი შეუაზე არ გაუწყვიტო.

რა შეიძლება ნაზოს აქ კაცმა, თუ ჩემებრ მცირე დროით მოსულა? მხოლოდ მცირე ექსპოზიცია ხელნაწერებისა, რომელიც ერთ არცთუ ისე დიდ, ე. წ. „მრგვალ დარბაზშია“ მოწყობილი.

მინისსახურავიანი სამუზეუმო ვიტრინები კედლებს გასდევს, მათი მეორე წყება კი დარბაზის შუაგულში განულაგებულია. სინგურით ნახატი თავსართები და ბოლოსართები! ცისარტყელის შეიდივე ფერით შესრულებული მინიატურები, ლუვრის თუ ერმიტაჟის რომელიც გნებათ დარბაზს რომ დაამშვენებდა! გაკრული სომხური ხელი, მესროფ მაშტოცის მადლით მოსილი, სილამაზითა და ეკონომიურობით თვით ბერძნულსაც და ლათინურსაც რომ არ ჩამოუვარდებდა. საიდან არ არის მოზიდული ეს ათასი კოკონის დამტვევი ხელნაწერები, სად, როდის და ვისი ხელით არ იწერებოდა! წერდნენ მონასტრის ნახევრადბნელ საკანში კარგამოკეტილი მშვიერი ბერები, წერდნენ, დღესა და ღამეს ასწორებდნენ მაშინაც კი, როცა სხვის სიმდიდრეს დახარბებული ურჯულო მტერი კარზე იყო მომდგარი და გაუძარცვავს და გაუტიალებელს აღარაფერს ტოვებდა!

„მარგალ დარბაზში“ გამოფენილი ხელნაწერები პერიოდულად იცვლება, მაგრამ ზოგიერთი მათ შორის ხელუხლებლივ ასვენია მისთვის მუდმივად მიჩენილ ადგილზე, მთავარ ვიტრინაში, რათა ყოველ მომსვლელს დაუბრკოლებლივ შეეძლოს მისი ხილვა.

უპირველეს შედევრთა შორის გემართებს მოვიხსენიოთ სპეციალურ ლიტერატურაში საყოველთაოდ ცნობილი ერმიტაჟის სახარება 989 წლისა. ეს შეუღარებლად მდიდრული ხელნაწერი გადაწერისთანავე მოუხატავთ. შემდეგ, ცოტა მოგვიანებით, უფრო ადრინდელი, კერძოდ, მეშვიდე საუკუნის ილუსტრაციები უპოვნიათ, მთელი რვეული, და იგი სახარებისათვის ბოლოში დაურთავთ. ერმიტაჟის ზემოთხსენებულ სახარებას სწორედ ამიტომ სპეციალისტები „ორფენოვნად“ თვლიან.

აქვე მიუჩენიათ ბინა სპილოს ძვლისაგან გამოკვეთილი ყდისათვის, რომლის ზედაპირი რელიგიური შინაარსის სცენებს წარმოგივლადგენს.

ყოველი მინიატურა, რომელზედაც

გადაშლილია ვიტრინებში გამოფენილი ხელნაწერები, მნახველს ეტყობა, ცინცხალი ფერებით და მკაფიოდ დრამატიზმს, რითაც განმსკვალულია პერგამენტზე შუა საუკუნეების მხატვრის მიერ გამოსახული კოლოზები.

რომელ ერთზე უნდა შეჩერდე, რომელ ერთს უნდა გამოუნახო მხოლოდ მისთვის დამახასიათებელი თავისებურება! გავა რამდენიმე კვირა ან თვე და აქ გამოფენილი ხელნაწერი წიგნების ადგილს სხვა ხელნაწერი წიგნები დაიკავებენ. ისინი ხომ ცოტა არაა, ათი ათასზე მეტია!

მინიატურებით მოხატული ეს უზარმაზარი წიგნი, მთელი ვიტრინა კილიდან კიდემდე რომ დაუფარავს, ნეტავ რა უნდა იყოს? ნუთუ აქამდე უნახავი ჩემი ძველი ნაცნობი მუშის ჩარინტირია? სწორედ ის ყოფილა! ექსკურსიამძღოლმა ჯობი ასწია, უკმაყოფილოდ გაჩუმდა და მაცალა, სანამ ძირისძირობამდე დავათვალიერებდი. როგორ გინდა, ხელი შეახო, გადაფურცლო. აჰ, არა, ამ ბარბაროსულ სურვილს აქ ვერც კი გაამხელ, ვილაცის ნილოსის სათავედან მოსული ეგონები! წიგნს უსათუოდ დარჩა რაღაც ნიშანდობლივი იმორი თავგანწირული სომეხი ასულისაგან, ეროვნული საუნჯე უღვთო ხოცვა-ქლეტასა და ხანძარს რომ გამოართვდეს და უმაღ სიცოცხლეს გამოუსალმებოდნენ, ვიდრე წმიდათა-წმიდა ტვირთს ვისმე დაანებებდნენ. მერე, ზი-დევა რომ ვეღარ შეიძლეს და ორივეს დაღუპვა დაემუქრა, ტვირთი შუაზე გაპყვეს და ასე ცალ-ცალკე მოაღწიეს ერთმა ერევანს, მეორემ — თბილისს.

ნეტავი თუ წერია შიგ ისეთი რამ, რაც თავისი ზნეობრივი ან სხვა ღირებულებით წიგნის საარაკო თავგადასავალს გადააჭარბებდა? თუ წერია, ეს კიდევ უფრო ზრდის დების თავგანწირვის ფასს შთამომავლობის წინაშე, ხოლო თუ არა, რა ვაწყობა, თავგადასავალი ისე დიდებული და მართლაც განუმეორებელია, თვით წყალ-წყალა თხზულებასაც კი უკვდავსა და ხელი-ხელსაგომანებელს გახდიდა!

ერევნის სურათების სახელმწიფო გალერეაში, გარდა სომხეთის ეროვნული მხატვრობისა და ქანდაკებისა, შეკრებილია მსოფლიოს სახელგანთქმულ ფერმწერთა და მოქანდაკეთა მრავალი ქმნილება, რომელთა მნიშვნელოვანი ნაწილი საზღვარგარეთ მცხოვრებმა სომხებმა სხვადასხვა დროს შეიძინეს, დიდხანს ისინი მათი კერძო კოლექციების დაუფასებელ მშვენებას შეადგენდნენ და მოგვიანებით კი, როცა ამის სულიერი მოთხოვნილება გაჩნდა, მსოფლიო ხელოვნების ფასდაუდებელი შედეგები მშობელ ქვეყანას შემოსწირეს.

ოფიციალური ცნობებით, გალერეის ფონდებში დაკულია 17 ათასზე მეტი ექსპონატი, რომელთაგან უკეთესთა შორის საუკეთესონი გამოფენილია სამშენებლო ტექნიკის უკანასკნელი სიტყვის მიხედვით აგებული გალერეის ათობით საგამოფენო დარბაზში.

რად ღირს თუნდაც აღნიშვნა იმ ფაქტისა, რომ გალერეა ფლობს ფლამანდიური მხატვრობის ისეთ დიდ წარმომადგენელთა ქმნილებებს, როგორებიც არიან ვან დეიკი და იორდანასია!

მე წილად მხვდა ბედნიერება, რენესანსის დროის ამ შემოქმედთა ღვთაებრივი ტილოები, უპირველეს ყოვლისა პიტერ პაულ რუბენსისა, მათსავე სამშობლოში, ფლანდრიაში, ტილ ულენ-შპიგელის ქვეყანაში, ანტვერპენის, ბრიუგეს, გენტის სამეფო და მუნიციპალურ სამხატვრო გალერეებში, ტაძრებსა და კერძო კოლექციებში შენახა, შემდეგ კი სიცოცხლით გაუმაძლარ ფლანდრიელთა ზეკაცური ხელოვნების სხვა ნიმუშთა ნახვის სურვილით ალტკინებულს ლუვრი, ერმიტაჟი, ბრიუსელის, ამსტერდამის და ევროპის სხვა უდიდესი სამხატვრო გალერეები შემომივლო. რას ვიფიქრებდი, აბა, როგორ წარმოვიდგენდი, თუ რომელიმე მათგანში ცნობილი ტილოს ასლი იმითმ ჰქონდა, რომ დედანი ერევანშია

და იგი სომეხი ხალხის უკუგაგონებლად წარმოადგენს! მეერ განვიფიქრებდი ნამუშევრით დაკმაყოფილებულან, ფლანდრიელ ფერმწერთა ქმნილებებს მთელი დარბაზი უჭირავთ.

დამაჯრებელი სურათის დასაბატავად ჯობს უფრო შორიდან დავიწყით. რევოლუციამდე სომხეთს სამხატვრო გალერეა ან რაიმე ამის მსგავსი არ გააჩნდა და ეს გარემოება, რა თქმა უნდა, მარტო იმდროინდელ სახელმწიფო მმართველობის ფორმას ვერ მიეწერება, ტრადიციის უქონლობასაც ბევრი რამ შეუძლია. ზომ გახსნეს, მაგალითად, იტალიაში პაპის კუთვნილი ვატიკანის მუზეუმი, სადაც შესვლა და რისაზე ნახვა უბრალო მოკვდავისათვის ოდესღაც აუბდენელ ოცნებას შეადგენდა, ხომ შეისყიდა კარდინალ ბორგეზეს ვილა, ქანდაკებისა და ფერწერის შედეგებითურთ, მეფე ვიქტორ-ემანუილმა და რომის თვითმმართველობას იმ პირობით გადასცა, თუ მას სახვითი ხელოვნების მუზეუმად გადააქცევდნენ და გამოფენილი ექსპონატების ხილვა ყოველი მსურველისათვის მისაწვდომი გახდებოდა.

ეს გონივრული იდეა სომხეთში საბჭოთა ხელისუფლების დამყარების შემდეგ განხორციელდა. სამხატვრო გალერეის შექმნას, რომელიც ჭერჭერობით მხოლოდ ქალაქზე არსებობდა, საფუძველი ჩაუყარა რესპუბლიკის მთავრობის საგანგებო ბრძანებულებამ საისტორიო მუზეუმის დაარსების თაობაზე, რომელიც გასაბჭოების პირველსავე დღეებში 1921 წელს გამოვიდა. სამხატვრო გალერეა ჭერხანად მუზეუმის ერთი პატარა განყოფილების უფლებით სარგებლობდა.

იმისათვის, რომ გალერეა ჰქონოდათ, მარტო გადაწყვეტილება მისი შექმნის შესახებ, რასაკვირველია, არ კაროდა. საჭირო იყო ექსპონატების შეკრება სომხეთის მრავალრიცხოვანი ეკლესიამონასტრებიდან, თვით სომხეთში და მის ფარგლებს გარეთ, უპირველეს ყოვლისა კი საკათედრო ტაძარ ეჩმიაძინიდან, სადაც ეროვნული და მსოფ-

ლიო მხატვრობის არა ერთი შედეგი ინახებოდა.

გარდა ამისა, გალერეის შექმნის იდეით შეპყრობილი ენთუზიასტები, რომელთაც სათავეში თვით სომეხი მხატვრები და ინტელიგენციის საუკეთესო წარმომადგენლები უდგნენ, ხელისშეწყობასა და ნივთიერ მხარდაჭერას მოსახლეობისაგან მოელოდნენ.

შედგებულ ოჯახებს რევოლუციამდელ და რევოლუციის შემდეგაც, როგორც შინ ასევე საზღვარგარეთ, წესად ჰქონდათ, თავიანთი მონაგები თანხა ნატიფი ხელოვნების ქმნილებათა შექმნაში დაეხმარებინათ. ბევრი მათგანი ამას, ალბათ, ხელოვნების უანგარო სიყვარულით სჩადიოდა, კარგი მხატვრული ტილო თავს ეჩრჩინა, სხვებს სხვა მიზანი ამოძრავებდათ, მაგრამ ასე იყო თუ ისე, სურათი სურათს ემატებოდა და სომხეთს უკვე გააჩნდა სრული საფუძველი ეროვნული სახელმწიფო გალერეის შექმნა მთელი ფრონტით გაეჩაღებინა.

მსოფლიო და სამოქალაქო ომებიდან გამოსულმა ჯიბბქესატმა სახელმწიფომ, ახალგაზრდა საბჭოთა ხელისუფლებამ, სურათების პირველი პარტია სომეხი მხატვრებისაგან შეიძინა, რომლებმაც იმხანად ერევანში თავიანთი ნაწარმოებების გამოფენა-გაყიდვა მოაწყვეს. მალე საისტორიო მუზეუმში მისი სამხატვრო განყოფილების მისამართით მიიღო მოსკოვის ლაზარევის სახელობის აღმოსავლეთმცოდნეობის ინსტიტუტის და ეჩმიადინის საპატრიარქოსთან არსებული წიგნსაცავის კოლექციები. დაიძრა დიდძალი შემოწირულობები უცხოეთიდან, თუმცა მთელი გაქანება ამან მეორე მსოფლიო ომში საბჭოთა კავშირის ხალხთა ძლევაშისილი გამარჯვების შემდეგ მიიღო. მალე მუზეუმისათვის ოჯახის კუთვნილი ძვირფასი ფერწერული ტილოს და ხელოვნების სხვა ნაწარმოებების შეწირვა სომხეთში სამაგალითო მოქალაქეობის მჩავენებელ ეტალონად და კარგ ტონად იქცა. აი, რა შეუძლია თურმე გულისში ამოჭრილი კეთილშობილური მი-

ზნის სიცხადეს და ამ მიზნით ანთებულ ერთს ერთსულოვნებში მისი უნდა იყვენ მისი ღვაწლი შეიქმნა, შინ თუ საზღვარგარეთ!

ვერ ვიქნებით სამართლიანი, თუ აქვე არ აღვნიშნავთ, რომ ახალგაზრდა ეროვნულ გალერეას, რომელიც ის იყო ყალიბდებოდა და ფრთებს ისხამდა, თავიანთი საგანძური გაუზიარეს ქვეყნის დიდმა კულტურულმა ცენტრებმა. ეს სიტყვები უპირველეს ყოვლისა მოსკოვის ტრეტიაკოვის გალერეას აღენივრადის ერმიტაჟს შეეხება. სომეხ ენთუზიასტებს მათ დაუთმეს დასავლეთეუროპული ხელოვნების ბევრი შედეგები და ამით ერთიორად გაამდიდრეს მისი კოლექცია.

ომისწინა წლებში მუზეუმის სამხატვრო ნაწილის ფონდები ისე გაიზარდა, ექსპოზიციების მოსაწყობად ისე დიდი ფართობები გახდა საჭირო, რომ მთავრობის ახალი გადაწყვეტილების თანახმად იგი მუზეუმს გამოეყო და დამოუკიდებელ სახვითი ხელოვნების მუზეუმად გადაკეთდა, ხოლო ომის შემდეგ, 1947 წელს, ახლანდელი სახელწოდება — სომხეთის სახელმწიფო სურათების გალერეა ეწოდა. ამ დროისათვის ის უკვე ფერწერული ტილოების, ქანდაკების, გრაფიკის და გამოყენებითი ხელოვნების მრავალ ათას ნიმუშს ფლობდა.

კოლექცია სამ ძირითად განყოფილებად გაიყო. პირველ მათგანში თავი მოიყარა დასავლეთ ეუროპის სახვითმა და გამოყენებითმა ხელოვნებამ, რომლის თითქმის ყველა სკოლა აქ პირველხარისხოვანი ქმნილებებით არის წარმოდგენილი, ხოლო მეორე და მესამე განყოფილებები რუსულ და სომხურ სახვით და გამოყენებით ხელოვნებას დაეთმო.

საგამოფენო დარბაზების შემოვლა ზემოდან იწყება. იქ რომ მოხდეს, საჭიროა, ლიფტით მეხუთე სართულზე ახვიდეს. იტალიური დარბაზები სწორედ ამ სართულზეა.

კართან და დარბაზებში, როგორც მსოფლიოს დიდ სამხატვრო გალერეე-

ბშია მიღებული, უნიფორმაში გამოწყობილი მცველები დგანან და თვალყურს ადევნებენ დადგენილი შინაგანაწესის განუხრელად შესრულებას.

და აი, ჩვენ პირველ დარბაზში შევედით. თვალებს ვერ უჭერებ: კედელზე ვენციელი დიდოსტატის იაკობო ტინტორეტოს „აპოლონი და მარსიას“ დედანი ჰკიდია. აღარაა დრო, შეჩერდე და იკითხო, როგორ მოხვდა აქ, სად და ვის ხელში გამოიარა, სანამ საბოლოო ბინას სომხეთის სამხატვრო გალერეის საგამოფენო დარბაზში დაიდებდა. მაგრამ ეს საკითხი შედარებით მეორეხარისხოვანი. მთავარია, რომ ის აქ არის!

მე მინახავს გადაღობილი დარბაზები პარიზის ლუვრში. ტინტორეტოს და სხვა იტალიელი ოსტატების ქმნილებებთან გამხეცებულ დამთვალეიერებლებს ორ მეტრზე ახლო არ უშვებენ. ვინ უწყის, რა მოხდება!

აი, მეორე იტალიური შედევრიც — ფრანჩესკო ბასანოს „მწყემსების თაყვანისცემა“. ჯადოსნური შინაგანი შუქით განათებული „ვენციური ეზო“ ფრანჩესკო გვარდისა!

ვერა, ასე პირწმინდად ვერ მივყვებით. ამ საქმეს არა მარტო მთელი ჩემი პატარა წიგნი, რამდენიმე დიდტანიანი ტომიც არ ეყოფა. მხოლოდ ზოგადი შტრიხებით დაეკმაყოფილდეთ. იტალიელებს ფერწერის ჰოლანდიური სკოლა მოსდევს, ჰოლანდიელებს — ფლამანდიელები და ფრანგები. აი, რუბენსი, ვან დეიკი, იორდანისი! სადღაც თითქოს მათი წინამორბედი ბრეიგელიც უნდა იყოს. რელიგიური ომები და პროტესტის სული უმისოდ ხომ წარმოუდგენელია! არა, ბრეიგელი არ არის. სამაგიეროდ, აღორძინების ხანის ეს სამი ტიტანი, იტალიელ ოსტატებთან ერთად, ღმერთაკაცებად გამოიყურებიან, მთელ ამ ექსპოზიციას და კოლექციას მსოფლიო ელერადობას აძლევენ!

ფრანგები სხვებზე უფრო ბევრი ჩანან. ვაითუ თხრობა გავციქვიანუროს ყველა მხატვარსა და მის ქმნილებაზე

შეჩერებამ, თუმცა მათ შორის არა ერთი და ორი მსოფლიო მხატვრობის ოსტატია!

ფრანგული ფერწერის დიდი ნაწილი გალერეისათვის რუმინელ კოლექციონერს, ზამბახიანს შემოუწირავს. მისი სულიც აქვე ტრიალებს. უთუოდ ბევრი იფიქრა, რა შექმლო ცხრა მთას იქით გადახვეწილს სამშობლოსთვის გაეკეთებინა. ეს მოიფიქრა და უკვდავი ტილოების გვერდით საკუთარი სახელიც უკვდავყო.

ამავე დარბაზებშია თავმოყრილი და განლაგებული ევროპის სხვადასხვა ქვეყნის ავეჯი, აღორძინების პერიოდის და შემდგომი ხანისა, აგრეთვე ფაიფურისა და საათების ერთობ მდიდარი კოლექცია.

ორი უკანასკნელი მეთვრამეტე-მეცხრამეტე საუკუნეებს განეკუთვნება. ვეძებ მაისენის ნაწარმს, გადაჯვარედინებული შპაგების ემბლემით, საქსონიის ფაიფურის მამის — იოჰან ფრიდრიხ ბეტჰერის ხელიდან გამოსულს, ოდესღაც რომ მინახავს, და აი, ეპოულობ კიდევაც!

რუსული ეროვნული ფერწერის მნიშვნელოვან ნაწილს უძველესი და მსოფლიოში სახელგანთქმული ხატები წარმოადგენს. კედლებიდან შემოგვეყურებენ ფუნჯის რუსი ოსტატების: როკოტოვის, ლევიცის, ტროპინის, ბრიულოვის, სურიკოვის, რეპინისა და სხვათა და სხვათა პეიზაჟები, პორტრეტები, ნატურმორტები, ჩანახატები. რუსული ფერწერის ნამდვილი შედევრი ვალენტინ სეროვის „აქიმოვას პორტრეტი“ გალერეისათვის თვით მოდელის დედან შემოუწირავს.

რუსული კოლექციის ერთი მთავარი კუთხე სკულპტურულ ქმნილებებს — ბრიჯაოსა და მარმარილოს უჭირავს. აქ დამთვალეიერებლის წინაშე წარმოსდგებიან შუბინი, ანტოკოლსკი, გოლუბკინი და კონენკოვი.

კიბით ეშვებით სართულით ძირს და სომხური სახვითი და გამოყენებითი ხელოვნების სამყაროში შედიხართ.

პირველ რიგში შემოთავაზებულ აე-

ტორთა ერთი ნაწილი რეპატრიანტია, სამშობლოს მიწაზე ფეხი მეორე მსოფლიო ომის შემდეგ რომ დასდგა და უცხოეთში შექმნილი ტილოებიც თან ჩამოიტანა, მეორე ნაწილი კი დღესაც საზღვარგარეთ ცხოვრობს, მაგრამ ერის ყოველდღიურ სულიერ ცხოვრებაში მონაწილეობს და სამშობლოსთან სისხლ-ბორცველ კავშირს ერთი წუთითაც არ წყვეტს.

უცხოელ სომეხთა ბევრ სხვა საყურადღებო ნამუშევართან ერთად გალერეის საკუთრებაა თანამედროვე საფრანგეთის გამორჩენილი მხატვრის, უპირატესად გრაფიკოსის, გარზუს — გარნიკ-ზულუმიანის 100 ნამუშევარი.

რა ტევადი და შთაბეჭედავიც არ უნდა იყოს პირველი და მეორე განყოფილება, დასავლეთეუროპულ და რუსულ ხელოვნებას რომ ეძღვნება, აქ მთავარი, რისთვისაც გალერეას საფუძველი ჩაეყარა, დამეთანხმებით, მაინც სომხური ხელოვნებაა.

რას წარმოადგენს ეს უკანასკნელი? რით გაამდიდრეს სომეხმა მხატვრებმა მსოფლიოს სახვითი ხელოვნების საგანძური? რა როლი მიუძღვით მათ ხელოვნების ახალი ფორმების წარმოქმნასა და დამკვიდრებაში?

ყველა ამ და სხვა საჭირობოროტო კითხვას, ბუნებრივია, გალერეის შესამე, სომხურმა განყოფილებამ უნდა უპასუხოს!

სომხური ხელოვნების ნიმუშების შეკრება და თავმოყრა დაბადების დღის უმალვე დაეკისრა სურათების სახელმწიფო გალერეას. ცდამ და მამულიშვილურმა მოწადინებამ სასურველი შედეგი გამოიღო. დღეს გალერეა სომხური ეროვნული მხატვრობის ერთ ყველაზე უფრო მდიდარ საცავად ითვლება.

სომხური კოლექცია გალერეის საექსპოზიციო დარბაზებში ქრონოლოგიური პრინციპით არის განლაგებული. იგი იწყება მეჩვიდმეტე-მეთვრამეტე საუკუნეებით და წარმოგვიდგენს ე. წ. „ნალაშების“ კოლექტიურ შემოქმედებას. „ნალაშები“ საღებავისა და ფუნ-

ჯის ხმარებაში საკმაოდ დახელოვნებული და გაწაფული ოსტატებმა შექმნეს, რომლებიც რაღაც არტელს-მხატვრულ ხანაგობაში იყრიდნენ თავს და ერთიანი ძალით ასრულებდნენ ეკლესია-მონასტრების შიგა მოხატულობის სამუშაოებს. „ნალაშები“ თუ შორს არა, მაინც და მაინც ახლოს არ იდგნენ პროფესიულ მხატვრობასთან. მათი ნახატები, უმთავრესად რელიგიური შინაარსისა, ერთგვარი მხატვრული ფოლკლორია და ხალხური წარმოდგენებითა და გამოსახვის ხალხურივე ფორმებით საზრდოობს.

ამათ მოსდევს ოვნათანიანების დინასტია, დინასტია მხატვარ-ნალაშებისა, რომლებმაც თავიანთი უაღრესად ნაყოფიერი მოღვაწეობით მთელი ორი საუკუნე — მე-17 და მე-18 საუკუნეები მოიცვეს და მეცხრამეტეშიაც ღრმად შემოიჭრნენ. აყოფ ოვნათანიანი, მხატვარი-პროფესიონალი, „უკანასკნელი ნალაში“, რომლის ღირსშესანიშნავი ქმნილება „გურგენბეკოვას პორტრეტი“, გალერეის მშენება და სიამაყე, თვით სომეხ ხელოვნების მცოდნეთა თქმით, ჩვენს დროშიაც სომხური პროფესიული ფერწერის ერთ-ერთ გადაუღახავ მწვერვალად ითვლება.

გალერეის ორი ვრცელი დარბაზი მთლიანად უკავია აივაზოვსკის ზღვის პეიზაჟებს. წარმოშობით სომეხმა მხატვარმა თავისი პირველი ქმნილებები სომხეთის წარსულს მიუძღვნა. იგი ისტორიული თანრით ყოფილა გატაცებული. შემდეგ, შემოქმედებითი სიმწიფის ასაკში, მხატვრის მუშის მთავარი სტიქია ზღვა გახდა და ყირიმის მიწაზე დამკვიდრებულმა რუსეთისა და მსოფლიოს პირველი მარინისტის პალმაც დაისაკუთრა.

აივაზოვსკი, როგორც ცნობილია, ბევრს მუშაობდა, აურაცხელი შემოქმედრეობა დასტოვა და ამ შემოქმედრეობის მნიშვნელოვანი ნაწილი მისსავე სიცოცხლეში, მხატვრის ნებითა და სურვილით, სომხეთს გადაეცა. აივაზოვსკის ტილოებს მსოფლიოს რომელი ქალაქის სახვითი ხელოვნების მუ-

ზეუმში არ ნახავ, მათ შორის ფეოდალ-სიაში, სადაც მხატვარმა ცხოვრების უმეტესი ნაწილი გაატარა, მაგრამ ერე-ვანი უფლებას იტოვებს, თავი მისი სურათების ყველაზე სრული კოლექციის ბატონ-პატრონად გამოაცხადოს!

მეცხრამეტე საუკუნის მეორე ნახე-ვარი და მეოცე საუკუნის დამდეგი სომხური პროფესიული მხატვრობის აღმავლობის, მისი დიპაზონის გაფართოების, ხელოვნებაში ახალი გზების ძიების, აგრეთვე ცალკეული ჟანრების წარმოქმნის პერიოდი. გაჩნდა ეროვნული პეიზაჟი. მის პირველ მერცხლა-და და მებაიარაბტრედ ველორქ ბაშინ-ჯაგანი გვევლინება, რომლის დიდებ-ბული ტილო „იუდას მონანიება“, სა-პატრიარქოს კოლექციაში რომ ვინა-ხულე, ძნელია კაცს ოდენსე მებსიერე-ბიდან ამოგვიარდეს. მხატვარი სწორედ პეიზაჟის კონტურებითა და ინტენსი-ული ფერებით ქმნის გადამდებ განწყო-ბილებას, რითაც მისი ღრმა აზრითა და ფილოსოფიური განზოგადებით დატვი-რთული ტილოები სხვათაგან გამოირ-ჩევა.

სომხურ ეროვნულ მხატვრობაში ის-ტორიული თემა ყველაზე ადრე და ყველაზე საფუძვლიანად ვარდგეს სუ-რენიანცმა წამოსწია. მის ტილოებზე სომეხი ხალხის პატრიოტული შემარ-თება და სამშობლოს თავისუფლებისა და პოლიტიკური დამოუკიდებლობისა-თვის ბრძოლა გამოხატული.

ცალ-ცალკე დარბაზებშია გამოფე-ნილი ჩვენი საუკუნის უდიდესი მხატ-ვრის მარტიროს სარიანის, აკოფ კო-ჯოიანის, სტეფანე აგაჯანიანის და ელი-შე თათევისიანის ტილოები. ეს მათ განსაზღვრეს სომხური მხატვრობის სახე ჩვენს დროში, სწორედ მათ და-ნახეს თანამედროვე მსოფლიოს, რომ უძველესი და ამავე დროს მარად ახა-ლგაზრდა კულტურული ტრადიციების მქონე სომხეთი ის ქვეყანაა, სადაც ხე-ლოვნების სხვადასხვა დარგში და მათ შორის მხატვრობაში მსოფლიო მნიშე-ნელობის შედეგები იქმნება!

ერთიმეორეში გამავალი რამდენიმე

დარბაზისაგან შემდგარი ყველაზე დი-დი განყოფილება დაუთმობს მხატ-ვრობის მხატვრობისათვის. ეს სულ ახლახან შექმნილი ნაწარმოებებია, ჩვენი თანამედროვე სომეხი მხატვრე-ბის სახელოსნოებიდან რომ გამოვიდა და ბევრი სხვა საგამოფენო დარბაზის მოვლის შემდეგ საბოლოოდ აქ დამკ-ვიდრდა.

გული გწყდება, ბევრ რამეს, იქნებ არსებითი მნიშვნელობის მატარებელ-საც, უნახავს და თვალშეუვლებელს რომ სტოვებ, როდის მოგაფიქვს კიდევ აქ მოკრეფება, და ფაცაფუციით ისევ პი-რველ სართულზე ეშვები, რათა საის-ტორიო მუზეუმის დარბაზებიც სულე მოუთქმელად შემოიბინო და სომხე-თის მრავალსაუკუნოვან ისტორიას თუ მთლად ახლოდან არა, როგორც რუსეთ-ბი იტყვიან, ჩიტის აფრენის სიმალლი-დან მაინც დახედო.

23

საისტორიო მუზეუმი იმავე შენობა-შია. უფრო სწორად, მუზეუმების სა-სახლის ერთი ნაწილი, როგორც თავი-დანვე პროექტით იყო გათვალისწინე-ბული, საისტორიო მუზეუმს უჭირავს, მეორე — რევოლუციის მუზეუმს, ხო-ლო მესამე სურათების სახელმწიფო გალერეას.

სასახლე ფასადით ლენინის მოედან-ზე გადის და თავისი მონუმენტური კოლონადით, სიმეტრიული თაღებითა და მრავალსაფეხურიანი კამარებით მთავრობის სასახლის, ფოსტამტის, სა-სტუმრო „არმენიას“ და არარატრეს-ტის შენობებთან ერთად დედაქალაქის ცენტრის დიდებულ ანსამბლს ქმნის.

ფასადის მხრიდან, მოედანზე, მუზე-უმების სასახლეს დიდი ოთხკუთხა აუზი და მჩქეფარე შადრევნები ესაზ-ღვრება. შადრევნები ტუფის მრავალ-სართულიანი სასახლეების სიმალლეზე იჭრებიან სივრცეში, თქრიალით ფუ-ძეს ასკდებიან, ირგვლივ წვირილ-წვირი-ლი შხეფების ბურს აყენებენ და ნე-

ლიად მოჩქადუნე ცოცხალი წყალიც განუწყვეტილად ელამუნება ცოცხლისა და საღარბაზო შესასვლელის წინ კონცენტრიულ ნახევარწრეებად გამოხნიქილ ბაზალტის კიბის ბურჯებს.

საისტორიო მუზეუმის ექსპოზიციებს პირველი-მეორე სართულის ერთი-მეორეზე გადაბმული ვრცელი დარბაზები უჭირაეთ. პირველსავე დარბაზში, ვესტიბიულის მარცხნივ, რომლის სტენდებზეც და კვარცხლბეკებზეც არქეოლოგების მიერ თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე მოპოვებული მასალებია გამოფენილი, თქვენს ყურადღებას ერთბაშად მიიქცევს ხის ოთხთველიანი უზარმაზარი ეტლი თუ ფორანი, რომელსაც ზემოდან მგზავრების თავშესაფარებელი ბალდახინი ადგას და ისტორიკოსები ძველი წელთაღრიცხვის მე-14—მე-13 საუკუნით ათარიღებენ.

სიძველისაგან გამწვებული ეტლის წინა და უკანა ნაწილი, გლუვი ფიცრები, უხსოვარი დროის ოსტატებს, ხეზე კვეთის მოხელეებს, ნატიფი ორნამენტით დაუფარაეთ და, მიუხედავად დამზადებიდან ამდენი ხნის გავლისა, ეტლიცა და ზედ ამოკვეთილი ორნამენტებიც შესანიშნავად შენახულან.

სად იყო ეს ეტლი? როგორ იბრუნეს? ვის ეკუთვნოდა? რით უნდა აიხსნას ხის ასეთი საკვირველი გამძლეობა?

ერთი ჭირი მარგებელიაო, სწორედ უბრძანებიათ ჩვენს ძველებს. სევანის ტბის დონემ რომ დაიწია, ტბამ ოდესღაც შიშველი და დროთა განმავლობაში წყლით დაფარული თავისი ნაპირები ზელახლა გააშიშვლა და არქეოლოგებისათვის ადვილად მისადგომი გახდა, გაშიშვლდა ძველი სამაროვნებიც, რომლებმაც სამი ათეული ათასი წელიწადი და კიდევ მეტი წყალში, ზღვისებრ წყალუბვი ტბის ფსკერზე გაატარეს. ერთ-ერთ მდიდრულ სამაროვანში, რომელიც, ალბათ, საზოგადოების მაღალი წრის წარმომადგენელს ეკუთვნოდა, აღმოჩნდა საფლავ-

ში ჩატანებული და წაფუჭებული ში ჩინებულად შენახული კულტურული სხვა საოჯახო, სამეტურნეო და საომარი იარაღი. ადგილის სახელის მიხედვით, სადაც წარსულის ეს ნაშთები აღმოაჩინეს, მთელ ამ ნაპოვნს, არქეოლოგებმა ლჩაშენის კულტურა უწოდეს და ამავე სახელით შევიდა იგი სამეცნიერო ლიტერატურაში.

აკვირდები საყოფაცხოვრებო ნივთებს, შრომის იარაღებს — თოხს, წერაქვს, ბარს, სახნისს, თიხის ჭურჭლულობას, არქეოლოგებს ძველი სამაროვნებიდან, ნაქალაქარებიდან და ნასოფლარებიდან რომ ამოუკრეფიათ და განცვიფრებს მათი დანიშნულებისა და ფორმის სიახლოვე იმ ნივთებთან და იარაღებთან, რომლებსაც თავიანთ ყოფაცხოვრებასა და შრომაში დღევანდელი, მეოცე საუკუნის სომხები იყენებენ. არ შეიძლებაოდა, სხვაგვარად რომ მომხდარიყო. საუკუნეების განმავლობაში სასიცოცხლო მოთხოვნილებებისდა მიხედვით ბევრი რამ იცვლება, იხვეწება, უფრო სრულყოფილი, ადვილად გამოსაყენებელი და მოსახმარი ხდება, ბევრი რამ კი, რამაც თავის შესაძლებელ სრულყოფას ადრევე მიაღწია, უცვლელი რჩება და მომავალ თაობებს, საუკუნიდან საუკუნეში მზამზარეული ფორმით გადაეცემა.

გადადიხარ ექსპონატიდან ექსპონატზე, დარბაზიდან დარბაზში. საზღვარი ედება წინაისტორიულ ანუ ისტორიის წინარე ხანას, პირველყოფილ თემურ წყობილებას, იწყება ისტორია, თანამედროვე სომხეთის ტერიტორიაზე ჩნდება ძველი აღმოსავლეთის უძლიერესი მონათმფლობელური სახელმწიფო ურარტუ, რომლის ფარგლებშიც, გარდა დღევანდელი სომხეთის მიწა-წყლისა, ალბანეთი, იბერია და ჩრდილოეთ ირანის ვრცელი ტერიტორიები შედიოდა.

ერებუნისა და ტეიშებიანის ციხესიმაგრეთა არქეოლოგიურმა გათხრებმა თანამედროვე ერევენის ტერიტორიაზე სომხეთის საისტორიო მუზეუმში ფასდაუდებელი მასალით გაამდიდრა. ევ-



ებერთელა ქვეყრები მიუთითებენ, რომ ვაზის კულტურის მოშენება და მოვლა, ღვინის დაყენება არარატის ველზე მოსახლე ხალხებისათვის უჩვეულო და ახალი მოსაქმეობა არ იყო. მას ოდითგანვე, უხსოვარი დროიდან მისდევდნენ. კულტურული მევენახეობა აქ მაშინ იყო ფესვგადგმული და მეურნეობის ერთ-ერთ მთავარ დარგად ქცეული, ვიდრე ურარტუს ნანგრევებზე ჰაიკური ტომები მოვიდოდნენ, დიდ ტომობრივ გაერთიანებებს შექმნიდნენ და საფუძველს ჩაუყრიდნენ ახალ და ძლიერ სახელმწიფოს.

მუზეუმში უძველესად გიჩვენებენ მეფე არგიშტის ფარსა და მუზარადს, რომლებიც მტაცებელი ცხოველების რელიეფური გამოსახულებებით არის შემკული. ეს ის არგიშტია, მენტუას ძე, 782 წელს ჩვენს ერამდე არინ-ბერდის მთაზე ციხე-ქალაქი რომ ააშენა, ერებუნი უწოდა და თავისი და თავისი მტრების დასაშინებლად იგი ხატესა და ცუპანის 6 ათას ხუთასი მეომრით დაასახლა!

მუზეუმის შესაბამის დარბაზებში გამოფენილია დაფები ურარტული ლურსმული წარწერებით. 1300 ლიტრის ტევადობის ბრინჯაოს ქვები, ხელის მოსაკიდებელ ყურებითურთ, საკუთარ ოთხ ფეხზე რომ დგას და აგრეთვე ლურსმული წარწერებით არის მოქარგული. სწორედ ეს ლურსმული წარწერები გახლავთ წერილობითი წყაროების ერთი ნაწილი, რის საფუძველზედაც მეცნიერები ურარტუს საზოგადოებრივ-პოლიტიკურ ცხოვრებას, ყოფას, რელიგიასა და კულტურას სწავლობენ.

სომხური მიწების თავმოყრა ერთ ცენტრალიზებულ სახელმწიფოდ ძველი წელთაღრიცხვის მეექვსე-მესამე საუკუნეებში ხორციელდება. ურარტუს აღსასრული და დაცემა. აღექსანდრე მაკედონელის ლაშქრობები აღმოსავლეთში. ამონაწერები ქსენოფონტეს „ანაბაზისიდან“, რომლებიც სომეხი ხალხის ყოფაცხოვრებასა და წარმოდგენებზე მოგვითხრობენ. ომები აქემენ-

ნიდურ ირანსა და ბერძენულ-მედიანურ სამყაროს შორის. მცხეთის მხარის სომხეთი. გარნის მაკეტი გელამის ლანდშაფტის ფონზე და მარმარილოსაგან გამოკვეთილი არტემიდეს ტორსი, რომელსაც მეცნიერები იმდროინდელი სომხეთის ხელოვნებაში ელინური მოტივების შემოჭრისა და გაბატონების უტყუარ საბუთად მიიჩნევენ. ომები მიდიასთან, ასირიასთან. პართელ-სომეხთა კავშირი. დიდი სომხეთის სახელმწიფოს წარმოქმნა სომხეთის ზეგანზე. პონტოს სამეფოსა და დიდი სომხეთის თავდაცვითი ომები რომთან. ტიგრანი. არტავაზდი. შიორიდატე. რუკები. საომარი იარაღები. მონეტები დიდი სომხეთისა და მეორე დინასტიის მეფეების გამოსახულებით. ქრისტიანული მოძრაობა. სომხეთის მიერ ქრისტიანობის სახელმწიფო რელიგიად გამოცხადება. ახალი ომები სპარსეთთან. მესროფ მაშტოცი — სომხური დამწერლობის შექმნა. საეკლესიო აღმშენებლობა. ზეარტოციის რეკონსტრუქციული მაკეტი. ხაჩკარები. არაბობა...

შენს თვალწინ ხელახლა გაივლის სომხეთის მრავალსაუკუნოვანი ისტორია, ერთი გრძელი, განუწყვეტელი ნადვლიანი სიმღერა, რომელიც მარტოოდენ ომებისა და სისხლისღვრის ისტორია როდია, იგი ამასთან ერთად ეროვნული სულის აღზევების ისტორიაა, რომელსაც მხოლოდ დასაწყისი გააჩნია...

ესეც დღევანდელი, ჩვენი თანამედროვე სომხეთის მაკეტი. სწორედ ჩიტის აფრენის სიმაღლიდან დასცქერი. მთები და მხოლოდ მთები, დათოვლილი, მუდმივი მყინვარებით დაფარული, ფრიალო კლდეები, ღრმა ხეობები, თვალს რომ ვერ ჩაუწვდენ, თავბრუდამხვევი სისწრაფით დაქანებული მდინარეები. სევანის ტბა, აი, ლურჯ მთაგრეხილებს შუა მოქცეული წარმტაცი არარატის ველი და თვით ცამდე აზიდული ორთავიანი ვოლიათი — ბიბლიური მისისი-არარატი! რაზდანიკასახი. ახურიანი. არაქსი. ახურიანს

გაღმა, ქარაფოვან მაღლობზე, ათასი ტაძრის ქალაქის, ანისის ნანგრევები. ასე გულის შემალონებლად დაქცეული ჩანს ის აქედან, აქეთა ნაპირიდან. აი, ადგილიც სასაზღვრო მდინარე არაქსზე, სადაც 1918 წლის 22 მაისს ათი ათასობით ავანტურისტი მკვლელის თანხლებით თურქული დივიზია „პალიბოლუ“ გადმოვიდა, მოსრა სანაპირო დაბაჟალაქები და გეზი პირდაპირ ერევანზე აიღო. უკანასკნელი სამკვდრო-სასიცოცხლო შეტაკება სომეხ ხალხსა და რეგულარულ ჯარს შორის 26 მაისს ერევნის კართან, სარდარაპატის ველზე...

კედელზე დაკიდებულ პორტრეტებს ვაკვირდებოდი და თვალწინ ისევ პერლანშის სასაფლაოზე გაცნობილი, ხანგრძლივი სიცოცხლის მანძილზე მრავალ ჰირსა და ვაებაში გამოვლილი სომეხი ბერიკაცი მედგა, ევროპელების გულგრილობაზე რომ ჯავრობდა და უცხო მიწას მიბარებული გმირის საფლავზე ყვავილებს არჩევდა.

— რა ვქნათ? — ვისიმე ყურადღება რომ არ მიექცია, ექსკურსიამძღოლის ერთი ადგილიდან მეორეზე გადანაცვლებით ისარგებლა და ჩურჩულით მკითხა გვეორკ ბახატრიანმა. — არ გვეყოფა?

რა-მეთქი, უცებ ვერ მიფუხვდი და გულწრფელად ვაკვირებულმა ვუბასუხე.

— სამის ნახევარია — მან პიჯაკის სახელო გადაიწია და საათი მაჩვენა. — საღამო შეიღზე იწყება. ექვსზე კავშირში ვიკრიბებით. სადილობას და დასვენებას ვეღარ მოასწრებთ!

— ქალაქის მუზეუმში რომ გვაქვს დარეკილი?

— რა ვაეწყობა, ხელ მე მივალ და ორივეს მაგიერ ბოდიშს მოვიხდი.

— ძალიან დამავალებთ, გვეორკ! ქერთამიანი, ერთი შეხედვით სლავიანური ჯიშის ცისფერთვალეა ქალი, ექსკურსიამძღოლი, თავისი მრავალტანჯული ერის ისტორიას ბეჯითად, საქმის ცოდნით რომ მოგვითხრობდა და თან გვაკვირდებოდა, რა შთაბეჭდი-

ლებას ახდენდა მისი მუწყაყუღუღუღებებს იმშენებდა და ტანჯულობებზე გვებდავდა და ხან მეორეს, ჩვენს საბოლოო გადაწყვეტილებას ელოდა. მე ის-ღა დამარჩა, მაღლობა გადამებადა, ცოტათი გულდაწყვეტილ მასპინძელს, თხრობა ბოლომდე რომ ვერ მიიყვანა, ვადაზე ადრე გამოვმშვიდებობოდი და დაწინაურებულ გვეორკს გარდერობთან დავწეოდი.

უკვე საკუთარ სახლივით შეჩვეულ სასტუმრო „რაზდანის“ ფოიეში ჩვენზე რამდენიმე წუთით ადრე მოსული სომხეთის დეპეშათა სააგენტოს კორესპონდენტი დამიხვდა და მისმა დანახვამ უზომოდ გამახარა. საქმე ის გახლდათ, რომ სასიამოვნო გარეგნობის ყმაწვილმა კაცმა, თავის საპატიო პროფესიას უაღრესი პასუხისმგებლობით რომ ეკიდებოდა, შესანიშნავი ქართულით მომინადირა და სიტყვის ერთადერთი ტექსტი, ამ საღამოს რაფის საიუბილეო საღამოზე რომ უნდა წარმომეთქვა, უცერემონიოდ წამართვა, ხვალინდელ ვაზეთებში დასაბეჭდად ქუროქსზე გადავიღებთ და, ერწმუნეთ ჩემს პატიოსან სიტყვას, დღის ბოლოს უკანვე გაახლებთო.

პატიოსან სიტყვას როგორ არ ვერწმუნებოდი, ისიც ასეთი თავმომწონე კაცისას, მაგრამ, ვერ დავმაღავ, გულში მაინც შიში შემეპერა, რა დღეში ჩავეარდები, ეს პატიოსანი სიტყვა ჩვენგან დამოუკიდებელი მიზეზის გამო რომ ვერ შესრულდეს-მეთქი. შიში გვეორკსაც გაუზიარე. არ უნდა მიგეცათო, ამან დამწვარზე მდღლარე გადამასხა, გუშინ სად ბრძანდებოდნენ, ან გუშინწინ, ყველაფერი უკანასკნელ წუთებში რომ მოაგონდებათო, და მაშინვე ვარდგეს პეტროსიანს დაურეკა, ასე და ასეა ჩვენი საქმე და მე და პატივემული სტუმარი ძალიან ვღელავათო.

ღელვა ვარდგესაც გადაედო. მაშინვე დეპეშათა სააგენტოში დარეკა მეორე ტელეფონით, ჩვენ კი ქალაქის ტელეფონზე ველოდებოდით. იქ, რაც მართალია, მართალია, ძალიან ეწყვი-

ნათ. რას ქვია, როგორ გეკადრებათ, დალაატება რა შუაშია, აქ უწლოვანი ბავშვი არც ერთი არა ვართ, განა ჩვენ არ ვიცით, სად როგორ მოვიქცეთო, ოპერატორი მოვა, სიტყვას ქსეროქსზე გადავიღებთ და იგივე კორესპონდენტი, ვინც წამოიღო, მას ისევე სასტუმროში მიიტანსო.

ცოტათი კი დავმშვიდდი, მაგრამ სანამ თბილისში საგანგებოდ მომზადებულ სიტყვას საკუთარ ჩიბეში არ დავიკვლებდი, გული მაინც მეთანაღრებოდა, ახლა კი მთელი დღის დაღლილობა ერთბაშად გამომეყარა და კორესპონდენტს ისე გახარებული შევხვდი, როგორც დიდი ხნის მონატრებულ ახლობელ ადამიანს.

დათქმულ დროზე ცოტა მოგვიანებით სასტუმროში რომ მომეკითხეს, თეატრში წასვლის მომლოდინე სტუმრებს შორის ვტრიალებდი და ზოგ ძველ ნაცნობს და ზოგ ახალ გაცნობილს ამ მთისა და იმ ბარის ამბებზე ვესაუბრებოდი. გადაწყდა, მწერალთა კავშირში აღარ შეგვევლო და პირდაპირ ოპერისა და ბალეტის თეატრში წავსულიყავით, სადაც საიუბილეო საღამო იმართებოდა. მანქანა მანქანაზე მოდიოდა და სტუმრები ზოგი სათითაოდ, ზოგი ორ-ორი და ზოგიც სამსამი მიჰყავდა.

— კინალამ შევფიქრიანიდი და სხვებს ჩავუჭამი, — ვუთხარი ჩემს განუყოფელ თანამგზავრს და ჩიჩერონეს გვეორქ ხაჩატრიანს, როცა ის შუბლზე ჩიუტად ჩამოშლილი თმის სწორებ-სწორებით მოიჭრა, რამდენიმე წუთით დაგვიანების გამო, რაც უადგილო ადგილას ქუჩის გადაკეტვას გამოეწვია, ბოდიში მომიხადა და მასთან ერთად მოშორებით გაჩერებულ მანქანისაკენ გავემართე.

— უთხარი? — ჩემს ვასაგონად რუსულად ჰკითხა მას სერგომ.

— არა უშავს, ჯერ დრო თავზე საყრელი გვაქვს, — დაამიბდა გვეორქმა. — ოცდახუთი წუთი აკლია. პირდაპირ ოპერის თეატრში!

თეატრალურ მოედანზე ხალხმრავ-

ლობა იყო. იქაურობა თვალისმომკრეულად გაეჩახახებინათ. საღამოზე დასასრულად გამოწყობილნი ვერცხის სანკმს ერევნელები, მხატვრული სიტყვის თაყვანისმცემლები, თმაქალარაც და ახალგაზრდებიც, შესასვლელებისაკენ ზღვად მიიწევიდნენ, ზოგნი კი, უპირატესად გოგო-ბიჭობა, განზე იდგნენ. საათს წამდაუწუმ დასცქეროდნენ და დაგვიანებულ მეგობრებს ელოდნენ, რათა საზეიმოდ გაჩირაღდებულ თეატრში მათთან ერთად შესულიყვნენ.

— აქ დროებით უნდა დავემშვიდობოთ, — თეატრის სამამსახურო შესასვლელთან მითხრა გვეორქ ხაჩატრიანმა. — მე პარტერში ვიქნები, იქიდან მოგისმენთ. საღამოს შემდეგ შევხვდებით. ჩვენი მანქანა იქავე იდგომება, სადაც გადმოვედით.

— მე სად მიშვებთ?

— მესამე სართულზე პრეზიდენტის დარბაზია. იქ ვარდგესი და ჩვენი მწერლები დაგხვდებიან. დანარჩენი თქვენ იცით!

ხალხის ტალღას ჯერ ძირს, სარდაფში ჩაყვევი, სადაც გარდერობი ყოფილიყო, ზედმეტ ბარგადქცეული ქურქი გაეხადე, მოეწერისიგდი და კიბეს ახლა მესამე სართულამდე აყვევი. ვარდგესი, რომელიც უკვე მთელი ორი დღე აღარ მენახა, მშურად გადამხვებია, წინ წამაყენა, თანამოკალმეთა ახალი ჯგუფი გამაცნო და კედლის გასწვრივ გაჭიმულ გრძელ სუფრისაკენ გამიძღვა, სადაც ჩვენზე ადრე მოსულები უკვე იდგნენ, ბუტერბროდებსა და უალოკოპლო სასმელებს საქმიანად შეექცეოდნენ და ერთმანეთსაც სთავაზობდნენ.

— ჰა, როგორ მოგწონთ, ბატონო რევაზ? — ვარდგესმა უხვად დატვირთულ სუფრას სიცილით გაჰხედა და კოკა-კოლა გახსნა, ბროლის მაღალფეხიანი ჭიქა სვენებ-სვენებით ამივსო. — ახლა ამით ვქეიფობთ, ლოთობას ვებრძვით!

— ყველა ერთად ვებრძვით, — სიცილით მივუგე მე და სასიამოვნოდ მოშიშინე სასმელი მოვსვი. — შემე-

შინდა, ვაითუ დამაგვიანდეს—მეთქი. ამ ბოლო ხანს ყველგან მაგვიანდებია!

— კარგ დროს მოხვედით. სიტყვა ხომ მოგიტანათ კორესპონდენტმა?

— როგორ არა, ტყუილად შეგაწუხებთ და ის ხალხიც მოვიმღურეთ.

— არა უშავს, არა აქვთ გამყოლი გული. ზეალ ყველა გაზეთი გამოაქვეყნებს. სალამოს ვრცელ ანგარიშს აძლევენ რესპუბლიკურ გაზეთებში. რაფი დიდი მწერალია, ევროპული მასშტაბის. ვერ ნახავთ სომეხი კაცის ოჯახს, მისი წიგნები რომ არ ელაგოს. რაფის წიგნი სომხისათვის უფრო მეტია, ვიდრე უბრალოდ წიგნი. ასევეა თუმანიანი, ისააკიანი, ჩარენცი, ტერიანი, ჩვენნი თანამედროვე ვარაზი...

ტალანში ზარი აწკრილდა, დარბაზისაკენ გვიხმობდნენ, სალამო იწყებოდა.

პრეზიდენტის მაგიდასთან, სცენაზე, სერო ხანდაზიანის გვერდით დაჯდომა მომიწია. ხანდაზიანი კოლორიტული პიროვნებაა და გარეგნობაც კოლორიტული აქვს. თეთრი ფუმფულა ბაყენბარდებით და ქაბუკურად მოციმციმე თვალებით, თუმცა სამოცდაათ წელს უკვე გადააცილა, ათას კაცში გამოარჩევ და არავისში აგერევა. პარონ სეროს დიდი ხანია ვიცნობ. თბილისშიაც და საბჭოთა კავშირის ბევრ სხვა ქალაქშიაც არა ერთ ლიტერატურულ ფორუმზე შეგხვედრივარ. შარშან მოსკოვის მხატვრული ლიტერატურის სახელმწიფო გამომცემლობამ გამოსცა მისი თხზულებების მოზრდილი ორტომეული და პირველ ტომს ზუსტად ისეთი სურათი უძღვის წინ, როგორიც ახლაა, სამოცდამეთერთმეტე წელიწადში გადაამდგარი.

თუ გინდა უტყუარად გაიგო მწერლის ნამდვილი ფასი, ამისათვის მართო წიგნების წაკითხვა არ კმარა. მწერალს თავის ხალხთან უნდა შეხვდე, ვინც მას მისსავე ენაზე კითხულობს და საკუთარ სისხლად და ხორცად თვლის! რა მქუხარე ტაშით შეეგებნენ, თავმჯდომარემ რომ სერო ხანდაზიანის სახელი და გვარი გამოაცხადა და ისიც

აუჩქარებელი, ღირსეული ნაბაჩით ტრიბუნისაკენ წავიდა, უჩუგუტუნკუტუნათდა პარტერს თვალეზმის კაზნაყამადებით, ერთსულოვნად უკრავდნენ ტაშს იარუსები და ახალგაზრდობით გაქედილი ქანდარა!

სერომ ხელისგულები ერთმანეთს მიატყუპა, თავს ზემოთ ასწია, ოთხივე კუთხივ მიბრუნდ—მობრუნდა, მადლობის ნიშნად ყველას თავი დაუქრა, მერე მოღუმულმა და ცოტათი აღელვებულმა ხელები ჩამოუშვა, ტრიბუნაზე დადგა და სიჩუმის ჩამოვარდნისათვის აღარ დაუცდია, ლაპარაკი დაიწყო. იმავე წამს დაწყნარდა დარბაზი, გაისუსა, მხოლოდ სეროს თამამი, მკაფიო, ოდნე გამყვიანი ახალგაზრდული ხმა ისმოდა. მას წინ არავითარი ჩანაწერი არ ედო. დარბაზს პირდაპირ, უშუალოდ მიმართავდა და დარბაზიც ხმაგამენდილი უსმენდა, თავისი სათაყვანებელი მწერლის ყოველ სიტყვას გულის ფიცარზე იბეჭდავდა. სერო თანდათან ფიცხდებოდა. თავის მიერ დანთებულ კოცონს ხმელ ფიჩხს თვითონვე უკეთებდა. ის, რაღა თქმა უნდა, მშობლიურ აომხურ ენაზე ლაპარაკობდა, მაგრამ მე, სომხურის არმცოდნეს, როგორღაც მეჩვენებოდა, რომ სიტყვის დედააზრს ვხვდებოდი, ენობრივი ბარიერი ხელს არ მიშლიდა და გულის ჭურჭელი მისი სიმართლის წრფელი გამოძახილივით შევსებოდა.

ყოველივე ამას, სომხური სიტყვის ამ ზეიმს, გაკაშვებულ სცენის სილამიდან გამოაყურებდა თეთრ ტილოზე გამოსახული ჯერ კიდევ ახალგაზრდა, ფიქრიანი, საოცრად მშვიდი, უდრტივინველი გამომეტყველების მქონე ინტელიგენტი კაცი. ამ კაცს, დიდებულ რაფის, მთელი თავისი ხანმოკლე, თავადებულ მოწამებრივ შრომაში გატარებული სიცოცხლე, რაც კი რამ გააჩნდა, მშობელი ერის წმიდა სამსხვერპლოზე რომ მიიტანა, ტრიბუნაზე მდგომი სერო ხანდაზიანი, დღევანდელი სომხური მწერლობის ერთ-ერთი უპირველესი წარმომადგენელი, შვილიშვილად ერგებოდა, ისე კი, რო-



გორც ადამიანი, მასზე ზუსტად ოცო წლით ახალგაზრდა იყო.

ტრიბუნაზე ერთმანეთს ცვლიდნენ ორატორები, სომეხი მწერლები და მათი სტუმრები, შორეულნი და ახლობელნი, ერევანს რაფის საიუბილეო ზეიმში მონაწილეობის მისაღებად რომ ეწვივნენ. საყოველთაო სიხარული და ბედნიერება სუფევდა დარბაზში. ბევრი ჩუმად იტრემლებოდა ან ცრემლებს ყლაპავდა და უკებებდაბერილი სცენას თვალს არ აშორებდა.

საქართველოო, ჩემდა მოულოდნელად რომ გამოაცხადეს, ოვაცია გაიშართა. სიხარულის მდუღარე ცრემლი მეც ისე მომეძალა, სუნთქვა შემიგუბა. დიდი სომეხი მწერალი და მამულშვილი რაფი ხომ საქართველოს მოქალაქე იყო, მთელი სიცოცხლე, როგორც ბევრმა სხვა სომეხმა მწერალმა და საზოგადო მოღვაწემ, შემდგომ უმნიშვნელოვანესი როლი რომ შეასრულა სომხეთის სულიერ ცხოვრებაში, საქართველოში, ქართველებს შორის გაატარა და სამუდამოდ განსასვენებელიც იქვე ერგო. მისი უშუალო მომდევნო დიდი სომეხი ოქროპირის, ოვანეს თუმანიანის მსგავსად, რაფი სიყვარულს თესდა და ორივე ხალხის, სომხებისა და ქართველების, წარსულსა და აწმყოსი უანგარო ძმობისა და თანადგომის შთამავგონებელ მაგალითებს ეძებდა, რათა ეს მაგალითები აწმყოს სამსახურში ჩაეყენებინა და მომავლისათვისაც გადაეცა.

სიტყვის დასასრულ შე მოვიგონე პატარა ეპიზოდი რაფის რომანიდან, რომელიც ქართულ მასალაზეა დაწერილი. სახალხო დღესასწაულ მცხეთობაზე, დღესაც ძველებურად რომ იმართება, ერთ-ერთი ყველაზე უფრო პოპულარული სანახაობა, უამრავი ხალხი რომ ეტანებოდა, მამლების ჩხუბი იყოო, მოგვითხრობს მწერალი. მამლები აქამდე თვალეზაბეული მოყავდათო, რათა ერთმანეთი წინასწარვე არ დაენახათ და არ შესჩვეოდნენ, ჩხუბის ხალხისი არ წართმეთდათ, და სახვევს მხოლოდ საომარ ასპარეზზე, სამ-

კაღრო-სასიცოცხლო შეტყუებულს ხსნიდნენო.

რაფოან ერთად შე იმის მომხრე და მოწადინე ვარ-მეთქი, — ვოქვი შე-მდეგ. — საჩხუბრად მომზადებულ მამლებს თვალეზზე სახვევი მანამ მოეხსნათ, სანამ მოედანზე გაიყვანდნენ, დაე მათ ერთმანეთი დაინახონ, შეეჩვივნენ, ჩხუბის ხალხისი წაერთვათ და თვალის-სეირის საყურებლად მოსული საერთო მტერი პირში ჩალაგამოვლებული დარჩეს-მეთქი.

24

ლოგინში რომ ჩავეწვი და თვალეზი ძალად დაეხუჭე, რადგან დილას ძალიან ადრე უნდა ავმდგარიყავი, კარგი ხანს არ დამეძინა. ყურებში თითქოს ლიტავრებს სცემდნენ, სცენაზე კი მოკლელთუნიყიანი რომაელი გლადიატორები სიკვდილის ცეკვას ასრულებდნენ არამ ხაჩატურიანის ბაღეტ „სპარტაკიდან“.

რა ცოტა დრო იყო დარჩენილი დღემდე. დაიძვროდა დროის მატარებელი და ყველაფერი, რაც ამ დღეებში გადამხდა, წარსულში დარჩებოდა. მაგრამ, დავიჯერო, აქ მხოლოდ ოთხი დღე გაატარე და მეტი არა? შეუძლებელია! მაშ, დანარჩენი დრო სომხეთში ქვეცნობიერად მიცხოვრია. აბა, როგორ იყო, ამ ოთხი დღის განმავლობაში რასაც კი აქ ვხედავდი, თითქოს დიდი ხნით ადრე სადღაც უკვე მქონდა ნახული, მაგრამ სად, ვერ მომეგონებინა.

რაკი ძილი არა და არ მომეგარა, ავდექი და თუმცა ბარგი უკვე ჩალაგებული მქონდა, ხელახლა ამოვურჩიე და ისევ ჩავალაგე, ჩანაწერები ვადავფურცლე, რამდენიმე ადგილას შივასწორ-მოვასწორე, თავი კვლავ სასთუმალზე მივდე და თვალეზი ხელახლა დავხუჭე. დაიმედებულს, რომ სადგურზე გასაცილებლად აუცილებლად მომავლ-თხავდნენ, ნატარებულზე დაგვიანების შიში არ მქონდა.

ტელეფონის გაბმულმა წერილმა გამომაღვია.

— ბატონო რევაზ, გვეორქი ვარ, — მომესმა ნაცნობი ხმა ყურმილში. — მე და სერგო ვესტიბიულში გელოდებით, გასაღები წამოიღეთ, არ დაგავიწყდეთ, მატარებლის გასვლამდე ორმოცდასამი წუთია დარჩენილი!

ათი-თორმეტი წუთის შემდეგ მანქანა სადგურისაკენ მიგვაქროლებდა. აღრიანი დილა იყო, როგორც ერევანში ჩამოსვლის იმ პირველ დღეს, ქალაქს ჯერ კიდევ ეძინა, ახალ მორწყულ, ოხ-შიგარავარდნილ ცინცხლა ქუჩებში თითო-ოროლა გამელელს თუ დაინახავდი და საჭესთან განაბულ სერგოსაც არაფერი აბრკოლებდა, მანქანა დიდ სისწრაფით მიჰყავდა.

ერთმანეთს კუპეში დავემშვიდობეთ. სერგომ ქურქი ნიველის კაჩხაზე ჩამომიკიდა, გვეორქმა დიპლომატი მაგიდის ქვეშ შედგა და კუპიდან გასვლის წინ ორივე ცოტა ხნით ჩამოჯდა.

აქეთ რომ მოვდიოდი, ბოლო სადგური, სადღაც ერევანში შემოსვლის წინ მატარებელი გაჩერდა. მასისი იყო მასისი! რას უნდა ნიშნავდეს?

ჩემდა სამარცხვინოდ, ოთხი დღის წინ ჯერ კიდევ არ ვიცოდი, რომ მასისი

არარატიის სააღერსო მსხვერპლში სომხური სახელწოდებები იქნებოდა.

მატარებელი რომ დაიძრა და ახალ-შეძენილ გულითად მეგობრებს ღია ფანჯარაში ხელი ერთხელ კიდევ დავუქნიე, ერთბაშად ქალაქის თავზე ჩამოყუდებული ორთავიანი მწვერვალი დავინახე, რომლის ზედა ნახევარი მთლიანად სპეტაკ თოვლს დაეფარა და ამომავალი მზის პირველ სხივებზე ვარდისფრად ღვიოდა.

არარატი-მასისი! ბოლოს მაინც შევავლე თვალი. ოთხი დღე ღრუბლებში იმალებოდა, პირს მარიდებდა, მხოლოდ ლურჯ კალთებს გვაჩვენებდა ამის დილას კი გულმა ვეღარ გაუძლო და ლეჩაქი მოიხადა!

ეს დალოცვილი მართლაც სასწაულებრივად დიდი და მშვენიერი დავობის სანახავი ყოფილა. როგორ შეიძლება, ერთხელ ნახო და შერე ოდესმე დაგავიწყდეს! მატარებელი დიდი სისწრაფით მიჰქროდა საწინააღმდეგო მიმართულებით, მაგრამ, თითქოს სამყაროს ფიზიკურ კანონებს არ ემორჩილებო, არარატი კი არ გვეშორებოდა, თანდათან კი არ პატარავდებოდა, ისევე და ისევ დიადი და ცამდე აზიდული იდგა, იდგა ღროისა და სივრცის გარეშე თავის უკიდევანო მარადისობაში.

ტავა მავარიშვილი

• • •

სიკვდილის დღის
სახელია აჯალი,
მასთან მხოლოდ
სამჯერ ვარ ნააჯალი.
როგორც ვატყობ,
ყოყმანა და ჯანჯალი

არის ჩემი
გულკეთილი აჯალი.
ვეცოდები
და არ ჩქარობს აჯალი,
ჩემგენ მოდის
ნელა, ჩანჩალ-ჩანჩალით.

• • •

ტყუილის თქმა არის ცოდვა,
რომ მიყვარდა, არ იცოდა.

რომ მდიოდა მაშინ ღვარად,
იმ ცრემლისთვის შემეყვარდა...

გავახსენე როდის-როდის,
ქორწილის დღეს რომ ვტიროდი.

მაგრამ დამზრალ-გალიგეული
არ გამითბა მკვდარი გული.

• • •

თუ ტანჯვით იყო გამოსასყიდი
სიამე,
რატომ მანისიავე?
რად შემეჩინე მერე ასპიტი?
თავს მაწყვევლინებს ვალის სიავე.

ნუთუ ზელს ყველას ასე უმართავ,
ვითმენ,
რომ მცეცხლავს ელდა ნისიის.
ღედა იცინებს ცაში, თუ მართლა
მომთმენი შვილის ღედა იცინის.

• • •

აქ უშკაცრესი ყინვებია,
აქ ყვავებია
მხოლოდ და მხოლოდ

და ჩხავილით სივრცეს ჩეხავენ.
სამშობლო ამათ ყვარებით,
თუ ყვარებით,

ფებს არ იცვლიან,
კლავთ შიშვლილი
თუმცა მკლე ყვავენს.
სარკმლიდან ვუცქერ,
ვგრძნობ ყვავები თავს მაყვარებენ,
ასეა მუდამ:

რომ არა გაქვს ეროვნული
საქმე სარჩევად,
როდის დათბება,
ელირსებათ როდის დარები
თუმცა რად უნდა
ყვავენს ჩემი გამოსარჩლება.

სამე

ზამთრის საქმეა თოვა და ისიც
ბარდნის და ბარდნის გადაუღებლივ,
ჩემი საქმეა წერა და მკითხველს
თავს გადახდენილ ამბავს ვუყვები.

შაშვის საქმეა გალობა, მაგრამ
საყენეს დაეძებს გაფაციცებით...
საქათმიდან კი მოისმის ისევ
მკახე კახეხი მაძლარ ციცრების.

მისი საქმეა (მკითხველის) ნათქვამს
დაიჭერებს თუ არ დაიჭერებს,
ერთი ირწმუნებს, მეორე — არა,
პოეტს ხელს აძლევს აზრთა სიჭრელე.

ჩემი საქმეა (არის კი) წერა
და მკითხველს გულის ამბავს ვუყვები...
ზამთრის საქმეა თოვა და ისიც
ბარდნის და ბარდნის გადაუღებლივ.

შინ არ მავრუნებს

ლექსში გზადაგზა ბოღმასაც ჩავღვრი,
თავს იქცევს მჯილი გულმკერდის
ნგრევით...
როგორც თეატრის გუმბათის ქალი,
ისე წელა და თანდათან ვქრები.

ჩემს გზებზე დავრჩი ცრემლად,
ვარამად,
სულს მიჭიჯენიდა ეჭვის ჭილყავი.

არ გამიჯავრდე, დღეს რომ არა ვარ
ისეთი,
წლების წინ რომ ვიყავი,

ჩემი თავიდან მე ვარ წასული
ნახევრად შინიც,
მეტად თუ არა...
ჩემივე კარი აქვს ჩარაზული,
შინ არ მავრუნებს სვე მატყუარა.

• • •

არ ეკარება თვალებს აქ რული,
კედლები ალთა ჩითით ირთვება...
გატყვევებს ბედი ჯვარზე გაკრული —
ღმერთად ქცეული კაცის კირთება.

და შეთქმულივით ჩემი, გულგრილი
სარკმლებს აეკრა ღამე ფარდებად.

ორიათას წლის ზღემა გრიალი,
ახალგაზრდაა ისევ ბრალდება...

მოიპარება ბნელი — თბობა
გარედან შიგნით ღვთისავე ნებით...
ვიგონებ გრანელს
და მარტოობას
მშობლიურ ხელებს ვუკოცნი ვნებით.



სიკვდილის ფასად

მრავალ რამეზე იგაღებინა
საწუთრომ ხელი, ხოლო მრავალზე
ხელის აღებას მერე, ხვალ ან ზეგ,
თანდათანობით შემოგთავაზებს.

შენც თმობ ხან ცრემლის და ხანაც
გულის
ჩაწყვეტის ფასად, სხვა ხსნა არც ირი,

ასე გზადაგზა დაიფერფლები
და ერთხანს ივლი თითქმის ნაცარი.

ახლა წერას რომ ვერ აუღიხარ,
ე მაშინ მუზა გახდება მეწლე...
სიკვდილიც მოვა,
სიკვდილის ფასად
მართლაც ყველაფრის შელეგას შეძლებ.

• • •

ინე,
ბავშვი რომ ზღვის ნაპირზე რამეს იპოვნის
და მისიანთან გააქროლებს, რომ მიახაროს,
მელანშეუშრალს მოვაქროლებ შენსკენ სტრიქონებს,
ვით ჭაშნაგირთან,
ფიქრო ჩემო ახალთახალო.

შენ ხარ პირველი, გადავედი მე აქ ვისთანაც
ალავერდივით, ლოცვით საესე ჩემი რვეული...
გუმანი ჩემი თუ არ შეცდა და იმისანა,
დიდი სინათლით დავბრმავდები, ბნელს შეჩვეული.

— — —

შაქრო სამადაშვილი

ალავერდში

რა თავდადება! რა თავგანწირვა!
ცრემლთა ღვრა, ირგვლივ წუხილის ზარი.
მშვენება გლიჯეს ნაწილ-ნაწილად,
ვერ დააჩნიეს სულს მცირე ბზარი.

არცკი აღირსეს საფლავის ბორცვი,
სულდიდმა ხელი ატარა მადლად,
წმინდა ტაძარმა მიიღო ხორცი,
სული კი... სული... გაფრინდა ცადა.

ო, წამებულის დაშანთულ ხელმა
აქ მოაღწია საიდან სადა!
მოკლა და მაინც ვერ ძლია მკვლელმა,
თუმც სცადა ძლევა, რამდენჯერ სცადა!

იწვის... ო, ახლაც მგონია ცხელი —
ხელი — ქეთევან დედოფლის ხელი.

მძვინვარე მხეცის რისხვის ხანძარში —
ნამყოფო ხელო, მოხველ მამულში;
და შენი სახით ამ თეთრ ტაძარში
ვიხილეთ ქართველის სინდის-ნამუსი!

* * *

შენ ველარ შეძლებ ჩემს დავიწყებას
და თუკი შეძლებ, მაშინ მთვარეს უნდა გაეჭყე,
უნდა გაეჭყე თოვლის რიყრაცს შუალამისას
და სისხლს ფიქრები აუკრძალო,
ხოლო სიზმარს — შემოსვლა შენში.
შენ ველარ შეძლებ ჩემს დავიწყებას,
როგორც მზე ველარ დაივიწყებს საკუთარ სხივებს,
როგორც მინდორი მწვანე ბალახს ვერ დაივიწყებს.
აღფრთოვანებას გადაჩვეული
ჩემი თვალები მოძებნიან შენს სიჩუმესაც
და დავინახავ, როგორ იზრდება
შენს მაღალ ყელში სასოწარკვეთა...

* * *

ქარით გიყურებ და ყველაზე ჩუმი ვარსკვლავით
გისმენ, ზეებით გესაუბრები
და ნისლით ვცდილობ გაღომებას,
ხოლო ზაფხულით გეფერები და მისი ღელვა
ფორმას იძენს შენი მღვივანი მკერდის გარშემო.
გაზაფხული და შემოდგომა ჩვენს უცვლელ დროში
ვერ შემოდიან,
მაგრამ ზამთარი ჩემი გულია,
გული, რომელიც თეთრად სკდება,
რომელიც ჯერ არ დანებებია უიშედლობას,
და თუ მოგვისწრო თოვლმა, მე ვიტყვი,
რომ გადარჩენა არასოდეს არ არის გვიან,
რადგანაც როცა ვამბობ „თოვლი“ —
მე ვგულისხმობ მუდამ სიყვარულს.

ქარი აგრძელებს ხეების ჩრდილებს
 და ჩემს ზმასაც აგრძელებს ქარი,
 მაგრამ შენ იცი, რომ დაბრუნდები
 იმ სახლში, სადაც საშინაო ყოველი ნივთი,
 რადგან იმათი ცეცხლოვანი გულწრფელობა
 აფიქვებს კედლებს.

შენ დაიძინებ გულის მხარეს
 და სიბნელეში ჩემი ფიქრი გამოგაღვიძებს,
 ფიქრი, რომელიც გრგვინით სკდება შენს სასთუმალზე,
 შენ იცი... მაგრამ შენ დაბრუნდები,
 რათა იქვე მკვდარი მზის შუქად,
 რომელიც ველარ ჩამოსწვდება
 ჩემს დაბალ დღეებს...

მე არ მაქვს იარაღი,

ჩემი ჭრილობები რომ დავიცვა
 მძვინვარე არაფრისგან...

მე არ მაქვს ღამე

და ჩემ გულში გამზმარი ტყეა,

და იმ გულიდან ჩემი ჩრდილივით
 გამოსრიალდება ეჭო, რომელიც
 ყველა სიტყვას წარსულში დგამს
 ყინულოვანი ვარსკვლავივით...

მე არ მაქვს სიტყვა — რომელიც გულს დაუბრუნდება,

სიმშვიდის და თანხმობის სიტყვა,
 ჩემი პირი ნაპერწკლებს ყლაპავს
 რათა იქიდან გამზმარი ტყის
 წითელი კენესა ამოჩუხჩუხდეს...

მე ჩემ სხეულებს ვაგროვებ დღეში,

რომ შენი ჩრდილით შევაჩერო
 მათი უძლური გულგრილობა
 და აღვზნება საბედისწერო.

იმ ლოცვას ვეძებ —

გაციებულ ქარის წივილში,
 თითებისა და ღიმღის ჩუმ თანხმობაში,
 სიტყვების ხასხასა ნაკეცებში,



სიხარულის და გაურკვევლობის თაობა უცხოეთში
 იმ ლოცვას ვეძებ —
 შენს დაძაბულ და მღელვარე ღამეს
 ჩემს სიზმართან რომ დააქორწინებს...

• • •

ჩაეძახი ჩემს თავს, ისწავლე მეტეი
 სურვილებთან დაშვებობება.

განსაკუთრებით გაზაფხულზე,
 სისხლის მწარე და ბედისწერულ ამოსუნთქვაში,
 განსაკუთრებით ოთხ კედელს შორის,
 როცა ფანჯარა ცაში გადის.

ჩაეძახი ჩემს თავს, მშვიდად მეტეი,
 მაგრამ ვარსკვლავებზე
 ანთებული თოვლივით ცვივიან სიზმრებში
 და მოაქვთ
 რაღაც სხვა ხმაური.

ჩაეძახი ჩემ თავს, მაგრამ სურვილი
 თავისას ხატავს,
 შე არაფერს არ მეკითხება,
 და ვარ კბილებით ჩაფრენილი იმის კალთაზე.

ნახვამდის, ჩემო დედამიწავ!



მეტი გარსაუხილი

ლენინის უახლოესი თანამებრძოლი

მომდინარეობს კავკასიის საოკრუგო პარტიული კონფერენცია. მრავალმა საკმაოდ ტევადი დარბაზი ინგუშები თაა გაჰედლილი. თავმჯდომარე სერგო მირონის ძე კიროვი მოხსენებისათვის სიტყვას აძლევს სერგო ორჯონიკიძეს. ინგუშებმა ტაში დასცხეს, მერე მიჩუმდნენ და მოსასმენად მოეშადადნენ.

სერგო ტრიბუნასთან დადგა, დარბაზს თვალი შოაელო და მოხსენების დასაწყისშივე დააყენა კითხვა — რა უნდა გავაკეთოთ ჩრდილო კავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების განმტკიცებისათვის?

ავტორის ყოველი სიტყვა მკაფიოა და გამოკვეთილად ისმის, შეუღამაზებლად ახასიათებს მიმდინარე მომენტს, ობიექტურ სინამდვილეს, რთულ ვითარებას, რომელშიც მუშაობა და ბრძოლა უხდებოთ თერგის ოლქის კომუნისტებს.

... ერთიმეორის პირისპირ დგანან ამ ბრძოლაში, — ამბობს სერგო, — უღარიბესი გლეხობა და კაზაკობა, კონტრრევოლუციური კულაკობა და შრავალეროვნული ხალხის ფენები. და მიუხედავად ყველა სიძნელისა, რევოლუცია გაიმარჯვებს, — რწმენით ამბობს იგი და შემართულ მუშტებს მალა სწევს. — გაიმარჯვებს იმიტომ, რომ მას მხარს უჭერს მძლავრი მუშათა კლასი, შრავალრიცხოვანი გლეხობა, რომელიც დიდხანს იტანჯებოდა მეფისა და პოლიციის, მემამულეებისა და კაპიტალისტების უღელქვეშ, გაიმარჯვებს იმიტომ, რომ რევოლუციის სათავეში დგას გმირული ბოლშევიკური პარტია და მისი ხელმძღვანელი ლენინი...

ინგუშები გატაცებით უსმენენ სერგოს. არ ეკარგებათ მისი არცერთი სიტყვა.

სერგოს გაგრძელებული ლაპარაკი არ უყვარდა, მით უმეტეს საბრძოლო ვითარებაში. დაამთავრა თუ არა სიტყვა, სწრაფად გაიმართა კამათი.

მოულოდნელად დარბაზში ერთი მაღალ-მაღალი ინგუში წამოდგა და ადგილიდან წამოაყენა წინადადება: — საჭიროა ერთსაათიანი შესვენება, რადგან მაჰმადიანური ლოცვის დრომ შოაღწიაო.

სერგომ და კიროვმა ერთიმეორეს გადახედეს. სერგოს ოდნავ გაელიმა. კიროვმა, ყოველგვარი კენჭისყრის გარეშე, შესვენება გამოაცხადა.

დღეგატების ნაწილი აიშალა და გასასულელისაკენ გაემართა, ნაწილმა ადგილზევე ცხერის ტყავები დააძრეს და ზედ სალოცავად მუხლებით დაემუნენ.

ერთი ქართველი დელეგატი აღშფოთდა და ორჯონიკიძეს შეესაძინა.

— ამას რას ვხედავ, ამხანაგო სერგო, საქართველოში რელიგიური გრძნობების გამოვლენისათვის ხალხს პარტიიდან რიცხავენ. ზეპირ-მსახურულ კონფერენციაზე საჯაროდ შესვენებას აწყობენ... სალოცავად. ღმერთო და დებულო, ნუთუ ბოლშევიკური პარტია ჩადის ამას?

სერგომ ქართველი დელეგატი გვერდით მოისვა.

— ძმაო, — სერიოზული ტონით თქვა სერგომ, — საქართველოში რელიგიური გრძნობების გამოვლენისათვის, რელიგიურობისათვის შართლაც უნდა გარიცხო პარტიიდან, რადგან იქ რელიგია კონტრრევოლუციისაკენ მიდის. აქ სხვა საქმეა. ეს ინგუში — შესვენება რომ მოითხოვა სალოცავად, კავალერიის ასეულს მეთაურობს. რამდენიმე დღის წინ თეთრების ბანდა აჩენდა და მზად არის ყოველ წუთს დასცხოს კონტრრევოლუციის, იბრძოლოს უკანასკნელ სისხლის წვეთამდე...

აი, რატომ არ შეიძლება შაბლონურად განსაჯო.

საჭიროა ყოველთვის კონკრეტული ვარემო და პირობები გავანალიზოთ. დადგება დრო და ეს ინგუში გათავისუფლდება რელიგიური გაბრუნებისაგან. ისევე, როგორც გათავისუფლდა მეფისა და მეფის გენერლების რწმუნისაგან ამას გააკეთებს დრო და სოციალიზმის კულტურა.

ეს ინგუში კომუნისტია, სწამს საბჭოთა ხელისუფლება და მზად არის ეპ საბჭოთა ხელისუფლებისათვის ბრძოლაში მოკვდეს. როგორ ფიქრობ, პარტიიდან გავიციხებით? ის ახლა სწორედ ჩვენი პარტიისათვის, საბჭოთა ხელისუფლების, სოციალიზმის გამარჯვებისათვის ლოცულობს, დარწმუნებულია, სინკრომ ამ საქმეში ალაპი დაეხმარება.

ამ დროს მოსაუბრეებს ინგუშეთის რეგკომის თავმჯდომარე აღბაგაჩიევი მიუახლოვდა, თამბაქო გაახვია და მოსაწყევად მოეშადა. სერგომ შევეთხარი მოძრაობით ხელიდან აიკალა პაპიროსი, უბრაძანი დაუყოვნებლივ დაბრუნებულიყო დარბაზში და ინგუშებთან ერთად ელოცა.

რეგკომის თავმჯდომარემ პროტესტი განაცხადა.

— ამხანაგო სერგო, მე 1915 წლიდან ვარ კომუნისტი. არ მწყას ღმერთი, ლოცვების სიტყვებიც კი არ ვიცი. თერთმეტი წლისა თბილისში სახელოსნო სასწავლებელში ვსწავლობდი და იქვე, ქარხანაში ვმუშაობდი. რა საფუძველზე უნდა ვისწავლო ახლა მე ლოცვა? ვის სჭირდება ეს?

— სწორედ, რომ ვის სჭირდება?! — გაიციხა სერგომ, — ეს არც შენ და არც მე არ გვჭირდება; ეს სჭირდება მათ, რომლებსაც მეთაურობ, ისინი ხომ შენსავით შეგნებულები არ არიან და არც ესმით, რატომ გაექეცი, რატომ მიუტოვე მათთვის მნიშვნელოვან წუთებში. ნუთუ შენ არ იცი ლენინის მოძღვრება, მხოლოდ ავანგარდით რომ ვერ გაიმარჯვებ? ავანგარდმა მასები უნდა გაიყოლოს. კომუნისტმა თავისი ამბიციით კი არ უნდა იმოქმედოს, არამედ რევოლუციის საჭიროება გაითვალისწინოს. საუბარი საღამოს, ჩემთან, სახლში გავაგრძელოთ. А сейчас — марш обратно, на молитву!

აღბაგაჩიევი დაბრუნდა დარბაზში და ცხერის ტყავზე დაეშვა.

ასეთი იყო სერგო, ლენინის უახლოესი ამხანაგთაგანი, შემოქმედი, გონებაგახსნილი, განათლებული მარქსისტი.

ეს აზრიანი განსჯა მას ბავშვობიდანვე მოსდგამდა.

სერგოს ყოფილი მასწავლებლები იგონებენ რა ცნობისწადილიანი იყო გიშრისფერთვალბიანი, ლამაზი, მკვირცხლი კი არა, უფრო მოუხსენარი ბიჭი, რომელიც მთაში ნახევრად გაველურებულ თხებს დასდევდა, ხელიდან კი წიგნს მაინც არ იშორებდა.

ღორეშის სამრევლო სკოლის ერთადერთ ოთახში, სადაც ერთდღიამე

დროს ასწავლიდნენ რუსულ ენას, არითმეტიკას და საღვთო სჯულს, ამდენი კითხვა, ალბათ, არაფერს დაუსვამს. რატომ არსებობენ მდიდრეზრის მშენებლები? რატომ მუშაობენ ლაბირები და მაინც სარჩო-საბადებელი არ გააჩნიათ? რატომ არ იციან წერა-კითხვა? რატომ სწამთ ის, რაც არ არსებობს? შემდეგში სერგო საფერშლო სკოლაში თბილისში საჯაროდ შეეკითხება გეოგრაფიის მასწავლებელს, პროგრესულად მოაზროვნე პოეტკომსკის:

— სად არის ღმერთის ადგილი სამყაროში?

მასწავლებელი ცოცხლად და ხატოვნად დახატავს სამყაროს წარმოშობის ფიზიკურ სურათს და მოსწავლეს უპასუხებს:

— როგორც ხედავთ, მეცნიერება, ღმერთი არ სჭირდება.

კბამუკი სერგო საფერშლო სკოლაში ყოფნის დროსვე დაასკვნის: სამყაროს მარტო შესწავლა კი არა, არსებობისად გარდაქმნა სჭირდება.

სამყაროს გარდაქმნა?

ვინ უნდა იტვირთოს იგი?

აქაზე პასუხს იძლეოდა ახალი, რევოლუციური მოძღვრება — მარქსიზმი, რომლის შესწავლასაც სერგო დიდი მონდომებით დაეწაფა.

ისტორიაში მანამდე გადაუწყვეტელი ამოცანის კონკრეტული განხორციელების დღენიდანაც ცდაში იყო რუსეთის სოციალ-დემოკრატიული მუშათა პარტია, რომელსაც სერგომ სამუდამოდ დაუკავშირა თავისი ცხოვრება.

ეს იყო 1903 წელს, მაშინ სერგოს 17 წელი შეუსრულდა.

აქედან იწყება სერგო ორჯონიკიძის ფანატიკური ერთგულება რევოლუციისადმი, რის გამოც, თექვსმეტი წლის შემდეგ, ლენინი დაწერს: „როგორც უნშლიხტის, ისე სტალინის მიერ გამოთქმული აზრით, სერგო უაღრესად საიმედო სამხედრო მუშაკია. იგი რომ უაღრესად ერთგული და უაღრესად საქმიანი რევოლუციონერია, მას თვითონ ვიცნობ 10 წელზე მეტი ხანია“ (თხზ., ტ. 35, გვ. 450).

თექვსმეტი წლის შემდეგ ორი რევოლუციის გრიგალი გადავიღის რუსეთის იმპერიის განაწამებ მიწა-წყალზე. მანამდე კი წინ არის შეუპოვარი ბრძოლა საქართველოში, მთელ ამიერკავკასიაში, განსაკუთრებით მნიშვნელოვანი დიდი შრომა პრალის კონფერენციის მოწვევისათვის, წინ არის მძიმე რა აუტაიელი წლები თბილისის, სოხუმის, ბაქოს, შლისელებურგის ციხეებში, გადასახლება იაკუტიაში, სამუდამო კატორღა.

სერგო ორჯონიკიძე მთელი არსებით გრძნობს იმ კლასის სიძლიერეს, რომელსაც იგი წარმოადგენს. თავდაუზოგავად იბრძვის მარქსისტული იდეების პროპაგანდისათვის, ბოლშევიკური პარტიის ორგანიზაციული და იდეური განმტკიცებისათვის. ძალას არ ზოგავს ლენინური პოლიტიკური კურსის გამარჯვებისათვის.

1917 წლის რევოლუციამდე შეიდი-რვა წლით ადრე, ს. ორჯონიკიძე საერთაშორისო დონის აღიარებული რევოლუციონერი ხდება — მას პარტია აგზავნის მეთაურად ამიერკავკასიის რევოლუციონერთა ჯგუფისა, რომელიც გაემგზავრა ამბოხებულ სპარსეთში ეროვნული დამოუკიდებლობისა და თავისუფლებისათვის ბრძოლაში ირანელი ხალხის დასახმარებლად.

ს. ორჯონიკიძის რევოლუციური მუშაობის ავტორიტეტის ზრდას მოწმობს ის მნიშვნელოვანი ფაქტი, რომ ვ. ი. ლენინი უშუალოდ ეთათბირება მას სოციალისტური რევოლუციის სტრატეგიულ საკვანძო საკითხებზე ნ. კრუპსკაია ს. ორჯონიკიძის შესახებ შემდეგში იგონებდა: „...მე მახსოვს ვრცელი მიმოწერა, რომელიც მასთან წარმოებდა იმ ხალხს გამოსარკვევად, რომელიც ილიჩმა პლენაროველების, ლიკვიდატორების და ემპირიოდლების მიმართ დაიკავა“ (Крупская Н. К., Воспоминания о Ленине, М., 1957 წ.).

საინტერესოა ს. ორჯონიკიძის წერილი, რომელიც მან ვ. ი. ლენინს გაუგზავნა: „გულით მიხარია პლენუმის მომზადება, მაგრამ არ შემიძლია არ აღვნიშნო, რომ ის სხვებზე მეტად სცოდავს იმაში, რაშიც ჩვენებს ბრალს სდებს. მაგრამ უამისოდ შეუძლებელიც იყო: რაღაცას ხომ უნდა ჩასჭიდებოდა. ვინ დიპლომატობდა მეორე ყრილობის შემდეგ? ვინ მიპყვებოდა 7 წლის განმავლობაში ხელახლებადი და ასულდგმულბდა რუსეთის რევოლუციონერ მენშევიკების სახით? რა თქმა უნდა, პლენუმის და არა სხვა ვინმე, მაგრამ თუ იგი მართლაც დარჩება ახლანდელ პოზიციაზე, ეს პარტიისათვის უსათუოდ პლუსი იქნება. მაგრამ მინც უნდა ვაღიაროთ, რომ მის მიმართ ურწმუნო თომა გავხლი“ (ს. ორჯონიკიძე, სტატიები და სიტყვები, ტ. 1, გვ. 1-2).

სერგო ინტელიციით თითქმის ყოველთვის გრძობს ვის მხარესაა სიმართლე, მაგრამ პრაქტიკულ ნაბიჯებში რომ არ შეცდეს, საჭიროა მარქსიზმისა და ლენინის ახალი მოძღვრების ღრმად შესწავლა. საით წავა პარტია? ვინ იქნება მისი მოკავშირე, ახალ რევოლუციაში? საჭიროა ყველაფერ ამაში გარკვევა, დასკვნების გაკეთება. სერგომ იცის, რომ ყოველი დიდი საქმის განხორციელებისათვის ბრძოლა უნდა დაეფუძნოს ცოდნას. გამოსვლებში ზერეულე, რევოლუციური ტერმინოლოგიის დახვევა, როგორც ამას წვრილბურჯუაზიული პარტიები ჩადაინ, უფრო აზნევს პროლეტარიატს და ამოარებს მიზნისაგან. ისინი რომ დაამარცხო, არამარტო პრაქტიკაში, არამედ თეორიაშიც მათზე ძლიერი უნდა იყო. სერგოს წარმოუდგენლად სჭირდება ლენინთან პირადი შეხვედრა, საუბარი, ლენინი კი საფრანგეთშია, პარიზში, რადგან რუსეთის მთელი მუშათა მოძრაობისათვის მძიმე ხანა დადგა — მძვინვარებს რეაქცია. რევოლუციური ორგანიზაციები იატაკქვეშეთში გადავიდნენ. საჭიროა რთულ ვითარებაში სრულიად ახლებური გზის გაკვალვა, მუშაობა! და ეს ურთულესი და უძნელესი ამოცანა ლენინმა იტვირთა.

სერგომ ირანში ყოფნის პერიოდში გაზეთ „სოციალ-დემოკრატიაში“ წაიკითხა ცნობა იმის შესახებ, რომ პარიზში შეიქმნა საორგანიზაციო კომიტეტი პარტიული მუშაკების სკოლის მოსაწყობად და მოსვენება დაპყარვა, გადაწყვიტა პარიზს წასვლა და აი, კონსპირაციული ზერებებით, 1911 წლის მარტში სერგო პარიზშია, მარი-როზის ქუჩაზე.

„გამხდარი, კარგი აგებულების, სანდოშიანი ღიმილით, კავკასიური გარეგნობის კაცი“ — დახვდა სადარბაზოს კართან ნ. კრუპსკაიას, რომელმაც იგი ვ. ი. ლენინთან შეიყვანა. „იმ დღიდან, — იტყვის შემდეგ ნ. კრუპსკაიი, — ს. ორჯონიკიძე, ჩვენი უახლოესი ამხანაგთაგანი გახდაო“.

სერგოს ლენინი, როგორც ასეთ შემთხვევებში ხდება ხოლმე, პომპეზური, გოლიათური აგებულების კაცად წარმოედგინა, მაგრამ „მუშური გარეგნობის“, ერთი შეხედვით სრულიად უბრალო ადამიანი კი აღმოჩნდა.

უღრმესი შთაბეჭდილება დატოვა სერგოზე ლენინთან პირველმა შეხვედრამ. მან მეორე დღესვე ბაქოში გამოგზავნილ წერილში დაწერა: „გარეგნულად ლენინი ჰგავს ტიპურ რუს მუშას... საუბარში ოდნავ არ გაგრძობინებს, რომ საქმე გაქვს ადამიანთან, რომელიც შენზე ძილიონჯერ მაღლა დგას. პირიქით, თითქოს პირველი წუთიდანვე გეხვევა გულითადი გრძნობით. მე 3-4 საათი დავყავი მასთან“.

სკოლამ მუშაობა დაიწყო იენისში, პარიზის მახლობლად, კონსპირაციულად შერჩეულ დაბა ლონეიუმოში, მყარებულ, პატარა, ძველ სახლში. აქვე, საბურავის ქვეშ — სოროსავით ოთახებში შოფწყვენენ ს. ორჯონიკიძე, ნიკოლაევსკელი გემთმშენებელი ი. შვარცი და ვ. ი. ლენინის ნაცნობი პიტე-

რელი მუშა ბ. ბრესლავი. დანარჩენი მსმენელები კერძო ბინებში — ღარბთა საკუთნაობებში დასახლდნენ.

ვ. ი. ლენინთან პირადმა შეხვედრამ და საუბრებმა, ლონჩიუმიში სკოლაში მეცადინეობამ, ლენინის შესანიშნავმა ლექციებმა სოციალისტური რევოლუციის თეორიისა და პრაქტიკის შესახებ, პოლიტიკურ ეკონომიკისა და აგრარულ საკითხებზე ხელი შეუწყო სერგო ორჯონიკიძის იდეურ-პოლიტიკური მომზადების დონის ამაღლებას, მისი თეორიული ცოდნის გაღრმავებას. იგი ერთ წუთს არ კარგავს ლონჩიუმიში — გამონაკლისი შემთხვევაა, როცა მას ყური სტკივა და ღარბთათვის განკუთვნილ კომუნალურ პოლიკლინიკაში ექიმთან რიგში დგას — გულმოდგინედ დადის არმანდისა და ლუნაჩარსკის მიერ მოწყობილ ბიბლიოთეკაში, კითხულობს, სწავლობს და ეცნობა კ. მარქსის, ფ. ენგელსის, ვ. ი. ლენინის შრომებს, ჩერნიშევსკის, დობროლუბოვის, გერცენის, პუშკინის, ტოლსტოის, ჩეხოვის, გორკის, ბაირონის, გოეთეს და სხვათა თხზულებებს.

სერგოს ლონჩიუმის პარტიული სკოლის კურსი ბოლომდე არ გაუვლია. ვ. ი. ლენინის პირადი თხოვნით ბრუნდება რუსეთში, არალეგალურ პირობებში. მას დიდი მნიშვნელობის ამოცანის შესრულება ეკისრებოდა — უნდა შეექმნა პარტიული კონფერენციის მოწყობი რუსეთის საორგანიზაციო კომისია, რისთვისაც, მეტად მძიმე ვითარებაში, შემოიარა მოსკოვი, პეტერბურგი, კიევი, დონის როსტოვი, ბაქო, თბილისი. განუძეორებელია ს. ორჯონიკიძის თავდადება და ლეაწლი ვ. ი. ლენინის დავალების შესასრულებლად — შეუფერხებლად მოწყობილიყო რსდმპ VI (პრალის) პარტიული კონფერენცია. პრალის კონფერენციამ დიდი როლი შეასრულა ბოლშევიკური პარტიის ისტორიაში.

კონფერენციამ, რომელიც 1912 წლის იანვარში შედგა, აღადგინა არალეგალური პარტია, მათი რიგებიდან გააძევა მენშევიკები და ლიკვიდატორები. ს. ორჯონიკიძე კონფერენციას ესწრებოდა, როგორც პარტიის თბილისის ორგანიზაციის დელეგატი. მან ანგარიში ჩააბარა კონფერენციას, კონფერენციის მომწვევი რუსეთის საორგანიზაციო კომისიის გაწეული მუშაობის შესახებ.

ვ. ი. ლენინის წინადადებით კონფერენციამ მალალი შეფასება მისცა აღნიშნული კომისიის, მისი ხელმძღვანელის ს. ორჯონიკიძის მუშაობას: „კონფერენცია თავის მოვალეობად თვლის აღნიშნოს რუსეთის ორგანიზაციულ კომისიის მიერ ჩატარებული მუშაობის უდიდესი მნიშვნელობა რუსეთის ყველ. პარტიული ორგანიზაციის შემკვიდროებისათვის ფრაქციების განუღრმებლად და ჩვენი პარტიის, როგორც საერთო-რუსეთის ორგანიზაციის აღდგენისათვის.“

საქმიანობა რუსეთის ორგანიზაციული კომისიის, მით უფრო ღირსია მოწონების, რომ რუსეთის ორგანიზაციულ კომისიას მუშაობა მოუხდა საშინელ მძიმე პირობებში და შინაპარტიული მდგომარეობით გამოწვეულ მთელ რიგ დაბრკოლებათა და სიძნელეთა პირობებში“ („სკკპ რეზოლუციებში“, ნაწ. I, გვ. 337, თბ., 1954 წ.).

კონფერენციამ ს. ორჯონიკიძე აირჩია რსდმპ (ბ) ცენტრალური კომიტეტისა და რუსეთის ბიუროს შემადგენლობაში.

პრალიდან რუსეთში დაბრუნებულ სერგოს ფეხდაფეხ დაჰყვებიან ეანდარმები. სერგო გაცხოველებულ პროპაგანდისტულ მუშაობას ეწევა — ადგილობრივ პარტიულ ორგანიზაციებს პეტერბურგში, ვოლოგდაში, კიევში, ბაქოსა და თბილისში აცნობს პრალის კონფერენციის გადაწყვეტილებებს.

ბოლოს პეტერბურგში, ვინმე პროვოკატორ მალინოვსკის მეშვეობით, საიდუმლო პოლიცია აპატიმრებს.

გასამართლების შემდეგ სერგოს ორმაგი ბორკილები დასდეს და მკვლელობის განთქმულ შლისელბურგის ციხეში ჩასვეს. სასამართლომ მას სამი წლის კატორღა და სამუდამო გადასახლება მიუსაჯა.

შლისელბურგის ციხიდან არც ისე იოლი იყო გაღწევა. მაგრამ სერგო ისეთი ბუნების რევოლუციონერი იყო, დაბრკოლება და წინააღმდეგობა ბრძოლისა და შეტევის უფრო მძაფრ სურვილს რომ აღუძრავს. იგი ეძებს საშუალებებს მოქმედებისათვის და ინფორმაციის შეღწევის აბსოლუტური შეუძლებლობის ვითარებაში, რითაც დეკაბრიზტების დროიდანვე იყო განთქმული შლისელბურგის საკატორღო ციხე, ახერხებს ფარული კავშირის დამყარებას გარე სამყაროსთან. მან მიწერა-მოწერა გააბა ბოლშევიკებთან, ამავე დროს, რევოლუციულად იღებდა ინფორმაციას რუსეთში პოლიტიკური პარტიების საქმიანობისა და საერთაშორისო ვითარების შესახებ.

კატორღის ვადის გათავების შემდეგ, ს. ორჯონიკიძე სამუდამო გადასახლების ადგილზე, — შორეული იაკუტიის ტუნდრისაკენ ბადრავით გაგზავნეს. ქართველი პოლიტკატორღელი თ. შავიშვილი ასე იკონებს ამ ამბავს:

„სერგოს გაუთავდა კატორღის ვადა და საეტაპო წესით გზავნიან უკიდურეს გადასახლებაში შორეული ციმბირის შივარდნის ადგილას. მთელი თავისი ავლადიღება, პატარა ჩაიდან, პაწია ტოლჩა, ჩანთა... მარცხენა ხელში უჭირავს. იღლიაში ამოუჩრია გახუნებული საბანი სალდათური შალისა, რომელშიც შეხვეულია გაცვეთილი, ჩალით გატენილი ბალიში. საბანი და ბალიში სახაზინოა. გასვლის წინ ეს ქონება ცეიპაუზში უნდა ჩააბაროს.

სერგო ლელავს.

უნდა დასტოვოს ჩაიდან და შაქარი, მაგრამ ამხანაგები არ ანებებენ, ეუბნებიან:

— წაიღე, დაგვირდება, შორი გზა გაქვს.

მაგიდაზე საპნის ნაჭერს დებს.

არავინ წინააღმდეგი არ არის. იციან, რომ შებადრაგები საპონს არ გაატანენ გზაში, ეშინიათ: ერთიც ვნახოთ, პატიმარმა ქუსლები დაისაპნოს, წაიძროს ბორკილები და გაიქცესო.

საკანში მყოფნი ლელავენ. ერთმანეთს არ აცლიან მიმავალ ამხანაგებთან გამოთხოვებას, ეხვევიან, ჰკოცნიან, შენატრიან...

— ორჯონიკიძე! — აყრუებს საკანს მედილეგის ძაბილი.

— კვლავ ვნახათ ერთმანეთს სხვა წესწყობილების ვითარებაში! — გადასძახებს სერგო დარჩენილ ამხანაგებს“ (დროშა, 1957 წ., № 8).

სერგო ორჯონიკიძის ეს ოპტიმისტური სიტყვები ორი წლის შემდეგ ახდა.

მანამდე კი სერგო, სხვებთან ერთად, ტანჯვის გზას ადგას — ყველაზე მკაცრი ჩრდილოეთის რაიონის — იაკუტიის ოლქისაკენ, რომელიც მას გადასახლების ადგილად მიუჩინეს.

სერგო ეტაპით, ისევე როგორც ექვსი წლის წინათ, ფეხებში ბორკილებგაყრილი გზას გაუყენეს.

1916 წლის ივნისს ტანჯვა-წვალებით მიღწიეს იაკუტსკს.

სერგოს იაკუტსკიდან 90 კილომეტრის დაშორებით, პოკროვსკოეში მიუჩინეს სამყოფელი. აქ იყო საავადმყოფო, სადაც სერგომ გამოიყენა თავისი ძველი სპეციალობა, ფერულად დაიწყო მუშაობა.

სერგო დადიოდა სოფლებში, მკურნალობდა მოსახლეობას, ეცნობოდა

მათ ყოფა-ცხოვრებას, ესაუბრებოდა სიღუბეში მყოფ იაკობს. მალე მისი პულარული გახდა.

— ხშირად, — იგონებს მასინდელი ექიმი ვ. შიროკოვა-დივაევა, — ს. ორჯონიკიძე გაცხოველებით ესაუბრებოდა შემოჭარხლ იაკობს.

— გრივალ კონსტანტინეს ძე! — ეკითხება შიროკოვა-დივაევა, — როგორ აგებინებთ, როცა არ იცით იაკობების ენა?

ორჯონიკიძე იცინის.

— ცოტა რუსულად, ცოტა ქართულად, ცოტა იაკობულად და ყველაფერი ნათელი ხდება...“

ორჯონიკიძემ იაკობიაში იპოვა თავისი ცხოვრების ერთგული თანამგზავრი — შეირთო ადგილობრივი მასწავლებელი ზინაიდა გაბრიელის ასული პავლეკაია.

როცა თებერვალში რუსეთში თვითმპყრობელობა დაემხო, სერგომ გადაწყვიტა სასწრაფოდ დაბრუნებულიყო პეტროგრადს და, ყინულისაგან ციმბირის მდინარეები გათავისუფლდნენ თუ არა, პოლიტგადსახლებულთა დიდი ჯგუფი პირველივე გემით დაიძრა რევოლუციური პეტროგრადისაკენ, სადაც იყო ბოლშევიკური პარტიის ცენტრალური კომიტეტი, სადაც იმყოფებოდა ვ. ი. ლენინი.

პეტროგრადში ჩასვლის პირველსავე დღეებში შეხვდა სერგო ლენინს, რომელიც პრალის კონფერენციის შემდეგ აღარ ენახა, სტალინს, ჯაფარიძეს, ძერჟინსკის, სვერდლოვს, სტასოვას და სხვა პარტიულ ამხანაგებს. გადასახლებიდან, ციხეებიდან, ემიგრაციიდან დაბრუნებული ბოლშევიკები იყვნენ რევოლუციის პირველ თვეებში ცენტრალური კომიტეტის ძირითადი რეზერვი. მათ შორის არჩევა ცენტრალური კომიტეტი გამოცდილ პარტიულ მუშაკებს, რომლებიც ძალზე სჭირდებოდა პარტიას. ამ გამოწრთობილ რევოლუციონერთა ბრწყინვალე კოპორტაში სერგო ორჯონიკიძეს თვალსაჩინო ადგილი ეჭირა.

სერგო ორჯონიკიძის უაღრესი ერთგულება რევოლუციის საქმისადმი მისი პიროვნული ხასიათის უშეღავათო წრთობიდანაც მომდინარეობდა. მისთვის მოუთმენელი იყო გაორება, სიტყვისა და საქმის დაცილება, უკანდახევა თვით უმძიმეს სიტუაციებშიც კი. ხასიათის ამგვარი სიმტკიცე ზოგჯერ უხეშობადაც აღიქმებოდა, მაგრამ ეს ყველაფერი მხოლოდ და მხოლოდ რევოლუციის საქმისადმი უღალატობას ეფუძნებოდა. მას საერთო მკაცრი მოთხოვნებისადმი განზე გადგომის გრძნობა არასოდეს გასჩენია, თავის თავისათვის შეღავათი არასოდეს მიუცია, არც პირადულზე უზრუნია ოდესმე, არც თავისი სიცოცხლე დაუყენებია თუნდაც რიგითი ადამიანის სიცოცხლეზე მაღლა, ყველაზე პირველი მკერდით მიადგებოდა საფრთხეს, თვითონ ძალა-გამოცლილს, საკუთარი მხრებით უთრევია პარტახტიანი ტიფისაგან სიკვდილის კარზე მიმდგარი თანამებრძოლები.

რევოლუციის ამ მართლაც ჭეშმარიტი რაინდისათვის ყველაზე მაღალი მორალი საზოგადოებრივი საქმისადმი უღალატობა იყო. ერთ-ერთ წერილში ჩრდილო კავკასიიდან იგი ვ. ი. ლენინს მიმართავდა: „ღარწმუნებული იყავით, რომ ყველანი დავიხოცებით, უთანასწორო ბრძოლაში, მაგრამ ჩვენი პარტიის სახელს გაქცევით არ შევარცხვენთ“ (ვ. კ. ორჯონიკიძე, სტატიები

და სიტყვები, ტ. I, გვ. 85). ეს არ იყო პათეტიკური შეძახება, ურტყუნაჲჲ ტყუები. ეს იყო მისი რევოლუციური მუშაობის კრედი. უნდა იქნებოდეს

პარტიის მიერ დაკისრებული მოვალეობისადმი ს. ორჯონიკიძის ამგვარი მაღალხეობრივი დამოკიდებულება შემდეგში რევოლუციის ბელადს ათქმევინებს, რომ იგი პირადად ეკუთვნის მისი მეგობრების რიცხვს (ვ. ი. ლენინი, თხზ., ტ. 36, გვ. 690).

სერგო მუდამ იქ არის, სადაც საჭიროა — ბრძოლის შუაგულში, და იგი მუდამ გამარჯვებული გამოდის. ამ გამარჯვების საიდუმლო იმაშია, რომ მოწინააღმდეგესთან შედარებით მას ყოველთვის მეტად სწამს თავისი სიმართლისა და იცის, რომ ეს სიმართლე მისი, ცალკეული პიროვნებისა თუ ინდივიდისა კი არ არის, არამედ მთლიანად ხალხს ეკუთვნის.

ვ. ი. ლენინის დავალებით ს. ორჯონიკიძე ერთი ათასეულის შესახვედრად მიდის, ათასეულის, რომელიც კერენსკის ბრძანებით პეტროგრადისაკენ ხიშტშემართული მოიხჯარის შეიარაღებული აჯანყების ჩასახშობად. იგი ათასეულს სადგურ ნოვინკაში შეხვდა. მძაფრი, ცეცხლოვანი სიტყვებით მიმართა სახემოქუფრულ ჯარისკაცებს.

— ჯარისკაცებო! — ამბობდა სერგო, — პეტროგრადის ქუჩებში მიდის გადაიწყვეტი ბრძოლა ბურჟუაზიის წინააღმდეგ. ბრძოლა თავისუფლებისათვის, ზავისათვის, პურისათვის, მიწისათვის, მუშებისა და გლეხების ხელისუფლების დამყარებისათვის. განა თქვენ ამ მუშებზე და გლეხების შეილები არა ხართ? განა შეილება თავისი მშობლის სისხლს უნდა დაღვაროს? განა თქვენი დები და ძმები არ იბრძვიან აქ ბარაკადებზე?

ჯარისკაცებმა მის სიტყვებში დიდი სიმართლე და გულწრფელობა იგრძნეს. ეს იყო ის ძალა, რამაც ეს უთანასწორო შეხვედრა მიტინგად გადააქცია. ჯარისკაცებმა ერთსულოვნად გადაწყვიტეს არ შეესრულებინათ კერენსკის ბრძანება, პირიქით, წასულიყვნენ აჯანყებული მუშებისა და ჯარისკაცების დასახმარებლად.

ს. ორჯონიკიძეს საათნახევარიც კი არ დასჭირდა მთავრობის საიმედო სამხედრო ნაწილი სამხედრო-რევოლუციური კომიტეტის მეზობლ რაზმად გადაქცევა...

და ამაშიც არის საგნობრივი ლოგიკა: სამართლიანობაში დაექვევებული კაცი უსამართლობის დამცველად ვერ გამოდგება. ასეთ შემთხვევაში ადამიანმა თვითონ უნდა იპოვოს, ან ვინმემ აპოვინოს ჭეშმარიტება, რომ მას თავისი ადამიანური ღირსების სიმტკიცე დაუბრუნდეს.

ეს ჭეშმარიტება მით სწრაფად მისაღებია, რაც უფრო მძიმეა სამართლიან მოქმედებაში შეტანილი ეჭვი.

ეს ეჭვის ჭია გარეგნულად გაყინულ და ხიშტშემართულ ათასეულს კარგა ხანია ღრღნიდა.

საღამოს აჯანყებულებმა, სანამ სმოლნში სახელდახლოდ გახსნილი სრულიად რუსეთის საბჭოების II ყრილობა დამთავრდებოდა, ზამთრის სასახლე იერიშით აიღეს. უკვე ღამით ყრილობამ შექმნა მსოფლიოში პირველი მუშებისა და გლეხების მთავრობა — სახალხო კომისართა საბჭო ვ. ი. ლენინის მეთაურობით; კავკაზობრიობის ისტორიაში პირველად შეიქმნა მშრომელთა სახელმწიფო — საბჭოთა სოციალისტური რესპუბლიკა. მიღებული იქნა საბჭოთა ხელისუფლების პირველი დეკრეტი ზავისა და მიწის შესახებ.

რევოლუცია ტრიუმფით მოედო მთელს ქვეყანას. ძალა-უფლება ყველ-

გან გადადიოდა საბჭოების ხელში, რომელთა სათავეშიც ბოლშევიკები იდგნენ.

საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვების შემდეგ, პარტიის ცენტრალური კომიტეტის მოთხოვნით, სერგო უკრაინაში გაიგზავნა სასურსათო საქმის ხელმძღვანელად.

ეს იყო ირანაკლები მნიშვნელობის საბრძოლო ამოცანა, ვიდრე კერენსკისა და კრასნოვის წინააღმდეგ პულკოვოს სიმაღლეებთან ბრძოლა, რომელიც ასე ბრწყინვალედ ჩაატარა ს. ორჯონიკიძემ. კრასნოვი შეპყრობილი სმოლნში გაგზავნეს, ხოლო „რუსეთის ყველა შეიარაღებული ჯარების უმაღლესი მთავარსარდალი“, ბრძოლის ველიდან დეზერტირობისათვის სიკვდილით დასჯის შემომღები, მრისხანე კერენსკი კეკელუცი ქალის კაბით მიიშალა.

პურისათვის ბრძოლა კვლავ საბჭოთა ხელისუფლებისათვის იარაღით ბრძოლას უდრიდა. ცენტრალური კომიტეტის წარმომადგენელი უკრაინაში, — ნათქვამი იყო ცენტრალური კომიტეტის პლენუმის გადაწყვეტილებაში, — არის ამხანაგი სერგო.

პურის სანაცვლოდ პროლეტარული სახელმწიფო სოფლად გზავნიდა სამრეწველო საქონელს.

დეპეშა:

გ. კ. ორჯონიკიძეს!

ღვთის გულისათვის მიიღეთ ყველაზე ენერგიული და რევოლუციური ზომები პურის, პურისა და პურის გამოსაგზავნად!!! თორემ პიტერი დაიშვება. განსაკუთრებულ მატარებლები და რაზმები.

შეგროვება და ჩაყრა.

მატარებლები გამოაცილეთ. მაუწყეთ ყოველდღიურად“ (ლენინის კრებული, XXXIV, გვ. 13.).

ვ. ი. ლენინის მეტად ლაკონურ, მძაფრ სტრიქონებში ისძის ქვეყნის ბედზე უდიდესი შეშფოთება!

იმ პერიოდში, როცა საბჭოთა ხელისუფლების ბედი წყდებოდა — სამოქალაქო ომისა და უცხოეთის ინტერვენციის წლებში, — ს. ორჯონიკიძე პარტიის დავალებით კვლავ ფრონტზე იმყოფებოდა. მან ბრწყინვალედ შეასრულა უაღრესად რთული, პასუხსაგები სამხედრო-პოლიტიკური დავალებანი. 1918-1919 წლებში იგი იყო სამხრეთ რუსეთის საგანგებო კომისარი, დასავლეთის ფრონტის XVI და სამხრეთის ფრონტის XIV არმიების რევოლუციური სამხედრო საბჭოების წევრი. 1920 წლის დასაწყისში კი დაინიშნა კავკასიის ფრონტის სამხედრო საბჭოს წევრად.

სერგო ორჯონიკიძემ დიდი როლი შეასრულა უკრაინაში, სამხრეთ რუსეთსა და ჩრდილოეთ კავკასიაში უცხოელი ინტერვენტებისა და შინაგანი კონტრრევოლუციის განადგურებაში.

1920-1921 წლებში ს. ორჯონიკიძე, როგორც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავბიუროს ერთ-ერთი ხელმძღვანელი, ს. კიროვსა და სხვებთან ერთად, თავდადებით იბრძვის მუსაეატელების, დაშნაკებისა და მენშევიკების კონტრრევოლუციური დიქტატურისაგან აზერბაიჯანის, სომხეთისა და საქართველოს მშრომელთა განთავისუფლებისათვის, ამიერკავკასიაში საბჭოთა ხელისუფლების გამარჯვებისათვის.

საქართველოში მენშევიკური რეჟიმის დაცემა გარდაუვალი იყო.

1921 წლის 11 თებერვალს, ღამით ბორჩალოს მაზრაში იფეთქა აჯანყე-

ბამ. გლეხობამ განდევნა მენშევიკები, გამოაცხადა საბჭოთა ხელისუფლება/და დასმარება სთხოვა საბჭოთა რუსეთს, აზერბაიჯანსა და სომხეთს, მენშევიკურმა პოლკებმა ამ მაზრაში იარაღი დაჰყარეს. საქართველოში რევოლუციის შექმნას. მთელ საქართველოში აზვირთდა აჯანყების ტალღა.

საქართველოს მშრომელი მასების მოწოდებით აჯანყებულებს წითელი არმიაც შეუერთდა.

1921 წლის 25 თებერვალს აჯანყებულები და წითელი არმიის ნაწილები საქართველოს დედაქალაქ თბილისში შემოვიდნენ. სერგო ორჯონიკიძემ დეპუტატი აცნობა ვ. ი. ლენინსა და ი. ბ. სტალინს: „თბილისზე ფრიალებს საბჭოთა ხელისუფლების წითელი დროშა, გაუშარჯოს საბჭოთა საქართველოს!“

1921-1926 წლებში ს. ორჯონიკიძე მეთაურობდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს, ჯერ როგორც რკპ (ბ) ცენტრალური კომიტეტის კავკასიის ბიუროს ხელმძღვანელი, ხოლო შემდეგ როგორც რკპ (ბ) ამიერკავკასიის სამხარეო კომიტეტის მდივანი. ს. კიროვთან, ა. შიასნიკოვთან, მ. ცხაკაიასთან, მ. ორაგველიძესა და სხვებთან ერთად რაზმავდა ამიერკავკასიის პარტიულ ორგანიზაციებს ვ. ი. ლენინის ბრძნული მითითებებისა და კომუნისტური პარტიის ცენტრალური კომიტეტის დირექტივების განსახორციელებლად.

ექვსი წლის განმავლობაში ედგა სათავეში ს. ორჯონიკიძე ამიერკავკასიის ბოლშევიკურ ორგანიზაციებს. უდიდესი მუშაობა გასწია ამიერკავკასიის რესპუბლიკების საბჭოთა სოციალისტური ფედერაციის შექმნისათვის, ყველაფერს აკეთებდა ამიერკავკასიის რესპუბლიკების საწარმოო ძალების აღმავლობის დასაჩქარებლად.

1926 წლის ნოემბერში ს. ორჯონიკიძე არჩეულ იქნა პარტიის ცენტრალური საკონტროლო კომისიის თავმჯდომარედ, დაინიშნა სსრ კავშირის საბკომსაბჭოს თავმჯდომარის მოადგილედ და მუშათა და გლეხთა ინსპექციის სახალხო კომისრად.

პარტიის გადაწყვეტილებით, იგი 1930 წლის ნოემბრიდან ჯერ იყო სსრ კავშირის სახალხო მეურნეობის უმაღლესი საბჭოს თავმჯდომარე, ხოლო შემდეგ, 1932 წლის იანვრიდან — მძიმე მრეწველობის სახალხო კომისარი, ხელმძღვანელობდა ჩვენს ქვეყანაში სოციალისტური ინდუსტრიის განვითარებას, მეცნიერულ-ტექნიკური პროგრესის დაჩქარებით გამოყენებას.

ს. ორჯონიკიძე დაუღალავად სწავლობდა ვ. ი. ლენინის მითითებებს პროლეტარული სახელმწიფოს შესახებ. არაერთხელ იმოწმებდა მის აზრს სოციალიზმის პირობებში საბჭოთა მმართველობითი აპარატის მუშაობის გაუმჯობესების თაობაზე, მთელი პირდაპირობით გამოდიოდა და მკაცრად ამხელდა იმას, რომლებიც თვალს არიდებდნენ მმართველობითი ორგანოების მუშაობაში სერიოზულ ნაკლოვანებებს.

...შეიძლება შექმნა სანიმუშო აპარატი, — ამბობს ს. ორჯონიკიძე, — როგორც შესრულების, ისე ზრდილობიანი მოპყრობის მხრივ, მაგრამ თუ იგი დაკავშირებული არ იქნება მუშათა და გლეხთა მასებთან, თუ იგი თავის გადაწყვეტილებებს არ გააატარებს ამ მუშათა და გლეხთა მასების საშუალებით, არამედ მოწყვეტილი ორგანო იქნება, იგი ბიუროკრატიული გამოვა. თუ ჩვენ დავაყენებთ ჩვენი კანონების შესრულების საკითხს, ჩვენი აპარატიდან

ქუჩებისა და უცხო ელემენტების გამოპანდურების საკითხს, მაგრამ თუ აპარატში შევიყვანთ ახალ ადამიანებს და არ დავუკავშირებთაქვს მათ და გლეხების მასებს, თუ მუშათა მასების მეშვეობით არ გავატარებთ კანონების ებებს, გვექნება იგივე ბიუროკრატიული აპარატი, თუმცა პროლეტარული წარმომავლობისა. პროლეტარული წარმომავლობა ბიუროკრატიზმისაგან არ გვაზღვევს. „ბიუროკრატიზმის არსი, — განაგრძობს ს. ორჯონიკიძე, — სწორედ იმაში მდგომარეობს, რომ მოხელეთა აპარატი განეკრძოვდება მასებისაგან, იქცევა პრივილეგიურულ წოდებად; მართავს ხალხს და არა ხალხის მეშვეობით და დგას ხალხზე ზევით“ (სტატიები და სიტყვები, ტ. 2, გვ. 6).

ბიუროკრატი დაინტერესებული არ არის ცოცხალი საქმით, იგი შორეულ ნებისად აქტიურობს, მაგრამ იყენებს ქაღალდით ინფორმირების „დახვეწილ“ სისტემას, ქაღალდმთხველია. ამიტომ არასოდეს არ იცის საქმის ნამდვილი არსი, არაოპერატიულია და ზოზინა, გვერდზე დებს, არ ასრულებს ან საერთოდ არაფრად თვლის ზემდგომი ორგანოების დადგენილებებს.

ს. ორჯონიკიძე აყენებს კითხვას — რა აზრი აქვს ამგვარ დადგენილებებს, თუ ის ცხოვრებაში არ განხორციელდება? რა აზრი აქვს ლაყობას ბიუროკრატიზმთან ბრძოლის გაძლიერების შესახებ, თუ ეს ბრძოლა რეალურად არ განხორციელდება? როცა ბიუროკრატი არ ასრულებს საბჭოთა ხელისუფლების დადგენილებებს, ან გვერდზე სდებს მათ, ან აყოვნებს მათ შესრულებას, იგი საბჭოთა ხელისუფლების მესამოტაყე და მტერია. ყველაზე მავნე ბიუროკრატი, ყველაზე ბოროტი ბიუროკრატი, — ამბობს ს. ორჯონიკიძე, — ამჟამად ის არის, ვინც პატიოსნად არ ასრულებს პარტიისა და მთავრობის გადაწყვეტილებებს.

ამიტომ იყო, რომ ს. ორჯონიკიძე საბჭოთა მშართველობის აპარატიდან ამკვებდა გამოუსწორებელ ბიუროკრატებსა და საქმის გამკიანურებლებს, მეჭრთაქვებსა და უსულგულო კანცელარიის მოხელეებს, იგი ვერ იტანდა მუშა კაცის ღირსების შელახვას, მის დაუფასებლობას და, თუ ასეთს შეამჩნევდა, არავის აპატიებდა, რა თანამდებობაც არ უნდა სჭეროდა მას.

ს. ორჯონიკიძეს წესად ჰქონდა ყოველგვარი „ამალის“ ვარეშე გამოცხადებულიყო იქ, სადაც საჭირო იყო მისი მისვლა და ზოგჯერ არც ელოდნენ ამან დიდად შეუწყო ხელი მის უშუალო სიახლოვეს მუშათა კლასთან, მის პოპულარობას. მუშები მასთან თავს შინაურად გრძნობდნენ, მიმართავდნენ რჩევისათვის, დაუფარავად უზიარებდნენ წუხილსა და შეშფოთებას, ეჭვებსა და ზშირად უშუალო უფროსებისათვის გაუმხელელ მოსაზრებებს. სახალხო კომისარი გულწრფელი იყო ყველასთან და ყველასაგან გულწრფელობას მოითხოვდა.

„ს. ორჯონიკიძის ჩამოსვლამ, — ივონებს სტალინგრადის სატრაქტორო ქარხნის იმდროინდელი მუშა, — ჩვენზე უდიდესი შთაბეჭდილება მოახდინა. თავის გამოსვლაში იგი არაფერს არაჩვეულებრივს არ დაგვიბრებია. მას არ უთქვამს ტრაქტორმშენის მუშაკების მსგავსად, რომ ააშენებდნენ ფანტასტიკურ ქალაქებს და ექვსი თვის შემდეგ ჩვენ კომუნისში გვექნებოდა. ხალხი ოცნებობდა გადასატანკედლებიან სახლებზე, სინამდვილეში 5 ხის კიოსკიც არ აუგიათ, სადაც ჭიჭა ჩაის დალევა იქნებოდა შესაძლებელი, ლაპარაკობდნენ უზარმაზარ კვების კომბინატებზე, სინამდვილეში კი, დროზე, ჩვეულებრივი საშარეულოც კი არ აუგიათ. ორჯონიკიძე ლაპარაკობდა სინდელიებზე. მას

არ უცდია რაიმე დაემალა ჩვენთვის. და განწყობილებაც მისი სატყუარა უწყობა დეგ გამოკეთდა. ბიჭებმა იგრძნეს რომ ცხოვრებას სალად უნდა შეხედოთ (გ. კ. ორჯონიკიძე (სერგო), ბიოგრაფია, თბ. 1964, გვ. 361).

ს. ორჯონიკიძისათვის, როგორც დიდი სახელმწიფო მოღვაწისათვის, ცხადია, რა დიდი ზიანის მოტანა შეუძლია დროის რეალური შეგრძნების დაკარგვას, მოვლენების უსაფუძვლოდ, დაუსაბუთებლად წინგასწრებას, სასურველისა და შესაძლებელის უკვე არსებულად წარმოსახვას. ამგვარი ფანტაზიურობა, მისი აზრით, ყოველგვარ სიცრუეზე უარესია. ამგვარი საქციელით, — ამბობს ს. ორჯონიკიძე, — შეიძლება ისე დააზიანო ადაშიანის განწყობილება, საერთოდ დაეკარგოს წარმოდგენა ყოველგვარ მომავალზე, დაეკარგოს რწმენა.

შეუღრეკელი რევოლუციონერის, მგზნებარე პატრიოტის, გამოჩენილი ორგანიზატორის, ლენინური ტიპის პარტიული და სახელმწიფო მოღვაწის გრიგოლ (სერგო) კონსტანტინეს ძე ორჯონიკიძის ცხოვრება და მოღვაწეობა შემოქმედებითი ძალის აღმავლობის პერიოდში — 51 წლის ასაკში დასრულდა. მთელი მისი ცხოვრება და მოღვაწეობა საბჭოთა ქვეყნის ძლიერებისა და სიმტკიცისათვის ბრძოლის მისაბაძი მაგალითია.

საქმი მიდრიაშვილი

გმირი თუ მსხვერპლი?

გურამ გეგეშვიძის შემოქმედებით ევოლუციას თვალს თუ ვაჯადუნებთ, დავინახავთ, რომ მისი უკველი წინვლა ისტატიკის სტერეოში, პირველ რიგში, წინვლას წარმოადგენს ე. წ. „კლასიკური“, „ტრადიციული სტილის“ ინდივიდუალური, შემოქმედებითი დაუფლებების თვალსაზრისით, დავინახავთ, როგორ მიზანსწრაფულად შიილტვის იგი „ტრადიციული სტილისკენ“, როგორც „სტალური შემოქმედების“ იდეალისკენ და ბოლო ნაწარმოებებში — „ხმა მლაღადებლისა“ და „ფაში“ — ამ მხრივ საფულისხმოდ წარმატებებსაც აღწევს. მაგრამ, როგორც ჩანს, თანამედროვე ანტიტრადიციულ სტალურ ტენდენციებს არ ქალღმბს „ტრადიციული სტილის“ სრული განადგურება, თუ ამ უკანასკნელს ნამდვილი მწერალი იყენებს და იყენებს მას შემოქმედებითად.

ისევე როგორც რომანებში „ცოდვილი“ და „ბტუშარი“, „ხმა მლაღადებლისა“-შიც გვაქვს „აზრები და აზრები“ (პროზისადაც ცნობილი, აუცილებელი მოთხოვნა), მაგრამ მასში წინა რომანების „ფალოსოფიურ პათოსთან“ შედარებით „შატერული პათოსი“ უფრო თვალსაჩინოა — ამ თითქმის უკვე აღარსად აღარ გვხვდება ლოკატორ-ცნებითი ფორმით მოწოდებული „არამშატერული, შიშველი აზრები“... გურამ გეგეშვიძე დიდ შემოქმედებით ინერგვამ ხარჭავს სტილს, როგორც გამოსახატავი სინამდვილის მშატერული ეკვივალენტის შესაქმნელად. იგი ფლობს ვიზუალური თხრობის რთულ ტელოგენებს. ჩვენ ვხედავთ, რა უც მწერალი მოკვიობრობს და რასაც გამოხატავს. რომანის მშატერულ სამუაროში — სოფლებიდან, ქალაქებიდან დაწებებული და ცალკეული პერსონაჟებით დამთავრებული — უვლაფერი ან თითქმის უვლაფერი ამდენად ხანებობრავი, მლაღადებური, ხანგონბრავ-შატერიალური და ვი-

ზუალური, რომ „უშუალოდ“ აღვიქვამთ და შევადგინებთ. კითხვის პროცესში მოუცილებლად თანგვდევს, გაშუღმებით ვხედავთ სოფელ წიფლნარს — „გარდანაც“ და „შინიდანაც“, „ფორშიაც“ და „შინაარსითაც“; ვხედავთ მის გეოგრაფიულ სივრცეს, პეიზაჟებს, კარ-შიღამოცებს, სხალებს, — ერთმანეთთან მისასხველი გზებით, შკვიდრი მოსახლეობით, კონკრეტული ოჯახებით, ცალკეული ადამიანებით... მწერალი კმნის პერსონაჟთა შთავარი სამოქმედოდ გარემოს — სოფელ წიფლნარს, დამაქვრებულ, „ცოდვილ“, „რეალურ“ ხატს. იგი რომანის მშატერულ სამუაროში, მშატერულ სივრცეში იმდენად რეალურად არსებობს, ინტერესიც კი არ ჩნდება, შეამოწმო, ეს სოფელი ემპირიულად, ისტორიულად, გეოგრაფიულად მართლა არსებობს, ან არსებობდა ოდესმე თუ არა. იგივე შეიძლება ითქვას ქალაქების, — თბილისის, ბათუმის, ქუთაისის და სხვათა შეხატვებზე, რომლებშიც პერსონაჟებს უხდებთ ცხოვრება, მოქმედება თუ მოღვაწეობა. სეროთოდ ქალაქის თემა „ხმა მლაღადებლისა“-ში ერთ-ერთი წამყვანი, მნიშვნელოვანი თემა და იგი საგანგებოდ კვლევას მოითხოვს (ამჭერად მასზე მხოლოდ მოკლედ შევჩერდებით):

გურამ გეგეშვიძე ისე ხატავს ქალაქებს — თბილისს, ბათუმს, ქუთაისს, ფოთს, პარსებს, ბქოს, ოდიას, პეტერბურგს, ენევეას და სხვ. განსაკუთრებით კი ქართულ ქალაქებს, ილუზია გვაქმნება, რომ ეს ქალაქები, მწერალი როგორც ვაყენობს, ზუსტად ისეთი სახის იყო მცხრამეტე საუკუნის ბოლო და შოცდე საუკუნის პირველ ათწლეულებში, ამ ეპოქაში, როდესაც ისტორია სხვადასხვა ერისა და ხალხების ისტორიულ ცხოვრებაში, ბედში ახალ, რადიკალურ გადატრიალებებს ამწადებდა, როდესაც სხვა ქვეყნებთან ერთად საქართველოს

წინაშეც კვლავ მწვავედ დგებოდა საკუთარი გზის არჩევის პრობლემა...

რომანში მოქმედებას განვითარება შრავალბენიანი. იგი ერთსა და იმავე დროს რამდენიმე მიმართულებით ვითარდება. ერთ-მანეთის პარალელურად ვეცნობით შრავალბენიციონან, უამრავ პერსონაჟთა თავგადასავალს, ბედს, ისტორიას — უფლან, ნესტორ, ქაშაყურ ვარდანიძეების, გლახუნა, ამბაკო, ტიტაკო, რამაზ უნდილაძეების, გოგიონსა, სახა, სიმონა, იესე, შიხაკო, ბეგლარ, ვენე, კონსტანტინე ნიგურაინების და ა. შ. მთავარ, წამყვან პერსონაჟთა თავგადასავლების გადმოცემისას რომანში მათთან ერთად „თავისთავად“, ბუნებრივად შემოდიან ყოველი მათგანის ცხოვრებისეულ ბედთან დაკავშირებული ახალ-ახალი პერსონაჟები, შესახამისად თავთავიანთი თვითრწმუნებით, აზრებით, მოყვლებით, ები-ზოდებით, სიტუაციებით, დრამებით — თან-მიმდევრულად, თანდათანობით ყალიბდება, იქმნება წინააღმდეგობათა, კონტრასტულობათა, ურთიერთდაპირისპირებულობათა ერთიანი, მავრამ უაღრესად რთული, დინამიკური სისტემა. ეს წინააღმდეგობანი, კონტრასტულობანი განსაკუთრებით მჭაფრად, მკვეთრად და „გაშისვლებულად“ ქალაქურ გარემოში, ქალაქურ ატმოსფეროში წარმოჩინდება. წინააღმდეგობრიობა, დაპირისპირებულობა მსჭვალავს ყველას და ყველაფერს, ცალკეულ პერსონაჟთა სულიერ, შინაგან სამყაროს, სოფელ წიფლნარს, ოქახებს, ნათესაურ, შეზობლურ, გვარობრივ ურთიერთობებს, ქალაქებს, ქვეყნებს, ხალხებს, დროს, ეპოქას, ტენდენციებს, პარციებს, მიედს მსოფლიოს... ურთიერთდაპირისპირებულია აწმყო და წარსული, შორეული და ახლოებული, ცა და მიწა, სოფლის ოფიურობა და ქალაქის მხოლოდანი რიტმები, ეროვნულობა და კოსმოპოლიტიზმი, ახალბეულობა და ხანდაბლი, შორალი და ამორალიზმი, ერთგულება და ღალატი, სიყვარული და სიძულელი, მიდღიერება და უმადურობა, რეველუცია და კონტრარეველუცია, ქალაქი და სოფელი, ღირსება და უღირსობა, რეპრეზენტულობა და პროგრესულობა, სიტყვა და საქმე, რწმენა და ურწმუნობა, სამშობლო და უსამშობლობა, სხვადასხვა ქვეყნები, აღმოსავლეთი და დასავლეთი... „ხმა მღალღებლისა“ რომანი-ტრაგედიაა, რომელიც უველიანური წონასწორობისა და მარცხის (ინდივიდუალური-ფსიქოლოგიური, სოციალური-საზოგადოებრივი, პოლიტიკური-ნაციონალური და ა. შ.) რღვევასა და დაშლავ შეგვიტობრბს. რომანის პერსონაჟები აპკალიფსური ცნობიერებით არან შეუტრობილი. ყველა რადიკატასტროფის, რადიკალური ცვლილებებისა და ვადატრიალების მოლოდინშია...

რომანში პერსონაჟთა სამოქმედო გარემოს, მათს გარემოცვეულ სენსობრივ-მატერიალურ

სამყაროს, სახლებს, ოთახებს, ეზოებს, ქუჩებს, გზებს, პეიზაჟებს... ერთი სიტყვით მთელს წინაპირიულ, გარეგან სინამდვილეს, მთელს სინამდვილეს უტყუარობით, სიუბადით ვხედავთ, შევფარძნობთ და აღვიქვამთ. მაგრამ ეს არ ნიშნავს, რომ ობიექტურ სინამდვილეს, ბუნებას, ცხოვრებისეულ გარემოს ყველა პერსონაჟი ერთნაირად აღვიქვამდეს, ეს აღქმა ყოველთვის ობიექტურია იუს (ე. ი. ავტორის მიერ ათავადივე დაბატულ ობიექტურ, ემპირიულ სინამდვილეს ემთხვეოდეს) და პერსონაჟთა აღქმის თავისებურებაზე მათივე შინაგანი, ემოციურ-ფსიქოლოგიური მდგომარეობა არ ზემოქმედებდეს.

ავტორი, ვიდრე პერსონაჟის თავგადასავლის თბრობას შეუდგებოდეს, ქერ მის მომავალ სამოქმედო და სიცხობრებულ გარემოს ვაცნობს, ბოლო როდენაც ეს სამოქმედო გარემო ჩვენთვის გასაგები და ახლოებლი ხდება, ამის შემდეგდა „სახლებს“ მანში პერსონაჟს და იწყებს მისი თავგადასავლის გადმოცემას. ეს გარემოებაც ვანაპრობებს იმ ფაქტს, რომ პერსონაჟები ვაწულოვნობ, „ხელშეხაბენი“ და ოდნოდ დასამახსოვრებელია არან. როდენაც ამა თუ იმ პერსონაჟის გახსენებას ვცდილობთ, ჩვენი მებსიერების „ეკრანზე“ მომენტალურად ჩნდება, „ნთობა“ ქერ პერსონაჟის სამოქმედო გარემო, სივრცე, შემდეგ ეს ყოველი მოძრაობა, ყოველი ენები, ყოველი ვადი-ადილება, ქცევა და მოქმედება ამ სივრცეში.

ავტორი თავდაპირველად ვაცნობს გარემომცველ სამყაროს, როგორც პერსონაჟთა მოქმედების რეალურ ადგილს, როგორც სავნობრივ-მატერიალურ სივრცეს და მხოლოდ ამის შემდეგ — პერსონაჟებს, მთელი მათი „სუბიექტური მრავალფეროვნებით“ და გარემომცველს უყვე პერსონაჟთა სხვადასხვაგვარ ცნობიერებაში არეკლილი საბით ვხედავთ. ვაცხიხნით, რამდენად სხვადასხვაგვარია მიხაკობა და რამაზის აღქმა და დამოკიდებულება თბილისისაღმე. ესაა ფაქტიურად ორ სხვადასხვა ცნობიერებაში არეკლილი ორი ერთნაუნისაგან განსხვავებული ქალაქი, რომლებიც თავის მხარე, ქალაქის ავტორ-მთბრობლისეული „ობიექტური“ აღმსიანგან განსხვავებულია.

ისტორიული, რეალური ქალაქების — თბილისის, მათუშის, ქუთაისის, ფოთის, ხატრედის, ბაქოს, პარზის, ტენვის, პეტერსბურგის, ოდესის აღწერისას ჩვენი წინაშეა „სინამდვილეს“ და „ამონაგონის“, რის ვაშოც მათ მხატვრულ ხანში მწელია კონკრეტულ-ისტორიულის ფანტაზიით, შემოქმედებითა წარმო-სახვით შექმნილისაგან ვაშოყოფა და ვაშოცა-ღეცევა. ამიტომ, ბუნებრივია, ეს ქალაქები მწერლის ცნობიერებაში ტრანსფორმირებული ქალაქებია და არცერთი მათგანი არ წარმოადგენს შესახამისი რეალური ისტორიული ქალაქის ზუსტ, ფოტობირულ ასლს. მაგრამ მწე-



რალი ისე ხატავს ამ ქალაქებს, მათ ურფას, სოციალურ-ფსიქოლოგიურ ატმოსფეროს, გვარგერებს, გვარწმუნებს, რომ ეს სწორედ მეცხრამეტე საუკუნის დამლევია და მეოცე საუკუნის დამლევს ქალაქებია. ქალაქებთან ერთად რომაში შემოდის შესაბამისი თემები — სოციალური ურანსწარობის, სიმდიდრისა და სიღატაკის, ამორალიზმის, ადამიანთა გათიშულობისა და ურთიერთგაუცხოების, მარტოობისა და შიტოვებულობის, მიუსაფრობისა და უსახლკარობის, ანგარებისა და გულგრილობის, დაუნდობლობისა და სისასტიკის, მასაჟი ადამიანთა ინდივიდუალობის, პარკონების გათქვეფრისა და ნიკელობების, ადამიანებზე ქალაქური ურფის დამღუპველი ზემოქმედების... მხატვრული თვალსაზრისით უველაზე ძლიერად და საინტერესოდ ეს თემები „მუშაუდგება“, „შეშუღდება“ სიმონ ნიჭურისა ერთ-ერთი ვაჟის, კონსტანტინესა და აშხაკ უნდადლის შვირ ქალაქში ყსაბთან მიზარებულ შვალის, რამაზის ბიოგრაფიის გადმოცემისას. როდესაც თორმეტი წლის რამაზი ყსაბს ზელიდან დაუსხლტა და ქუჩაში გამოვარდა, „დადხანს მიზროდა თავჯაბანდული, მაგრამ შერე დაიღადა და ტროტურაზე ჩამოვდა. ისე სლუქუნებდა, თითქოს გული ამოაყოლოდა. ვეღაცა ჩობოსანი გამვლელი დაიხარა და აღერისანი ღამაღათ ჰკითხა, რა იყო შვილი, ვინ გაწყენინაო? მაგრამ რამაზი აღარ ენდობოდა ადამიანებს, წამოხტა და გაიქცა. იგი არ იცნობდა ქალაქს და არ იცოდა, საით მიდიოდა. ბოლოს დაიღადა, რომელიღაც სადარბაზოში შვეოდა და კიბის ქვეშ დაწვა. რამდენჯერმე ვართხებმა გადაურბინეს ტანზე, მაგრამ ისე იყო დაღლილი და განწინაშები, რომ განძრევის თავი არა ჰქონდა. მოძლი ღამე ამჯობადედა და ზოგჯერ ცოვლიშებოდა. მაგრამ როცა იწათა და ქუჩაში გამოვიდა, ერთბაშად სასტიკი სიძულელი რგამრო, შერისნების წყურველი გაედვიძა და გაბორტებული, სასოწარკვეთილი ადამიანის ცივი მშერა მიაყრო სივრცეს. სინამდვილემ გამოაჩინა თავისი ბინძური სიღრმე და ახლა მას მოელი ქვენიერება სმაგდა. „ვერ დადლო როვს მოკლავ, შერე მამაჩემს მოვაღლებ, შერე — მისტის, შერე დედაჩემის სულდამს მოვსობრი“, — გაიფიქრა ბოღით და ამ ზიზღში, რომელსაც საწუთროს მამართ განაცდიდა, იმავა თავისივე არსებობის დასაყრდენი...

იგი ქუჩას გაუყვა, მან იცოდა, რომ უცნობ ქალაქში სამუდამოდ დეპარტული იყო და უპატრონოდ დაჩრენილ, თვითონვე უნდა ეშველა საყუთარი თვისათვის. ამ დღიდან შერეგა მაწინაშლისა და ქურდის ცხოვრებას. სხვანაირად ვერ მოიპოვებდა ღუქებს, რადგან მათ-ბორობით პურის ჰამას, შიშველით სიკვდილით ერჩივნა. ნესტიან სარდაფებში, ბნელ ქორღიშულებში, პირქუშ სახალდოზე ათედა ღამეს. პირველ ხანებში სინაგვე უთუბიდან ამოყრე-

ული საქმლის ნარჩენებით გამოვრდა თვეი, მაგრამ თანდათან გაიწიფა ხელი სიჭრუღეში. ზოგჯერ დღიურ სამუშაოსაც შეტარებდა და მოძლი დღე ბაზარში ტრიალებდა, სადაც გულწკაცებს მოკრძობდა ათასნაირი სასოვაგე, მოქალაქეებს — ფაულ, კინტოებს — თაღლითობა და ერთმანეთში იტრედა სხვადასხვა ერისა და რქულის ხალხი, სხვადასხვა ინტერესები, წოდებები, ფენები და ითვისებდა რამაზი ცხოვრების ფსევრზე მისრესილი ადამიანისათვის საჭირო ჩვევებს და თვისებებს, რათა როგორმე ეარსება, როგორმე გაეძლო. დღე და ღამე ქუჩაში იყო. რადგან ქუჩაში იყო გამოღვეული ხალხი, ნაწარმი, საქონელი, ქუჩებში გამოქრავებულყოფი დუქნები, სახელოსნოები, სავაჭროების გარქული რიგები, ქუჩაში იყო გამოღვეული დოქები, ფართალი, ნოხები და იარაღი, ქუჩებში გაედენილი იყო პურის, ღვინის, ხორცის, ფუნის და ჩონჩორკის ხუნდი, მტკვრის ორციე ნაიარზე გაშენებულ აივნებთან ქალაქში, სადაც ხალხი ზადებით და ბორჩებით უკავშირდებოდა ერთმანეთს. იგი ცხოვრობდა ამ მხარეთან, აუაყნებულ გარემოში და დუქანს სათობით, კვირახობით, თვეობით, რადგან არც ვინ შეუდებ ხის გამქეში. ის იყო მარტოსულდე, ზოგჯერ საყუთარი სახელოც კი ავირეზებებოდა რადგან აღარავინ ეძახდა სახელს, არავინ იცოდა და მისი სახელი. დადიოდა ქუქქიანი, ამაჯგურ ბურტყნული, ცხვრის ტყაშუქში გახვეული, რუს მელდს ღამისსათვე ფუნდუქში მოპარა კამეტების მებრტეს. ცეცხა დიდი, მძიმე ჩექმები, რომელიც მოპარა ერთ ღოთ პოლიციელს, თხარაშეში რომ ეგლო ართუ გადელილი, ცხურა მეცხვარის ქული, რომელიც მოპარა თათრის მენახირეს, ჭიბეში ეღო ხასრი ბებუთი, რომელიც მოპარა შეთიან ბაზარში ძველებური იარაღით მოვაჭრე ჩერქუეს. მაღიების ხალხა ტრიალებდა, მაგრამ არავინ ხმას არ სცემდა მას, ზოგს შეიძლება ადამიანის შვალეც კი არ ეცნოს ეს არსება, ესოდენ უცხო და გარყუელი. და დეხეტებოდა იგი თათრის მაიღნის აშაშანებზე და ჩიხანებში, საშორისონებისა და სამიკიტნოების სიახლოვეს, ვარს უფლიდა საროსკიპოებისა და ღამისსათვე ფუნდუქებს, ამ იმედით, რომ უკე გადუერტებოდა საყბილო რამეს..." და ა. შ.

სიმონას, მიხაკოს, კონსტანტინეს, ნესტორის, ბეგლარისა და სხვების, განსაკუთრებით კი კონსტანტინესა და რამაზის ქალაქის მიმართ პირველი რეაქცია მარტოობის, შიტოვებულობისა და მიუსაფრობის დამორგუველი განცუდაა. პერსონაჟების ქალაქებისადმი, როგორც ცივი, გულგრილი, არადამიანური ძალისადმი უარყოფითი დამოკიდებულება, ესოდენ მძაფრი და მკვეთრი არ იქნებოდა, პერსონაჟების (და მკითხველის) ცნობიერებაში „თავისთავად“ რომ არ ხდებოდა ქალაქების შედარება-

შეპაიხისობა იმ მხივად, მუდგრო, იდილოურ, პატარაქალღურ სოფელთან, რომელშიც მათ ბავშვობიდან უბედობლად ცხოვრება, რომლისთვისაც ქარ კადვე უცხო იყო ის გათიშულობა, გაუცხოებულობა და მიუხაფრობა, რაც ქალაქურ სამყაროში ჩვეულებრივობად და ნორმად აღიქმებოდა. სოფელი წიფლნარი რომანის კონტექსტში არამარტო სიბოროსა და ადამიანურობის, არამედ, გარკვეულწილად, ქალაქის საზოგადოებრივი რეალიციის აღნიშვნე-სადგამ ვაიხარება. ეს რომანიციურობა, კონტრასტულობა, დამარცხებულობა ქალაქისა და სოფელს შორის, ქალაქის „ცივი“ ბენეფიციზა და სოფლის ბუნებას შორის, საზოგადოებრივ-ფსიქოლოგიური ცხოვრების ერთ-ერთ განსაზღვრულ ფაქტორად იქცევა. რომანში საზღვარ-შეღია იხივ, რომ ქალაქური უწყა და ატმოსფერო, ადამიანურ ურთიერთობათა ხასიათი ქალაქებში ნაციონალურ-ეროვნულ თავისებუ-რებათა ნივთიერებითა და ვაქარობითაც აშუქ-რება. მაგრამ რომანში არსებითია არა იმდე-ნად ქალაქის სულის, გარკვეულ დამორგწველი ატმოსფეროს დინამიკური გაღმობიება, დეტა-ლური აღწერა ქალაქების „პეიზაჟებისა“ და გარემოსა, — ვიწრო ხმაურისანი ქუჩებით, მო-დენებით, ბარებით, დუქნებით, შალაზებით, შენობებით, ბორებით, წისქვილებით, ამაშ-ხანებით, ხაბანებით, სამარინებით, სპიკიტ-რებით, ნესტიანი სარდაფებით, სამძაოებით, სადგურებით, ღამისსათვის ფრედულებით, ბნე-ლი ჭურღმულებით, სასულაოებით, ნესტიანი სარდაფებით, ეტლებით, ცხენიანი ტრამვაებით, ხაღებით, ეკლესიებით, თორებით, შერეთებით, სასტუმროებით, ვაზის ფარებით, პერონებით, ქუჩებით, ახანოებით, კინოებით, უარაროდ-ლებით, ვაჭრებით, უახლებით, ქალაქური ცხო-ვრებისათვის დამახასიათებელი სტიქორი რი-ტმებით, ამორფულობით, სხვადასხვა ტროპე-ნათა სიჭრელით, აღრულობითა და შრავალ-ფეროვნებით... რამდენადაც ქალაქების ადამი-ანებზე შემოქმედებით, ადამიანებს მიერ ქა-ლაქების ემოციურ-ფსიქოლოგიური განწყობი-ლი და აღქმა, ქალაქისადმი გაუცხოებითა და ბუ-ნებისაკენ, შშობლიური სოფლ-საკენ, წიფლნა-რისაკენ, დტოლვით (უთუოდ გავფხვნივდება გურამ გიგეშვიდის წინა რომანიდან „ცოდვა-ლი“—მთავარი პერსონაჟის, ვამების, ანლო-გოების ენება: „უნდა დავუბრუნებ ბუნებას, ვეღო უნდა დავუბრუნებ ბუნებას, უნდა ბლ-სდგეს გამწუდარი კავშირი, რათა მთლიანად არ დაიკარგოს ის მცირედი, რაც ვანგებას მო-უციი ჩემთვის, უბრალოდ და უშუალოდ უნ-და ვიცხოვრო, არ უნდა კუმპონის არასაქი-რო, არააუცილებელს, ჩემს მიერვე გამოგო-ნაღს“).

„ხმა შალადებლისა“ ისტორიული ენარის მადლმატარული ნაწარმოებია. მასში გამოხა-

ტულია არა მარტო ის, რაც შეცხარებულ სუ-კუნის დაშლივისა და შეოცე შემოქმედის დეგის ეპოქაში იყო, არამედ მისივე რჩეული-ღებობა უყოფილო. მიუხედავად იმისა, რომ ამ რომანის პერსონაჟები, თავდადასავლები, სიტუაციები, ამბები, მოვლენები, დიალოგები და ა. შ. უბიარტისად მხატვრული გამოხაგო-ნის, ავტორის შემოქმედებითი წარმოსახვისა და ფანტაზიის ნაყოფია, მხატვრული თვალსაზ-რისთი იმდენად დამატარებელი და რეალურია, რომ ურველივე სინამდვილეში მომხდარ ისტო-რიად, უტყუარ სინამდვილედ, ისტორიულად შეხატლებლად და მოტივირებულად აღიქმება.

უტყუარობისა და რეალურობის შთანებელ-ლების შემქმნაში, ჩემის აზრით, გადამწყვეტი-რობით თამაშობს რომანში გადმოცემული ეპო-ქის შესატყვისი „ტრადიციული სტილის“ არ-ჩევა და მისი ინდივიდუალურ-შემოქმედებითი გამოყენება. შთანებელა თამაშში ასახული ეპოქა, დრო, სოციოლოგ-ფსიქოლოგიური და ისტორიული ატმოსფერო, რაც მთავარია, ამ ეპოქაში მცხოვრებს და მოქმედებ ადამიანების, პერსონაჟების ხასიათები („შერეალი უფლება-შოსილია უველაფერში დასცილდეს ისტორიულ სინამდვილეს, უველაფერში, რაც ხასიათებს არ შეეება. მხოლოდ ხასიათები უნდა იყოს მის-თვის წმიდათაწმიდა“ — შეენწინავა ლეონ-ტი)...

გურამ გიგეშვიდ ვანსკუორბული გულმო-დგენებით შეშაობს რომანის მხატვრულ ენაზე-ფი ურველ ფრაზას „ელოლიაება“, ფიქრობს და ზრუნავს მათზე როგორც რაღაც ძალზედ ძვირფასსა და შშობლიურზე. მაგრამ ასეთ დროს საშეშროება იქმნება, საგანგებოდ დამუ-შავებულმა ენამ, ურველურად დაბეჭეულმა და რაფინირებულმა სტილმა ბუნებრიობა, ძალდა-უტანებლობა, ხასიათად და უბრალოება დაკა-რგოს და „ცივი სრულყოფილება“ შეიძინოს. ავტორს კი სურს, რომ სიტყვები, ფრაზები, წინადადებები, ტექსტი „თავისთავად“, „სტიქო-რად“ ჩნდებოდეს, რომ ტექსტი თავის თავს თვითონ მხადებდეს, თავისთავს თვითონ მოგ-ვითხრობდეს. ამ საშეშროების აცილების მიზ-ნით ავტორი მიმართავს (ცნობიერად თუ არა-ცნობიერად ამ გარემოებას ჩვენს შემოხვევაში არა აქვს პრინციპული მნიშვნელობა) ე. წ. „დადაფერების ტექნიკას“; ამდენად და სწო-რად ამიტომ რომანში ენობრივ-სტილისტური „დადაფერობის“ უნდა აღიქვათ და შევფა-ხოთ არა ნაწარმოების მხატვრულ ნაკლოვანე-ბებად და შეცდომებად, არამედ სტილის „ცივი სრულყოფილებისაკენ“ თავდაცვის საშუალებ-ბად: „ხმა შალადებლისა“-ში თავისებურ სორც-შესხმას პოულობს მოთხოვნა: „უარ კლასიკო-სებისკენ“—(ქარ იგულისხმება პირდაპირი გავე-ბით უარდაბარუნება)—„კლასიკური“, „ტრადი-ციული სტილის“, როგორც ბუნებრიობისა და

სისადავის მონატრების, როგორც მხატვრული იდეალისაკენ ღრმადი ერთგვარი გამოხატულება. რომანის არსებითი დაშვასათვის ენიჭება წინააღმდეგობა. რომანის ცალკეული პერსონაჟებისა და მათთან დაკავშირებული ეპიზოდების, თავგადასავლების, ამბების, მოვლენების დამოუკიდებლობა შეფარდებითაა, პირობითაა და თითოეული მათგანი მკაცრული რომანის, როგორც მთლიანი მხატვრული ნაწარმის, დიალექტიკურ განვითარებაში მხოლოდ ნაწილს, მომენტს წარმოადგენს. თუმცა რომანში ცალკეულ პერსონაჟთა თავგადასავლები, მათი ცხოვრებისეული ეპიზოდები, შენაგანი და გარეგანი მოვლენები; ამბები მკაფიოდაა გამოყოფილი და გამოწვეული ერთმანეთისაგან (ზნორად გრაფიკულადაც ეს), ნაწარმოებში მათს ამ ეპიზოდების ორგანიზაციისა და მთლიანობა და აღიქმება, რომანში უფრო მეტად უფრო მეტად შეიგრძნობა მთავარი იდეის, როგორც რომანის ყველა ფორმალური და შინაარსობრივი ელემენტის შენაგანი-მომარაგებლობისა და ორგანიზატორის ძალმოსილება. ავტორი, ვიდრე რომანის პრაქტიკულ ხორცშესხმას შეუდგებოდა, როგორც ჩანს, ჭარბად დაუწერებელ ნაწარმოებს, სწორედ როგორც მთელი, ისე ზედადა და „შეიგრძნობდა“ და არა როგორც ცალკეულ პერსონაჟებისა და მათთან დაკავშირებული ეპიზოდებისა და მოვლენების, ამბებისა და თავგადასავლების შექმნისათვის, არა როგორც ერთმანეთთან დაკავშირებულ და გაფანტულ ეპიზოდებს. ერთი სიტყვით, „ხმა მღალადობისა“, ცალკეული ეპიზოდებისაგან კი ამ შედეგსა და ფორმირებას, ამ ნაწილების, ეპიზოდების ქაშის კი არ წარმოადგენს, არამედ მწერლის მიერ იდეაში წარმოდგენილი, ჭარბ დაუწერელი, არარეალური ნაწარმოები, როგორც მთელი, როგორც მთლიანობა ცალკეულ კომპონენტებად უშუალოდ წერის პროცესში იშლება; ნაწილები და ობიექტივირდება. ნაწარმოები, როგორც მთელი, წარმართავს და განსაზღვრავს ნაწილებს, ეპიზოდებს, და არა პირიქით. ამ გარემოებას არსებითი, პრინციპული მნიშვნელობა აქვს რომანის სტრუქტურული სპეციფიკის განსაზღვრისთვის და განსაზღვრავს. რეალური ვიზუალიზაცია („მუხავა ქარში“) ან გოდერძი ზოხელის („ადამიანთა სედა“) რომანებისაგან განსხვავებით, რომლებშიც მთელი უდრის ნაწილებს — ცალკეული ნოველების — ქაშს, გურამ გვეგვიძის რომანი, როგორც მთელი, მტკიან მხის შემადგენელი ნაწილების — ეპიზოდების — ქაშს. გურამ გვეგვიძის „ხმა მღალადობისა“ როგორც მთელი, ყოველ ცალკეულ ეპიზოდში მონაწილეობს, იგულისხმება და „შეიგრძნობა“ (ანაქსაგორას სიტყვებით რომ ვთქვათ: აქ „ნაწილები იმავე ვარსებას, რაც მთელი სხეული“). გურამ გვეგვიძის რომანის ყოველი პერსონა-

ჟის, დეტალის, ამბის სრული განმარტებით გაგება და გახარება შესაძლებელია მხოლოდ ნაწარმოების კონტექსტში, რომანის მთლიან მხატვრულ ატმოსფეროში. ავტორი საგანგებოდ წერს „მთელი“ ყოველ „ეპიზოდში“, ყოველ ნაწილში რომ იგულისხმებოდეს და იგრძნობებოდეს. ავტორი „მთელი ნაწარმოებით“ აზროვნებს, ყოველ მასზე, ყოველ ეპიზოდზე, ყოველ პერსონაჟზე, ყოველ დეტალზე „მთელი“ წერს. ეს განსაკუთრებით თვალსაჩინოდ შედგება მაშინ, როდესაც იგი ამა თუ ამ პერსონაჟის თავგადასავლის გადმოცემას წინასწარ გვაფრთხილებს, წინასწარ შენიშვნებს, რა შედეგები მოხდება პერსონაჟის მომავალ ცხოვრებაში, როგორი მამართლებით შეიძლება განვითარდეს მისი ბედი და სხვა. ამრიგად, ავტორ-მობრობელმა, რომლის პირითაც ვითარდება სხვა, უფრო მეტი იცის და უფრო მეტს ზედავს, ვიდრე ეს პერსონაჟები, ის ადამიანები, რომელთა ბიოგრაფიაც გვიყვება. პერსონაჟისაგან განსხვავებით, იმთავითვე, პერსონაჟის ბიოგრაფიის დასაწყისშივე, იცის და ზედავს პერსონაჟისაში, თავიდან ხოლომდე. დაბადებულან სიყვარულში მთელი მის ცხოვრების (მკვლედი, ყვლისმკვლევრობა ავტორ-მობრობელის აბსოლუტური პერსონაჟისა). პერსონაჟის მომავლის, ცალკეული ცხოვრებისეული მოვლენების მიმდინარეობის ფუნქციის ზნორად სიზმრები, წინათგანმობები და წინასწარმეტყველებები ასრულებენ. გვიხსენოთ, ყველანის წინათგანმობება რომანის დასაწყისში თავისი შეიღობ, ქამაქურის, შესახებ ან საბას ბილები, სიზმრები, წინასწარმეტყველებები როგორც ზოგიერთი თანასოფელის, ისე მთელი ქვეყნის მომავალი ბედის, კატაქლიზმებისა და კოლიზიების შესახებ, ან სარინო ბართელმის წინასწარმეტყველება კონსტანტინე ნიგურჩინის აქლო მომავალში ერადიკაციების შესახებ (ანალოგიური მხატვრული ფუნქციის ასრულებენ ოთარ კლიძის „რკინის თიბრში“ დიმიტრისა და ელენის სიზმრები და წინათგანმობები თავიანთი შეიღობის ტრაგიკული ბედის შესახებ). ეს სიზმრები, წინასწარმეტყველებები, წინათგანმობები ზემოაღნიშნული ფუნქციის გარდა, კატატროფის წინა პერიოდში აპოკალიფსურის ცნობიერებით შეპრობილი ადამიანების „ავადმყოფურად“ გამოხატებულ, ვაჟაქიზებულ და გამაზვიებულ მგრძნობლობაზეც მკაფიანებს და მკაფივლთა ცნობისმყოფარების ვაჟტიურების, თავისებური ესთეტიკური გამდიდრების დანიშნულებასაც ასრულებს. ზემოთქმული გვიდასტურებს, რომ ნაწარმოები, როგორც მთელი, ამა თუ ამ ფორმით ყოველ ნაწილში, ყოველ დეტალსა და ეპიზოდში იგულისხმება. რომანის კითხვის პროცესში, თემატურად თუ ნაწილებიდან — მთელისაკენ, შე-

ნაცანად, აზრობრივად — მთელიდან ნაწილდ-
 ხისკენ ვმოძრაობთ. ჰეგელის ცნობილი ფორ-
 მულის პერიფრაზირებით, ყოველი ემიზოდო,
 რომანის, როგორც მთელის — ნაწილი, არა
 ნაწილი, ემიზოდის მთელში გადასვლას წარ-
 მოადგენს. რაც მთავარია, ეს გადასვლები ზღე-
 ბა არა შექანიყურად, არა „ბელიგენტურად“, არა-
 მდელ ქალღაუბრებულად, ბუნებრივად. ემიზოდის
 მთლიან ნაწარმოებში და ნაწარმოების ემიზო-
 დში გადასვლის ეს ბუნებრივობა განსაკუთრე-
 ბით რომანის იმ რამდენიმე მომენტში
 თვალსაჩინოვდება (საცნაურდება), სადაც ამა
 თუ იმ პერსონაჟის ცხოვრების, ისტორიის
 გადმოცემისას ზოგიერთი ემიზოდა მთლიანი
 ნაწარმოებიდან, რომანის საერთო ტელელო-
 გიოდან ამოვარდნილ ზედმეტობად აღქმება...

როგორც უკვე აღვნიშნეთ, მომავალ უბედურ-
 რებათა ტრაგედიულობა რომანის პირველ-
 სავებ ემიზოდებში შეიგრძნობა: ნესტორის,
 ჭამაყურის, გლახუნა უნდილაძის მომავალი,
 სახის და უსულან ვარდანიძის წინათგრძნობე-
 ზშივე გამოვლენდება.

როდესაც გვრამ გვიგეშაქ რომელიმე პერ-
 სონაჟის თვადვალსაგლის გადმოცემას ამთავ-
 რებს, იწვევს მეორეს, შემდეგ მესამეს და
 ა. შ. ერთი შეხედვით, ზედამირული აღქმით,
 ისეთი შთაბეჭდილება რჩება, თითქოს მათ
 ერთმანეთთან არავითარი კავშირი არა აქვთ და
 ეს პერსონაჟები რომანის შემდგომ ემიზოდებ-
 ში აღარ შეგვხვდებიან, თითქოს ამა თუ იმ
 პერსონაჟის შესახებ შეწყალმა გვიბოძა ყვე-
 ლადღერი, რისი თქმაც სურდა, თითქოს უკვე
 დაასრულა მის შესახებ თბრობა; მაგრამ ეს
 ემიზოდები, ეს პერსონაჟები კიბხვის პარტეტ-
 ში განუწყვეტლივ თან გვადევს, არ გვაიწყუ-
 დება და ამა თუ იმ ახალი პერსონაჟის, ამა
 თუ იმ ახალი მოვლენის გააზრებასა და გაყრ-
 ბიერებაზე „თავისდაუნებურად“ გარკვეულ
 ზეგავლენას ახდენს. რომელიმე უმნიშვნელო,
 სასხვათაშორისოდ წახსენები დეტალი, შესაძ-
 ლა, რომანის დასასრულში ან რომელიმე ცა-
 ლკულ ემიზოდში, არსებითი და გადაწყვეტი
 მნიშვნელობის მქონე აღმოჩნდება. ამიტომ ყო-
 ველი დეტალი, ყოველი ემიზოდი „შმა მდლა-
 დებლისა“-ში აღიქმება, როგორც პოტენციურ-
 რად მთავარი, არსებითი და გადაწყვეტი. ამი-
 ტომ არ ვთვლიყვებთ არცერთ დეტალს, არცერთ
 პერსონაჟს, გაზრდებთ „გვიტირავს“ ისინი შე-
 ხსიერებაში, რაშიც ამ პერსონაჟთა თუ მოვ-
 ლენთა „ეპოპეალურობა“ გვემხარება—შეყრ-
 აღი ისეთი ბელიგენტობა და ოსტატობით ხა-
 ტავს მათ, რომ პერსონაჟთა, მოვლენათა, ემი-
 ზოდთა შთაბეჭდილვი რაოდენობის მიუხედავად,
 ყველა მათგანი მკაფიოდ გვაჩანსობრდება. რო-
 მანის დიალექტიკური განვითარების კვალსაზე
 თანდათანობით გამოვლიანდება, რომ ყველაფე-
 რი ერთმანეთისაგან გამოვლიანრბობს და ყვე-

ლადღერი ერთმანეთს უაყვირდებო; ყოველ დე-
 ტალს, ყოველ ემიზოდს, მათგან ერთო ყველა-
 ზე უმნიშვნელობასე კი, რომანის საერთო კონ-
 ცეფციოში თავისი ფუნქციო და დანიშნულება
 გააჩნია. ანუ მაგალითად, დასაწყისში გავიღო
 ნაგურთან თავის შვილს, სიმონს, თობს გა-
 დისციმს და შვილიშვილს, მემკვიდრეობად
 უანდრეძებს. მთელი რომანის მანძილზე ეს დე-
 ტალი თავს აღარსად აღარ გვახსენებს, ერთი
 მორაგი ზეუღლებრივი, ყოფითი ცხოვრებისე-
 ული ინფორმაციის დონეზე რჩება და თითქ-
 მის გვაიწყუდება კიდევ. მაგრამ აი, ნაწარმო-
 ების ბოლოს (ჩუბოვის მოფიციო) განსაკუთ-
 რებული მნიშვნელობის მატარებელი ზდება.
 როდესაც ქალქიდან კლავ სოფელში დაბარ-
 ნებულმა და დაქვიდრებულმა, მოზუტებულმა
 სიმონმა თავისი უსაყარლენი შვილის, ვენე-
 სოში დაღუპვა გაიგო და უმემკვიდრეოდ და-
 რჩა, სოფლის ჯანაბრას, თავის პატარა ნაკვე-
 თში, უანაში შევიდა; „აღლო თობი და გამბტე-
 ბით დასცხო მინას. აგი წყევლადა თავის სვე-
 გამწარებულ მოზუტებულობას, თავის გამჩინს,
 განგებას, ვინაც შვილები დაღუბოდა, და ვინა-
 იდან მიწა იყო მისთვის ამა სოფლის თავი და
 ბოლო, სოფელზე გაბოროტებული, მიწაზე იყ-
 რიდა ჭავრს. ებროდა მიწას, გლემი კაცი
 ხელისგულიციო დაბეთქილს, რადგან მიანდა,
 რომ მარჩენლი მიწა იყო კაცის სიცოცხლის
 დაფუძნებელი, სიცოცხლზე კი გული აცრუ-
 ებოდა სიმონს და მთელი ძალით ურტყამდა
 ვეება ბელტს მოკლტარინ მძიმე თობს... სი-
 მონა ისე უბაყუნებდა მიწას თობს, თითქოს
 თან ამოქონდა გულში დაგროვილი ბოღმა“...
 რადღენით დღის შემდეგ ვარდიცვალა, „შე-
 მშლინა და წუწრულით მოკლა ამ კაცმა თა-
 ვი, დარღმა გატეხა ეს მხენ და ძლიერი გლე-
 ხი“.

ნაწარმოების ბოლოს, თობს, შრომის ამ
 ზეუღლებრივ იარაღს, ერთგვარი „შარა-
 ვანდი“ უჩნდება; მისი სემანტიკური სიერ-
 ცე ფართოვდება და ღრმა შინაარსით იცნება.
 რომანის ბოლოს უნდლო სავნის აღმნიშვნელი
 ეს „ყოფითი“ სიტყვა — „თობა“ აზრობ-
 რივ-შინაარსობრივ შეტამორფოზას განიცდის
 და სიმბოლურ-მეტაფორულ მნიშვნელობას
 იძენს. და სავანიც, რომელსაც ეს სიტყვა აღ-
 ნიშნავს, მხოლოდ სავანი კი აღარ არის, არა-
 მდელ ქართული კაცის მიწასთან, ბუნებთან,
 საშაროსთან, საშობოღოსთან, შობილურ მხა-
 რესთან კავშირის ან კავშირის უქონლობის წი-
 შინ-სიმბოლო ზდება. თუ ვენეს პაიხასთვის,
 მისი თობის ქართული გლემობისათვის, თო-
 ხი თითქმის საყუარ სხეულებრივ, ორგანულ
 ნაწილად და-გატეპილება აღიქმებოდა (მწე-
 რალი უენიშნავს, რომ გოგიელმა სავანგებო
 გაკეთებინა თობი მოკლტარინი, შრომის
 პარტეტში მიწასთან კიდევ უფრო ახლოს რომ

ყოფილიყო), შეიღწეალები თაობაში იგი უკვე უფუქციო, „უპატრონო“ და ზედმეტ ნივთად იქცევა. იწყება ქართული კაცის მიწისთან, ბუნებასთან კავშირის გაწყვეტის პროცესი, და ეს უპატიო, ეს გარემოება ქართველი ხალხის ცხოვრებაში მწერლის მიერ უხედავრეზადაა სთავად გააჩვენა. ქართული გლეხები მასობრივად ტოვებენ მშობლიურ მხარეს, სოფლებს, მიწას, თავს იყრიან ქალაქებში, ძირითადად, ქალაქის გარეუბნებში, და „შავი მუშის“ მძიმე და უსიხარულო შრომით გააქვთ თავი. ქართული სოფლები ცარიელდება ქართველებისაგან. მათ ადგილს სხვები იკავებენ და ისინი იღებენ ამ სიხარულსა და სიამოვნებას ქართული მიწისაგან, განიცდიან და შეიგრძნობენ იმ ნეტარ კავშირს ბუნებასთან, ვაკეილას თაობის ქართველი გლეხობა რომ გრძნობდა და განცდიდა. ერის ცხოვრებაში დაწვებული ეს მტკივნეული პროცესი სინტიტეროდია ნაჩვენებობა მღაღადებლისა“-შე.

ამრავად, რომანის დასასრულს წვეულებრივი საგნის აღწერიწველი სიტუაცია „სიძულება“-იღვად გარდაიქმნება. სიმონს მიერ თობის მიწაზე უწყალო და უმიწმუნეობის სცენაც სიმბოლურია. იგი ქართველ კაცსა და მიწას შორის, აღმიაწასა და შრომის შორის სხვაგვარი კავშირის ფორმირების დასაწყისზე მიგვანიშნებს (გვაშენობს). ამ ერთი პატარა დეტალს ნაწარმოების მთლიან სტრუქტურაში მნიშვნელოვანი დატვირთვისა და ფუნქციის ილუსტრირებით გვანდობა გვეჩვენებინა, როგორღიღი მნიშვნელობა აქვს რომანის ცალკეულ ელემენტებსა და დეტალებს, თვით ერთ შეხედვით ყველაზე უმნიშვნელოსა და „არაარსებობისა“-ც, ნაწარმოებებს საერთო კონცეფციასა...

შოდის ახალი საუკუნე, მავრამ ნანატრი სიმშვიდის ნაცვლად, რომელსაც „ხმა მღაღადებლისა“- პერსონაჟები იღიან, ახალ საუკუნეს ახალი ომები და სისხლისღვრების მიაქვს. ამ ომებში ბევრი ქართველის სისხლიც იღვრება. იმპერიის შიგნით სწორდება მკვლელობა, უაჩილობა, მარცვა-გლეჯა. ისედაც დატყინი, კიდევ უფრო მძიმე მდგომარეობაში ცვალებიან. ქვეყანა ქაოსშია. ერთმანეთს მტრობენ კაცები და წითელი რაზმები, ბერი და ერი, მუშა და ბურჟუა, თვად და გლეხი. მართალია, წიფლნარში შეფარებით სიწყნარება, მაგრამ აქაც აღწევს ექო სხვადასხვა ადგილას მომხდარი შეტაკებებისა. ცუდი, აღკრული დროა. ისე დაუზოფავად იღვრება სისხლი, თითქოს უხამ აქვს დეკარტული. შინიღად ვახულ კაცს, შინ დაბრუნების იმედი სათულად აქვს გადაქცეული. რევოლუციისა და კონტრრევოლუციის მძიმე წლებს მოჰყვება მსოფლიო ომი, რომელიც ახალ-ახალ აღმიაწენებს ითრებს. უკე-

ლგან შიში, შიშნილი, ავადმყოფობა, წყარება ისადგურებს. ციცილი გიწვევებს უფუფუ და ხმელეთზე. ყოველივე ამას უკრძალავს ურთუბები, ვაშოსვლები, მარადებები, შეტარებები (ამასობაში გარდაიცვალენ აკაცი წერეთელი, ვაფა-ფშველია, იაკობ გოგებაშვილი...), სომედა-მოდ მიდის ძველი საქართველო. არღვევა ძველი ქვეყანა და მოდის ახალი. ისახება ახალი გარდატეხები. იმერწება ახალი დროის შესატყვისი სული. ახალი აღმიაწენი გამოდიან ასპარეზზე. ომის ექო ღრმა ზურგშიც აღწევს. ფრონტიდან ბრუნდებიან დაქირილები, ბებრებები, გვირაგის ქვრის დაქილდოებულები... იწყება რევოლუციისათა ხანა. ემშობა მეთის ხელი-სუფლები და ბურჟუაზიული მოთაგობა. ჩადდება სამოქალაქო ომი. არავინ იცის, გადარჩება საქართველო თუ დაიღუპება. ყოველი მხრიდან უტყვენ მტრები და არსიდან წანს საშვილი. ერთმანეთს ცვლიან ვითომ მეგობრებად მოვლენილი გერმანელი, ინგლისელი, ფრანგი და იტალიელი. ისედაც ძანგამოღიულ ქვეყანას საქას აქლის აჩანებები და დაუსრულებელი ომები... წიფლნარელი ახალგაზრდები მიდიან გვარდასა და ქარში, იბრძვიან საღვაც ტუაფსესთან ჩრდილო კავკასიაში და აქარა-მესხეთ-ქაჯახეთის ფრონტებზე, სამხრეთ საქართველოში. სომხეთისა და აზერბაიჯანის მიწაზე ბევრი ქართველი დვრის სისხლს. ზოგი უკან ბრუნდება, — დაქირილი, დახეიბრებული... გაქირებასა და მოლოდინს ბოლო არ უჩანს. განუწყვეტილ შიტიწებასა და კრებებზე გრძელდება შეორიგებელი დავა მენშევი-ბოლშევი-ფედერალისტ-ესერების შორის. ყველას ეს სიტუაცია აუტრია პარტი, თუ მცვა ბევრს არც მათი მნიშვნელობა ესმის და არც სხვადასხვა პარტიების პროგრამებსა გეეგება რაში. მიუხედავად ამისა, გლეხი და მუშა, მოსწავლე და მოსამსახურე, ერი და ბერი დღენიადგ კამათითა გართული. რუსეთში კვლავ სამოქალაქო ომი მძინვარებს. რომანის პერსონაჟებს ისეთი შეგრძნება უჩნდებოთ, თითქოს არც ისე შორსაა მეროდ მოსვლის დღე, რომელიღვდაც ხშირად ლანარაკობდა სახა (იღიდე ხანძარი განდებოა ქვეყანაზე. სახელმწიფოები დანგრევა. ახალი სახელმწიფოები შეიქმნება. იმოდენა სისხლი დაიღვრება, რომ საბო წლის კაცო აცურდება შიგ... ქვეყანა წახდება. უნდობლობა მოიკიდებს ფესს. ღმერთს შეიძულეს ხალხი. ამას მოყვება სასწელი. დამარცხებულ კაცს თავი გამოაჩვენებულად შიტიწენება. ხულის საზრუნავს მშობის საზრუნავი შეცვლის, საყოთეს — სისასტაქე. თქვენ მებრალბით, ბაზუფ, ძნელი ცხოვრება გელით, ბერი ქირი გადაგებდებოთ თავს, განსაყოფოებით ბავშვებოა ცოფავა, თორემ მე რა შეიკრის, სიიდანაც მოვსულდვარ, იქანა მივდვარ...“)

ისტორიული ძალები, რომლებიც შეცხრამე-



ტი და შერყე საზღვრეთა მიჯნაზე შემოდიან, კაცობრიობას, რუსეთის იმპერიას, საქართველოს, მასობრივ განადგურებათა და წამებათა პერიოდში ახრუნებენ. საზოგადოების მორალური და სულიერი მდგომარეობა კიდევ უფრო უარესდება და შემწარავე ხდება. თვითმკვლელობანი იზრდება. აღაშინათა გავლურება, გამხეცება და სულიერი დეფორმირება კატასტროფულ ფორმებს იძენს. ახლობლებიც კი იღარ იხილებენ ერთმანეთს. სიყვარულის ნაცვლად სიძულვილი ვრცელდება. ავკაცობა ტყუილება და ჩვეულებრივობა აღკვეცა. ისტორიის ამ უაღრესად წინააღმდეგობრივ, წიგნაგონებურ და აღრულ პერიოდში ადამიანები აწუხდებიან და ექაზებიან ისტორიის უაზრო, ალბიურ, ირაციონალურ და აუსწინელ ძალებს. მსოფლიო, სამოქალაქო ომებსა თუ ტერორისტულ აქტებში (რაც სანტიგრესოდანა წაჩვენები რომანის პირველივე ეპიზოდებიდან — სიმონას, გლახუნასა და ქაშივიას თურქებთან ომში მონაწილეობით) აღაშინებში თითქმის იღვიძებს ნებაყოფლობითი გავლურების წყურვილი. სოციალურ ისტორიათა სხვადასხვაგვარი გამოვლინებანი პათოლოგიურ ფორმებს იღებენ და თანდათანობით ცხოვრების ნორმალურ ატრიბუტებად აღიქმებიან (შვილებს მშარავენ შობილებს და თურქეთში ჰყაიდან, ყანაბა აუბათურებს ბეჭს — გაგახენდებათ ანალოგიური პასუხი გურამ რჩულიშვილის „იუღლიდან“. ქალებს იტაცებენ, აწიშვლებენ, შუა შოღღანზე აწვენენ გამოშვლებულებს და მათ შურაზე წარდს თამაშობენ...). „ცხოველების ამ სულიერ საწიფოში“ (ბეგელის გამოქმნა) დროის სტიქიას ზედამარზე ამოაქვს ყოველივე მდებარე, რაც კი აღამიანში პოტენციურად არსებობს. სხეული, ინსტიტუტი, ვიტალური ფორმები აღამიანის სულზე თავის ძლიერობადა გამარჯვებას ზეიმობს. კრიზისული ვითარება, როგორც შინაგანი, ისე გარეგანი, ცხოვრების ყველა სფეროში, რომანში დამახასიათებელი ნიშნებით იხატება, — რწმენისა და იდეალების მხხვრევათ, მორალური ნორმების დაყენით, ტრადიციულ ფაბულაობათა დეკლავაციო, გადაჯვარებათა და დაქინებით, ცალკეული ადამიანების მხოლოდ დეგისტური ინტერესებისა და მოთხოვნილებებისათვის, მხოლოდ პირადი სარგებლისა და გამორჩენისათვის ზრუნვით, სახელწიფოთა და აღამიანის ურთიერთობის ანტიუმანური პრინციპის (სხაბელმწიფო აღამიანისათვის მგელია) მთელმადი ამოქმედებით... იმპერიალისტური სახელმწიფო პიროვნების დაცვისა და მისი განვითარების ხელშეწყობიდან აღამიანის, პიროვნების დამონებისა და დაქვემდებარების სახატეა და შეუზარალებელი ექსპლუატაციის იარაღად გადაიქცევა. დაპატიმრებული რევოლუციონერი შალვა ტყაროვი (ოჯიე ივანე მახ-

ტაძე) მიმართავს მიხაკო ნიჭურიანსა და მის მგლობარს ილიასს: „უსამაროლო კვეფანაში ვცხოვრობთ... რუსეთის იმპერიაში აღამიანი ახლად არის ავადებული. წაღბი ერთი შეუკვირნარების მონად არის გააქცეული. ახეყო და მუღაფ ასე იქნება, ვიდრე ეს დაწვეული იმპერია არ მოისიბობა, აქ არ არსებობს კანონი და სამართალი. აღამიანი თავისუფალი იხადება, რატომ უნდა ჩაგარავდეს ერთი შეორებს, მაგრამ ჩახშულია სიტყვა და აზრი, არ არსებობს იმედი და რწმენა. ამიტომ არის, რომ უფლებო აღამიანს სძულს შრომა და არ აინტერესებს ქვეყნის წინსვლა, სახელმწიფო მტრია თავისი ქვეშევრდომების, თავისუფლების მამიებელნი ცხრაკლიტულში ჰყავთ გამოკეტილნი, ჩაკლულია სული და გონება და მხოლოდ ერთადერთი კერპი არსებობს. ეს არის შეფე-მშრძანებელი“... „ბრძოლა საჭიროა. უნდა განადგურდნენ ხალხის მხაგრებელნი. არ არსებობს დამართიანი შურისსგებაზე უდიდესი ვნება. უნდა დაინგრეს ეს უსამაროლო იმპერია“...

რადიკალურ ცვლილებათა და ისტორიულ გადატარებათა მოლოდინში შყოფი რომანის პერსონაჟთა ერთი ნაწილის რწმენა საქართველოს მომავლისადმი, ბედისადმი, უარყოფითია. ახე მაგალითად, ბეგლარ ნიჭურიანის ფიქრით, იმპერიის წინააღმდეგ ბრძოლას არავითარი აზრი არა აქვს, შეუძლებელია მისი დამარცხება და ეროვნული თავისუფლება მოპოვება. საჭიროა არა ბრძოლა, არამედ შეგუება, საყოთარი ზედდრის ატანა, როგორი მძიმე და არასახურვილიც არ უნდა იყოს იგი. ქართველებს დამოუკიდებლობა და თავისუფლება არ შეუძლიათ და ვერც ვერასოდეს მიაღწევენ მას, რადგან მიზანდასახულობა, მოთხოვნილება და ხელშეწყობა პიროვნურ არ განაწით (ბეგლარის „სიტყვა“ და „საქმე“ ერთმანეთის ემხვევა, ახე ცხოვრობს, როგორც ფიქრობს. ბედს, გარემოებს შეგუებული და შერიგებული, ცხოვრების დინებას მანდობილი, მშვიდად უშფოთვლად განლევს თავის წუთისოფელს). რევოლუციონერი ახე ნიჭურიანი, ბეგლარიანად განწვევებით ფიქრობს, რომ საქართველო მონად სწორედ მუღამაშა შეგუებაში გადააქცეა, რომ საჭიროა ამერეაბთან ბრძოლა, შეფის ბედისუფლების დამხობა, მაგრამ არა ეროვნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობისათვის, არამედ მსოფლიო რევოლუციონათვის, სოციალური თანასწორობისათვის, უკლასო საზოგადოებისათვის, რადგან, მისი აზრით, მსოფლიო რევოლუცია კაცობრიობის დიადი მიზანი და ამ მიზნის განახორციელებლად ღირს ყველას და ყველადრის მხხვრებად მიტანა, რაც მას წინ აღუდგება. საჭიროა ამისთვის მტყიცე, განუბრელი და აქტუარი

მოქმედება პრინციპით: „მიზანი ამართლებს ნებისმიერ საშუალებას“...

„რა არის საქართველო, ბატონო ნესტორ? — მიმართავს ვახუშტი ნესტორს, — ერთი პატარა მიწის ნაკვეთი—თუ მხოლოდ საქართველოში შემოიფარგლება კაცო, ვახუშტი პარაკეტოლი, ჩამორჩენილი, უფიცი, უბირი, აღამიანი ქართველად კი არ იხადება, ან სომხად, ან ებრაელად, ან თათრად, ან რუსად, აღამიანი იხადება აღამიანად, მისი საშობლო მთელი ციხე-ქვეშეთია. შე მინდა ერთიანი დედამიწის შეიქმნას ვიყო და არა მისი პატარა კუბისი, საქართველოში. შე მინდა ყველაღა მინათრად ვგაჩნობდე თავს, სადაც არ უნდა მოგვხდებოდა რომელი მხარეცა და რომელი კუთხეში... შე არ ვცნობ არავითარ საზღვრებს და ვიბრძვი ამ საზღვრებს მოსაზღვრელად... შე მინდა ყველაღა ჩემი სახლი იყოს, ყველა ქვეყანაში თავისუფლად და თავისიანად ვგაჩნობდე თავს... შე მინდა ყველა თანამოქალაქი იყოს... დედამიწა ყველას თანაბრად უნდა გვეკუთვნოდეს, როგორც სამოთხე. შე ვიბრძვი უკლასო მსოფლიო საზოგადოებისათვის, გაერთიანებული კაცობრიობისათვის, რადგან მხოლოდ გაერთიანების შედეგად შეძლებს კაცობრიობა კოსმოსში გასვლას, სხვა სამყაროებთან დაკავშირებას და შესაძრებობას შეცნობას“...

ერთგულად დამოუკიდებლობისათვის მებრძოლი, მწერალი და საზოგადო მოღვაწე, ნესტორ ვარდანიძე იახეს უწონებს ამერიკის რეპუბლიკის ბრძოლას, რადგან იგი ყველაზე უსამართლო და უმსგავსო ბელისუფლებად მოაჩინა დედამიწის ზურგზე, მაგრამ არ მოსწონს, საქართველოს ბედი რომ არ აწუხებს. ნესტორის აზრით, იხსენიებს ამტკიცებს, თავისთავად, თეორიულად მშვენიერია, მაგრამ მის განხორციელებას საფუძვლები დასკირდება. ჭერჭერობით კი აღამიანი, კაცობრიობა საამისოდ მზად არ არის...

იასნისთან პოლემიკის შემდეგ ნესტორს, ვინთვისაც საშობლოა დედაცა, საშობლოა რელიგია, ცაა — დედამიწაზე, აგონდება ციხე-ბრძოლა, თენილა, თენილა, ზღაპრითი, სადაც თავგანწირვით ემბრძოდა თურქებს, აგონდება უამრავი ქვეყანა, რომლებიც კი უნახავს მას, მაგრამ მხოლოდ ნაცნობი ციხე-ქვეშე გრძობდა თავს უწინადად და თავისუფლად. და იგი მადლობელია ბედისა, რომ განგებამ ეს უყანაქნელი იმედი და თავშესაფარი არ მოუშალა იმ აღამიანთა მსგავსად, რომელთაც არ უწყობდენ ის ბედნიერება, საშობლო საყვარელი რომ ეძლევა კაცს, და გუდატულნი იყვნენ სხვადასხვა ადგილას, სულით და ხორციით მოწყვეტილი წინაპართა ბუდეში...

ბედისწერა, დროის იმპერატივი ვარდანიძეების წინააღმდეგ მოქმედებს, ბედისწერა იახეს და მის თანამშრომელთა მხარესა. ამიტომ

ჩნდება შეუსაბამოა ისტორიულ ადგილებლობასა და ერთგული დამოუკიდებლობის მებრძოლთა იდეებს შორის. ნესტორს ვახუშტი ვარდანიძე დროის ვარდნი რჩება, დროიდან ამოვარდნილ მარცხენად აღიქმება. ნესტორი საცოცხლის ბოლო წლებში ვარდნი, რომ თანდრობობით უახლოვდება ჩიხს, საიდანაც ვაშობავალი არ ჩანს. მისი რწმენისა და იდეალისათვის ამ სანამდვილეში აღარ რჩება ადგილი, რადგან მოდის სრულიად ახალი ეპოქა, დამატრულად განსხვავებული, ახალი მიწებით, მარწმისით, მოთხოვნებითა და იდეალებით, ამ ახალი იდეალების მატარებელი ახალი აღამიანებით, — იახე ნიგურისანს, ვასო ვაშაქის, ტიტაკო უნილიანის, აბოლიტე ნიგურისანის, შლეკო ტიგრაჯის სახით, რომელთა მხარეზეცა ისტორიული ადგილებლობა. ნესტორი რწმუნდება (იხვევ როგორც მსახობი ოთარ ჭილაძის „რკინის თეატრიდან“), რომ მას აღარ ძალუძს შეგავლენა მოახდინოს ვარდნიანადმიდევნე და ხალხზე...

ვურამ გვეგვიძის რომანში — „ხმა მდინარეებისა“ და ოთარ ჭილაძის წემოთ დასაბელებულ რომანში, ბედისწერა განუწყვეტად დასცილს „ქველი იდეალებისათვის“ მებრძოლ აღამიანებს. ბედისწერას ღამის განიხის დღიდანვე ჰყავს ისინი ათვალისწინებულნი; იგი, ოთარ ჭილაძის სიტყვებით რომ ვთქვათ, სულ იმის ცდაშია, კიდევ რა მოიგონოს, რით მოუტლას მათ გული, როგორ წაართვას, როგორ მოსპოს, რაც გულში უყარდებოთ, რაზედაც თვალს მისვლი, რისკენაც ბელი გავრბოთ. ბედისწერა ისე ათამაშებს მათ, როგორც ქარი — ხმელ უფოთლს. ორივე რომანში ბედისწერაზე ისეა ღამაპრავი, როგორც რეაღურ, ცოცხლ არსებაზე, ბედისა და აღამიანს ურთიერთობაზე, როგორც ორი ღირსებულ მტკობის ურთიერთობაზე. ბედს ესმის, ბედებს, ვარდნი, ვარდნი დღიდანვე კრიკაში უდგას ამ აღამიანებს. მან ყოველთვის უწყვეტად იცის, რა უნდა და რა არ უნდა აღამიანებს, ყველაზე მტკად რისი მიზანება დააყენებოთ და რისი დაარგვა ატყენ გულს. ნესტორიც ამ მსახობით — ძალის ძალით უჩინისაბედიან, მოქმედებს — მოქმედებით, ბრძოლას — ბრძოლით, მაგრამ მათი ყოველი მომდევნო ვარდნილება კიდევ უფრო ძლიერს, ენერგულსა და დაუნდობელს ხდის ბედს, — მათ მოწინააღმდეგეს! არც მათ სულში და არც მათ გარეთ არ იხსენება მამებისაგან „აღმქმული ქვეყანა“.

მართალია, ეპოქა ბედებს გვირებს, საშობლო-სათვის თავშეწირულ და ერთგულ აღამიანებს, მაგრამ ეპოქა ბედებს ერის მოღალატეებსაც, ღამრებსაც და საბოლოო შედეგებისათვის — ერის მოწინააღმდეგეობისა და ბედნიერებისათვის — სულერთი როდია, რომელს უფ-



რო მტის დაზადებს — ერთგულდებს თუ მო-
 ღალატდებს! ამდროანდელ საქართველოში კი
 „განა ცოტა იყო ისეთი ქართველი, რომელსაც
 სამშობლო შეველედ წარმოედგინა, რომლისგა-
 ნაც ყველაფერი უნდა მიიღო, თავად კი ანა-
 ფერო არ უნდა გასცემე“ ვის აღარდებდა ქვეუ-
 წის მომავალი და ზედღინდელი დღე? განა
 ბევრს ესმოდა ცნება „სამშობლო“? რამდენი
 იყო ისეთი, ვინც პირად გამოარჩენის მიზნით
 დაუფიქრებლად გაუიღდა ერს? რამდენი იყო
 ისეთი, ვინც ვერ არჩევდა თავისი ქვეუწის
 მტერსა და მოყვარეს... რამდენი იყო ასეთი,
 ვინც ცარიელ სიტყვებს ამოფარებულა, სამ-
 შობლოს სიუვარულზე არაფრის მაქნისი ლა-
 პარაკით შეწინდებული, საქმით და საქციელით,
 სანარეს უთხრიადა მაშულს?“...

ამ საერთო გადაგვარების შემყურე ყაფლი-
 ნიც და ნესტორიც ზოგჯერ საშინელი უნდო-
 ბლობით იმსჯელებიან შიგლი ერის მიმართ,
 რომელსაც გამაერთიანებელი საერთო იღვა არ
 ჰქონდა და „ყველა სხვადასხვა მხარეს ახედე-
 ბოდა“. ნესტორი საქართველოში მოგზაურობამ
 კიდევ უფრო მეტად დაარწმუნა თავისი ქვე-
 უწის სულიერ-ინტელექტუალურ ჩამორჩენი-
 ღობაში. ქართული საზოგადოება დღუნე ცხოვ-
 რებით ცხოვრობდა და ძირითად ყოველდღიუ-
 რი მკვნიებოდა და ამოცანებით იფარგლებოდა.
 ნესტორის ყველაზე მეტად თრგუნავდა და ანა-
 ფერებდა ეკვი, რომ იდენამ თავისი სამშო-
 ბლოს თავისუფლებას მოეწმებოდა (მამა-
 მისს, ყალღან ვარდანიძეს, ჭერ კიდევ ჰქონდა
 ამის სათელი და შეურუვეელი რწმენა). იპქე-
 რაშიაში ორი მიფე გამოცვალა, მაგრამ ამ მო-
 ვლენას არავითარი არსებობა, მნიშვნელოვანა
 ცვლილებება არ მოჰყოლია. თვითონ ქართვე-
 ღობაც გათიშული და დიქსაქსული იყო. არ
 იყო ერთობა, არ იყო ერთი მთავარი მიზანი.
 ახალ თაობას ქვეუწის მომავალი სხვაგვარად
 ესმოდა. ზოგს საერთოდ არ აღარდებდა ქვე-
 უწის ზედი. ზოგს გული გასტებოდა და ყო-
 ველდღიური ცხოვრების ორბმტრიალში ჩა-
 ძირსულიყო ზოგისთვის ერი რაღაც განყენე-
 ბულ, აბსტრაქტულ ცნებას წარმოადგენდა და
 ერის ზედნიერების საწინდარს ნითიერა წო-
 ნანწორობის მოპოვებაში ზედავდა. ძველისძვე-
 ღი ტკივილები და ოცნებება ყველა გაღაუშ-
 რელი და განუბორციელიდებელი რჩებოდა. ნეს-
 ტორი, რაც დრო გადიოდა, უფრო და უფრო
 მწვავედ და მტკივნეულად შეიგრძნობდა სუ-
 რბისდროინდელი ოცნებებისა და მიწნების
 მსხვრევას. სკებსიბა, პესნიშიში ეპარებოდა,
 ეკვობდა, „მთად ზომ არ ირჭებოდა, უღმო-
 ბელ გარდუვალობას ზომ არ უწევდა წინააღ-
 მდეგობას? ყველა თაობას ზომ თავისი იდეა-
 ღობა მოაქვს ამ ცხოვრებაში, მაგრამ ამ იდეა-
 ღობეს და წარმოდგენებს თვითონ კი არ ირ-
 ჩებს, არამედ განკვება უმზადებს თანდათანო-

ბით. განკვება უგზავნის ისტორიულ ვადილებ-
 ღობად ქვეუწი და აიძულებს რჩეუტრეობა. რი-
 სახტროს, რაც არავინ იცის, უგზავნის რჩეუტრე-
 რდება“...

მომავალი, რომელიც ჭერ არ დამდგარა, მა-
 გრამ რომელიც ახლოდებდა, აქტორად მონა-
 წილეობს რომანის პერსონაჟთა ცხოვრებაში,
 განსაზღვრავს მათ სულიერ განწყობილებებს,
 შინაგან მდგომარეობას, სიცოცხლისუნარიანო-
 ბისა და ბრძოლისუნარიანობის, ენთუზიაშიზსა
 და რწმენის ხისიანს. მათში, არარსებული, სა-
 ზიფთო მომავლის, წარმოსახული, მოსალოდ-
 ნელი სატრობის შეგრძნება ბადებს და თანდა-
 თანობით აძლიერებს შიშის განცდას, პესნიში-
 შის გრძნობას.

თუმცა ნესტორის რწმენას და იდეალს სა-
 ფუტველი ერყვია და ახლობლენიც მთავანე-
 ბენ, არწმუნებენ, ზელი აიღოს, უარსსექტავო
 ბრძოლასა და მოღვაწეობაზე, დაჰმარცხდებენ
 იმით, რაც აქვს (იგივე აზრს მთავანენს სა-
 მართ მსახიობს „რკინის თეატრში“), ნესტორი
 მაინც აგრძელებს ბრძოლას, ბრძოლას ყოველ-
 გვარი იმედის ვარეზე და შის ასეთ ქმედებაში
 არის რაღაც მომბიბუჯელი, სტოიკური, ტრა-
 გიკული და, ამავე დროს, პარადოქსული. იმ
 განაგრძობს ბრძოლას და მოქმედებს იმ იდე-
 აღისათვის, რომელიც სიჭაბუკიდან უნანსკენდ
 დღემდე შის სიცოცხლის აზრს, გაპარობებასა
 და დანიშნულებას, შისი არსებობის ანა და
 მეს შეადგენს. ნესტორის იდეალი — ერთვ-
 ნული თავისუფლებისა და დამოუკიდებლობის
 მოპოვება შის სიცოცხლესი ქართველი ზალბი-
 სათვის აღმონდებდა ვანუბორციელებელი და
 მიუწევოიელი „საგანი თავის თავში“. ისეთი
 ადამიანისათვის, როგორიც ნესტორი იყო, სი-
 კვდილზე საშინელი და შეშარავი შეიძლებო-
 და მხოლოდ ერთი რამ უყოფილიყო, ეკვიბ
 შეტანა იმ საქმის წარმატებაში, რომელსაც ის
 თხეიდან ტერფამდე ეყოფნოდა და შიგლი
 სიცოცხლის მანძილზე თვადლებით და ერთ-
 გულეობით ემსახურებოდა. არადა, სიცოცხლის
 ბლო წლებში, როგორც უყვე აღნიშნეთ, ის
 მოქმედებს და მოღვაწეობას განაგრძობდა
 ყოველგვარი იმედის ვარეზე, რომ შისი სანუ-
 ვარი ოცნება და იდეალი განსორციელებას
 და გამარყვებას მოკვებდა. სიცოცხლის ტრა-
 გიკული დასასრულიც მისივე ცხოვრების ღო-
 გიკიდან გამოდინარე, თითქოს ბუნებრივი და
 გარდუვალი იყო ნესტორს რომ არ სცოდნო-
 და, რა შედეგები შეიძლებოდა მოჰყოლოდა,
 რა რეაქცია ექნებოდა ვაზეთ „ამერ-იერში“
 დაბეჭდილ შის პამფლეტს, მაშინ პამფლეტის
 გამოქვეყნება ჩვეულებრივ ფაქტად და მოვლე-
 ნად გამოჩნდებოდა, მაგრამ ნესტორ ვარდა-
 ნიქმ იცის, რა უბედურებას მომტანი ვახდე-
 ბა იგი მისთვის, და მაინც, ზელს არ იღებს
 თავისი ვადამყვებობების შესრულებასზე. შეგ-

ნებულა, გათვითცნობიერებული გადაწყვეტილების მიღება და საკუთარი სიცოცხლის რისკის ფასად მისი პრაქტიკული განხორციელება, ნებსტორის ტრაგიკულ პიროვნებად აქცევის (სა-ნაბოლიანად შენიშნავდა ქსნეოფონტე: „მომეცია ის ადამიანი, ვინც იცის, რომ წინ საფრთხე ელოდება, მაგრამ მიუხედავად ამისა, მაინც აგრძელებს გზას“). ნებსტორისათვის სამშობლოს ბედნიერებისა და კეთილდღეობისათვის თავდადება არის არა ერთი წუთის თავდადება, მსგავსად ქველი კურციაუსისა, არამედ უოველწამიერი და განუწყვეტელი, მთელი ცხოვრების უმთავრესი ფაქტის საგანი (ამ თვალსაზრისით ნებსტორი მთლიანად, განუყოფელი და მონოლითური პიროვნება). სამშობლოსათვის თავდადებულ მხაზურებასა და ბრძოლაში ხდებოდა მისი თვითაღმკვებრება, მისი არსებითი, შინაგანი პოტენციებისა და შესაძლებლობების თვითგამოხატვა და რეალიზება. მაგრამ ნებსტორის მთელი მოღვაწეობა, მისი პატრიოტული პათოსითა და გუნებით აღსავსე სიტყვები, რითაც ის ქართველ ხალხს სამშობლოს თავისუფლებისათვის და ეროვნული თვითცნობიერების გამოღვივებისათვის შეთავაზობდა, დარჩა ისეთსავე ხმაელ მღაღადებლისა უდაბნოსა შინა, როგორც მდებლის სიტყვები, წარმოქმნილი სულიერად, წინგობრეად გადაჯერებულა და ადამიანობადაკარგულა ზღაპრულა უნდობისა მიმართ.

გურამ გეგეშიძე ნებსტორისა და ვენეს ცხოვრების მსგავლობაზე დაშაქრებულად ვფიქროვებს, გარდაშავად დროში მოღვაწისა და მწერლის, საერთოდ, ხელკონის ცხოვრების განვითარების ღოგოკა როგორ განუყოფელი, როგორ მჭიდროდ უჯავშნობდა ისტორიას განვითარების ღოგოკას, როგორი პარალელმატური ხდება მოღვაწისა და დროის, ხელკონისა და ეპოქის ურთიერთდაწყობილები, გაგებამისა, თუ კრწიხულ ეპოქაში ისტორიასთან, დროსთან, გარემოებასთან მიმართებაში რას წარმოადგენს მოღვაწე, ხელკონი — გმირს თუ მსხვერპლს... ვენე ნიგურიანის ბედი, ცხოვრებით გამოჩნდება, რომ ვენე როგორც მწერალი, ისეთ სოციალურ-პოლიტიკურ ატმოსფეროში ჩნდება, ისეთ დროსა და ეპოქაში უწევს ცხოვრება, შესაძლებლობა არა აქვს, შემოქმედებითი ცხოვრებით ცხოვრობდეს და იძულებულია იმ სოციალურ ფუნქციას ასრულებდეს, რაც მისი შინაგანი მიზნისა და ინტერესების ფარგლებს გარეთ იმყოფება. თუმცა ვენე ბოლოლოურად არსებობს, ბედის მიერ დაკისრებულ ფუნქციას ასრულებს (სამხედრო მფრინავია) და წარმოადგენს ასრულებს, ახეთი სიცოცხლე მისთვის მაინც სიკვდილის ტოლფასია, რადგან საკუთარ მოწოდებას — შემოქმედებით თვითგამოხატვასა და ფიქტურულიზაციას — ვერ ასრულებდეს. ვენე ერთ-

ერთი მორიგი სამხედრო ვაჟურების დროს მოწინააღმდეგის თვითმფრინავთან შეტაკებისას ტრაგიკულად იღუპება. ვენე, რომელიც სამხედრო ვაჟურების დროსაც კი მუდამ თან დააქვს, დაუსრულებელი რჩება „დაიღუპა ვენე ნიგურიანი. იგი მოუცნებე კაცი იყო და ოცნებასავე გაქრა ცის სივრცეში, ცა კი მიწაზე მტკაღ უყვარდა. აღარაფერი აღარ დარჩა მისგან. ცნებლმა შეთანქა დაუმთავრებელი წიგნი, მუდამ თან რომ დაატარებდა და რომლის საშუალებითაც იმედი ჰქონდა, ქვეყნის თავის სიტყვას ეტყუა“.

როგორც ვხედავთ, ადამიანები გარემოებათა ისეთ დაწოლას განიცდიან, როგორცაც ისინი არცერთ ეპოქაში არ განიცდიდნენ. უველი მთავანი, ზვეულებრივად და არაჩვეულებრივად, ისტორიულ, ირაციონალურ ძალითა ფაბულურ გამგებლობაში იმყოფება. ამ გრძნობას კი ისინი გამოუვალობისა და ვანწირულობის ტრაგიკულ შეგნებაზე მიჰყვანს. თუ, ვთქვათ, ნებსტორი ბედის წინააღმდეგ ბრძოლის კულტს აშვიდრებს ბედისადმი მორჩილების ნაცვლად, ბერკე ვერ უძლებს ბედისა და გარემოების დაწოლას და მათი მიმინისაგან განთავისუფლებას ან ბედთან შეგნებით, ან სულიერი იზოლაციით, ან თვითმკვლელობით ცდილობს...

ეპოქა, დრო, საზოგადოება, რომლებშიც „ხმა მღაღადებლისა“-ს პერსონაჟები იმაღებიან, მათ ბედისწერად გაიარება. ბედი, თავისი პარაზული და მკაცრი მოთხოვნებით იმდენად დრწული იჭრება უოველი ადამიანის, უოველი პერსონაჟის ცხოვრებაში, რომ ბედისაგან, საზოგადოებისაგან, დროის მოთხოვნებისაგან გაქცევის უოველგვარი ცდა, ფიზიკური თუ სულიერი თვითიზოლირების მშვეობით (როგორც ამას სპინოზა ბატონელი, მისაქო ნიგურიანი, ცვა და სხვები ცდილობენ) სრულიად უეჩრსაქტოვა. გარესამყაროში მიმდინარე სოციალურ, ეკონომიკურ, პოლიტიკურ ცვლილებებსა და გადატრიალებებს პერსონაჟთა მსოფლმხედველობრივი, სულიერი, და ფსიქოლოგიური ცვლილებები მოჰყვება (უპირატესად — მძიმე და ტრაგიკული). გარდაშავად ეპოქასა და საზოგადოებაში კრწიხული ხდება უველანაირი კავშირუროთიერთობა (იქნება ეს ნათესაური, მეგობრული, ოჯახური, სასაყვარულო თუ სხვა). აღმათ ამიტომაც რომანში ფაქტობრივად არცერთი პერსონაჟის ისტორია არ არის ზღაპარი ბედნიერი დასასრულით. იჭრება ქველი და ტრადიციული, მაგრამ ახლის დაბადებამდე შიგნით, სულიერ საშუაროშიც და გარეთ, სოციალშიც იმაღვრება და ბატონდება სიყარბილე „ხმა მღაღადებლისა“-ს პერსონაჟები თავიანთი სურვილის წინააღმდეგ, ჩართულნი თუ ჩართუდნი არიან საშუაროს დინებაში, პროცესებისა და მოვლენების გაუგებარ, შეუქმნებად მი-

წევ-შედგობრივ ქაჭვიში, საზოგადოებრივ-სოციალური ცხოვრების არტიშიაში, რომელშიც რაც ხდება და ზორციელდება, უველაუერი რკინისებური აუცილებლობითა და ვარდუვლობით ხორციელდება. რაც უფრო კარგისულად ხდება ცხოვრება, მით უფრო უძნელდებათ პერსონაჟებს ვარჯიანი და შინაგანი მოვლენებისა და პროცესების არა თუ მართვა, ახსნა და გაწერებაც კი. ხანამდელი, სამყარო, გარემოებება მათ ამის გამოც რაღაცნაირი ვაუ-რკვევლობით, მისტერიულობით, იდუმალებით ვარდუვული წარმოუდგებათ. ბედი, ვარდუვული, მაგრამ ამავე დროს, სიკვდილივით უღმობელი და დაუნდობელი, რომანის პერსონაჟებისათვის უკიდურესი სულიერი ტანჯვისა და უბედურების მომტანად გადააქცევა. ბედი, გარემომარტვი, მთელ მსოფლიოში მიმდინარე ცვლილებათა და გადატრიალებათა დაჩქარებასთან ერთად კიდევ უფრო ძლიერაშინა და დაუმორჩილებელი ხდება («გამოუვალა წრე შეტრულიყო, რომელსაც თავს ვეღარ დააღწევად, ცხოვრება ვითრედა თავის უკუღმართობაში შენი სურვილის საწინააღმდეგე და ეტვი შეტარა ვენეს, რომ ოდესმე კეთილსძლიედა ზორცობა»). ვარდანიძეების, ნაგურია-ნების, უნდოლაძეების გვირის სამივე თაობის წარმომადგენლები ხაუთარ თავზე გამოცდიან ბედის დაუნდობლობას, ვარდუვლობასა და ძლიერაშინილებას. უველაზე მეტად, ყველაზე თვალსაჩინოდ კი ბედის ძლიერაშინილება იმ აღმანათა ცხოვრების' მაგალითზე გამოვლიანდება, რომელიც ძველი საქართველოს იდეალებსათვის იბრძვან. მათი წინააღმდეგობისა და ბრძოლის მიუხედავად, მაინც ის ზორციელდება, რაც წინასწარგანსაზღვრულია. უაფ-ლანისა და სახას წინააღმდეგობი და წინასწარმეტყველებანი რეალობად იქცევა, — ისტორია, განგების განაჩენი აღსრულდება — ძველი საქართველო ინტრევა: მასთან ერთად იღუპებთან ისინი, ვინც ძველი საქართველოს გადარსებებად იბრძვან — უაფლანი, ნესტორი, ბენია კალიანდარაშვილი... იღუპებიან ისინიც, ვინც ქაშაყურის მეთაურობით წინაღუ-დგება მშობლიურ სოფელში შემოსულ ქარს იასე ნაგურიაანის წინააღმდეგობით... გამარჯ-ვებული წითელი ჭარი მძლავრი სიმღერით შემოღის სოფელში. მათ წინ მოუძღვის იასე ნაგურიაანი, ვარდანიძეების სასაქლეს შვი-ბოლი ასლის... ევლიანის გუშაბზე «ისხლთი ნაფერი წითელი დროში ფრიალებს, ძლიერაშო-სილა გამარჯვების მაცნე, მუწუხიბელა დედა-მიწაზე ახალი ერის დადგომისა»...

რომანში ნესტორისათვის ბედისწერა არამა-ტარ ვარჯიან, არამედ ერთგვარად შინაგან „იონენტრუტ“ ძალადავ განიცდება. ბედი და ნესტორი იმდენად არიან ერთმანეთთან დავა-დშირებულნი, ისიც კი გვეჩვენება, რომ იგი

ბედის განაჩენს აღსრულებს არა იმდენად როგორც ვარჯიან იმდენადს, რამდენად ნესტორც საქუთარ, შინაგან მოთხოვნებზე და ნესტორც, როგორც ვიცით, სამშობლოს მოღალატედ იცხადებენ. ისტორია, ბედი კიდევ ერთხელ ბო-რობად ახურებს ნესტორზე, როცა მას, ერის-სათვის თავდადებულ ადამიანს, ერის მოღალა-ტედ გამოაცხადებს. ნესტორის ხალხის შტრად გამოცხადება ისტორიის სასტიკი ირონია, რომელიც თვალსაჩინო ხდის, ცხადყოფს იმ რეალუტეორი გათიწულობას, ხალხსა და მო-ღუპვებს, ხალხსა და მწერლობას, ხალხსა და ინტელიგენციას შორის რომ არსებობს. ნესტორი ფიქრობს, თუ ბედის, განგების განაჩენი უნდა აღსრულდეს, თუ ის, ძველი საქართველოს იდეალებისათვის შებრძოლი, რეალუტეორიერებთან ბრძოლაში უნდა დამა-რცხდეს, რაღა აზრი აქვს მის მოღალატეობას, მის თავგანწირვას, ბრძოლის გაგრძელებას, მა-გრამ, როგორც შემდგომში აჩვენავ, ნესტორი-სათვის ძველი ბერძენი გმირებვით ვარტო-მას კი არ აქვს მნიშვნელობა, რაც ვარდუ-ვალად მოხდება, არამედ იმასაც, თუ რო-გორ მოხდება, რამდენად ღირსეულად შეას-რულებს და განახორციელებს იგი ბედის გა-ნაჩენს. ნესტორი, მართალია, სიცოცხლის ბო-ლო წლებში რწმუნდება, რომ ის და მისი იდეალები ვარჯირულნი არიან დასაპრცხე-ლად, რომ შეუძლებელია ბედისა და ისტო-რიული აუცილებლობის შეცვლა, — საქართვე-ლოში რეალუტეორი უნდა გაიბრძვოს — ასე-თია ისტორიის წება, ასეთია ისტორიული ბე-დისწერა, მაგრამ იგი ვადეკურად იღებს ბე-დის გამოწვევას, პასიურად არ მიხეუება და აქტიურ მეტოქეობას უწევს მას («რკინის თე-ატრში» მსახიობი ანალოგიურ შემთხვევაში, სიცოცხლეს თვითმკვლელობით ამთავრებს)... ნესტორისათვის, სიცოცხლეს ბოლო წლებშიც კი, როცა ის ბევრს და ვარდუვებელად ფიქ-რობს მოსალოდნელ დამარცხებაზე, სიკვდილ-ზე — საქუთარი უფიქრება არის არა «ყოფი-ერება სიკვდილისათვის», არამედ — «ყოფი-ერება სიკვდილის წინააღმდეგ». ის სიკვდილზე იმტომ კი არ ფიქრობს, რომ მოკვდეს, არა-მედ ამიტომ, რომ იცოცხლოს და სიკვდილის მერეც ღირსეულად ადამიანად დარჩეს! ქაშაყუ-რიც შეგნებულად გამოდის სიკვდილთან პი-რისპირ შესაბეჭად, რათა სიკვდილში პო-ვის და განაპტაციოს სიცოცხლეს აზრი, და-ვინატიკოს, რომ არავითარი ღირებულება არ აქვს ისეთ სიცოცხლესა და ისეთ იდეულს, რო-მლისთვისაც სიკვდილი არ ეღობება... ამ პერ-სონაჟთა ბედის წინააღმდეგ ერთგვართი პო-ზიცია — პოზიცია ამ აღმანათის, ვინც ცხო-ვრობს არა ნებისმიერი, არამედ მხოლოდ მა-ღალი იდეალისათვის, ვინც უფუკუკურად, რა-ინდუალად იღებს ბედის განაჩენს და ღირსე-

ულად გაივლის განგების მიერ განკუთვნილი რთული, ტრავიკული ცხოვრების გზას.

* * *

რომანში, როგორც ვხედავთ, ვრცელი, ფართო მხატვრული სივრცე იშლება. ერთი პატარა პართული იმერული სოფლიდან, წიფლიანიდან გამავალ გზებს პერსონაჟებთან ერთად მსოფლიოს სხვადასხვა ქვეყნებისაკენ, ქალაქებისაკენ, სოფლებისაკენ მივყავართ (რომანის დასაწყისშივე ნეტორ ვარდანაძე და ბეგლარ ნიგურაძე პეტერსბურგში სასწავლებლად, სიმონ ნიგურაძე, გლაზუნა უნილიანე თურქეთთან რუსი მიეშურებიან...). თანდათანობით გამოიკვეთება მოცემული ნაწარმოების ერთგვარი არსებითი ნიშანი—მხატვრული აზროვნების მასშტაბურობისაკენ, სხვადასხვა ქვეყნების, სხვადასხვა ისტორიული სიტუაციების, სხვადასხვა ხალხების, მათ შორის, ქართველი ხალხის მდგომარეობის, საერთოდ, კაცობრიობის, ბოქის ბედისა და ცალკეულ ადამიანთა ბედის ურთიერთშეფარდებისა და ურთიერთდაპირისმართულობის გაცნობიერებისა და გააზრებისაკენ სწრაფვა; ჩვენება იმისა, თუ ეპოქალური ვითარება, თანამედროვე მსოფლიო ისტორიული სიტუაცია, ამ სიტუაციაში მყოფი ან თუ იმ ხალხის მდგომარეობა რამდენად განსაზღვრავს ამ ხალხის წარმომადგენელთა მდგომარეობას, ბედნიერებასა თუ უბედურებას, ბედსა თუ უბედობას...

რომანის პერსონაჟები გამოდგებიან გზაში იმყოფებიან, ან მშობლიურა ადგილიდან მიემგზავებიან და ერთი ქვეყნიდან, ქალაქიდან, სოფლიდან-სოფელში, ქალაქისა და ქვეყნებისაკენ დადიან, ან უკან, სამშობლოში ბრუნდებიან და გარკვეული დროის შემდეგ კვლავ ახალი სოფლებისა თუ ქალაქებისაკენ მიეშურებიან. ცხადია, მოგზაურობის პროცესში მოხეტიალე თუ მოგზაურ პერსონაჟთა ცხოვრებაში ახალი აღმოჩენები, მათთან ერთად, ახალი კავშირების დამყარება, ახალი მოვლენები, ცხოვრებისეული სიტუაციები, კონფლიქტები და ახალი გეოგრაფიული სივრცეები შემოდის, რაც მთლიანობაში რომანულ სივრცეს კიდევ უფრო წარმოადგენს და აფართოვებს; თბობავ შეხატულება განსაკუთრებულ დინამიზმსა და ინტენსივობას, შინაგან ბიძრებსა და შინაარსობრივ მრავალფეროვნებას იძენს. გვის თემა „ხმა მღაღაღებლისა“-ში, იხვევ როგორც წინა ნაწარმოებში „ეპიკა“, ერთერთი მნიშვნელოვანი თემადა გამოიკვეთება... გვის თემა, ერთერთი მთავარი თემაა არამარტო გურამ გეგეშვიძის, არამედ თანამედროვე ქართული ლიტერატურის, შეიძლება ითქვას, მთელი ქართული ლიტერატურისა, რაც ბუნებრივად მოგვეჩვენება, თუ გაიხსენებთ გვერს ერის ისტორიული ცხოვრებისათვის დამახასიათებელ ერთ თავი-

სებურებას—ზორად, სამშობლოს ბედნიერების, „ქართლის ბედის“ ძიებას, ტრავიკული ცხოვრება (ილიანის ინდივიდუალურტ მხატვრული მსოფლიო კუთხიდან მოცილებით). საილუსტრაციო ნაწარმოებების ჩამოთვლას შედევტად ვთვლო, ამდენად დიდია ქართულ ლიტერატურაში მათი როლიერობა. ერის კი დავსძენ, რომ ჩვენამდე მოღწეული იყოთ პირველივე აგოგრაფიულ-მხატვრული ნაწარმოებები, „შუანიკის წამების“, პირველივე ახალი ქართლის პიტაქსის, ვარქსენის, სამშობლოდან სპარსეთში გამგზავრებას ვვამცნობს („...მარცხსა წელსა სპარსთა შეფისასა კარად სამეფოდ წარემართა ვარქსენ პიტაქსის“)...

„ხმა მღაღაღებლისა“ რომანი-ქრონიკა (ქრონიკონ-ბერძენი — დროსთან დაკავშირებული ისტორიული თბობა წლების მიხედვით), რომელიც პერსონაჟთა ცხოვრება, ინდივიდუალური და ისტორიული დროის გადმოცემა ქრონოლოგიური თანმიმდევრობით ხდება. აქ ვერსად ვერ შეხედვით თანამედროვე რომანების პოეტისათვის დამახასიათებელ დროთა შინაგანდრობას, აღრევასა და გადაადგილებას, „ცნობიერების ნაკადს“, შინაგან მონოლოგებსა და სხვ. ამ მხრივაც, გურამ გეგეშვიძე „ტრავიკული“; ე.წ. „ელასიურა“ თბულებებისათვის დამახასიათებელი მოთხოვნების ერთგული რჩება. ყოველი პერსონაჟის, ყოველი თავადსახალისის თუ მოვლენის მიღმა ამდროინდელი საქართველოს რეალური პრობლემები, ყოველი პერსონაჟის ბიოგრაფიაში — სკუთარი წაცობის ბედი, პიროვნულში — საზოგადოებრივი, სუბიექტური დროსა და სივრცეში — ფართო ისტორიული, ობიექტური დროსა და სივრცე იხედება (გავიხსენოთ ქართული პერსონაჟების გარდა ფრანგი მადლენის, რუსი რაია რადეკიანის, არბენინის, სობინინის, ნატალია ივანოვნას, მარინეს და სხვათა ისტორიები). პერსონაჟთა ხასიათები, ბუნება, მისწრაფებები, მათი შინაგანი სამყარო მოგზაურობათა პროცესში, სხვადასხვა მრავალფეროვან სიტუაციებსა და კონფლიქტებში ვლინდება. გზაში ყოფნა პერსონაჟთა დიდი ნაწილის არსებობის ფორმად აღიქმება. ისინი, მშობლიურ სოფელსა თუ სამშობლოს მოცილებულნი, თავს ყოველთვის მწირ, უბინო, აშკვეუნად სტუმრად მოსულ მარადიულ მოხეტიალე მოგზაურად შეიგნებობენ (სახელისმისა ამ მხრივ გურამ გეგეშვიძის წინა რომანი „სტუმარი“-ც). წლების განმავლობაში ასეთი მსოფლმეგანებით მცხოვრებნი, უკვე სამშობლოში დაბრუნებულნი, პირველ ხანებში იყოთ მშობლიურ სახლშიც, ნათესაურ გარემოცვაშიც, თავის თავს უცხოვდ, შემთხვევით სტუმრად და მოგზაურად აღიქვამენ (გავიხსენოთ, ნეტორისა და ბეგლარის ფიქრება და განცდები უცხოეთის ქვეყნებში მრავალწლიანი მოგზაურობიდან დაბრუნებისას. ზოგს უცხო-

ბის ეს განცდა სიცოცხლის ბოლომდე მიხუ-
ვება). „მოგზაურ პერსონაჟებს“ თავანთი ემ-
პირიული ცხოვრება წარმოუდგებათ როგორც
გზა, როგორც მოგზაურობათა ვრცელი ქაზ-
ვი, როგორც ზეტიალი, რასაც, საუბრისო შემ-
თხვევებში თანსდევს სულიერი მივებები, ში-
ნაგანი, ინტელექტუალური განვითარება, „სუ-
ლის სივრცეში“ მოძრაობა. ერთი სიტყვით,
რომანში გზა, გზის ხატი, დომინანტულ ზატად
აღიქმება (რომანის მთელ მხატვრულ სივრცე-
ზე გადაღობს რკინიგზა (რკინის-გზა), ხოლო
პერსონაჟებს ზარკინიგზო მარშრუტით რომა-
ნის მხატვრულ სამყაროში არაერთხელ გაი-
ვლიან. ამ დროს, მგზავრობის პროცესში, პერ-
სონაჟების (და მკითხველის) ცნობიერებაში
უვლია ის პეიზაჟი, უვლია ის მოვლენა აირე-
ლივად, რომელთაც ისინი მხატვრების ფანქარე-
ბიდან ხედავენ)...

ოცი წლის შემდეგ, შორეული მოგზაურო-
ბიდან, ინდოეთიდან და ტაბეტიდან, მშობლიურ
სოფელს უბრუნდება საჩინო მართელი: „ახე
და ამგვარად, მრავალი წლის მერე, საჩინო
კვლავ დაბრუნდა მამისეულ ფუძეს, დაჩა-
იგი სოფელში, ალაღინა ქოხი, ვახაჩა ბეი-
ლის ბაღი, შემოიღობა ეზო და კარა და მოკლე
ხანში წალკოს დაამსჯავსა გავრანებული
კარშიდაშო“... „ბევრი ვიხტიაღე. ინდოეთი და
ტიბეტი მოვიარე, — და საჩინომ შეოცნებე
შვრთა შევადო სივრცის, თითქოს სახას კი არ
აძლევდა პასუხს, არამედ განცხობს თვალით იმ
გარდასულ დღეებს იგონებდა, სამშობლოდან
მოშორებით რომ ვაატარა“... „მევენებემ ამა-
ვი მოიტანა, ბართელითა ნახაზლარზე ვიღაც
რუცო კაცი ვამოჩნდაშო“... და ახეთ „რუცო კა-
ცად“, ამოუხსნელ გამოცანად, გაურკვეველ
აღმანად და „სტუმრად“ დაჩა იგი მთელი
თავისი სიცოცხლის მანძილზე თანასოფელ-
ლათვის. საჩინო ვარგუნულად ღატაკი, საწყარი
და საცოდავი არსების შთაბეჭდილებას სტო-
ვებს („ფეხშიშველი იყო, ჭვალის განიერა შა-
რვალი ეცვა, ჭვალსავე ზალათი შიშველ ტან-
ზე, წიღელ თოვთ შემოკვირია“). თანასოფ-
ლელებს აეჭვებთ მისი ქვეყნა და ყოფა, ვერ
გაუგაოთ, გიფა თუ ეშმათან წილნაურა. („მისი
ცხოვრების წესი აფრთხობს სოფელს“). საჩი-
ნო ბართელი გაურბის კონტაქტებს. არსად და
არავისთან არ დადის. არ დადის არც მეზობ-
ლებთან, არც ქველებში, არც კორწილებში.
მაგრამ თუ დახმარებას სთხოვს (ადმიანთა
გაფურცნა შეუძლია), უვლიან უნდაგაროდ ტხ-
მარება, და ესეც გაუგებარი, უცნაური და და-
მაეჭვებელია თანასოფელლათათვის. საჩინო მრავ-
ალწლიანი ზეტიალისა და მოგზაურობების
შემდეგ დაჩმუნებულა, რომ სამყაროს შემე-
ცნება და თვითშემეცნება ეზოდან გაუსვლე-
ლადაც შეიძლება. ამტოვაც გამოიკეტება და
განმარტოვდება საკუთარ თავში, მთელ დღე-

ებს აზროვნებასა და ჭერტაში ატარებს. ში-
რად ერთ ადგილას, რამდენიმე სასაათს მშობ-
ლივ გაუფრთხელად ზის, ან რამდენიმე დღესაც
წინ წულთი სავსე ქოქა უდგას და თვალდაუ-
ხამხამებლად მიხტებება, ცდილობს, „მოწყ-
დეს“ ემპირიულ სინამდვილეს, თავი მოუყაროს
მთელ თავის არსებას, მთელ თავის უწყრადე-
ხას, სასიცოცხლო ენერჯიას, შინაგან ხედ-
ვას. საჩინოს მიზანი, სულასა და სხეულის მა-
რშონიას და წნეობრივ სრულქმნილებას მიაღ-
წიოს, თავისუფალი, დამოუკიდებელი სულა-
რი ცხოვრებით იცხოვროს, განთავისუფლდეს
ამქვეყნიური ამოცანისა და მღელვარებისაგან,
მატერიალური საზრუნავებისაგან, მთიცილოს
ყოველივე მანქიერი და უარყოფითი თავის თა-
ვეში, თავის ხასიათში, სულის აუღელვებლობასა
და შინაგან სიმშვიდეს მიაღწიოს, გაშუდმე-
ბით იფიქროს დეთებრივზე, რათა კარი გაეხ-
სნას ფიზიკური თვალისათვის მიუწვდომელ
და უზილავ სხვა სამყაროში, სადაც გაშუდმე-
ბულია პირველქმნილი სიწმინდე და სისპეტა-
კი, სადაც არ არსებობს ძალადობა, სიღატაკე,
ქუჩაში უსამართლობა, ანგარება, ექსპლოატაცია,
აღმანიის, პირველების ბუნებაზე, მის ჭეშმარი-
ტად არსზე ძალდატანება. ამის მიღწევა კი,
საჩინოს მხედვეთ, იმ შემთხვევაშია შესაძლე-
ბელი, თუ „სწორ გზას მიხტებები“, ხოლო მი-
ქვევებოდ „სწორ გზას“, იყო „სწორად მხე-
დავი და განთავისუფლებული კაცი“, ნიშნავს
უნაგაროდ და უსაზღვროდ გოყვარდებს აღმი-
ანები, რადგან რაც უფრო მეტად გიყვარს აღ-
მინები, მით უფრო ახლოს ხარ ღმერთთან
(ვერე ნოვტრიაჩინს ანდერძი თანამემამულეებში-
საღმი ამავე მოთხოვნას შეიცავდა: „ღმერთსა
ახლოვებო... ნურასოდეს იმ გაყოფით, იც-
ხოვრეთ სიყვარულით და თანხმობით“...). სა-
ჩინოსთვის „ცხოვრება სიამოვნება კი არ არის,
არამედ შემეცნება, ღმერთისაყენ მიმავალი
გზა სულიათვის“ — ბუნებრიობის, უბრა-
ლოების, უჩინარი ცხოვრების, მოუვსის წი-
ნაზე პასუხისმგებლობის, სულიერი მთლიანო-
ბისა და სულიერი სიხასისის მისაღწევად.

მართალია, სოფელში დაბრუნებული საჩინო
ბართელი თითქმის არსად არ დადის, იშვი-
ადა სტოვებს თავის ეზოს, თავის სახლს, მა-
გრამ, მიუხედავად ამისა, კვლავ ინტენსიურად
და ბევრს „მოგზაურობს“, ოღონდ ეს მოგზა-
ურობა თავისებურა და განსაკუთრებული ხა-
ხისაა — მოგზაურობა საკუთარ თავში, მოგ-
ზაურობა სულის სამყაროში...

რომანში საჩინოს ცხოვრებისეული გზა ნა-
ჩვენებაა როგორც ერთერთი შესაძლებელია
გზა აღმანიის ჭეშმარიტებისაყენ მიმავალ იმ
მრავალ გზას შორის, რომელთაც „ხმა მღაღ-
დებლისა“—ში ვეცნობით. მაგრამ საჩინოს
ცდა, იმ მიზანს მიაღწიოს, ის იდეალი განა-
ხორციელოს, რის შესახებაც წემოთ ვილაპა-



რკეთ, გაზდის „სწორად მხედვე და განათვი-სუფლებული კაცია“, ამჟვენიური მიწურია წყვლიადიდან უმაღლესი სინათლისაკენ გადწი-ოს, ცხა და შინის, ამ სამუაროს სახედრებს გარეთ „იხტილიოს“, ამჟვენიურ ცხოვრებაში დანაწევრებული სული მდიდურთან ღრმა კ-ვემირში აღადგინოს და გაიშთიანოს, ბედნიერ-რად იცხოვროს იქ, სადაც ცხოვრება გაუხა-ძლინია, სადაც ამდენი ქაოსი და მოუწინა-რეზობაა, შიუღწევად მიზნად და განუხორ-ციელებელ იდეალად რჩება, რადგან, შუღწე-ბულია, თავს ახსოვლურად ბედნიერად და აუღელვებლად გრძობდაც, როდესაც შენს ირ-გვლივ ადამიანები უბედურები არიან...

„მა შიდაღებლისა“-ში უამრავ პერსონაჟ-სა და თავგადასავალს ვეცნობით, მაგრამ არ-სებოთია არა თავისთავად აშბავი, მოგზაურობ-სა, არამედ ის, თუ ვინ მოგზაურობს, ვინ არის მოგზაური, რა მიზნებს და რა ინტერესებს გაჰყავს იგი შიშობლიური სახლიდან, სამშობ-ლოდან უცხო სივრცეებისაკენ და თავის მხრეც, ეს მოგზაურობები და თავგადასავლე-ბი რა გავლენას ახდენს პერსონაჟის მსოფლმხე-დველობრივ ფორმირებაზე, რამდენად და რო-გორ ცვლიან მას, რა სახისა და რა შინაარსისაა ეს ცვლილებები. ასე შავლითად, ნეტარად, ვინე, ირაკლი სამშობლოდან ცოდნისა და გა-ნათლების შესაქმნად შიეგზაურებიან, რათა შემდგომ, უკან დაბრუნებულბში, ეს ცოდნა სამშობლოს კეთილდღეობისათვის ბრძოლას მოამზადონ; სიმონა, მიხაკო და სხვ. წიფლნა-რელი გლეხები ან ხაზოვარზე მიიდან ქალაქე-ბში საკუთარი სურვილით, ან იძულებულნი არიან, სხვადასხვა ომბში მიიღონ შინაწილე-ობა; ბეგლარს, ინგლისელ მოგზაურს მელორს ქვეყნების, სხვადასხვა ხალხის ზნე-ჩვეულებათა გაცნობა თუ შესწავლა აინტერესებთ; გლა-ზუნა უნდილაძე უბრალოდ, უაზროდ მოგზა-ურობს, უმიწოდ დაბეტალიობს სივრცეში...

„მოგზაურობათა“ პროცესში პერსონაჟთა მიერ აღქმულ პეიზაჟებს, ველ-შინდვრებს, მთებს, ცას, ხეობებს, სახლებს, და მისთ. ვხე-დავთ, მაგრამ ამ დროს ჩვენი უჭრადლება იმ-დენად ბუნების სურათებისაკენ, პეიზაჟებისა-კენ არ არის მიუყრდილი, რამდენადც იმ „სულიერი პეიზაჟებისაკენ“, ამ სულიერი ცვლილებებისაკენ, რომლებიც პერსონაჟთა სუ-ლში, მათ შინაგან სამყაროში იხატება და აი-რეკლება.

შორეული მოგზაურობიდან პერსონაჟები შიშობლიურ მხარეში, — იმავე სოფელში, იმა-ვე სახლში ბრუნდებიან, მაგრამ სოფელიც და სახლიც მათ აღქმაში მხოლოდ ფიქტურადღაა იგავე და არა „სულიერად“.

ასე, შავლითად, აიწლიანა იძულებითი ემი-გრაცია, დაუსრულებელი ტეტალი, თავგადასა-ვლები, მოგზაურობა სხვადასხვა ქვეყნებში —

საფრანგეთი, ბელგია, რუსეთი, იტალია, შვეი-ცარია, ზღაყანეთ-თურქეთისა, უმწიერ შიშობლივად წასვლა და აქტიური შინაწილეობა, ქვეტრბუ-რების, სობრონის, ბაიუსელის უნივერსიტეტე-ბში სწავლა, ირკუტსკში ორწლიანი გადასახ-ლები და ა. შ. ნეტორისათვის იმდენად სივ-რცეში გადაადგილებას არ წარმოადგენდა, რა-მდენადც შინაგან ევოლუციას, ინტელექტუ-ალურ განვითარებას. ამიტომ ახალ, შეცვლილ მსოფლმხედველობრივ და სამშობლოს გარეთ შიღებულ მრავალწლიან შთაბეჭდილებათა პრაქტიკა ნეტორისათვის სამშობლო, სახლი ისეც იხაა, მაგრამ ამავე დროს, რამდენადღე სხვაც, დროსა და ამავე დროს იგავეა და არცაა იგავე...

ივანე ზაბტაძისათვის, იასე ნიფორიანსათ-ვის, ვასო ვაშაყიძისათვის სამშობლოდან გამე-ზაურების მიზანია რევოლუციური ბრძოლების გამოცდილების შექმნა და მსოფლიო რევოლუ-ციონისთვის, უღისასო საზოგადოებისათვის, სო-ციალური უთანასწორობისათვის ბრძოლა...

გლაზუნა უნდილაძისათვის სოფლიდან გამე-ზაურების მიზანი, თუ შეიძლება ასე ითქვას, თავად გამეზაურებაა, უბრალოდ, ადგილის შე-ცვლა, სივრცეში გადაადგილებაა. არათუ შვი-თხველმა, თავად უნდილაძემაც არ იცის, რა უნდა, რას ახდებტება, რისთვის მოგზაურობს, ვის ებრძვის, რისთვის ებრძვის, რას ეძებს... გლაზუნა უნდილაძე თვისებრივად ახალი, საინ-ტერესო სახეა ჩვენს თანამედროვე ლიტერა-ტურაში — საბე-ტიაი გზადაკარგული, უმი-წოდ, უნაყოფოდ, მხოლოდ პირად, ეგოის-ტური ვაწრო „მიწნებისათვის“ მოხტებულე ადამიანისა. გლაზუნა უნდილაძე — ესაა შიშ-ობლიურ ფესვებს, საურდენებს შიღიანად მო-წვევითი, უბიანო და „უსამშობლო“, უსაზღ-ვრო ეგოისტი, დაუნდობელი, უფულო, სმერ-დიაკოვიით შურით მოწამლული „ლაქია“ — ადამიანური ბუნების უკანასკნელი გაბრწინა, დასული და განადგურება, სიუფიცის, უფუნურე-ბის „ნეტარებაში“ მცხოვრები ადამიანობადა-კარგული ამაზრზენი საბე-პერსონაჟი. გლაზუნა უნდილაძე მოგზაურობათა და უამრავ თავგა-დასაველათა ბოლოს იხითივია. როგორც მოგზაუ-რობათა დანაწიისი, სოფლიდან გამეზაურები-სას. იგი ისევე უაზროდ, აბსურდულად და გა-ურკვევლად იღუბება, როგორც უაზრო, აბსუ-რდული, გაურკვეველი და გაუგებარიც იყო შიელი მიხი ცხოვრება. როგორც ვხედავთ, ისეთი ადამიანებისათვის, როგორც გლაზუნა უნდილაძეა, მოგზაურობა, თავგადასავლები, ახალ-ახალი ცხოვრებისეული მოვლენები, ექს-ტრემალური სიტუაციები საინიო ბარათელის, ნეტორს ვარდანიძის და მიხთ. მსგავსად სუ-ლიერ ფასუფლობად და ღირებულებად ვერ გა-დაიქცევა...

წიფლნარედ გლეხთა დიდი ნაწილი სოფ-

ლიდან ქალაქებისაგან „საშოკრის“, ფულის მოპოვების სურვილის მიქცევა. პატარა სოფელი, წიფლნარი, თვითყოფად სამყაროს წარმოადგენდა, პატარა სამყაროს, პატარა ქვეყანას; ერთი პაბს ჰგავდა, „სადაც ყველანი იზარბდნენ ერთმანეთის ვარამსა თუ ლხანს...“ ძველ საქართველოში, სანამ რკინიგზას გაიყვანდნენ, ხალხი იშვიათად მოგზაურობდა... მოსახლეობის უმრავლესობა სოფლად ცხოვრობდა. გლეხები მიწას ამუშავებდნენ... ქვეყანა შიშინ არ იყო ხმაურიანი. დრო მდორედ მიედინებოდა. ყოველგვარი გადაადგილება, თვით შერობულ სოფელში გამგზავრებაც კი, ღირსშესანიშნავი მოვლენა იყო!... მაგრამ „...იმხანად ფოთი-თბილისას რკინიგზის მშენებლობა დამთავრდა და მატარებლებმა განრიგება იწყეს მოძრაობა. რკინიგზამ გადავიდა მიმოსვლა და გლეხებაც თანდათანობით დაიძრნენ ადგილებიდან“... სიმონა ნიგურაიანიც „აიკრიბა ვუდა-ნახადი და საშოკარზე გავიდა... ნიგურაიანებს სახვავ-სათვის საკმაოდ ჰქონდათ, მაგრამ რაკი ოჯახს მოცილი, სიმონამ გადაწყვიტა კიდევ უფრო გაფართოებინა მამული, რათა მის მომავალ შთამომავლებს უღევად ჰქონოდათ სარჩო-სახადებელი. სიმონამ აცოდა, რომ საშოკარზე გასული ხალხი ფულს მოუღობდა, ფულს კი იმ დროისათვის შვიტი ძალა მიეცა, ფული აუცილებელი რამ გახდა გლეხისათვის“. ამრავად, ქართველი გლეხი თავს ანებებს თავის უშთავრეს საქმიანობას — მიწათმოქმედებას და ქალაქში მისთვის სრულიად უცხო, ახალი საშოკარის საძებნელად მიეშურება...

როგორც ვხედავთ, რომანის პერსონაჟთა დიდი ნაწილი — გლეხობა მშობლიურ კუთხეებს წმინდად მატერიალური მიზნების გამო, სტოვენენ, რაც ავტორის სიტყვებით, არც იყო განაკვირბი, რადგან „ხალხს უფრო ნივთიერი და ქონებრივი გარდაქმნები აინტერესებდა, ყველა ამქვეყნიურობას ეძიდებოდა... სადა და უწინაის ქვემოთატიანია არ ესმოდა... სულის მომავალზე არავინ ფიქრობდა, უმეტესობას სული სულაც არ სწამდა... მამულის სიყვარული ამისთვის საკუთარი სახლისა და ეწო-კარ-შიდამოს სიყვარულით იფარგლებოდა... რამდენი იყო საქართველოში ისეთი, ვინც პირადი გამორჩენის მიზნით დაუფიქრებლად გაჟიდა ერთს?!“...

მიუხედავად ამისა, სამშობლოდან გამგზავრება, მშობლიურ სოფელთან განშორება ყველა პერსონაჟისათვის (ნაწილისათვის—მხოლოდ პირველ ხანებში) მძიმე და შტიყვენელია. ეს ტიპიელი, ეს სძიმით პერსონაჟთა მერვე ნაწილისათვის, რამდენმანაც უნდა უწევდეთ სამშობლოდან მოცილებით ყოფნა, განუყურნებელია. მათ სადაც არ უნდა აუწუნენ, მუდამ ახსოვთ მშობლიური კუთხე, მშობლიური სახლი. უმადლესი აზრით, კი მათ ერთი სახლი აქვთ. ეს სახლი მათი სამშობლოა, მხოლოდ

სამშობლოში — მშობლიურ სახლში — გრძნობენ ისინი თავს უშოხრად და „...საქართველოში“ „ნესტორი... მხოლოდ ნაცნობ ქვეყანაში გრძნობდა თავს უშოხრად და თავისუფლად. და იგი მადლობელია ბედისა, რომ განგებამ ეს უყანასკენელი იმედი და თავშესაფარი არ მოუშალა!“... „გულთ სიმონას ახლაც უკან უწევდა, ისლიანი ქობისაგან, სადაც დატოვა მამა, ხიმა და ფეხმძიმე ცოლი, თავისი სოფლისაკენ“... „მთავრად ძლიერ მოიწყინა აუტანლად შეიწვდა სალდათური ყოფა, შრომა მოუნდა. მოეჩატრა საყვარელი ვაზბული ხარების გაძლული, შურით გასცქეროდა სათიბში მიმავალ მხარზე ცუდადებულ შთიბებს...“ მუშობა სწუტოდა, ფულს მაგიერ ნამავალი და ცოლი ენატრებოდა მის ხელებს“... „ნესტორს... ბოლო ხანს ხშირად იმურობდა სევდა მამულზე, არ ასვენებდა მისი ხატება, რა ხანი იყო ქართულად არ დაუღალაასკნია და მშობნა, ენა არ გადაშავიწუდეს...“ საშინლად მოსწყინდა სხვის მიწაზე წაწალი. ახალი ქვეყნებისა და ახალი წეს-ჩვეულებების გაცნობა: პირველად იტაცებდა, მაგრამ ახლა აღაჩაფერო ერთი მამისუფლი სახლის აივანიდან კაცკაციონის თეთრი მწვერვალების ცქერას“...

რომანში ვეცნობთ ისეთ პერსონაჟებსაც, რომლებიც სადაც არ უნდა აყვნენ, ყველგან კარგად გრძნობენ თავს, რადგან ყველგან თავი საკუთარ სახლში, სამშობლოში ჰგონიან, ყველა სახლი, ყველა ქვეყანა თავისად მიარჩიან, რადგან სწამთ რომ ამქვეყნად მხოლოდ ერთი სახლი არსებობს და ეს სახლი მთელი დედამიწაა, მთელი მსოფლიოა...

გურამ გიგინეიშვილმ შექმნა არაერთი საინტერესო მხატვრული სახე. ტიპი, სოფლიდან წამოსული, ბედურული, უსახლარო, მათსაფარი კაცისა, რომელიც ეპოქის ანონიმურ ძალებს, სოციალურ პირობებს, — ომის უბედურებებს, სტიქიური ურბანიზაციის პირობებს მშობლიური კერადან, ოჯახიდან, სოფლიდან მისთვის ჩვეული, ბუნებრივი გარემოცივიდან ქალაქში მომუშა და ქალაქის გარეუბნებში — დაქირავებულ უცხო ბინებში ასახლებს. ეს პერსონაჟები, ეს „ადამიანები სოფლიდან“ ფუნდამენტურ ადამიანურ საწყისებსა და საურთველებს — მშობლებს, ახლობლებს, მიწას მოწყვეტილი, თავიანთ თავს შიტოვებულად, მათსაფრებად, უსახლარობად განიცდიან როგორც ფიზიკური, ისე სულიერი თვალაზრისით. ბუნებრივი, ჩვეული ცხოვრებისეული გარემოცივი დაკარგვისთან ერთად მათ უჩინებო განუყურნებელი სევდა, ნოსტალგია იმ დაკარგული ფუნდამენტური ადამიანური საურთველებისადა, რომელიც კომუნისირებასაც შემდგომ ცხოვრებაში ვერა ახერხებენ, რის გამოც კერ სულიერად, ხოლო შედეგად ხშირად ფიზიკურადაც ნადგურდებიან. სოფლიდან ახრად ადამიანთა, „უბნიათა“ ჩადრენობის

ზრდაც რომანში გააზრებულია როგორც გარდასული ეპოქის, ახალ კაპიტალისტურ წარმოებათა განვითარების ნიშანი, როგორც საერთო „მეტაფიზიკური კრიზისის“ გამოხატულება... „ხმა მღალაღებლის“-ში არსად არ გვხვდება ე. წ. „უბინაობის ესთეტიკაცია“, დაშინაობათებელი თანამედროვე მსოფლიო, განსაკუთრებით კი, იპოუნური მხატვრული ლიტერატურისათვის, როდესაც პერსონაჟები უდიდობენ „უბინაობა“ „ბინად“ („კომფორტად“) აქციონ...

მთლიანობაში — რომანში ასეთი სურათი იხატება — სოფელი წიფლნარის დიდი ნაწილი, ძირითადად ახალგაზრდობა, აყრილია, გაფანტულია, მოწყვეტილია შოშლიურ სოფელს მიწას, მოდებულია მსოფლიოს, უპირატესად, იმპერიის სხვადასხვა მხარეს (იგულისხმება, რომ ანდოგიური ვითარება სხვა სოფლებშიც). თუ პერსონაჟთა ერთი ნაწილისათვის გზა, მოგზაურობა, გზაში ყოფნა ცხოვრების ერთ მომენტად რჩება, მეორე ნაწილისათვის — მთელი ცხოვრების მოწოდებად, არსებობის ფორმად იქცევა (იხსენ, ვასო, ივანე ზახაძე, რამაზი, ბენია...) — ამ განუწყვეტელ მოძრაობაში, გადაადგილებაში, „მოგზაურობაში“ მათი თვითგანმორციელება და თვითდამკვიდრება ხდება...

ერთი სოფლიდან, ოჯახებიდან წასულ პერსონაჟთა გზები იყრება, ერთმანეთს სცილდება დროსა და სივრცეში და დროთა განმავლობაში პერსონაჟებიც ერთმანეთისათვის არა მარტო ფიზიკურად, სულიერადაც იკარგებიან (გაეხსენოთ რომანის საფინალო ეპიზოდებში თანასოფლმელებისა და ერთი ოჯახის წევრების შეხვედრა, — როგორი გაუცხოებულობა და გათიშულობა მათ შორის)...

რომანის მიხედვით, წიფლნარიდან, სამშო-

ბლოდან მიმავალ გზათაგან მხოლოდ ის გზა უნდადებოდა დადებოდა, ღირსეულად, სწორად პერსონაჟს კვლავ უნან, სამშობლოში მისი უკეთესი მომავლისათვის საშინაურში აბრუნებს, ხოლო ამ პერსონაჟთა გზები, რომლებიც სამშობლოს გარეთ წყდება, თუნდაც მთელი მათი მოღვაწეობა სამშობლოზე ზრუნვით იყოს აღსავსე, მაინც უარყოფით პლანში გაიზარება, რადგან სამშობლოდან მოცილებას ხშირად მათი ზნეობრივი და სულიერი წინსვლა არ ახლავს, პირიქით, მორალური და სულიერი დეგრადირება, ახლობლებისადმი, ნათესავებისადმი, სამშობლოსადმი სიუვარულის შესუსტება, გაფერქვარაობა, ყოველივე მშობლიურისადმი თანდათანობითი გაუცხოება, ჭეშმარიტი აღმიაწური ბედნიერებისა და სიბარულის შეგრძნების ატროფირება მოჰყვება... მათი მოუცილებელი, განუყოფელი ზედრეაქციონის, მიუსაფრობის, „უსამშობლობის“, „სულიერი უბინაობის“ „ტრანსცენდენტური უსახლკარობის“ შტაჟენული განცდა ხდება... ქ. ქოისის რომანის, „ახალგაზრდა მხატვრის პორტრეტი“-ს გზითა აცხადებს: მე არ მსურს ვემსახურო იმას, რისი რწმენაც აღარ შექნება — იქნება ეს ზემო სამშობლო, ოჯახი თუ ცელი... „ხმა მღალაღებლის“-ში კი, ისევე როგორც „უბინაობა“, დაახლოებით ასეთი კონცეფციაც იკითხება: ყველა შემთხვევაში აღმიაწის ხატი უნდა იყოს სამშობლო, „საბატე — მთელი ქვეყანა“, არასოდეს არ უნდა კარგავდეს საყუთარი ხალხისა და ქვეყნისადმი რწმენას, მთელი სიცოცხლის მანძილზე მის ერთერთ უმოკრეს, უწმინდეს და მარადიულ მოვალეობად უნდა რჩებოდეს უანგარო, თავდადებულ შრომა, ღვაწლი და ზრუნვა სამშობლოს სულიერი და მატერიალური კეთილდღეობისა და თვითყოფადობისათვის, ქვეშაობითი ბედნიერებისა და ნათელი მომავლისათვის...

გერცულ ბააზოვი

(პარტიული, მხარული და სოციალური პრობლემა)

გერცულ ბააზოვი მხოლოდ მშ წელი იყო-ცხლა, ამიტომ, ბუნებრივია, ვერ მოასწრებდა კრიტიკული თვლით გადახედვა თავისი შემოქმედებისათვის. ბევრი რამ ჩასასწორებელი დარჩა — ცხოვრების ისეთი რთული კოლიზიები შეამჩნიო, ადამიანურ ურთიერთობათა ისეთ პლასტებს ჩასწვდა, თავისი ნაწარმოებების რედაქტირების აუცილებლობასაც იგრძნობდა, მაგრამ სამწუხაროდ, არ დასცალდა...

დაიბადა 1904 წელს რაჭაში, ონში აღიზარდა, თბილისში მიიღო განათლება. პარტიულ მწერალთა და თეატრალურ მოღვაწეთა შორის ტრიალებდა, ახლო ურთიერთობა ჰქონდა შალვა დადიანთან, ბესო ედენტთან, კარლო კალაძესთან, ვიქტორ გაბისკარიასთან, იონა ვაკელთან, დიმიტრი ჩანელიძესთან, უჩა ჭაფარიძესთან. ესენი უახლოეს მეგობრად თვლიდნენ ებრაელი რაბინის ოჯახში აღზრდილ ჭაბუკს, რომელიც ლიტერატურაში ენერგიული და დამაჩვენებელი ნაბიჯებით მოდიოდა. თითქმის პარტიკულა ჭაბუკმა იმით დაიწყო თავისი შემოქმედებითი ცხოვრება, რომ სოლომონ ბრძენის — ებრაელთა დიდი მეფისა და პოეტის — „გალობათა გალობა“ თარგმნა ქართულ ენაზე და ჩაიხუთადაც თარგმნა (საერთოდ, არის რაღაც სიმბტომატიკური იმაში, რომ ებრაული პოეზია ქართულად ტრადიციულად კარგად ითარგმნება). უკვე ეს ფაქტი შეტყვევებს იმაზე, რომ ლიტერატურაში იოლი გზით სიარულს არ აპირებდა.

კოტე მარჯანიშვილის ახლოს ტრიალებდა, მისი დასტურით დაიდგა „მუნჯები აღაპარკდნენ“. შემოქმედებითი ურთიერთობა და მეგობრობა აკუმულირებდა ქართული სცენის მრავალ მოღვაწესთან. ნიკო გოცარძემ, პეტრ კობახიძემ, სესხილია თაყაიშვილმა, ვერციკ ანჭაფარიძემ, ალ. შორელიანმა და ვასო გო-

ძიაშვილმა შეხანაშნავი სცენური სახეები შექმნეს მის პიესებში.

გარდაცვალებამდე არც თუ ისე დიდი ხნის წინათ დოდო ანთაძემ გადმოშვა გერცულ ბააზოვისაგან მიღებული და ბააზოვისადმი გაგზავნილი წერილების ერთი ნაწილი. მიუხედავად იმისა, რომ მიმოწერა ამ ორი თანამოაზრის კონფლიქტურ პერიოდს ასახავს, დოდო ანთაძეს ეს წერილები მაინც შეუნახავს, „ქარიხათვის არ გაუტანებია“ — ამ ფაქტიდანაც ჩანს, რომ ისინი ახლო მეგობრები იყვნენ.

გ. ბააზოვი დაწერა რამდენიმე პიესა, მოთხრობები, დაიწყო დიდი რაზანი, მაგრამ მხოლოდ პირველი ნაწილის დამთავრება მოასწრო. ერთხანს საქართველოს მწერალთა კავშირის დრამატურგთა სექციასაც ხელმძღვანელობდა...

გ. ბააზოვის შემოქმედებით ცხოვრებას ორი უმთავრესი მომენტი განსაზღვრავდა და წარმართავდა — მისი ეროვნული ფესვები და დრო, რომელშიც სალიტერატურო ასპარეზზე გამოსვლა და მოღვაწეობა მოუხდა. მთელი მისი შემოქმედება ამ ორი ფაქტორის პროდუქტია. სწორედ ეს გარემოება განსაზღვრავდა მისი მწერლობის თეოთეორიულ ხასიათს დიდი ტრადიციების მქონე მრავალსაუკუნოვან ქართულ მწერლობაში. მეოცე საუკუნის ქართულ ლიტერატურაში აჩაგრთ თვალსაჩინო მწერალი იღვწოდა, მაგრამ, მიუხედავად ამისა, გ. ბააზოვი მაინც შეძლო თავისი მოკრძალებული ადგილის დაგვიდრება ზოთ შორის.

რას გვეუბნებოდა, რას გვახსენებდა გერცულ ბააზოვი, რა გაცვეთილი ჩავიტოვო, რა დიდიუბლების შემცველი იღვწო დაგვიტოვო მან, როგორც მწერალმა და მოაზროვნემ?

გერცულ ბააზოვი აშკარად გამოკვეთილი სოციალური მწერალია. მისთვის არსებობდა მხოლოდ ორი ფერა: შავი და თეთრი. შავი —

ეს იყო ბურჟუაზია, ჩარბულ-შევანშური სასო-
გადობა, რომელსაც მტკიცედ გაუდგამს ფეხ-
ვეთი რევოლუციამდე და რევოლუციის შემ-
დეგამ ქართველ ებრაელთა ყოფაში, ზოლო
თეთრი — ეს იყო ფაქტი ნათელ მოპყავლზე,
რომელსაც ზადებდა ქართველ ებრაელობაში
ხალხის რევოლუციური სულისკვეთება, ბძო-
და რევოლუციისათვის, თავგანწირვა მისი იდე-
ების გამარჯვებისათვის. გ. ბააზოვის რევოლუ-
ციური სულისკვეთებით ანიებულ ებრაელებს
მტკიცედ სწამთ ის, რისთვისაც იბრძვიან. მა-
თთვის მხოლოდ ერთადერთი გზა არსებობს —
გზა რევოლუციის, სოციალური ვარდამენისა-
კენ. ამიტომ მათს ღამის ეგზალტირებულ ბუ-
ნებაში საყუთარ მისწრაფებათა ქვეშარბიტებაში
დაუბეჭვებელი ადამიანების ყოფა იკითხება. ზო-
ლო რაცა ისე გწამს ცარაზის დამბობისა, რე-
ვოლუციის ვარდუვალობისა, როგორც იყა
რბინაშვილს სწამდა, მაშინ რევოლუციისათვის
თავგანწირვაც შეხალღებლად მიიჩნევა.

მთავარი ის ვახლავთ, რომ დრო, იქცა თა-
ვის გამოსახულებას პოულობდა როგორც ვე-
რცელ ბააზოვის პიროვნებაში, ისე მისი აზრო-
ვნების სისტემაში. მწერალი კი, მოგვხსენებთ,
დროის ვარდზე არ არსებობს. თუ მწერალმა
თავისი დროის ტენდენციები არ გამოხატა, თუ
მან მარადიულთან ერთად თავისი დროის სუ-
რათა, მხატვრული დოკუმენტი არ დაგვატოვა,
იგი პაერსი გამოიხატებულა, თანამედროვეობას
მოწყვეტილი აღმოჩნდება.

გ. ბააზოვი თავისი დროის სოციალურ ურ-
თიერთობათა შემატანეა, მაგრამ ეს არ ვახ-
ლავთ მისი დრამატურგობის, მთელი მისი ლი-
ტერატურული შემკვიდრების ერთადერთი
ღისსება. უმთავრესი იდეა, რომელსაც გ. ბა-
აზოვი თავისი შემოქმედებით ქადაგებდა — ეს
იყო ქართველთა და ქართველ ებრაელთა ერთ-
ობის, ერთად ყოფნის, ძმობისა და ურთი-
ერთგატანის იდეა. იგი ამ სულისკვეთებით აღ-
წარდა იგახმა, ვარემო, ხალხმა, რომლის წი-
აღწივც იყა. ამ მხრად დღე წვლილი მიუძღ-
ვის მამას, დავით ბააზოვს, სასულიერო პირს,
ერთობ განსწავლულ და ენერგიულ ადამიანს,
რომელსაც ხშირად გამოდიოდა რევოლუციამ-
დედ, თუ რევოლუციის შემდეგამდროინდელ
ქართულ პრესაში. არც იმას, რომ სასულიერო
პირი ვახლდათ, არც იმას, რომ დედაქალაქი
დან შორს, იწში ცხოვრობდა, არ შეუღლია
ხელი, აქტიურად ჩაბმულიყო სასოგადოებრივ
ცხოვრებაში. ჩვენი საუკუნის დამდეგის პრე-
საში ხშირად იხევებოდა მისი პუბლიცისტუ-
რი წერილები საქართველოს ცხოვრების მნიშ-
ვნელოვან პრობლემებზე. დავით ბააზოვი სა-
ერთაშორისო ღონისძიებებშიც მონაწილეობდა.
ჩვენი საუკუნის დამდეგს ერთ-ერთ ასეთ თავ-
ურილობაზე გულგამჭობრავი იყო მისთვის ვე-
როპისა და აზიის სახელმწიფოებიდან ჩამოსულ

ებრაელთა მოსმენა: ყოველი მათგანი გოდებდა
იმაზე, თუ ევროპის ამა თუ იმ ქვეყანაში
სახელმწიფოთა როგორ ჩაგრაფდებენ ქართვე-
ლებს, როგორ არხვედნენ და აწიოყენდნენ
მათ. როდესაც დავით ბააზოვის ქერი დადგა,
მან თავისი სიტყვა ასე დაიწყო:

— ქვეყანა საიდანაც მე ჩამოვედი, შორეულ
კავკასიაშია. მას საქართველო ჰქვია. ეს არის
ქვეყანა, სადაც არასოდეს არ ყოფილა ებრა-
ელობა რაზედა. მის შვილებს არასოდეს არ აუ-
წიოყებიათ ჩემი ხალხი და აგერ იყი საუკუნეა
ტკბილად და მშურად ვცხოვრობთ.

დავით ბააზოვის ამ სიტყვებმა თურმე გამა-
ოგნებელი შთაბეჭდილება მოახდინა აუდი-
ტორიაზე.

მე პირადად დავით ბააზოვის ადამიანურ
კეთილშობილების დასტურად მიმანია ის, რაც
1918 წელს ურანკურტში მომხდარა და რა-
ზეც 1915 წელს მკათხველს მოუთხრობდა გა-
ზეთი „სამშობლო“.

„1918 წელს ურანკურტში გამართულ კონ-
ფერენციაზე, როცა კონფერენციის თავმჯდო-
მარემ გენერალმა ლიფმონმა (საფრანგეთი) სი-
ტყვა მისცა დავით ბააზოვს, ასე წარადგინა იგი:

— მძებო, თქვენს წინ დგას თქვენი ძმა შო-
რეული ქვეყნიდან. ეს ქვეყანა შორს არის
ჩვენგან, მაგრამ იგი უნდა ახლოს იყოს უველა
ებრაელის გულში (კონფერენცია დღეი აღტა-
ცებით წამოდგა ფეხზე. დუმოლი). ევროპა-
დღეს ცდილობს ადამიანის სიუვარულის განზო-
რცილებას. ეს კი ქართველ ერს 2000 წლის
წინათ ჰქონდა შეთვისებული. ამის მოწყვა
მცხებოს ქალაქი და მისი პრეზიდენტი — შა-
მასხალიის, რომელიც დაუხვდა იერუსალიმის-
დან გამოსულ ებრაელებს პურ-მარალოთ. აქ
ისტორმა მძურად და დღევანდლამდე, თუმცა,
ბევრი ცდილება მოხდა ამ მშვენიერ ერში,
მაგრამ თავისი იდეალი ადამიანის სიუვარუ-
ლისა და მშური განწყობისა, მათში შეუც-
ვლილია.

ქართველ ერს შეუძლია ამაყად წარმოსთქ-
ვას: „ჩვენც ვყავთა მუფებო, სამღვდელობა,
მწერლობა, მაგრამ სხვა ერების დევნა ფიქრა-
დაც არ მოგვხვლიათ, ევროპის ძალებით დაქ-
ცულ სისხლში ჩვენი ხელი არ ვასვრიდართ“.
აი, ასეთია ქართველი ხალხი, საიდანაც ჩვენი
სტუმარი ჩამოვიდა.

კრებამ საწინელი ტანისცემა ატეხა და ხმა-
მალა გაიძლია: გაუმარჯოს ქართველ ხალხს
სოციალურ და ზედნიერება ქართველ ხალხს,
ბევრის თვალზე ცრემლიც გამოჩნდა, სასოგა-
დოება დიდხანს ვერ დამშვიდდა, გენერალმა
თავისი სიტყვა ასე დაასრულა.

— შეილებო, ანდერძად გქონდეთ, ვისაც
როგორ შეგვეძლოთ, იმით გამოხატეთ ქართველი
ერის სიუვარული“
ახე გაქმონდა საქართველოს ამბები საქარბ-

ველოდენ დავით ზაზოვის და აცნობდა უცხოელთ.

ამ დროზე მე მიხდა შოლომ ალიეხევის როშინის „ტევერ შერძევის“ ერთი ეპიზოდი მოვიხვედლო. აღბათ, ბევრს ახსოვს ეპიზოდი, რომელიც ტევერთან ურიადნაი შოლის და გამოცხადებებს, ამ კუთხიდან უნდა აუარათო ტევერის შერძეულების პასუხად ურიადნაი შეუტევი, — ეს ჩვენი დაბა ქალაქად უნდა გადაეკოდებ, ქალაქში კი თქვენ ცხოვრება გეპრძალდებათო. ასეთი ვაზლდათ რუსეთის ებრაელობის ჩვეულებრივი ურთა.

ასეთ სცენას ვერსად ვერ აღვივთ გ. ზაზოვის ლიტერატურულ შექმედებაში, რადგან უშუალო ცხოვრებისეული სინამდვილე არ აღვივდა მას ამგვარი სცენის შექმნის საბაზს. ამიტომ არ ვგვხვდება გ. ზაზოვის პროზასა და დრამატურგიაში ეროვნული წინააღმდეგობანი. როცა მაგალითად, „მუნჯები აღაპარადენენ“-ის, — პერსონაჟი დანიელ შათარაშვილი იხვისკიედ უვითელაშვილს, მის შვილს დავიდსა და სხვა ებრაელთ ეროვნული ტრადიციებისადმი ერთგულებას, სინამდვილეში კი ეროვნულ კარჩაბდობას შთაავრებს, მის ეროვნული ანტიტრენები არ ამძრავებს. ქერ ერთი იმიტომ, რომ ებრაელობა არახოდეს არ იზარებს კარჩაბდობის იდეას, მეორეც ის, რაც ამით ეროვნული მგონათ, რელიგიური უფროა, მაგრამ დანიელ შათარაშვილს არც ერთი ანტიტრენებს და არც შეიკრ — იგი სოციალური უპირატეობის შენარჩუნების სახელით მოქმედებს; თორემ მას რომ რელიგიური ან ეროვნული ანტიტრენები ამძრავებდეს, მაშინ თავის მოძმეთ ამ დღეში არ ჩაჯდებდა — მისი უწინარესი მიზანი ვარლამ ტატოშვილთან ებრაელობის, განსაკუთრებით კი ახალგაზრდობის დახლოებისათვის ბელისშეშლა. ამიტომ აეროთიანებს და აივციებს იგი რელიგიურსა და ეროვნულს. მან კარგად აცნობ: რელიგიური მოყრძალებულობისა და სათნოების წრედში მოქცეული ადამიანი სოციალურ ძალას არ წარმოადგენს და ასეთი ადამიანი იხისკიედივით შეიძლება უცვლელგარის სიახლეს წინააღმდეგ ბრძოლაშიც კი გამოიყენოს.

სწორედ ამის გამოა, რომ იგივე დანიელ შათარაშვილი და ხარტონ ახზიანძე, ერთმანეთისაგან სრულიად განსხვავებული რელიგიისა და ეროვნების ადამიანება, იოლად პოულობენ ერთმანეთთან საერთო ენას, რადგან მათ სოციალური შრეში აერთიანებთ. ხარტონ ახზიანძისეც იგივე საშინაოებით ეშქრება შერს სეფიაშვილის კომპეზირლობა, როგორც, მაგალითად, დანიელ უვითელაშვილს ვარლამ ტატოშვილის არტეობა უზიანწყებს მოშულის პერსპექტივას, რადგან მან კარგად იცის, რომ შერს სეფიაშვილი დამოუკიდებლად არავითარ ძალას არ წარმოადგენს. შეიერ სეფიაშვილი

შეილოდ ვარლამ ტატოშვილის გავრდილია ის ძალი, რომელიც უნდა იქნებოდა ტევერის მას და ამ ადამიანებს, რომელთაც შათარაშვილი უცვლიათ ცხოვრება, უფრო მეტაც შეხატლა, ამ კავშირმა მისი ცხოვრების მიმართულება შეცვალს. ამიტომ დანიელსაც და ხარტონსაც ისევე სწულთ სეფიაშვილი, როგორც ტატოშვილი. მართალია, ხარტონი თავისი ერთგულ საუბარებს უძებნის თავის დამოკიდებულობას ებრაელობისადმი, როცა აბრამ სეფიაშვილს, დავიდს და სხვა დარბაზ-დტატი მიზაროთავს, — თქვენ ურებიე ხართ, დანიელი კი ებრაელიო, მაგრამ ესეც კლასობრივი ახსნა ურთიერთობებისა. ამისთვის მდიდარი ახლობელია და ებრაელს ეძახის, რაც მისი ვაგებო, დანიელ შათარაშვილისადმი პატივისცემას გამოატრდება, მისი ვანიერებასა და შორჭმულობის დადასტურებაა, ხოლო ღარიბებს ურებიე უწოდებს. ამ დამკინებელ მიმართვაში სოციალურ ვაგებას აქსოვს და მისი ეროვნული სიპაოთა — ანტიპატივიც კვლავ და კვლავ კლასობრივ ტალღაზე რჩება: მდიდარი კაცობრაეობა და მისდამი პატივისცემით უნდა იყოს გამსჭვალული, ხოლო ღარიბი — ურია და ამდენად შეიძლება ჩაწიფლო ასეთი ხარტონის მოძალი, მისი ეროვნული სიყვარულსიძულვილას ფილოსოფია, რომელიც მისსაც კლასობრივ შრეში იღებს სათავეს.

უკვე ვაგადენთო, როგორ არის განხილული ვერცხელ ზაზოვის დრამატურგიაში ქართულია და ებრაელია ურთიერთობა, რა მისიას, რა ფუნქციას ასრულებს ქართველობა ებრაელობის სოციალური ურთის გარდაქმნაში და მისით. დღეს ცხადია, რომ ვერცხელ ზაზოვის წილად ზედა შერსლური ბედნიერება ქართველი და ქართველი ებრაელობის ურთიერთობაზე ელაპარაკა და ჩვენს შერსლობაში სრულიად ახალი თემა შემოიტანა. უცველი მწერალი თავისი ერის შვილია, მისი ფესვებით საზრდოობს, და, ამდენად, მწერლის ბედს, ხასიათს, შემოქმედებით ენერჯიას განაპირობებს არა შარტო საკუთარი, შრომლიური ერის ფსიქოლოგია, ისტორიული გამოცდილება და ეროვნული ბუნება, არამედ პოლიტიკური და სოციალური ვითარება და ის ფუნქცია, რასაც მას მოვლენათა ისტორიული ვანივითარება აუჩრებს.

შეშოთ ვავისხენეთ შოლომ ალიეხევის „ტევერ შერძევის“ ერთი ეპიზოდი, რომელიც გამოხატულება მხოვა ებრაელია ურთა მეფის რუსეთის იმერიაში. მწერალმა ხატონად ვეაჩვენა ვატოვში გამომწვევდულ ებრაელია მდგომარეობა. იმას, რაც მეფის რუსეთის ებრაელობის თავს ტრიალებდა, შეზღუდვა არც ეთქმოდა, რადგან შეზღუდვა მაინც კანონის მარწუბუნში მოქცეულ, მართალია, მეორე, მაგრამ მაინც გარკვეულ თავიუფლებებს გულისხმობს. ებრაელებს უფრო უკრძალავდნენ, ვა-



დრე ნებას ჩაიადნენ. ამიტომ მათ ყოფას აკრძალეს უფრო ეთქმის, ვიდრე შეეღუფა — მათ, არსებითად არც ჰქონდათ არჩევის უფლება, ან თუ ჰქონდათ, შეეძლოთ მხოლოდ ცუდმა და უფრო ცუდს შორის აერჩიათ.

როგორც ვიცით, რუსეთის იმპერიაში, ცარიზმის მიერ ებრაელობა დევნას განიცდიდა. ამ გარემოებაში განაპირობა კიდევ ებრაელობა ეროვნული ძალების კონსოლიდაცია, დააჩქარა და მოამწიფა ეროვნული და სოციალური წინააღმდეგობის უაღრესად მნიშვნელოვანი პროცესი. ამგვარი პოლიტიკის მექანიზმთა ცარიზმში თავისებურ მახასიათებლებს წარმოადგენდა. ეროვნული ჩაგვრის პოლიტიკა ახალ თაობებში ცარიზმისადმი სასტიკი სიძულვილის გრძობას აღვივებდა. სოციალურ უთანასწორობას, მეფის შობელებთან მხარე სხვა ხალხებისადმი დიდიშეკრბულურ, შოვინისტურ დაპოყვნილებებს ემატებოდა ებრაელებისადმი ისეთი მოპყრობა, როგორც შოლომ ალიევიმს აქვს აღწერილი, დევნა, რეპრესიები, ე. წ. „პროგრომები“ კიდევ უფრო ააშკარავებდა ცარიზმის რაობას. ეს ბელს უწყობდა რევოლუციის უამრავი ქარაყაცის აღწრდას და ჩამოყალიბების მეფის რუსეთის ისეთ რევოლუციებში, სადაც ესოდენ სასტიკი და უღმობელი იყო ცარიზმის პოლიტიკა. რაც უფრო სასტიკი და სულიწმინდით-ველი ხდებოდა მეფის რუსეთის ეროვნული პოლიტიკა, მით უფრო მეტ ზიზს იწვევდა იგი ხალხში, მით უფრო მეტად აღვივდა რევოლუციური სულისკვეთება. ამიტომ სხვა ერის შეილებთან ერთად ებრაელებიც აქტიურად აბრძოდნენ ცარიზმის წინააღმდეგ, რამაც გერცელ ბაზოვიც შემოქმედებაშიც ჰყოვა ასახვა.

მაგრამ რევოლუციის შემდეგ იწყება განთავისუფლებული, მოქალაქეობრივ უფლებებში აღდგენილი ერის აღორძინების პროცესი. ერთ თავს წიაღში შობს მეცნიერების, კულტურის, ტექნიკის უდიდეს მოღვაწეებს, რადგან მას საშუალება ეძლევა საკუთარი პოტენციის გამოვლინებისა. დღეს ყველასათვის ცნობილია ებრაული წარმოშობის რამდენი მოღვაწე შესძინა რუსული და სხვა ერების მეცნიერებას და კულტურას ამგვარმა პოლიტიკამ — განთავისუფლებულმა, ცარიზმის უღლისაგან თავდახსნილმა ხალხმა შეძლო თავისი თავის, თავისი მდიდარი შესაძლებლობების გამოხედვა. უცნაურია, მაგრამ ფაქტია, რომ ეს პროცესი არ შეინიშნება საქართველოში. საქართველოს ებრაელობას არც ქართული კულტურისათვის და არც მეცნიერებისათვის არცერთი ასე თუ ისე მნიშვნელოვანი მოღვაწე არ აღუზრდა, არც ადრეულ საუკუნეებში და არც შეცხრამეტე საუკუნეში. რა უნდა იყოს ამის მიზეზი?

ეს ერთ-ერთ უმთავრეს მიზეზად, რომ ებრაელობამ საქართველოში ვერ გამოავლინა

თავის ეროვნული პოტენციის და შეიძლება ითქვას, სრულიად ვერ წააშველა მისი კულტურის, მეცნიერების განვითარება. როგორც ეს სხვა ქვეყნებსა თუ რესპუბლიკებში მოხდა, ვფიქრობთ. მიჩნეული უნდა იქნას ის ვითარება, რომელიც იგი აქ იყო ჩაყენებული.

რუსეთის იმპერიის სხვა კუთხეებში ებრაელები, როგორც უკვე აღვნიშნეთ, გაუწელებელ დევნას განიცდიდნენ, რამაც თანდათან ჩამოყალიბა ეროვნული წინააღმდეგობის ძალა და ეროვნული პროტესტის ინტენსივობა. მეფის რუსეთის საქმელებში გააძლიერა შემოქმედებისა და ბრძოლის, წინააღმდეგობათა გადალახვის დაუკლებელი წუჭრელი. ეს თავდაცვა, ერის ფიზიკური არსებობის შენარჩუნების ერთ-ერთი ფორმა გახლდათ. საქართველოში კი ებრაელი კაცო იმთავითვე ახლომდებ და ქირის მოზარედ მიიღეს. მცხეთაში ებრაელთა პირველი კოლონიის გაჩენიდან (დაარსებიდან), როცა მცხეთის მამასახლისმა ებრაელებს აქ სამოსახლო ადგილები უბოძა, თითქმის ოცი საუკუნე გავიდა, მაგრამ დღემდე საქართველოში ებრაელთა რბევის, აწიოების არცერთ შემთხვევას არ ჰქონია ადგილი, პარაქით, ყველასათვის ცნობილია, როგორი ერთგულებით იცავდნენ ქართველი და მათი მეფენი ებრაელთა სხვათა რბევა-აწიოებისაგან. თავის მხრივ, ამ ოცი საუკუნის განმავლობაში არც ებრაელებს არ უნაღვლიათ ქართველთა ეროვნული ინტერესებისათვის. ერების ასეთი ურთიერთობა მსოფლიო ისტორიაში თითქმის უნიკალური მოვლენაა. ებრაელობა ამ მიწაზე იმისათვის მოვიდა, რომ ფიზიკური მოსაპოვისაგან ეხსნა თავი და ქართველობაზე შეიფარა იგი, ვადაარჩინა, ვადაარჩინა არა მარტო ფიზიკურ განადგურებას, რაჟლოც, რწმენაც შემოეხსნა.

XII საუკუნის გამოჩენილი მოგზაური, ბენიამინ ტულეველი, ქართველ ებრაელთა შესახებ წერს: „მიუხედავად იმისა, რომ ქართველი ებრაელები, ისევე როგორც რაგი სხვა ქვეყნების ებრაელები, სულგარად და სარწმუნოებრივად ზაბლონის ეგზარქოსს (ანუ რუმ გალთოს) ვაღვთობს ქვეშ იმყოფებიან, საქართველოში ძალიან კარგად გრძობენ თავს, არავითარ შევიწროებას არ განიცდიან, მაშინ როდესაც ქართველთა მეზობელ სომხეთში მათ კარგადან დევნიდნენ და აგერ უკვე ერთი საუკუნეა, სულაც ამოიკვეთეს ფეხი სომხეთიდან“.

ვფიქრობთ, ამით ბევრი რამ საცნაურდება, კერძოდ, ქართველთა ერის ის სულიწმინდეობა, რასაც დღეს ინტერნაციონალიზმს ვუწოდებთ და რაც ქართველობას მაშინაც აქ ჰქონია ვან-მესგან სახესხებელი, როცა ზოგნი მშობლიური მიწებიდან აყრილი ერების რბევა-აწიოებაში ხედავდნენ ეროვნულობის შენარჩუნების გაპარტიას.



აი, ამ მიზეზით არ მოხდა საქართველოში ებრაელობა ერთნაირი ძალების კონსოლიდაცია, დამპირსპირებული ძალის უქონლობამ ამ ერთნაირი თავდაცვის ინსტიტუტები ვერ გამოაღვამა და მის მთავარ მიზნად აქცია არა ვადარჩენა, არამედ თავის გამოკვება. უფროა ერთი, მითუმეტეს ისეთი მცირერიცხოვანი, როგორც ებრაელობა ვახლავთ, დიდი ერთნაირი განსაზღვრის უამს იყრებს ენერჯიას და ახდენს ძალთა მაქსიმალურ დამახვას. ქართველობა კალთას შეუფარებული ებრაელობის მშვიდობიანმა ყოფამ კი ერთგვარად მოაღუნა მისი ერთნაირი პოტენციული კერ შეაქმნევინა დიდი ლიტერატურა, მეცნიერება, ხელოვნება. საქართველოს ებრაელობას ქართველობა კაცთმრავალად, ინტერნაციონალურად ბუნების წყალობით ამ ოცი საუკუნის განმავლობაში არასოდეს არ დადგომია მკაცრი, სულის დამაზრობელი პერიოდი, ესეც უნდა იქნას მიჩნეული იმის მიზეზად, რომ ქართულმა ებრაელობამ თავის წიაღში ვერ შეა ისეთი მორღვევნი, რომლებიც რაიმეს შესატყვისდნენ ქართულ კულტურას და მეცნიერებას. ამ მხრივ, ქართული კულტურის ისტორიაში პირველ ბედნიერ გამოწაკლისად გერცელ ბაზოვი მოგვევლინა. ბუნებრივია და ნიშნადობლივი ის გარემოება, რომ ეს ოქტობრის რევოლუციის შემდგომ პერიოდში მოხდა. რთის პიესიდან ცრადღობამ, რომ არქივებში სხვა ნაწარმოებებიც უნდა იყოს) ორი — „მუნჯები აღაპარკდნენ“ და „იკა რივინაშვილი“ — ხამულდომოდ დაუკავშირდა ქართული დრამატურგიასა და თეატრის ისტორიას. მესამე — „განურჩევლად პირკვნების“, რომელიც 1938 წელსა დაწერილი, ჰევინს აზრით, ერთობ კონსტიტუტურად პიესას წარმოადგენს. საყურადღებო ნაწარმოებად მიმანია მეოთხე პიესა „დიდღეაშარი“, რომელიც ქართულ დრამატურგიაში შეიძლება განსაკუთრებულ მოვლენად იქ ჩითვალოს, იმდენად სექციციურია აგი თავისი პრობლემატიკითა და სტილით. და თუ მიხედვამიან ანალოგებს სტადენით, შესაძლოა, პოლიკარე კაკაბაძის „ტყის ქალებთან“ ჰქონდეს მას რაიმე საერთო. ნიშნადობლივია ისიც, რომ „დიდღეაშარ“ პირველი პიესაა გერცელ ბაზოვისა (ყოველ შემთხვევაში დღემდე ცნობილი პიესათაგან) და დაწერილია 1928 წელს 24 წლის ჰაბუის მიერ. აგი ფილოსოფიური ხასიათის ნაწარმოებია, როგორც მიწანდასახულობით, ისე შინაგანი სტრუქტურით. ვტიქრობთ, მდგომარეობას დიდად არ უნდა სცვლიდეს ის გარემოება, რომ „დიდღეაშარ“ გადმოკეთებულია პოლონელი მწერლის, ბენ ამარის „ქველი კოშკიდან“. როგორც ბ. მდღენტი აღნიშნავდა, ეს გადმოკეთება პირბით ხასიათს ატარებდა, რადგან, გ. ბაზოვიც პიესასრულადად ახლებური გაზრებით, სხვა სიცოცხლური ურთიერთობებით წარმოადგენს, მას-

ში სიუჟეტიც შეცვალა და მოქმედ პიესა და მოკლებულბანიცო. **საქართველოს კომუნისტური პარტია**
 ამ პიესაში გერცელ ბაზოვი არაა კონსტიტუტდროს, არ მიუთითებს მოქმედების ადგილს, მაგრამ, ვტიქრობ, მაინც ცდებოდნენ ლიტერატურის ის კრიტიკოსები, რომლებიც მწერალს პიესის ერთგვარ განუენებულობასა და აბსტრაქტულობას უყიენებდნენ. შეიძლება დროც მიუთითო, ადგილიც და ეს დრო და ადგილი ერთობ კონსტიტუტული იყოს, მაგრამ მაინც „განუენებული“ ნაწარმოები დაწერო. გერცელ ბაზოვი ამ პიესაში აკონსტიტუტებს სათქმელს, პრობლემას და არა გარემოს, რადგან, ის, რაც მას აღუევებს, შეიძლება, ყველგან ხდებოდეს. ამპიებსაში სამი საზე-სიმბოლოა, სამივე გარკვეული სოციალური და ფილოსოფიური აზრის მატარებელი. ესენია: იოაკიმი, რაწაელი და დილღეაშარი. სამივე საზე-სიმბოლო აქტუალურ თემას მოიცავს და მათი სიუჟეტური თუ აზრობრივი ხაზების გადაკეთა წარმოქმნის კონსტიტუტურ სიტუაციას პიესაში. ვიდრე ამ საზე-სიმბოლოთა რაობაზე შეგეტრდებოდეთ, ვნახოთ რა გარემოში ვითარდება მოქმედება.

აი, დრამატურგის რემარკა:
 „ქალგარეთ, შოაგე დგას უძველესი სასახლე. მისი სახურავის თავზე აღმართულია მაღალი კოშკი, რომლის წვერი ძლივს მოჩანს. სასახლის კედლები და კოშკი მტკრიანი და ბნელია. ხვრელებიდან მოჩანს გაყვითლებული ხავზი. დაციკლით რკინის ჰიშკარი დაფარულია საუფრეების ცანკით. შავი დარბაზები, რომლებიც ჩამოშავებულია შვინით, მტარავენ ფანტრების რაკულებს და არ შეიძლება დანახვა, ან გაგება იმისა, რაც ხდება აქ.

სასახლის წინ დიდი და ფართო მოედანია“ და შემდგომ კოშკის შიგნითა საშუარო:
 „ფარდის ახდისას სციენაზე სიბნელია და არაფრის გარჩევა არ შეიძლება. პატარა ხნის შემდეგ, უკანა ფარდებიდან მოახსის ნაბიჭების და ლაპარაკის ხმა, თთქოს ხელებს აფაოთრებენ საბნელეში და ეძებენ კარებს.

ხმები და ნაბიჭები თანდათან აბლოვდება. მარტნიდან იღება კარები, რომლის ხვრელიდან მოჩანს მკრთალი სინალის ზოლი, რომელიც მიაგავს ბნელ ღამით მინდორში ანთებულ წუმწუმის შუქს.

კარებში დგას რიწაულ, ხელში უტირავს ჩირადღანი, რომლის შუქზე მოჩანს ცარიელი ოთახი. არავითარი ავექუელობა არაა. კედლის ფერები გახუნებულია და ძნელი გასარჩევია: თეთრი, შავი თუ ყვითელი. აუარებელი კარებია“.

ესაა გარემო, რომელშიც პიესის მოქმედება მიმდინარეობს. კოშკის წინ ეზო და თავად ქვე-



უნერებასავით ძველი, მტკვრწაერილი კოშკის ცარიელი ოთახები. კოშკი კი, რაც უფრო მაღლა მიიწევდნ პიესის გვირგვინი, მით უფრო „ხავსმოდებულა ვარემო“.

ახლა კი ადამიანების, კონკრეტულად კი ამ ადამიანების შესახებ, რომლებიც გარკვეული სიმბოლოს მატარებლად გვევლინებიან.

იოაკიმი. ზოგადად, გაწეწებულად, მას შეიძლება ბნელეთის დამცველი უწოდო, მაგრამ პიესაში ადამიანის მფარველობის, ადამიანებისათვის ზრუნვის იდეის საკმაოდ კონკრეტული ცხოვრებისეული სახეა. იგი შოთაშავლია ირე-აღური დიდ შთავარსა და ზალბს შორის. დამდენად ზალბის მფარველის, მისი გულიანობის დიდ შთავართან მიმტანის ფუნქციას ასრულებს თითქოს. იოაკიმი არამარტო სიძველისაგან ფერდუარვულ შორსვეულ, ომბოკიდებულ კოშკში მყოფ ირეაღურ შთავარს იცავს გარშემო ძალისაგან, კიდევ ორ დიდ შიხას ასრულებს: შთავარს ჩაგონებს ზალბის სიუვარულს, შთავარს შენობოვს, რომ ზალბს ღოცვა-კურთხევა, ქანმრთელობა და სიუხვე უბოძოს და, ამვე დროს, ზალბს შთავარსადმი ერთგულებას ჩასძახს. იოაკიმის ვაგებით, მივლი ამ კუთხის ზალბის ყოფა, კეთილდღეობა, შოთაშავლი დამოკიდებულა იმაზე, თუ როგორ უერთგულებენ ისინი შთავარს. იქმნება სიუხვრენისა და ზალბის ურთიერთობის ისეთი შოდელო, როცა სიუხვრენი — ქაღოსანი შთავარა — თავისი რჩეულის (კონკრეტულ შემთხვევაში იოაკიმის შიგნებით ვარმართვს ზალბს. მაგრამ იოაკიმი დღეს არ ვარნაღა. კოშკის ვარენის დღიდან იოაკიმის არნაღა. იუ ორ საქონო. დღევანდელ იოაკიმს წინაპრები მუჯდა. ეს მათ ჩაწერეს ძველ პერგამენტებში, რომ „მაღლა კოშკის უმაღლეს სართულებში ჰვალბენ შვაღობელი ჩიტები, ამწანებულა ზალბი ჩაოკდებულა იქ, მაგრამ, ბროლის დარაბებისა და ადამის ოთახები“.

ჩიწველ. მაგრამ ზალბის ყოფა მინც არ უმჭობესდება — ზალბი დღითი-დღე საუვალლო მდგომარეობაში ვარდება. ზალბი ამაოდ ელოდება ქაღოსანი შთავარს წუღობას და ბრძეობს, შვიტრები, მუნქები, კეთროვანი, მათხოვარნი და სხვა ნაქლოვანი ამაოდ ელიან შვეღას. და აი, ზალბში იზადება იმედი, ბრძოლა, პროვარესი. ეს იდეა შოაქვს ჩიწველის სახე-სიმბოლოს. ესაა „სახე მტკიცე და გონიერი, თვალები ღრმად შვირალი, ცქერა — გამძლე დე მტრელი, ტურნები ნაზა და შეუბოვარი, მბრები ფართო, ხელები — მაგარი და ძლიერი, ცისტრა — მძლეური და მძალი, ნაბიჭები — გრძელი და მშვიდი, მისრა-მობრა მტკიცე და ნელი. ძნელია მისი წლოვანების განაზღვრა, ხანდახან ის მკავს მოხუცს, რომელსაც შერჩენია ახლავარდობა და ხანდახან კი მკავს ახალგაზრდას, რომელიც უდროოდ მოხუცებუ-

ლა“. ესაა სახე-სიმბოლო სიყვითისა, ხალხისათვის ბოლომდე თავდაუზოგადობის, მისცქენი-წინა თავის ოც თანამებრძოლად [დრე] დრეღღამართან ერთად შევიდეს კოშკში. ავიდეს სულ მაღლა, მაღლა, ეახლოს ქაღოსან შთავარს და სობოვოს, მოწულებს მოიღოს ზალბზე, ვარწუნოს სწული, მამდარპოს — შივირი, დანწველოს მარტოდ ჩრენილი და ა. შ. ამისათვის ეს ჩირადდანიანებულა კაცი არავითარ სირთულეს არ ეჩიდება, არც იოაკიმის გაფრთხილებას დაჯიდეთ რამედ. იოაკიმი კი მტკიცედ ჩაგონებს, რომ კოშკში ბევრი შენსულა, მაგრამ არავინ უკან აღარ დაბრუნებულა, შთავარსმდე ვერავის ვერ მოუღწევია, რადგან შთავარის საყოფელი მაღლა, ძალიან მაღლა, ღრუბლებთან ახლოს.

ურყევია ჩიწველისა და მის თანამებრძოლთა ნება. ისინი შეუტყვენ ძველ კოშკს, მიიწევენ მაღლა-მაღლა, თუმცადა, ჩიწველის ამ საქციელს — ზალბის ინტერესებისათვის ბრძოლას — ჩიწველის თითქმის ყველა თანამებრძოლი ეწირება.

ასე რომ ჩიწველი ზალბისათვის თავდადებული ადამიანის სახე-სიმბოლოდ გვევლინება. ამ ბნელი მოცულ სამყაროში ის ანთებს იმედის ჩირადდანს. ამ ჩირადდანს თან მიჰყვება ათასობით ადამიანის სასოება. იგი ზალბის შვაღია, მის წიაღში შობილი და მისთვის თავდადებული. ამიტომაც იბრძვის ასეთი თავგამოდებით — არც საყუთარ თავს ენდობა და არც სხვებს. არც საყუთარ თავს აძლევს შევება და არც სხვებს — მოღუენების, ბედთან შეარიგების, დანებების საშუალებას.

დილღეამარ. ყველაზე უფრო განზოგადებული ფიგურა ამ პიესაში მინც დილღეამარს ვახლავთ, სახე-სიმბოლო არა თავგანწირვისა საერთოდ, არა ზოგადად ბრძოლისა, არამედ კონკრეტული ვენების, კონკრეტული შტრის წინააღმდეგ მებრძოლი. მისი ყველი ქმედება მოვლენათა რაციონალური კვრეტისა და განსჯის შედეგაა.

პირველსავე სცენაში გ. ბააზოვი წერს რემარკას, რომელიც მის სულიერ მდგომარეობას გვახასიათებს: „დილღეამარ სდგას ჩიწველის გარდით და მის თვალბში მოჩანს დიადი ვარძობა სიუვარენისა, რომლითაც ვამშვეაღულია ჩიწველისადმი. შესცქერის ჩიწველს თვალბში და აღფრთოვანებულა მისი ყოველი ხიტყვიო“. ამ დროს იგი სულით ხორცამდე მიიღობა სახალხო გვირს, მაგრამ შემდგომ მოვლენათა განვითარების შიგნებით იცვლება მისი ჩიწველი, ზალბის განთავისუფლების გზების გარეა. აქ ყურადღება უნდა მივაქციოთ ერთ ვარშოვებს. ჩიწველს ღრმად სწამს ქადოსნური შთავარის არსებობისა, დილღეამარ კი რწმუნდება, რომ იგი არასოდეს არ არსებულა, ფიქციაა, მირაჟია, რომელიც ზალბთა

დამონებისათვის მოიგონეს. ხალხს შეუქმნეს კერპი, დედაება, რომელიც არასოდეს არ არსებულა და რომელსაც საუკუნეების მანძილზე ეთაყვანებოდნენ. სწორედ აქ იყო რიწაელებისა და დიღელეშების გზები. დიღელეშარი რწმუნდება, რომ იქ, მაღალ კოშკში, კი არ უნდა იქნებოდა ადამიანთა ბედნიერება, არამედ დედამიწაზე, ადამიანთა სულელებში უნდა მოსპო და გადამეტერო მოსობის, შორილები ავადმყოფობა. ამიტომ დიღელეშარ რიწაელს მოუწოდებს, უკან დაბრუნდნენ და ბრძოლა აქ განაგრძონ, ე. ი. მათი მიწარათება, სურვილები მიწიერი იყოს. სწორედ აქ იკვებება დიღელეშარისა და რიწაელის სიუეტური ხაზები: პიესაში, აქედან იწყება იდეის (ხალხთა თავისუფლებისათვის ბრძოლის იდეის) სული სხვაგვარი განვითარება. რამდენადაც მტკიცედ სწამს რიწაელს, რომ ბორცვება მხოლოდ იქ, მაღლა, კოშკში უნდა მოაკეთოს, იმდენად, მწარეა და სავალდო მისი და მის თანამებრძოლთა ბედი. თანამებრძოლი მიმართავს:

„შეგვაციდნე ტყუილით და სიკრუით, ზვენი გერწმუნეთ და წამოგვეთო, ხელში გვეპარა მხოლოდ ერთი დიდებული დათენილი ნაპერწკალი — და ზეცაში შეგვიარდი შვეს... გქონდა მხოლოდ ერთი პატარა ტყუილი და გველაპარაკებოდი დიდ სიშარბულზე.“

ხოლო დიღელეშარი ასე მიმართავს რიწაელს:

— დიახ, შე ვეძებ გზებს უკან, დედამიწისაკენ, რადგანაც დედამიწას შეუძლია ხსნა. შე შენ მყვარად მიიღი არსებობ და წამოგვეთო ბრძოლა, წინადაუბედავად, შენი გულსათვის შე არ ვყოფიდი არავითარი შიში. შენი გულსათვის შე დავივიწყებ ხალხი, მაგრამ ახლა, როდესაც თავლები ამხილი და დამარწმუნე, რომ უდიდესი შიშანი — ეს არის ხალხისათვის შევლა — შე გადავეწყვიტე უკან დაბრუნება. გესმის, რიწაელ? უკან დაბრუნება არა იმიტომ, რომ შე შემიწინადა, არამედ იმიტომ რომ არ ჩავიდნო მეორე შეცდომა. შე მწამს, რომ ხალხისთვის გინდა მოიტანო ბედნიერება, მაგრამ გზა, რომლითაც შენ გინდა ხალხის გახედნიერება, უაღბლოა, ბედნიერების გზა არ არის ბნელ კოშკში და უპატრონო სიერცეში. ერთეულები ვერ იხსნიან მილიონებს. მილიონები თვითონ იხსნიან თავის თავს. საჭიროა მხოლოდ ამ მილიონების ამოქმედება, საჭიროა მხოლოდ ამ მილიონის ნებისყოფის გამოყენება. მაშინ ხალხი გახდება თავიზი თავის ბატონ-პატრონი და აღარ დასჭირდება მას რომელიღაც მთავარი წყალობა. შენ გულადი ხარ და უშიშარი, რიწაელ. შენ მართალია გადადგი სიბრველი ნაბიჯი, შემოქმედი ამ საიდუმლოებით მოკლულ კოშკში, მაგრამ აღარ გსურს გადადგა მეორე ნაბიჯი, შენ მხოლოდ თბობით და ხეყნით გინდა იხსნა ჩაგრული ხალხი.“

ასე შემოდის ამ მისტერიული მასიის დრამაში კლასთა ბრძოლის ის თეორიული მოქმედებითი გერცელ ბაბუშვიის თეორიული იდეოლოგიისათვის აქო დამახასიათებელი.

მართლაც, რიწაელის, სიუეტისათვის მებრძოლი ამ ადამიანის ხატი ძალიან ჩამოგვეს შუა საუკუნეების რაინდთა ხაზს, რომლებიც თავს სწირავდნენ ურჩხულებთან, დრაკონებთან ბრძოლაში, რომ ხალხისთვის შეება მოეტანათ, მაგრამ მათი ბრძოლა მანაც ერთეულთა ბრძოლა იყო ერთი კონკრეტული შტრის (ურჩხულის, დრაკონის) წინააღმდეგ, რაც ადამიანის რაინდული ბუნების წარმოჩენას უფრო იხსავდა შიშად, ვიდრე საერთოდ ბორცვების მოსპობას. დიღელეშარის ხაზს კი პიესაში შემოაქვს კლასთა ბრძოლის ის თეორია, რომელსაც ადამიანებისათვის მოაქვს შეება. მართლაც, დედამიწაზე ჩამოსული დიღელეშარი ხალხს შთაუწერავს სწმენას, რომ არ არსებობს არავითარი ჯადოსანი მთავარი (იგი მათს თვალწინ ივარპყობს ძველ კოშკსაც და მის მცველთაც იოაკიმის მეთაურობით), რომ უკლებლივ ადამიანის თავისუფლება თავისთავად ხელშია და თავადვე უნდა გაითავისუფლოს სული მთრობის სიძვირისაგან.

ამრიგად, პიესის სამი სახე-სიმბოლო — იოაკიმი, რიწაელ და დიღელეშარი — ადამიანის არსებობის სხვადასხვა მხარეს განსაზღვრებენ. თუ იოაკიმი ადამიანის დათრგუნვის სახე-სიმბოლოა, რიწაელი ადამიანებისათვის თავდადებას, მათი თავისუფლებისათვის ბრძოლ ბრძოლას გვიჩვენებს. დიღელეშარის სახე-სიმბოლო კი თავისუფლებისათვის თითოეული ადამიანის ბრძოლას ჩავგავიწყებს, — უკლებლივ ადამიანი თავად უნდა იყოს თავისი ბედის განმგებელი, ერთეულები ვერ იხსნიან მილიონებს, მილიონება უნდა იხსნიან თავის თავს.

საუკველთად ცნობილია, რომ მოკლე საუკუნის დრამატურგია დროაღორე მიმართავს კლასიკოსთა, ანტიკური ხანის პიესების ადაპტაციას, რათა ცნობილი, აღიარებული ნაწარმოების მეშვეობით სრულიად სხვა, თანამედროვეობისთვის აქტუალური სათქმელი მიწოდდეს მკითხველსა და მსურველებს. ვაიხსენებოთ დრამატურგიის ოსტატთა: ბრეტტის, დიურენშატის, ანუის გამოცდილება. ბრეტტმა და დიურენშატმა შექსპირის, ხოლო ანუიმ გერმანიის პიესები სრულიად სხვაგვარ, თავიანთ დროის სატყვარს დაუმორჩილეს, როცა მათ იდგური მიზანდასახულობა შეუტყდალეს (თუ ბოლომდე გულაბდილი ვქაჩებთ, ისიც უნდა ვთქვათ, რომ ნაწარმოების ასეთი ადაპტირება მანაც კომპრომისული ნაბიჯია კონიუნქტურისაქენ, რადგან ამ დროს ხდება კლასიკის დროის მოთხოვნებისადმი დამორჩალება. გავიხსენოთ თუნდაც შექსპირისა და შემდეგ

ბრეტის „კორიოლანოსი“ ევრაზიისა და შე-
შდეგ ანუის „ანტიგონე“. ვტყობთ, რომ ნა-
წარმოები კი არ უნდა იმორჩილებდეს პრობ-
ლემას, არამედ პრობლემა უნდა მქმნიდეს ნა-
წარმოებს.

როგორც ჩანს, ეს სურვილი ამოძრავებდა
გერცემლ ბააზოვისაც როცა ბენ-აბრაჰის ნაწა-
რმოებს მოჰკიდა ხელი და 24 წლის კვაბუმა
სწულად სხვა მსოფლმხედველობრივია შიშა-
რთულებდა მისცა მას. ფუჭ რეალურ ოცნე-
ბაზე აგებული ბენ-აბრაჰის ნაწარმოები სო-
ციალური ბრძოლის ვნებით დამუხტა და ადამი-
ანებს უჩვენა თავისუფლების გზა.

გერცემლ ბააზოვის პიესებს შორის „დილ-
დუშარა“ იმ თხზულებად გვაგვლივს, რო-
მელსაც კვლავ ძალუძს სამსახური გაუწიოს
სცენას, რადგან მისი პრობლემა, ფორმა, სოფ-
თეტური ხაზები, რიტმიკა, ენა და ვნებთაღე-
ღვა კვლავ თანამედროვედ აღიქმება. თუმცა-
და, ეს სრულიადაც არ ნიშნავს იმას, რომ
„იყუა რაინაშვილი“, გნებავთ „მუნქები ალა-
პარაკდენე“ არ მბადებდნენ სათანადო ინტე-
რესს. რასაკვირველია, ეს პიესები ინტერესს
საგანა, მაგრამ დღეს ისინი მანც 20-30-იანი
წლების ჩვენი ყოფის ლიტერატურულ დოკუ-
მენტად გველიწებია.

1928 წლის ივლისში გ. ბააზოვი ამთავრებს
ზემოსხნებულ დრამა-მისტერიას „დილდუ-
შარა“, რომელიც ყველა სხვა ზემოსხნებულ
თეიებთან ერთად თავისი რომანტიკული
სულიკვეთებითაც აქცევს ყურადღებას.

1931 წლის დამლევს — 1932 წლის დამ-
დევს იგი ამთავრებს „მუნქები ალაპარაკდ-
ნენ“. აქ გვაქვს სრულიად სხვა ყოფა, სხვა
სტილი წერისა, სხვა სამყარო. და შემდეგ:
გ. ბააზოვი მასში უფრო ეპიკოსად წარმოგვი-
დგება. ეპიურია წერის მანერა, ხასიათების
ძერწვა და, რაც მთავარია, დიდი გულისტიკი-
ვითი ერის დაბრეკებულობის გამო. არა
მარტო ეკონომიური სიბერავა გულსმოკე-
თილო, არამედ გონებრივაც. აზრობრივც-
თითქოს დასატარავდა ხალხი, ან წარტთვა ის
უმთავრები, რითაც იგი მომზობლავა და სინ-
ტერესო იყო, აქ არიან კეთილი და გულდრძო-
ლადმიანები, ადამიანები, რომლებიც გამოხა-
ტავენ გარკვეულ სოციალურ იდეებს, სწავლი-
ან, ან არ სწავლიან კოლექტივიზაციის წიფ-
რობა, მაგრამ, სამწუხაროდ, უდნარბი სიყა-
რიედე გაუმეებულა ირგვლივ — აღარსად
ჩანან თუნდაც რიწაელის მსგავსად გულ-
ანთებული ადამიანები, პიროვნებები, რომ ადამი-
ანური ვთქვან დილდუშარის ხასიათზე. უო-
ველიცე ეს კი იმ ანტირეაქციის, იმ ვარემოს გა-
მოვლინებაა, რომელშიც ეს ადამიანები ცხო-
ვრობენ და მოქმედებენ.

ეკონომიურმა სიღუჭიბრემ თითქოს გონებ-
რივადაც დაამბუნა ხალხი. შეწვრილმანებმა,

რომლებიც ებრაელები მისიდევენ, იმ ყოველ-
დღიურ მოცარონა მკვავს, ახანდრის მსგავსად
აძლევს ორგანიზმს. იგი ჩვენი უფროსი პიესე-
რე შემოსაველი, ცხოვრების წყარო. ხარბონ
აზიანიძის და დანიელ შაიარაშვილის კიდევ
ამოძრავებთ რაღაც — კოლექტივიზაციის
მტრები არიან, ყოველმხრივ უწლიან ხელს
კოლექტივის ჩამოყალიბებას, ეს სურვილი, ეს
დაუოკებელი წყურვილი შენაგან მოძრაობას
ბადებებს, რაც უფრო გამოკვეთილი და ზელ-
შესახებია იმდენად. რამდენადაც ცხოვრების
წილიდან მოდინ, ცხოვრების სიმართლით სა-
წრდობენ, ამას ვერ იტყვი ადამიანობის თავ-
მკდომარის მხა დვალისა და აქტორი კომკა-
შირდლის, ვაბტანე ტატიშვილის, თაობაზე —
ისინი სქემებად აღიქმებიან. კუმშარობებს კი
ქადაგებენ, მაგრამ ემოციას არ იწვევენ, თან-
გრძნობას არ ბადებენ.

აუტანელი, სულისშემძვრელი სიღარიბისა
და უპერსპექტივობის შარწუბებში არიან მო-
ქცეული ამ პიესის პერსონაჟები. სიღარიბითა
და უპერსპექტივობით ერთნაირად დიდამსუ-
ღლი და წილში გაწვეტილინი, მაგრამ ისინი
თითქოს ბოლომდე არ გაუწიარავს ბედს, —
არ განაცდიან იმ ეროვნულ შევიწროებას,
ეროვნული უცხოობის იმ გრძნობას, რაც ახე
აშკარაა შოლომ ალეიხმის ნაწარმოებებში...

საქართველოს რევოლუციურმა ტრადიცი-
ბმა უკარნახებს გერცემლ ბააზოვს, შედეგმა ქა-
რთულ თეატრში ერთ დროს ძალზე გახმაურ-
ებული პიესა „იყუა რაინაშვილი“. მართა-
ლია, ამ პიესაში მან მოკლენების ცენტრში
ებრაველი რევოლუციური მოღვაწე იყუა რა-
ინაშვილი მოჰკიდა, მაგრამ იყუა გავლენა
პორტრეტის ცენტრალური ნაწილია — მის
ირგვლივ კი არიან ეს ადამიანები, რომლებიც
რევოლუციურ მოკლენებს წარმართავენდენ,
განაპირობებდნენ და ახალ ქარისყაცებს წადი-
დნენ იმ მოძრაობისათვის, იყუა რომ გუფო-
ნოდა. ამ პიესის მიზნულია აშკარად ჩანს,
რომ გერცემლ ბააზოვი მეტასმედა დიდ ან-
გარიშს უწევდა დროის კონუნქტურას. ამი-
ტომ სადღეობოდ ამ პიესის ხაზები თითქმის
მოკლებულია კუმშარიტ სიცოცხლეს, იმ სიხა-
ლასეს, რაც ნაწარმოებს მარადიულობას ანი-
ჭებს.

მაგრამ ნათქვამია: შვერალი იმ კანონების
მიხედვით უნდა განსაქო, რითაც ის ხელმძღვა-
ნელიობდაო. ამ შემთხვევაში ამ პიესიდან ერ-
თადერბოი ხაზე. იყუა რაინაშვილის ხაზე, შეგ-
ვრჩება ზელთ. მე მხოლოდ იმას არ ვგულის-
ხმობ, რომ იყუა რაინაშვილის პორტრეტი
სიცოცხელით, შენაგანი მოძრაობით ხასიათდ-
ბა. იგი სმის განვითარების ლოგკით და ბე-
დის ფატალურობითაცაა ხანტირესო.

გაეხსენოთ, როგორია იყუა რაინაშვილი
პირველ სურათში — ცოცხალი, მოძრავი, აღ-



გუნებული — და როგორ ამთავრებს იგი სი-
ცოცხლეს. თითქმის ყველა რომანტიკულ პი-
ენსაში ასევე მთავრდება რომანტიკულ გმირთა
უფოა. ასე მგუნებარედ ამთავრებენ სიციცხ-
ლეს ისინი, ვინც პროგრესს, აზრს მოძრაობას
წინარეუდ ცხოვრებას, ირგვლივ კი მხოლოდ
წიასს ზედღვიენ. ის, რაც იცავს ირგვლივ ზღე-
ბა, რვეოდუციური მოძრაობა არ გაზღავთ,
ეს ცხოვრების ქაოსია, რომელსაც რვეოდუცი-
ურშია გუნებამ სარულად სხვა მიმართულება
უნდა მიხედოს და გარდაქმნის სულისკვეთება
და ელფერი მიანიჭოს. სიღარიბესა და უჭონ-
დაობაზე წუწუნი სულაც არ არის რვეოდუ-
ციური უფოს დამადასტურებელი. ეს ერთგვა-
რი სივავღაბეა, მაგრამ როგორც კი პიენსაში
თავს იჩენს ძალთა დაბირისპირებულობა, იე-
ვეთება მოძრაობა აზრისა, ერთმანეთს ენაც-
ვლებიან ბოლშევიკთა მისწრაფებები, მენშე-
ვიკთა პრეტენზიები და, ასე ვთქვათ, სიონის-
ტური გუნება-განწყობილებანი (იებიელის ხა-
ზი) და უოველიავე ეს აიარებლება იცავს სულ-
ში, ნაწარმოები უყვე საინტერესო ზღებდა. იე-
კა ცოცხალი გმირთა იმიტომ, რომ იგი არ არის
წინასწარ გამოადებული კლიშით წარმოდგე-
ნილი. მას არ გააჩნია ის ერთხაზოვნება, რაც
უფორმულსა და მისაწყენს ზღებდა რვეოდუ-
ციის გმირთა ლიტერატურულ სახეებს. იცა
რთენაშვილმა სტერეოტიპული რვეოდუციურ-
ი გმირებისაგან განსხვავებით სიუჟარულიც
იცის, ბრძოლაც, შინაგანი წინააღმდეგობრიო-
ბაც ახასიათებს, ეს პაროვნული „გართულები-
ნი“ უფრო მიწიადებებს და დამაჭრებებს ხდის
მის მხატვრულ სახეს. როდესაც იცა რთე-
ნაშვილი მენშევიკური პროგრამის სისწორეში
დაეჭვებდა, მაშინ იქცევა იგი საინტერესო
ლიტერატურულ პერსონაჟად, რადგან სწორედ
ამ დროს, ამ დაეჭვების, ასე ვთქვათ, სული-
ური რწმენის კრახისის ფაშს აღმოაჩენს თავის
თავში იმას, რომ სულით ხორცამდე ბოლშე-
ვიკა უოფილა, რომ რვეოდუციურთა გზა უო-
ფილა მისი ერთადერთი გზა.

გერცელ ბაზოვი შეხანიშნავად იცოდა,
რას ნიშნავს გმირი ერთისთვის და ისიც იცო-
და, რაოდენ მძიმეა ხალხისთვის გმირის და-
კარგვა. მან სახალბო გმირის რანგში აიუყაშა
ბოლშევიკი იცა რთენაშვილი და ამიტომ პი-
ენსის საფინალო სცენა — იცავს დაუღუპა —
გაიზარა, როგორც ეროვნული უბედურების
შაუწვეველი. ადამიანები, რომლებსაც ერთმა-
ნეთისაგან თიშავდა რელიგიური, პოლიტიკუ-

რი, თუ სხვა მოხაზრებები, აქედანვე ერთდროს
გაერთიანა. სიონის დაცემის მიზნით მისი
ღამის დამთხზვა გ. ბაზოვი იცავს დაუღუპა.
და მან ეს აქტი გაიზარა, როგორც დიდი
ეროვნული ტრევილი. სპედიესწორი გაზარდა
და იცავს სიკვდილი კვეშენურულად აერთი-
ნებს რელიგიურთა რწმენით, ადგილოგაფორი
მისწრაფებებით განსხვავებულ ადამიანებს,
რადგან ყოველი მათგანიხათვის იცა მომავ-
ლის სიხლოდს წარმოადგენდა. ეს იყო ადა-
მიანი, რომელიც მათ ზვალინდელ დღესთან
აკავშირებდათ.

პიენის ბოლო სურათის ეპიგრაფად წამდ-
ვარებული აქვს ეკლესიასტიკურული ფრაზა —
„თამი სიტყვების ტყვიებდა დადაქცევისა“.
მთელი სურათი ილუსტრაციას ამ ფრაზისა.
დგება თამი მოქმედებისა. იცავს და მისა მე-
გობრების მისწრაფება დემოკრატიისა და
თავისუფლებისაგან ამჯრად სულ სხვა მიმა-
რთულება უნდა მიიღოს. ადამიანებმა ისე
უნდა იბრძოლონ თავისუფლებისათვის, რო-
გორც დადაშ ცნობილად იბრძოდა, ისევე უნ-
და იძიონ შური ბრძოლაში დაცემული მეგო-
ბრებისათვის, როგორც დადაშ ცნობილად იმ-
იდა. ამ სურათით გ. ბაზოვი თითქმის უზრუ-
ნდება თავისი შემოქმედების მთავარ თემას —
ქართული და ებრაელი ხალხის ერთიანობი-
სა და სამართლიანობის თემას.

გარდა ზემოთ განხილული სამი პიენისა გე-
რცელ ბაზოვის კალამს ეკუთვნის „განურჩე-
ვლად პიროვნებისა“, „იკალი“, მაგრამ ზენ
მათზე არ შეგნერდებით ერთი გარემოების გა-
მომ: ამ პიენებში მწერალი, მართალია, კვლავ
თავის თემას დასტრიალებს და რამდენადმე
სცილდება კიდევ მას, მაგრამ, სამწუხაროდ,
როცა მან სცადა თავისი დრამატურგის ფარ-
გლების გეოგრაფიული ვაფართობა, გაზრდა,
შემოქმედებითი მარცხი ვანიცადა. „განურჩე-
ვლად პიროვნებისა“ წმინდა ლიტერატურული
თვალსაზრისით მაშინაც სქემატური იყო. მა-
გრამ კონიუნქტურული მოხაზრებანი გარკვე-
ულ ღირებულებებს უნარჩუნებდნენ. სადღეი-
სოდ კი ეს პიენები ბევრს ვერაფერს მატებენ
მწერლის სახელს, ისე რომ გერცელ ბაზოვის
მთელი დრამატურგიული სამუარო, მისა მწერ-
ლური ღირსებანი სწორედ იმ პიენებში გამო-
ნდა, რომლებშიც იგი ქართველ ებრაელით
უოფას სახავდა და მასთან დაკავშირებულ
მტიკურულ პრობლემებს აშუშავებდა.



ნოღარ ბრიგორაჰვილი

პოლო იაშვილის ჟურნალები იოსებ ბრიგაშვილისადმი

პოლო იაშვილს და იოსებ გრიშაშვილს შემოქმედებითი მოღვაწეობის აღრეულ წლებში ახლო, საქმიანი, გულთბილი ურთიერთობა აკავშირებდათ. პოლო იაშვილის რედაქტორობით ქუთაისში გამოცემულ ჟურნალებში „ოქროს ვერძ“-სა და „ციხეფრუანწებ“-ში ზშირად იბეჭდებოდა ი. გრიშაშვილის ლექსები. აღმანახში „ლეილა“, რომელიც ი. გრიშაშვილის რედაქტორობით გამოდიოდა, 1917 წლის პირველ ნომერში გამოქვეყნდა პ. იაშვილის ლექსი „სვედიანი ზურმუხტი“. დღეისათვის ეს ჟურნალები და აღმანახი ბიბლიოგრაფიულ იშვიათობას წარმოადგენენ.

ი. გრიშაშვილის ბიბლიოთეკა-მუზეუმში დაცულია პოლო იაშვილის წერილები იოსებ გრიშაშვილისადმი, გამოგზავნილი ქუთაისიდან და საზღვარგარეთ წასვლამდე, როდესაც პ. იაშვილი რედაქტორობდა ჟურნალ „ოქროს ვერძს“ და 1915-1916 წლებში: ეს ის პერიოდია, როცა ქართველმა სიმბოლისტებმა დააარსეს „ციხეფრუანწებების“ ჯგუფი. წერილებიდან ვეცნობით ორი ახალგაზრდა პოეტის ცხოვრება-საქმიანობას, განწყობილებას, მისწრაფებას, შემოქმედებით გეგმებს. წერილებში პ. იაშვილი სთხოვს ი. გრიშაშვილს, მომავალი აღმანახისთვის, რომლის გამოცემისაც იგი აპირებს, მიაწოდოს ლექსები, დაეხმაროს, ხელი შეუწყოს ჟურნალის მხატვრულ-ტექნიკური გაფორმების, რეკლამის, გაერცელებისა და გაყიდვის საქმეში.

ფიქრობთ, საინტერესო იქნება ამ წერილების გაცნობა.

1

სოსო!

ველით მასალას 8 მთხამდის.

პ. იაშვილი. რედაქცია და კანტორა „ოქროს ვერძი“. ქუთაისი. 8. 5. 13.

2

სოსო!

ეს წუთია მივიღე შენი მოლოდინელი ცნობა გ. ტაბიძის შესახებ. შენს წერილში ერთი საოცრება არის. მწერს: „ეს სულ შენ შემძღვენი. რა გინდოდა ჩემგან“. მწერ იმ გვარად, თითქმის დიდი უბედურება გწვევოდა. შენ შეტად დიდ ურთადლებას აქცევ ამ გვარ ამბებს. ამაში ერთგვარი უნებობა არის. შენ კარგათ იცი რა მოსაზრებით დაგაწერიე გ. ტაბიძე: ის იყო ჩვენი მეგობარი, აქამდის მაინც. მაგრამ სჩანს ახლა სხვა შეგობრები გარენია და რა გზავდაც დაუფენებიათ მათ, იგი ამ შემთხვევიდანაც სჩანს. „თანამედროვე აზრში“ მოთავსებულ წერილს ჭერ არ ვიცი. დღესვე წაეკითხავ, და, შენი თხოვნისგვარად, წერილისაც შეაწერებები შენ სახელზე. შენ დაბეჭდე სადაც გსურს.

შენი პაეღე იაშვილი. ქუთაისი. 20. 8. 15.



3

სოსო ძვირფასო!

გწერ ნეტად საჩქაროდ თუ ძმა ხარ, დღესვე ინახულე „არშინ-მალ-სლანის“ დეპი, რომელიც საუკეთესოა. პართლად და რუსულად რომ შეეძლოს თამაში და გაურიგდი. დაიწყე ვაჭრობა სამას მანეთიდან, უკიდურეს შემთხვევაში ორ საღამოზე მივცემთ 500 მანეთს. საქმეს ოვგორც მოაგვარებ, შემატუბინე დებუთი და შემოიოვადე რამდენი აქნება საჭირო ფული და დებუთი გამოგაგზავნე. ახა შენ იცი თუ მალე და კარგათ მოაგვარებ საქმეს. შენ გასამრჯელოს მიიღებ შემოსავლის გვარად. ერთი სიტყვით, გული არ დაგწყულებო. ვაწყუბთ შე და გუცამ სანახევროდ. ველი მალე დებუთს. თუ არ დავაჩქარებ, სხვა ახორებს მოყუანას. შემატუბინე დღეები და თეატრს ავიღებ.

ქუთაისი. 29. 8. 15.

4

სოსო, გაფიზის ვარდს, ფარუზის კოცნა.

პარლამენტის წევრი. ტ. ტაბიძე. ვ. გაფრინდაშვილი.
ქუთაისი. 18.6.15.

5

ძვირფასო სოსო!

შენ კისლოვადსეში წასულხარ, მაშინადამე, მზიარულიც აქნები. თუკა ამ დღეებში, რომელიც ამ ბოლო დროს დაბეჭდე, განსაკუთრებული რამ სიხალსე არა სხანს, მომწერე ყველაფერი. დიდხანს დარჩები მანდ, მუშაობ, თუ უფრო და სეირნობ. სადღაც წავეყობე, რომ შენ ენების შესწავლას აპირებ. კარგია თუ მართალია. „თანამედროვე აზრის“ კრიტიკონამ კიდევ მოგვეყვანა შენ წინააღმდეგ შეიარაღებული. წერილი წიხი უნიკო და უშინაარსო... გრამატიკის მაგნიტული უნდა იყოს?

ჩემ შესახებ შემძლია მოგწერო, რომ ჯერ სოფელში ვარ და მალე მინდა წავედო ბორჯომს. შემოდგომისთვის რაღაცეებს ვაპირებ, თუ ოცნება ოცნებად არ დარჩა. სოფელში მშენებელი სიგრილია, მუდროება, ყველა მიყვარს, არაინ არ მძულს, ომის შესახებ არაფერს არ ვკობულობ და აღარც მანიტრებებს. ველი შენ წერილებს და ელოდე სამაგიეროს. იმზიარულე და გიმარჯვე. შენი პაყლე იაშვილი.

საჩხერე. 7. 7. 15.

6

ძვირფასო სოსო!

„მეგობარმა“ წაყიბხადი, რომ ქუთაისში ვაპირებთ ლიტერატურული აღმანახის გამოცემა. აღმანახში მონაწილეობას მიიღებენ უკანასკნელი დროის გამოჩენილი მწერლები. შენც დაგვამშენე. გობოც, რაც შეიძლება მალე გამოგზავნე დეკსი, უფრო ლაღი და გაბედული, ვიდრე ყველა შენი დეკსები. იცოდე, რომ ჩვენი აღმანახი იქნება გასამარული ყველასათვის, ვინც გრძნობს ნამდვილ სილამაზეს თანამედროვე შემოქმედებაში.

აღმანახის ბეჭდვას დავიწყებთ ამ თვის დამდეგს.

ძმა და მოყვარული პარლამენტის წევრი.
ქუთაისი. 19. 10. 15.

P. S. «Огонь»-ში დაბეჭდილია მერა შერვაშიძის სურათი. კარგი აქნება თუ შემდეგ კვირის დამატებაში გადაბეჭდავს „სახალხო“.

7

შემატი, ძვირფასო სოსო, რომ პასუხი დამიგვიანდა. ჩვენი „დაღატი“ 18 არის. ბესოს როლს გელოვანი თამაშობს და ახლა უარის თქმა უფერულია. ყველამ იწუხა, რომ შენი სურვილი ადრე არ ეცოდით. ყოველ შემთხვევაში, ჩამოდი, შეგიძლია ჩემთან ჩამოტე, თავისუფალი ოთახი შექნება შენთვის. შენი „მამა“ „მეგობარმა“ წამართვა. „ციხეგრე ყანწუბასთვის“ უსათუოდ წამოიდე საოცარი დეკსი. წერილის მიღებისთანავე მომწერე ჩამოსვლის დღესადგურზე დაგზადები. გელი უსათუოდ. შენი პ. იაშვილი.

9. 11. 1915.
ქუთაისი.

8

სოსო შენი წერილი დღეს მივიღე. რად არ გინდა ჩიღო მონაწილეობა კონკრეტულ თუ კარგ პარობებში გიწვევს, წამოდი. საზოგადოთ, კონსერტის მიუხედავად, კარგს ხვალ თუ ჩამოხველ ქუთაისში. მე მოგწერე და არ ვიცი რად არ ჩამოხველ.

შენი პაოლო.

13. XI. 1916.

9

ძმოსოსო! ვერ გადასწვებოტ ჩვენთან ჩამოსვლა? ჩვენ კი გელოდით და გელოთ. დე-ქნი? უხეთოდ უნდა გამოგზავნო ლექსი აღმანახისთვის. თანამშრომელთა რიცხვში შენ გა-ცხადებთ, და როგორ შეიძლება უწერომა. „დააჩქარე, დააჩქარე, თორემ“... თორემ ჩამოვალ მანდ და... მერე ჩემი თავის პასუხისმგებელი აღარ ვიქნება.

შენი პაოლო იაშვილი.

19. 11. 16.

10

ძვირფასო ძმოსოსო!

გიგზავნი „ციხლერი უანწების“-თვის დამზადებულ ვინიეტკას და ყდის ასობებს. დიდათ ვთხოვ, რომ შიღებისთანავე, საჩქაროდ გააკეთებინო კლიშეები, თუ ზუთშაბათს დილით აქ არ გვექმნა, მაშინ აღმანახი კიდე ვერ გამოვა და, ზომ იცი, ცუდი იქნება.

ძველი კლიშე ულამაზო გამოდგა და შიტომ არი, რომ ასე დავივიანეთ. ასობები უნდა გაკეთდეს იმ ზომისვე, როგორც დახატულია, აგრეთვე კლიშე შიღიანი უნდა იყოს (ქაღალ-დი შემოხვევით გავლება და ეცადე, რომ კლიშეში არ დაეშინოს). რაც შეეძება ვინიეტ-კას, ის გააკეთებთ იმ ზომის, როგორც დანიშნულია ამ ნახატის უკან პირზე.

სოსო! უნდა მოახერხო როგორმე და ორივე კლიშე გამოატანო გაზეთს კვიცარობის კანტორაში ისე, რომ ზუთშაბათს დილით მივიღოთ, რადგან პარასკევს უკვე დღეა და ორ-ზომი დაგვიჭდება იმ დღეს ბეჭდვა. კლიშეების ფასი არ ვიცი და არც არაფერს გიგზავნი. შემდეგ კვირაში მივდივარ თბილისს, შეიძლება აღმანახიც მე წამოვიღო, და მაშინ გაუს-წორდები, როგორც თქვენს კანტორას, ისე ცინკოგრაფიასაც. ასე ჩემო სოსო! მთელ იმედს ვაშუარებთ შენზე.

შენი პავლე. [1916]

11

ძმოსოსო!

შენი წერილი მივიღე — გავასწორე ლექსი, როგორც შენ გხურდა. სოსო, ამისრულდ შემდეგი თხოვნა: „სახალხოში“ გადაბეჭდე „უანწების“ განცხადება სამწერ — პარასკევს, შაბათსა და კვირას, იმ სახით, როგორც „შეგობარშია“ დაბეჭდილი. მომწერე ფასი, ვლიქ-რობ, რომ ჩვეულებრივზე ნაკლებ ფასს წაიღებენ. გარდა ამისა, მომწერე საჩქაროდ, რამ-დენი ცალი გამოგზავნო თბილისში ან ვის გაუგზავნო. შენ რომ აიღებდე შენს თავზე, მე-ტად კარგი იქნება. იმედია კაცი ხარ, ვლიქრობ, რომ ორასი ცალის გაუიღვა შეიძლება მანდ, იქნებ შეტაცე ყოველი მომწერე, როგორც მოვიქცე.

შენი პ. იაშვილი.

9. 2. 16.

12

ძმოსოსო!

უატან ჩემ ნაცნობს აღმანახებს, ჩემი მცორე წერილი კონაშია მოთავსებული. დამავიწყ-და მომწერა, რომ საქაროთათო რეკლამიარის გავზავნა შემდეგ რედაქციებში: „სახალ-ხო“, „საქართველო“, „თანამედრ. აზრი“, «Закавказск. речка» და «Кавказское слово». მომწერე წერილი საჩქაროდ.

შენი პ. იაშვილი. [1916].

13

ძვირფასო სოსო!

რად გარუბდი? შაბათზე, რომ ველარ დაგვიადე კიათურაში. სინტერესო ნაცნობები შე-მხვდნენ და ველარ დავარი.

როგორ არას „უანწების“ საქმე ქუთაისში მოდის წერილები თბილისიდან, თხოულო-ბენ აღმანახს. მოაწყვე ისე, რომ სხვა და სხვა ადგილზე გაიყიდოს. ქუთაისში და პაროინ-



ცაში სულ გაიფიქრა, ზუთის შიტი აღარ მიქვს ში, და თუ მოინდომებ, მანდაც გაიყიდებო
სულ. მომწერე უველაფერი. ველი წერილს და ლექსებს, ლექსებს.

შენი მარად პ. იაშვილი
[1916].

14

ძვირფასო სოსო!

შენი წერილი დღეს გადმომიცხვ. გმადლობ ფერად სიტყვებისთვის. ბევრი საოცრება და-
სწერეს ჩვენ წინააღმდეგ, უფრო შიტი სთქვეს და ამბობენ, მაგრამ უველადია ჩვენი სურვი-
ლი საქართველოს გაცოცხლებისა და გვწამს, რომ იგი გაცოცხლდება...

სოსო, თუ ძმა ხარ, ამ წერილის მიღებისთანავე გამომიგზავნე აღმანახის ფული, რადგან
შახათ ვალი მიქვს ვახანტურებელი და ერთად ერთი შენი იმედი მიქვს. უსათუოდ მალე
გამომიგზავნე. დღეს მივეცი თხოვნა ვაშეთის შესახებ. სახელად „ფარშაენი“ დეარქვიო

იყავი მწიური.
შენი პაოლო. [1916].

15.

ძვირფასო სოსო!

კითხულობ „ოშის“ ამბებს. კუთხისი ამირებს ჩვენ გაძევებას, მაგრამ რაინდული სული
ქარ კიდევ ცოცხალია ჩვენში. ჩამოვად მანდ და უველაფერს ვიტყვი. მომწერე „უანწების“
ამბავი და უველაფერი, რაც იცი მათ შესახებ. გავიგებ, რომ შენ სწუხარ ჩვენიან ერთობას.
იყოფი სოსო! თუ შენ ჩვენიან გრძნობ თავს ცუდად, სხვაგან უფრო ცუდი იქნება შენი
ყოფა, რადგან ისე ვერაფერს დავაფასებ, როგორც ჩვენ. მალე გამოვეცი ვაშეთს. დაბეჭდ
ახალ ამბავში. „სახალხო“ დიდხანს იქნება მდუმარე. ველი წერილს. შენი პაოლო.

15. 8. 16.

16

ძვირფასო სოსო!

რად აგვიანებ ლექსის გამოგზავნას. რამდენიმე მასალა უკვე იბეჭდება. უშენობა ხომ
იცი ღამაში არ იქნება. თუ ძმა ხარ, აღარ დაიფიქრო და დროზე გამოგზავნე. რად წადი აქე-
დან ასე ჩქარა. მომწერე როგორა ხარ.

შენი პაოლო.
15. 4. 16.

17

საუარელო სოსო!

დიდით გმადლობ უველაფერისათვის. „უანწები“ გადავდევი ერთი კვირით, რადგან ველი
შენს ლექსს უსათუოდ. გამომიგზავნე რაც გინდა, ოდონდ გამომიგზავნე. თუ კვირას არაფე-
რი მომივიდა, იყოფი მოვდეფარ ტფილისს და რად გინდა ჩემი ტყუილა შეწუხება. ველი
ლექსს სარქაროდ. არისტოს მადლობა მშვენიერი მახალისისთვის. მომწერე „უანწები“ რამდენი
გამოგზავნო ლექსი უსათუოდ. შენი მარადის პაოლო იაშვილი.

20. 5. 16.

18

ძვირფასო სოსო!

შენი ლექსი მტკად კარგია. სახელად „შეშლილი ოთახი“ უნდა დავტოვოთ. ვახანტურ
კორექტურა და არისტოსთან ერთად გამომიგზავნე, რაც შეიძლება მალე გამოგონე შეზღვევი:
შენს ლექსში ორი ადგილია, რომლის მსგავსიც სხვა ლექსებშიც არი, რა თქმა უნდა, შემ-
თხვევით. I. შესანიშნავად — დასანიშნავად. ეს რითმები არი ედენე დარაინის. ლექსში.
II. შენა ვაქვს „წყლისფერი ფარდა“. ერთ ჩემს ლექსში არი „ქვისფერი ფარდა“. რითმებს,
რა თქმა უნდა, არაფერი გაეწყობა, მხოლოდ სახეს თუ შეცვლი მადლობელი ვიქნები. ჩემს
ლექსში ეგ სახე აუცილებელია, შენ კი შეგიძლია, როგორც ვსურს ისე შესცვალო. მოიქეცი,
როგორც ვსურს. ჩემის ფიქრით კარგი იქნებოდა თუ სიტყვა „შუენი“ შესცვლიდი როგორმე.
მტკად უღამაშო სიტყვად მიმანია. აგრეთვე უანახუნელ ტაუში „ვიშ“ თუ არ გაგიძნელ-
დეს გამოცვალე რამეთი. ეს ჩემი შეხედულებაა, შენ, რა თქმა უნდა, შეგიძლია არ დამეთან-
ხმო. ლექსი მტკად კარგია და მიტომ მინდა, რომ სრულებით უნაკლო იყოს. მაატივი, რომ
წერილი დავაგვიანე, მაგრამ მტკად ავად ვიყავი, ჩასაც ლექსი გამოგცემდა. „უანწები“
სულ მალე გამოვა. კარგი იქნება თუ გამოაცხადებ ახალ ამბავში. მომწერე ვის გამოგზავნო
და რამდენი. ველი მალე პასუხს, შენი მარად პაოლო იაშვილი.

9. 11. 16.

19

ქვირფასო სოსოი

გიგზაინი განცხადებას. გთხოვ რაც შეიძლება ღამაზედ მოათავსო პირველ გვერდზედ და ბეჭდვინ უკველ დღე კვირეშის, შემდეგ კი კვირაში ორჯერ — ხუთშაბათობით და კვირაობით. ფასს მოურჩადი და შერე გადვიხდი. თუ „იქითური“ არ მოგეწონა, შემოიხივალე და სხვას გამოგზავნი. რატომ არ გამოიარე აქ. ფასი შეიძლება დიდი იუოს ერთი მანეთი, მაგრამ რა უნათ, რომ ძლიერ ბევრი დაგვიდა. ოთხ ახალ ნაყლებ ვერ მიეცემო გამოუღველს. ერთი სიტყვით, მანდ შენი იმედი ვაჟებს. ღელი გიგზაინის ლექსს, რომელსაც გასწორება აღარ სჭირდება. მალე შეც ჩამოვალ. შენი პაილო.

[1916].

20

ქვირფასო სოსოი

გიგზაინი ციფტერ ყანწებს. ვაზარბე ჩვენს ციფტრად შორთულ საყვარელს. 300 ცალი, ვფიქრობ, საჭირო იქნება, რადგან ფასი დიდი დავარქვით: დაფასოს ხალხმა ქართული შემოქმედება. იცადე, რომ გამოიდევლი დაითანხმო ცხრა შურად ცალი. თუ შეუძლებელი იქნება, დაუთმე ორ ახალს, თუმცა ეს თითქმის ზარალი იქნება. იცადე უკველივებს, რომ აღმანახი გავცედელებ. ჩემი ლექსი ერთის შები არ მიღებ. ადგილი ნ. ლორთქიფანიძეს დაუთმე გთხოვ, რაც შეიძლება აღრე დაარჩო დასახელებული ეგზემპლიარები. გუგზაინე დღესეუ ყანწებებს და უველას, ვისც ვვარები დაბეჭდილია. ამას შებად გთხოვ. მაღლობელი ვიქნებით თუ სახლობადან ვინმე წერაღს უძღვნის აღმანახს. შერქარება და შებტ ვერას გწერ. ფული შენ გამოართვი გამოიდევლს და აიღე უკველი, რაც დაგებარჯოს. შეიძლება შეც მალე ჩამოვიდე. ასე ჩემო კარგო. შენი პ. იაშვილი.

[1916]

217

ძმარ სოსოი ძალიან მაღლობელი ვარ ჩემი ლექსის მიღებისათვის. როგორც სჩანს თანამშრომელია სახელებიდან „ღელია“ იქნება ღირსეული სახარება ქართული ხელოვნებისა. განცხადებაში წავიციოთ ჩემი ლექსის სათაურა — შეცვალაი. აი ჩემი თხოვნა: ვაღერაინ გაფრინდაშვილი: „ჩახშული“ სხვა ცუდ სიტყვას გავს და ვაღერაინი გთხოვ ისეუ ჩაფენილი დასტოვო. პაილო იაშვილი: პაილოს „იქითური“ აღარ მოსწონს და დღეს ან ხვალ გამოგზავნიას „სეველიან ზურმუხტს“. ვ. გაფრინდაშვილი. ვაღერაინი გთხოვ „ღელიას“ ნუ შეცვლი. საღამო..., არისტოს, ღელის. „ყანწები“ გამოვა შაბათს. გამოგზავნი განცხადებას. პ. იაშვილი.

19. 12. 10.

შენიგზავნი:

1 ქუთაისში 1915 წლის 5 მარტს გამოართა ი. გრიშაშვილის საღამო. ვაბუთის განცხადებაში და პროგრამაში პ. იაშვილის წინადადებით ვ. ტაბიძე იყო მოხსენებელი. ვ. ტაბიძემ უარი განაცხადა საღამოში მონაწილეობაზე, მისთვის დაუკითხავად მონაწილეთა შორის მოხსენიების გამო.

2 ფარქოსაძე გუცა (1891-1949), პოეტი, მთარგმნელი.

3 ნათაძე ლევან (1880-1922), პედაგოგი, პუბლიცისტი. „გზაბნეული“, გაზ. „თანამედროვე აზრი“, 1915, №№ 101, 103, 107-109, 111, 112.

4 კუშბერძე არისტო (1886-1971), მწერალი, მთარგმნელი, აზოგადე მოღვაწე.

5 ქაფარიძე ლელიკო (1890-1933), პოეტი, მთარგმნელი.

6 სათაური ლექსისა, რომელიც პ. იაშვილმა გამოუგზავნა ქუთაისიდან აღმანახ „ღელიას“-ს რედაქტორს ი. გრიშაშვილს 1917 წლის პირველ ნომერში გამოსაქვეყნებლად. ამ ლექსის ნაცვლად აღმანახში დაბეჭდა პ. იაშვილის მეორე ლექსი „სეველიანი ზურმუხტი“.

7 ეს წერილი პ. იაშვილს ვ. გაფრინდაშვილიან ერთად აქვს დაწერილი.



გრიგოლ ბიორგაძე

არმაზის ბილინგვა: „ფარნავაზი“ თუ „ფარნავაზიანი“?

არმაზის ბილინგვის არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის საიმეუშო ამოწმებამ და მისმა სურბულთწლებმა ანალიზმა, რაც 1941 წელს განახორციელა გამოჩენილმა აღმოსავლეთმცოდნემ, ქართული ორიენტალისტურმა სკოლის ერთ-ერთმა უფემდეგებულმა, აკად. გიორგი წერეთელმა, ატყვევებულმა გამოშვებებამ და არსებული ინტერესი გამოიწვია მკვლევართა ფართო წრეებში არამართო ქართველოლოგიის, არამედ, საერთოდ, კავსაოლოგიის დარგში. უფრო მეტიც, ბილინგვის არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის ამოწმებამ განიხილებოდა — და ახლაც განიხილება — როგორც მნიშვნელოვანი მოვლენა მსოფლიო ორიენტალისტიკაში, კერძოდ, სემიტურ ეპიგრაფიკაში.

განუწმობად დიდი არმაზის ორიენტაციის წარწერის მნიშვნელობა ზვენი წელთაღრიცხვის დასაწყისის საქართველოს ისტორიისათვის. ძველ ქართულ ისტორიულ ქრონიკებში, ძველ ბერძნულ, რომაულ, ძველ სომხურ თუ სხვა სახის უძველეს ისტორიულ წყაროებში დადასტურებული იმ ცნობილი ფაქტების ვერადიო, რომლებიც ეხებიან აღნიშნული ხანის საქართველოს ისტორიას, არმაზის ბილინგვამ გამოამწერა მანამდე სრულიად უცნობი ისტორიული ფაქტებიც, რომლებმაც მრავალხრივ გამადიდრეს ზვენი წარმოადგინა ა. წ. I-II სს-ის ობერის (ქართლის) პოლიტიკური ისტორიის, მისი სახელმწიფოებრივი წყობის, საქართველოს კულტურული ცხოვრების შესა-

ხებ. ბილინგვაში შემონახულმა ისტორიული, სოციალურ-ეკონომიკური თუ კულტურული მნიშვნელობის ცნობებმა დამაჯერებლად დაადასტურეს ძველ ქართულ ნარატიულ წყაროებში ასახულ სათანადო მონაცემთა უტყუარობა.

ცხოველ ინტერესს იჩენდნენ მკვლევარნი არმაზის ბილინგვისადმი, განსაკუთრებით, არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტისადმი, ამ უნიკალური წარწერის გამოკვეყნების მომდევნო ხანებში. ეს ინტერესი არ განეუბნებოდა ზვენს ღრმად, რაც სავსებით ბუნებრივია: არამეული დამწერლობით შესრულებული ტექსტის მთლიან ინტერპრეტაციასთან დაკავშირებული საკითხების წყება (წარწერის ენა, მისი ზოგიერთი სიტყვის მნიშვნელობის დადგენა, ცალკეული გრამატიკული ფორმების განსაზღვრა და სხვ.) ჯერ კიდევ მოათხოვს შემდგომ დამუშავებას, მეცნიერების ახალ მონაცემთა გათვალისწინებას, მით უმეტეს, რომ ამ ტექსტის ზოგიერთი ადგილი აუთადანვეც არ იყო მთლად ნათელი, რაზედაც თავის ღრმად მიუთითებდნენ როგორც ტექსტის გამოკვეყნებელი, აწ განსვენებული აკად. გიორგი წერეთელი, ასევე სხვა მკვლევარნი.

ჩვენთვის საინტერესო ეპიგრაფის ბუნდოვან ადგილად აუთადანვეც იყო მიჩნეული, მაგალითად, მე-7 და მე-8 სტრიქონები, რომელთა ტრადიციული ტრანსლიტერაცია უშედეგანიარად გამოიყურება:

- (7) ფრსმ მლქ ხლლ ხლლქ მ'
 - (8) ზა ფრწვ ლ' ვმარ ვქმან
- აკად. გ. წერეთელი ამ ორ სტრიქონს 1942 წ. თარგმნიდა შემდეგნაირად (აბ, გვ. 16):
- „(7) ფარსმან მეფისა. ვაება ვაებისა. ის

1 გ. წერეთელი. არმაზის ბილინგვა. „ენიმეიკა“-ს მოამბე“, ტ. XIII, თბ., 1942 (შემდგომში: აბ). ესარგებლობთ ნაშრომის ქართული გამოცემით.

(8) რაც [= ახ ვინც] იყო ფ რ ნ ვ შ [ი. ა. ახალგაზრდა?] და იმდენად.

შეოთავაზებული თარგმნის მიხედვით, სიტყვა ხ ზ ლ ვაგებულია როგორც „შუხარების არადიციული შექაბილი“ (ა ბ, გვ. 81), არამედული შორისდებული „ვაი ვაბა“. ხ ზ ლ-ის შემდეგ იგივე სიტყვა შეორდება და ემატება -აქ სუფიქსი. მიღებული ხ ზ ლ ხ ზ ლ აქ ნათარგმანი როგორც „ვაბა ვაბასა“. მართალია, კომენტარებში ვინაობა არაა მითითებული, რომ -აქ სუფიქსი „შეიძლება ახსნილ იქნეს როგორც სპარსული დაბოლოება ან კიდევ როგორც შერეუ პირის არამედული ნაცვალსაბელოვანი ნაწილაკი“ (ა ბ, გვ. 28), მაგრამ შედარებითად თარგმანი აღნიშნული სუფიქსი სათანადოდ არ იხსნა, ფაქტობრივად იგი უთარგმნელი დარჩა.

როგორც ვხედავთ, მე-8 სტრიქონის სიტყვა ფ რ ნ ვ შ საერთოდ არ არის თარგმნილი. მის შესახებ კომენტარებში ვკითხულობთ: „...ეს სიტყვა ჩემთვის უცნობია. საფიქრებელია, რომ იგი სპარსული წარმოშობისაა, რადგან არამედულ ნიშანზე მისი იდენტიფიკაცია არ ზერბდება. შეიძლება იგი კომპოზიტ წარმოადგენდეს ფ რ ნ და ვ შ სიტყვებისაგან: ფ ა რ -უ შ, მნიშვნელობით „შქონებელი ბრწყინვალე ინტელიქტისა“, ან დეკავშირებული იყოს სპარსულ ფ რ ნ ვ შ სიტყვასთან, რომელიც ძალიან ზშირად გვხვდება სასანურ გემეზზე და რომლის ეტიმოლოგია გაურკვეველია... უკველ შემთხვევაში სიტყვა მომდგენო ლ გ მ ა რ -თან ერთად ბერძნული „ნეოტერა“-ს შესაბამისად გამოყენებული და მგონი ავტორივე „ახალგაზრდას“ უნდა ნიშნავდეს“ (ა ბ, გვ. 24).

თავისი ვარაუდო, რომლის მიხედვით სიტყვა ფ რ ნ ვ შ მომდგენო ლ გ მ ა რ -თან ერთად გამოყენებული უნდა ყოფილიყო, ვითარცა ბერძნული „ნეოტერას“ შესატყვისი, „ახალგაზრდას“ აღსანიშნავად, ავტორმა მოგვიანებით, როგორც ჩანს, მართებულად მიიჩნია. მისი გარდაცვალების შემდეგ გამოქვეყნებულ „ქართული საბჭოთა ენციკლოპედიის“ I ტომში (თბ., 1975, გვ. 678), მის მიერვე აღრე დაწერილ სტატიაში „არმაზის ბილინგვის“, სიტყვა ფ რ ნ ვ შ უკვე აღარ ჩანს სათანადო ადგილას, სადაც ვკითხულობთ: „ის ვინც იყო ახალგაზრდა“. მიგვაჩნია, რომ (და ამას ქვემოთ დავინახავთ) სიტყვა ფ რ ნ ვ შ ფაქტობრივად ასევე უთარგმნელი დარჩა.

უკველივე შემოთქმულებიდან მწელი არ არის დავინახოთ, რომ, ხ ზ ლ-იდან დაწვებული ლ გ მ ა რ -ის ჩათვლით, ყველაფერი განეყოფნება უფროოდ გარდაცვლილ სერაფიბს.

აქედ გ წერეთლის „არმაზის ბილინგვის“ რუსული ვარიანტის გამოქვეყნების წილებზე, ე. ი. 1941 წ. აქედ. ა. შანიძემ დაბეჭდა სტა-

